კვირის პალიტრა

დილა

№17(202) 22/IV.-28/IV.2004. ფასი 60 თ.

1168
2004

ქართველი ჟურნალისტი „ინგლისელ“ ქეთი მელუას შეხვდა

თ�— შელიამკურობელი მამაკაცები

შენ ჭკვიანი გეგონე? — ანუ პოლიტიკა და ნევროზი



ფარისაფურისა ნაპატარძლო — ნინო შუბლაძე 13 იანვარს მაგიდის ქვეშ დაძვრება

ბედი კაცისა — როცა სიყვარული სიკვდილს ამარცხებს

„მჯერდა, გადავრჩებოდი“

დეზექზიუური ქანრის მოყვარულთათვის

დოკუმენტური მოთხრობების კრებული

იკითხეთ საგაზეთო ჯიხურებში და წიგნის მაღაზიებში

ფასი 2,5 ლარი

კვირის პალიტრა
ვეკა
№17 (202)
22 - 28 აპრილი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ყველანი შემოწმებაზე ანუ ნარკოლოგიური დისპანსერი პარლამენტში 3
ერთი კითხვა 4,6
სახელმწიფო
პოლიტიკური სვლები საჭადრაკო დაფაზე – მთავარია, ტურნირი არ ჩაიშალოს 5
აიწონა-დაიწონა
„რა ასაკის დეპუტატები აწევენ ხელს, მნიშვნელობა არა აქვს...“ 7
თემა
გულთამპყრობელი მამაკაცები 8
საპატარძლო
● „71-ე ნომერი ვინ გაპადრათ? პირველობისთვის ხართ დაბადებული“ 11
● ნინო შუბლაძე ყოველ 13 იანვარს მაგიდის ქვეშ მიკვრება 12
კრიმინალი
● როსტოველი კომერსანტის გატაცებასა და საღისტურ მკვლელობაში ქართველ კაცს აღანაშაულებენ 14
● „ჩვენმა შვილმა საკუთარ ჭიშკართან დალია სული“ – აცხადებენ მოკლულის მშობლები 15
კოლეგა
რას ეძებდა ქართველი ჟურნალისტი მერილინ მონროს კაბის ქვეშ? 17
პროექტი
„ხანდახან ვამჩნევ ხოლმე, რომ მცნობენ“ 19
მისია
ერაყში ქართველ ქალბატონს ამერიკელი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა 20
კლინიკა
„შენ ჭკვიანი ბეგონე?“ – ანუ პოლიტიკა და ნევროზი 23
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი ბოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 24
გზავნილები
უფრო გაბედული რომ ვყოფილიყავი 26
ბედი კაცისა
როცა სიყვარული სიკვდილს ამარცხებს 29
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 31

„რა ასაკის დეპუტატები აწევენ ხელს, მნიშვნელობა არა აქვს...“

შესაძლებელია თუ არა, რომ „ახალგაზრდული“ საკანონმდებლო ორგანო, არ იქცეს კარგ-ბლანშის მქონე პრეზიდენტის მარიონეტად? ამ კითხვებზე პოლიტოლოგებს, პოლიტიკოსებსა და პარლამენტს მიღმა დარჩენილ ოპოზიციას რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.

7

ერაყში ქართველ ქალბატონს ამერიკელი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა

ისინი მიჩვეული იყვნენ კოალიციის ჯარების ქალბატონებთან თავისუფალ ურთიერთობას. თავდაპირველად ეგონათ, რომ ჩვენს ქალებთანაც ასე გაუვიდოდათ, მაგრამ მათ წინააღმდეგობას რომ წააწყდნენ, მიხვდნენ, რომ ასე იოლად ვერ დაიპყრობდნენ ჩვენი ქალების გულებს.

20

რას ეძებდა ქართველი ჟურნალისტი მერილინ მონროს კაბის ქვეშ?

ხმამაღლა დავიძახე: „ქეთი გილოცავ“-მეთქი და ისიც შემოტრიალდა. „თქვენ საქართველოდან ხართ“? – მკითხა გახარებულმა. მისი პროდიუსერი და ფანები საუბარს არ გვაცლიდნენ. მასზე ძალიან ბევრი კარგი რეცენზია იწერება და ინგლისში ისიც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

17

როცა სიყვარული სიკვდილს ამარცხებს

მე ჩემი საცხოვრებელი ტუბდისპანსერში, მეუღლის გვერდით მოვიწყვე. ერთი ოთახი შევარემონტე და დროის უმეტესი ნაწილი იქ გავატარე. როცა ექიმმა მითხრა, რომ ჩემს მეუღლეს ორი წლის სიცოცხლეღა დარჩენოდა, დავფიქრდი, რა ვქნა, როგორ ვიცოცხლო მის გარეშე, რა უნდა ვაკეთო-მეთქი? – და მოვიფიქრე...

29

შემოქმედი

რამაზ ჩხიკვაძისა და გურამ საღარაძის სასცენო ოინები და პატიმარი, რომელსაც მერი მიქელაძე დღემდე ეძებს 32

ტაქარი

რა უნდა ვიცოდეთ მირონცხების საიდუმლოსთან დაკავშირებით 34

შთამომავლობა

„დიახ, ბერია იდგა ამ კამპანიის სათავეში...“ 35

ფავორიტები

ბექსის სასიყვარულო თავგადასავლები 38

სპორტული მოზაიკა 39

რომანი

რუსუდან ბერიძე. თავისუფალი თემა (გაგრძელება) 42

ვარსკვლავი

უიტნი ჰიუსტონის ანდამატური სიყვარული 46

ბომონდი 48

შეუცნობელი 49

ნამდვილი ამბავი

ბერბიჭას მოსაწონი ქალი... 50

ავტო 52

საკითხავი ქალებისათვის

რა ხერხს მიმართავენ ქალები სილამაზის შესანარჩუნებლად 53

კოსმეტოლოგია

რამდენი ფენისგან შედგება კანი ანუ როგორ მოვუაროთ სახეს 54

ჯანმრთელობა

- კურდღლები და ლომები 56
- მედიცინის სიახლენი 56
- კითხვა-პასუხი 57
- მარილი 58

იუმორი 59

ჰოროსკოპი

კვირის (26 აპრილი – 2 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

შოუბიზნესი 62

ტესტი

რამდენად დიდი სურვილი გაქვთ, რომ გათხოვდეთ 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ნინო შუბლაძე ქოველ 13 იანვარს მაგიდის ქვეშ მიქვრება

„უუ-უ, რა რთულია საკუთარ თავზე კარგი რამეები ილაპარაკო. ვარ ძალზე კონტაქტური. სადაც მიმუშავია, კარისკაციდან დაწყებული, უფროსის ჩათვლით, ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონია. ვარ საოცრად მზრუნველი, შემაწუხებლად მზრუნველიც კი.“

12

შენ ჭკვიანი გეგონე? – ანუ პოლიტიკა და ნევროზი

დღეს ძალიან მცირე პროცენტი ინარჩუნებს სულიერ წონასწორობას. საქართველოს მოსახლეობის 80-85% ნევროზითაა დაავადებული. ნევროზი ეს აბსოლუტურად ადეკვატური და ნორმალური რეაქციაა არადამაკმაყოფილებელ საარსებო პირობებზე, ამა თუ იმ გადაულახავ სიძნელეზე, დაბალ ანაზღაურებაზე, ოჯახურ კონფლიქტზე და ა.შ.

23

უიტნი ჰიუსტონის ანდამატური სიყვარული

...და აი, მის ცხოვრებაში გამოჩნდა შფოთისთავი, მექალთანე, ნარკომანი, ლოთი და ორი უკანონო შვილის მამა, რეპერი ბობი ბრაუნი, რომელმაც ისე დაახვია თავბრუ ჰიუსტონს, რომ ამქვეყნად ყველაფერი დაავიწყა...

46

თავისუფალი თემა

– „ისტრიბიტელივით“ არ ჩაგვიფრინა?! – ხელები გაოცებით გაშალა ივიკომ.

მალე მაკა უკან ორ თეთრხალათიან მამაკაცთან ერთად დაბრუნდა და სამივე კვლავ სარეანიმაციოში გაუჩინარდა.

– მგონი, შიგნით მართლა რაღაც ცუდი ხდება. – შეშფოთდა გვანცა.

42

ყველანი შემოწმებაზე ანუ ნარკოლოგიური დისპანსერი პარლამენტში

მაღალ პოლიტიკურ წრეებში რომ „ზოგი ასე უბერავს და ზოგიც – ისე“, ყველასათვის ცნობილია. ყოველთვის მიკვირდა, რატომ იყო პარლამენტის სხდომათა დარბაზში ასეთი სიცილ-კისკისი და მხიარულება, როცა ქვეყანა ხუხულასავით გვენგრეოდა თავზე, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა? მთავარი იყო, რომ მხიარული სანახაობა არ გვაკლდა.

ახლაც მოუთმენლად ველოდი ახალი პარლამენტის შეკრებას და გული სიხარულით მევსებოდა, რომ ჩემი პროვოკაციებისთვის ახალ-ახალი თემები „დაიყრებოდა“, მაგრამ ვინ შემარჩინა ეს სიხარული?!.

იმ დღეს, ქუჩებში დავეხეტებოდი და ვათვალიერებდი შენობებზე გამოკრულ წარწერებს: „ვიბარებთ ბოთლებს“, „ვიბარებთ ოქროს“, „ვიბარებთ ჯართს“ და უცებ... „ვიბარებთ შარდს“... გამიხარდა – ერთ-ორ „კაპიკს“ მეც ვიშოვი-მეთქი. მივედი და ისეთი ცნობილი სახეები დავინახე რიგში ჩამდგარი, გული კინაღამ გამისკდა – ნუთუ, ამათაც ისე გაუჭირდათ, რომ ამ საქმით აპირებენ ფულის შოვნასმეთქი?!.

თურმე, დეპუტატებისთვის სავალდებულო ყოფილა ამ „პროდუქტის“ ჩაბარება, რომ კომისიამ შეამოწმოს და ვისაც სისხლში ნარკოტიკის შემცველობა აღმოაჩნდება, ცხვირს ვერ შეყოფს პარლამენტში. არადა, კომისიას ისეთი პრეპარატები ჰქონია, რომ იმწამსვე აღმოაჩენს ჰეროინის, კოკაინის, ოპიუმის, მარიხუანის, ტელესერიალის და ნებისმიერი სხვა სახის ნარკოტიკს. ამიტომ, ახლა ისეთი ამბავია ატეხილი სუფთა და ჯანმრთელ შარდზე, წამლად რომ დაგჭირდეს და მთელი კანცელარია და პარლამენტი მოიარო, 100 გრამსაც ვერ იშოვი...

კომისიაში ერთი პედიატრიც ჰყავდათ, რომელიც ანალიზის შემოწმების გარდა, ტესტირებასაც უტარებდა შიშისაგან მუხლებაკანკალებულ დეპუტატებს; ეს ტესტი 8-9 თვის ბავშვის ვარჯიშებს უფრო ჰგავდა: თავი სადა გაქვს და აბა, ტაში დაუკარიო... ერთი დეპუტატი ისე დაიბნა, რომ ტაშის დაკვრისას ხელი ხელს ვერ მოახვედრა, თავის ნაცვლად კი, ხელი უკან წაიღო. რა თქმა უნდა, შესაბამისი დასკვნაც მისცეს – ნარკოტიკს იყენებსო. იმან კი ყვირილი მორთო – ჩემი დედას გეფიცები, ჩამიდესო... იქით მეორე იმართლებდა თავს – ექიმმა გამომიწერაო... ისე, მართალია, თუ ექიმმა უთხრა – „ლომკა“ გაქვს და ეს მოგიხსნისო, – რა ექნა, არ „გაეჩხირა“?!

ჯერ სადა ვართ?! თურმე, იმდენ რამეზე მოუწევთ კიდევ ტესტირების გავლა საცოდავ დეპუტატებს, რომ შეიძლება, პარლამენტის შემადგენლობა 10 კაცამდე დავიდეს. შემთხვევით რამდენიმე ტესტი ჩამივარდა ხელში და აი, რა კითხვებია შიგ, სავარაუდო პასუხებითურთ:

„ტესტი პატიოსნებაზე:

ქუჩაში თქვენ წინ მიმავალ მოქალაქეს საფულე დაუვარდა. რას მოიმოქმედებთ? ა) დაუძახებთ და მისცემთ; ბ) ჯიბეში ჩაიდებთ; გ) გზას გააგრძელებთ; დ) პოლიციას შეატყობინებთ...“

გეკითხებით, რომელი ჭკუათმყოფელი არ შემოხაზავს „ბ“ ვარიანტს?! აი, შემდეგი ტესტიც –

„ტესტი ერუდიციაზე:

1. სად მიფრინავენ მერცხლები შემოდგომაზე? ა) თბილ ქვეყნებში; ბ) გრილ ქვეყნებში? გ) მივლინებაში; დ) შვებულებაში...

2. როდის მოხდა 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია? ა) 1783 წელს; ბ) 1917 წელს; გ) 2003 წელს; დ) ჯერ არ მომხდარა...“

თქვენ არ მომიკვდეთ, ასეთი სიმკაცრეც ნამეტანია!

ბარემ თქვით პირდაპირ, რომ საერთოდ არ გინდათ ეს პარლამენტი და იმიტომ სვამთ ასეთ ჩამჭრელ შეკითხვებს.

ზოგიერთმა „ტონა ფული“ დახარჯა, შვიდ-შვიდი სახლი თუ აგარაკი გაყიდა ან დააგირავა, რომ პარლამენტში მოხვედრილიყო და ახლა ტოვებთ ქუჩაში?! იმ ფულს ამოღება ხომ უნდა?! რა ქნან? ვიცი, მიპასუხებთ – წავიდნენ და პროფესიით იმუშაონო, – მაგრამ მუშაობა რომ ხიბლავდეთ ან პროფესიას ფლობდნენ, რა უნდათ პარლამენტში?!

P.S. მამა-შვილი ნათესავ „პარტიოსანთან“:

– შენი იმედი მაქვს, შვილი უნდა მომიწყო სადმე.

– რა განათლება აქვს?

– დაუმთავრებელი საშუალო სკოლა.

– სადმე თუ უმუშავია?

– არსად.

– პოლიციის სამმართველოს უფროსობას დიპლომი უნდა, ქარხნის დირექტორობას – სტაჟი. რა გიყო ახლა, ისევ პარლამენტში თუ მოგიწყობ ერთიოთხი წლით. ამასობაში გამოჩნდება რამე...

პროვოკატორი

„ჩხაიძეს თავისი ქონების კანონიერების დამტკიცება არ გაუჭირდება“

— როგორც პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში აცხადებენ, უახლოეს მომავალში, საოლქო სასამართლოს აკაკი ჩხაიძისთვის ქონების ჩამორთმევის მოთხოვნით მიმართავენ. ხომ არ იცით, კონკრეტულად რის ჩამორთმევაზე იქნება საუბარი?

არჩილ კგილაშვილი, აკაკი ჩხაიძის ადვოკატი:

— პროკურატურის მიერ უკანასკნელ პერიოდში განხოციელებული ქმედებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისი მხრიდან უკანონო გადაწყვეტილებების მიღება გამორიცხული არ არის. თუმცა, თებერვალში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები პროკურატურას უფლებას არ აძლევს, ზოგადად გამოხატოს ეჭვი ვინმეს ქონების კანონიერების გამო და სასამართლოში იჩივლოს: კანონში მითითებულია, რომ ის უნდა მოქმედებდეს წაყენებული ბრალის ფარგლებში. ჩხაიძეს დღეს წაყენებული აქვს ორი სახის ბრალდება: ვაგონების ჯარათად გაყიდვა და გადასახადების დაფარვა. პროკურატურას ბრალდებაში არ აქვს მითითებული, რომ გადასახადების დაფარვით დაზოგილი თანხით მან რაიმე ქონება შეიძინა. თუ საოლქო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე ვაგონების ჯარათად გაყიდვის ეპიზოდს უკავშირდება. ასეთ შემთხვევაში, პროკურატურა 2002 წლის სექტემბრის შემდეგ შეძენილ ქონებას გამოიკვლევს, უფრო ადრეულ პერიოდში ხელის ფათურის უფლება, კანონის მიხედვით, მას არ ეძლევა. არ გამოვრიცხავ, რომ ჩხაიძესთან დაკავშირებით ახალმა ბრალდებებმაც იჩინოს თავი, მაგრამ თუ ჩხაიძის ქონების წარმომავლობაზე მიდგება საქმე, მან უნდა დაასაბუთოს საკუთარ მფლობელობაში რიცხული კერძო ფირმების არსებობა. აკაკი ჩხაიძე სახელმწიფო საწარმოს ხელმძღანელი არ ყოფილა, ამიტომ საჯარო მოხელეებისგან განსხვავებით, კერძო ბიზნესის წარმოების უფლება ჰქონდა. ასეთ პირობებში მას ქონების კანონიერი წარმომავლობის დამტკიცება არ გაუჭირდება. ■

„პარლამენტში პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა“

— „მემარჯვენე ოპოზიციამ“ ვერ შეძლო უმცირესობის სტატუსის მოპოვება და ამ მიზნით, მოქმედ რეგლამენტში ცვლილებების შეტანას მოითხოვს. გაიზიარებს თუ არა თქვენს პრეტენზიას პარლამენტის უმრავლესობა?

დავით საგანელიძე, „მემარჯვენე ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი:

— ფრაქციათა შემადგენლობის რიცხობრივი მაჩვენებლებიდან გამომდინარე,

პარლამენტში შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია, რომლის მიხედვით, შესაძლებელია, ახალ საკანონმდებლო ორგანოში, როგორც უმცირესობის, ასევე უმრავლესობის სტატუსი ხელისუფლების მხარდამჭერ ფრაქციებს ჰქონდეთ. მაჟორიტარებისგან შემდგარი ფრაქცია, რომელსაც სავარაუდოდ ბესო ჯუღელი უხელმძღვანელებს, 25 წევრისაგან შედგება. მოქმედი რეგლამენტის მიხედვით, ვინაიდან რიცხობრივად ისინი უფრო მეტნი არიან, ვიდრე ჩვენი ფრაქციის წარმომადგენლები, უმცირესობის სტატუსიც მათ მიენიჭებათ. არადა, დემოკრატიულ სახელმწიფოში უმცირესობას ყოველთვის ოპოზიცია წარმოადგენს. ჩვენი მხრიდან რეგლამენტის შეცვლის მოთხოვნა არ არის თანამდებობებისთვის ბრძოლით განპირობებული, როგორც ამას ჩვენი ოპონენტები აღნიშნავენ ხოლმე. კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილეების თანამდებობაზე „მემარჯვენე ოპოზიციის“ წევრების დანიშვნას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ამ შემთხვევაში უმთავრესია, რომ ოპოზიციას ყველა დონეზე ჰქონდეს თავისი პოზიციის დაფიქსირების საშუალება, გვყავდეს საკუთარი ვიცესპიკერი, რომ ოპოზიციის უფლებები არ შეილახოს. წინა მოწვევის პარლამენტში ეს საკითხი ნამდვილად დარეგულირებული იყო. მე იმედი მაქვს, სახელისუფლებო ბლოკი მიხვდება, რომ ის პარადოქსი, რომელსაც რეგლამენტი გვთავაზობს, უნდა გამოირიცხოს. ■

„აბაშიძე ვალდებულია, დაიცვას თავისი მხარდამჭერები“

— დატოვებს თუ არა ასლან აბაშიძე თანამდებობას თუ მას, ედუარდ შევარდნაძის მსგავსად, ხელშეუხებლობის გარანტიას მისცემენ?

ვახტანგ რჩეულიშვილი, ყოფილი დეპუტატი:

— მე ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლებამ შევარდნაძისთვის მიცემული გარანტია შეასრულა. გია ჯოხთაბერიძის დაკავება მისი დიდი შეცდომა იყო. ამ ფონზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ ასლან აბაშიძეს, ხელშეუხებლობის გარანტიაც რომ მისცენ, მისი ოჯახის წევრები დაპატიმრებას ვერ გადაურჩებიან. დღის წესრიგში დადგება მისი მომხრეების პასუხისმგებლობის საკითხიც, ასლან აბაშიძე კი ვალდებულია, დაიცვას თავისი მხარდამჭერები. ჩემი აზრით, პროცესების მშვიდობიანად განვითარებისთვის ურიგო არ იქნებოდა, თუ ასლან აბაშიძე თანამდებობიდან გადადგებოდა, მაგრამ ამას გაგდების ფორმა არ უნდა ჰქონდეს. გარანტიების მიცემა პოლიტიკაში მიღებული ფორმაა, მაგრამ ისინი უნდა სრულდებოდეს. ბუნებრივია, ამგვარი შეთანხმება არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან ამა თუ იმ პირს, სისხლის სამართლებრივ დანაშაულში მისი მხილების შემთხვევაში, მაგრამ მის მიმართ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას აღარ უნდა ჰქონდეს ადგილი. ამ ეტაპზე მთავარია, დველოდოთ არჩევნების ჩატარებას. ერთი წლით მოთმენა პრეზიდენტის სისუსტედ არ ჩაითვლება, პირიქით — სააკაშვილის მხრიდან გადადგმული კომპრომისული ნაბიჯები მშვიდობის შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი გარანტია იქნება. ახლა კონფლიქტის გამწვავება ძალზე სახიფათოა. თუ ასლან აბაშიძე იძულებული გახდა, დაიცვას საკუთარი თავი და საკუთარი მომხრეები, მაშინ სისხლის ღვრა გარდაუვალი იქნება. ■

პოლიტიკური სვლები საჭიროა დაწყებულ – მითავარია, ტურნირი არ ჩაიშალოს

ხათუნა მაღრაძე

ქალთა შორის ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატამდე ერთი თვით ადრე, ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი ბათუმში ტურნირის ჩატარების საკითხი. საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია თბილისს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯსა და მოსალოდნელ ჯარიმას ახსენებს, ცენტრალური ხელისუფლება კი, პოზიციის შეცვლას არ აპირებს და რეგიონში შეიარაღებული ფორმირებების მხრიდან მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე ლაპარაკობს. ფიდემ უკვე მიიღო საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაგზავნილი რეკომენდაცია, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლება მიზანშეწონილად არ მიჩნევს მსოფლიო პირველობის ბათუმში ჩატარებას, რადგან ვერ უზრუნველყოფს მოჭადრაკეთა უსაფრთხოებას.

არსებული მონაცემებით, ბათუმში დაგეგმილ მსოფლიო ჩემპიონატში 30 ქვეყნის 64 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას.

მოასპარეზეთა შორის 11 ქართველი მოჭადრაკეა, რომელთაგან მხოლოდ 7-ა საქართველოს მოქალაქე, დანარჩენი 4 კი, სხვა ქვეყნის სახელით იასპარეზებს.

საქართველომ ჭადრაკის ჩემპიონტის ჩატარების უფლება სპეციალური ტენდერის საფუძველზე მიიღო. „ვარდების რევოლუციამდე" რამდენიმე კვირით ადრე, ედუარდ შევარდნაძემ ჭადრაკის ფედერაციას მსოფლიო ჩემპიონატის ჩასატარებლად ფინანსური მხარდაჭერა აღუთქვა. ფიდეს რეზოლუციის თანახმად, ჩემპიონატის ჩატარების ვადებიც განისაზღვრა. მაგრამ მოგვიანებით, უკვე ახალმა ხელისუფლებამ საერთაშორისო ფედერაციას განუცხადა, რომ ჩემპიონატის ჩასატარებლად საჭირო თანხა არ არსებობდა. ფიდეს ვიცე-პრეზიდენტის **ზურაბ აზმაიპარაშვილის** *თქმით, ჩემპიონატის ჩატარების საკითხი ეჭვქვეშ სწორედ ამ განცხადების შემდეგ დადგა.*

– ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი ბათუმში 15 აპრილს ჩავიდა. ასლან აბაშიძემ მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე თანხმობა განაცხადა და ტურნირის ჩასატარებლად 500 ათასი ამერიკული დოლარიც გაიღო. ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ბათუმში ჩატარებას ფიდეს პრეზიდენტმა და აბაშიძემ სწორედ ამ დღეს მოაწერეს ხელი. ამ საკითხთან დაკავშირებით საკაშვილი ორი კვირით ადრე იყო ინფორმირებული, თუმცა აჭარაში ჩემპიონატის ჩატარება მაშინ არავის გაუპროტესტებია.

— თქვენი აზრით, რამ განაპირობა შემდგომში, ცენტრალური ხელისუფლების ასეთი მკაცრი ტონი?

– გამორიცხული არ არის, ხელისუფლებას წმინდა სპორტული ღონისძიება პოლიტიკურ სიბრტყეზე გადაჰქონდეს და აჭარის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის გარკვევას ამ გზით ცდილობდეს. არადა, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიო ჩემპიონატს უნდა უმასპინძლოს. ტურნირის ჩაშლა ქვეყნის იმიჯზე მომაკვდინებლად იმოქმედებს.

— გამორიცხული არ არის, ჩემპიონატი საქართველოს რომელიმე სხვა ქალაქში გაიმართოს...

– თუ ასლან აბაშიძემ მოითხოვა ტურნირის აუცილებლად ბათუმში ჩატარება, ამ შემთხვევაში ფიდე იძულებული იქნება, დათანხმოს მის გადაწყვეტილებას. არსებობს შეთანხმებაზე ხელმოწერილი დოკუმენტი და აბაშიძეს დადებული პირობების დაცვის მოთხოვნის სრული უფლება აქვს. ასეთ შემთხვევაში, პრობლემა პრობლემად დარჩება და შესაძლებელია, ფიდემ ტურნირი საერთოდ ჩაშალოს.

— თქვენთვის თუ აქვს რაიმე მნიშვნელობა ტურნირის ჩატარების ადგილს?

– აჭარას ამ თვალსაზრისით დიდი გამოცდილება აქვს და კარგი იქნებოდა, თუ ჩემპიონატს ბათუმი უმასპინძლებდა. მაგრამ ამ ეტაპზე მთავარია, ჩემპიონატი არ ჩაიშალოს.

— როცა ქვეყნის ხელისუფლება უსაფრთხოების გარანტიებს ვერ იძლევა, ხომ არ არსებობს იმის საშიშროება, რომ მოჭადრაკეები ტურნირში მონაწილეობაზე უარს იტყვიან?

– 64 მოთამაშიდან, მინიმუმ 60 მოჭადრაკე მაინც ჩამოვა. თუ იქნება კირსან ილუმჟინოვის თანხმობა, ტურნირის მონაწილეები პანკისში წასვლაზეც არ იტყვიან უარს... მე მაინც მგონია, რომ ფიდე ცენტრალური ხელისუფლების რეკომენდაციებს არ გაითვალისწინებს და ჩემპიონატი დათქმულ დროსა და ადგილზე გაიმართება.

— ასეთ შემთხვევაში, შესაძლო ექსცესებზე პასუხისმგებლობა ვის დაეკისრება?

– დარწმუნებული ვარ, რომ უსაფრთხოების ზომები მაქსიმალურად დაცული იქნება, მით უმეტეს, რომ ამის გარანტიას რეგიონის ხელისუფლება საკუთარ თავზე იღებს.

ფიდეს ვიცე-პრეზიდენტის პათოსს სავსებით იზიარებს გამოჩენილი მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი, იგი გამოთქვამს სურვილს, რომ ჭადრაკის ფედერაციამ ცენტრსა და რეგიონს შორის სიტუაციის დარეგულირებაში მედიატორის როლი შეასრულოს. თუმცა, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ამის აუცილებლობას ვერ ხედავს და მოჭადრაკეებს ჰპირდება, რომ ხელისუფლება შეეცდება, მოიძიოს თანხები, რათა ჩემპიონატი უსაფრთხოების მხრივ დაცულ ქალაქში ჩატარდეს. კვლავ უცვლელია კულტურისა და სპორტის მინისტრის პოზიცია: მისი განცხადებით, იგი ვერ დათანხმდება უმაღლესი საერთაშორისო ტურნირის ჩატარებაზე იმ პირობებში, როცა აჭარაში მრავლადაა შეიარაღებული პირი, რომელიც არ ემორჩილება საქართველოს პრეზიდენტს. მის ეჭვებს ჭადრაკის ფედერაციაში ერთადერთი – **ნანა ალექსანდრია** *იზიარებს. ის ბათუმში ტურნირის ჩატარების წინააღმდეგია.*

– სამწუხაროდ, აჭარაში შექმნილია სწორედ ის რეალობა, რომელიც ცენტრალურმა ხელისუფლებამ თავის რეკომენდაციაში დაფიქსირა. სრული უკონტროლობა, რომელიც ამ რეგიონში სუფევს, ჩემი აზრით, ტურნირის მონაწილეთა უსაფრთხოებას, ეჭვქვეშ აყენებს. აჭარის ხელისუფლების მხრიდან ჩაკეტილი საზღვრისა და სრული დაუმორჩილებლობის პირობებში, მოსალოდნელ გართულებებზე ცენტრი ვერ აიღებს პასუხიმგებლობას, ამიტომ

მიმაჩნია, რომ მსოფლიო ჩემპიონატი ბათუმში არ უნდა ჩატარდეს.

— მაგრამ აჭარის ავტონომიის ლიდერი თავად იძლევა უსაფრთხოების გარანტიებს.

— პასუხისმგებლობა ოფიციალურად ქვეყანას ეკისრება და არა რეგიონის ლიდერს.

— ტურნირის ჩაშლის შემთხვევაში, საქართველოს სერიოზული სანქციები დაეკისრება. ვინ უნდა გადაიხადოს ეს თანხა?

— ჯერ კიდევ არსებობს იმის შანსი, რომ ტურნირის ჩაშლა ავიცილოთ თავიდან. პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის დროს გამოითქვა სურვილი, რომ ხელისუფლება ეცდება, მოიძიოს საჭირო თანხა, რათა ჩემპიონატი რომელიმე სხვა ქალაქში ჩატარდეს. ცენტრს დახლოებით 600.000-ს დოლარზე მეტი თანხის მობილიზება დასჭირდება ამისათვის. მოხერხდება თუ არა ჩემპიონატის თბილისში ჩატარება, ამას უახლოეს პერიოდში შევიტყობთ. დღეს სიტუაციას ართულებს ის, რომ ჩემპიონატის ჩატარებასთან დაკავშირებით უკვე ხელმოწერილია დოკუმენტი, რაც ქართულ მხარეს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს.

— როგორ ფიქრობთ — გაითვალისწინებს თუ არა ფიდე, საქართველოს ხელისუფლების რეკომენდაციას?

— ეს მხოლოდ მის სურვილზეა დამოკიდებული. საერთაშორისო ფედერაციას შეუძლია, ყური არ დაუგდოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიცემულ რეკომენდაციას და მაინც გადაწყვიტოს ჩემპიონატის ბათუმში ჩატარება. ასეთ შემთხვევაში, ის თავად იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერ შედეგზე, თუმცა, ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ურიგო არ იქნება, თუკი სპეციალური კომისია უფრო დეტალურად შეისწავლის აჭარის პრობლემას, ინფორმაციას მიაწვდის ფიდეს ხელმძღვანელობას და გადაწყვეტილებასაც ამის შემდეგ მიიღებენ.

ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატის ჩაშლის პრეცედენტი ჯერ არ დაფიქსირებულა. შესაძლოა, საქართველო ამ კუთხით გამონაკლისი გახდეს. ტურნირის ჩაშლის შემთხვევაში, ფიდე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას დაჯარიმებს, ჩვენს ქვეყანაში მსოფლიო მასშტაბის ტურნირების ჩატარება კი, შესაძლოა, მრავალი წლით კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. ■

„მერის თანამდებობა არჩევითი უნდა იყოს“

— მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი მერის არჩევითობას ეთანხმებოდა, ამ თანამდებობაზე თქვენი მოსვლა მაინც დანიშვნის წესით განხორციელდა. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ თბილისელები ქალაქის ხელმძღვანელს, საკუთარი სურვილის შესაბამისად, მომავალშიც ვერ აირჩევენ?

ზურაბ ჟიაბერაშვილი, თბილისის მერი:

— პრეზიდენტი მერის არჩევითობის საკითხს მხარს უჭერდა და ეს ინიციატივა დღის წესრიგიდან ნამდვილად არ მოხსნილა. პარლამენტს მოუწევს მუშაობა და გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განხორციელდება თვითმმართველობის საკითხი მთელ ქვეყანაში. ჩემი აზრით, მერის თანამდებობა არჩევითი უნდა იყოს, მოსახლეობამ თავად უნდა დაასახელოს სასურველი კანდიდატი, მაგრამ ამისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნაა საჭირო. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2006 წლისთვის არის დანიშნული; შესაძლებელია, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, 2005 წლის შემოდგომაზეც ჩატარდეს. მანამდე, საკანონმდებლო ორგანოში გაიმართება დებატები, შეირჩევა ისეთი მექანიზმი, რომელიც მოსახლეობისთვისაც იქნება მისაღები. თვითმმართველობის არჩევნებამდე კი საჭიროა, გადაწყდეს ის პრობლემები, რომლებიც მერიის სამსახურს ეკისრება. მე მაქვს მიღებული კონკრეტული დავალებები ქალაქის კეთილმოწყობისა და სოციალურ სფეროში შექმნილი პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით. უკანონო მშენებლობების აღკვეთა, გზების დაგება, შუქნიშნების პრობლემის გადაწყვეტა, ღამის განათება და უამრავი სხვა საკითხი, რომელიც აქამდე, მხოლოდ ქაღალდზე სრულდებოდა, მისთვის გამოყოფილი მილიონები კი, კორუმპირებულთა ჯიბეებში მიდიოდა. პირველ რიგში, განხორციელდება სტრუქტურული ცვლილება, მოხდება კადრების გაწმენდა კორუფციულ გარიგებებში ეჭვმიტანილი პირებისაგან და შეიქმნება პატარა, მაგრამ ეფექტურად მომუშავე ორგანო. იმედი გვაქვს, მკაცრად განსაზღვრულ 6-თვიან ვადაში საზოგადოებას ჩვენი მუშაობის შედეგებს დავანახვებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მერის სახელით საუბრის უფლება აღარ მექნება. ■

„სამშობლოს მოღალატეები აუცილებლად დაისჯებიან“

— მიუხედავად იმისა, რომ 25-ე ბრიგადის ყოფილი მეთაური, გენერალი რომან დუმბაძე ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადეს, უშიშროება მის გადმობირებაზე ხომ არ განაგრძობს მუშაობას და რა ბედი ელის იმ ბრიგადის სხვა ოფიცრებს?

გიგი უგულავა, უშიშროების მინისტრის მოადგილე:

— უშიშროების სამინისტროს პირდაპირი მოვალეობაა, ყველა ასეთი ლოკალური საფრთხის გამოვლინებაზე დროული რეაგირება მოახდინოს და მისი აღკვეთის მიზნით კონკრეტული ქმედებები განახორციელოს. როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა, ასევე უშიშროების სამინისტრომ ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ რომან დუმბაძეს ხელი აეღო თავის განზრახვაზე. მას აძლევდნენ ხელშეუხებლობის გარანტიას. მაგრამ 25-ე ბრიგადის ყოფილმა მეთაურმა არჩია, დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინა უმაღლესი მთავარსარდლისთვის და გვერდში დასდგომოდა ასლან აბაშიძის უსახურ რეჟიმს. მან არჩევანი თავად გააკეთა, რის გამოც, ქვეყნის მოღალატედ გამოცხადდა. რაც შეეხება ბრიგადის სხვა წევრებს — ისინი ეტაპობრივად ტოვებენ აჭარას და თბილისისკენ მოემართებიან. მათ მაგალითს მიჰბაძავს ყველა, ვინც ქვეყნის ერთიანობას უჭერს მხარს. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია თითოეული ოფიცრის გადაწყვეტილება. პროკურატურაში უკვე აღიძრა საქმე გენერალ რომან დუმბაძის მიმართ, გამოიცხული არ არის, მის დასაპატიმრებლად ჩატარდეს სპეცოპერაცია ან რაიმე სხვა ღონისძიება. ამ გეგმას სათანადო სტრუქტურები შეიმუშავებენ და სამშობლოს მოღალატეები აუცილებლად დაისჯებიან. ■



„რა ასაკის დეპუტატები ანევენ ხელს, მნიშვნელობა არა აქვს...“

ახალი რეგლამენტის თანახმად, პარლამენტს მხოლოდ ოთხი ვიცე-სპიკერი ეყოლება: 2 — ავტონომიებს, 1 — უმცირესობას და 1 — უმრავლესობას. ასე რომ, „მემარჯვენე ოპოზიციას“ შეიძლება, ვიცე-სპიკერის პოსტიც ერგოს.

როგორი იქნება ახალი პარლამენტი? იქცევიან თუ არა ცნობილ სახეებად საზოგადოებისთვის დღეს უცნობი ახალგაზრდა დეპუტატები? შესაძლებელია თუ არა, რომ „ახალგაზრდული“ საკანონმდებლო ორგანო, არ იქცეს კარტ-ბლანშის მქონე პრეზიდენტის მარიონეტად? ამ კითხვებზე პოლიტოლოგებს, პოლიტიკოსებსა და პარლამენტს მიღმა დარჩენილ ოპოზიციას რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.

ᲚᲔᲚᲐ ᲭᲐᲜᲙᲝᲢᲐᲫᲔ

რამაზ საყვარელიძე, *პოლიტოლოგი:*

— უმჯობესი იქნებოდა, რომ საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით არ ჩატარებულიყო. მიხეილ საკაშვილის მიმართ და არა თავად მათ მიმართ გამოხატული ნდობის წყალობით მოხვდნენ ადამიანები პარლამენტში. ეს პროპორციული საარჩევნო სისტემის უარყოფითი მხარეა. ასე მოხდა ზვიად გამსახურდიას დროსაც და შემდეგაც, როცა ხელისუფლებაში ედუარდ შევარდნაძე და მისი გუნდი მოვიდა. იგივე მეორდება ახლაც. პარლამენტი დაკომპლექტდა ისეთი სახეებით, რომლებიც ამომრჩევლისთვის თავისთავად, არაფერს ნიშნავს. ასეთი დეპუტატები კი, ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთ ფუნქციას ასრულებენ — კენჭისყრის დროს ხელს წევენ... რა ასაკის დეპუტატები აწევენ ხელს, ამას ალბათ, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს...

— **რით იქნება ახალი პარლამენტი წინამორბედისაგან გამორჩეული?**

— ახალი პარლამენტი გაიზიარებს წინამორბედი პარლამენტის ბედს. სადაც დიდი ძალაა, იქ უფრო რთულია ერთიანობის შენარჩუნება. გარდა „მემარჯვენე ოპოზიციისა“, უნდა ველოდოთ, რომ სახელისუფლებო პარტიის შიგნითვე შეიქმნება შიდაფრაქციული სტრუქტურები. წარმოუდგენელია, ისეთმა დიდმა პოლიტიკურმა ერთეულმა, როგორიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ბურჯანაძე-დემოკრატებმა“ შექმნეს, ერთიანობა შინარჩუნოს. ის აუცილებლად დანაწევრდება.

ელიზბარ ჯაველიძე, *„დემოკრატიული აღორძინების კავშირი“:*

— „აღორძინებამ“ უარი თქვა პარლამენტში თავისი მაჟორიტარების შეყვანაზე. ამაში გასაკვირი არაფერია: მიხეილ საკაშვილმა და მისმა გარემოცვამ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, პარლამენტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობა რომ არ მოხვედრილიყო. მათ ხელს აძლევს, რომ აჭარა წარმოდგენილი იყოს ხაბაზებითა და ბერძენიშვილებით, აჭარის მოსახლეობა კი, ამ ხალხს არ ცნობს და ავტორიტეტულ პიროვნებებად არ მიიჩნევს. სხვა საქმე იქნებოდა, აჭარას ფრაქციის შექმნისთვის საკმარისი რაოდენობა რომ ჰყოლოდა. მაგრამ ოთხი კაცი პარლამენტში, გინდ გყოლია და გინდ — არა. თანაც, 2004 წლის პარლამენტის კანონიერად ცნობა შეუძლებელია. 28 მარტის არჩევნებიც არალეგიტიმურმა პარლამენტმა დანიშნა. ამას თან დაერთო ამ არჩევნების გაყალბებაც. ყველას დაავიწყდა, რომ საქართველოში მოქმედება არ შეუწყვეტია 1990 წელს კანონიერად არჩეულ უზენაეს საბჭოს.

ზურაბ ტყემალაძე, *„ახალი მემარჯვენეები“:*

— ხმები იმის შესახებ, თითქოს ერთ-ერთი ვიცე-სპიკერი გავხდები, რადგან უკვე საპარლამენტო ცხოვრების გამოცდილება მაქვს, უსაფუძვლოა. არც გოგი თოფაძე აპირებს პარლამენტის დატოვებას, ამ ეტაპზე, მსგავსი გადაწყვეტილება მას არ მიუღია.

— **თუ გიფიქრიათ, როგორ ითანამშრომლებთ პარლამენტთან, რომელიც ძირითადად, ახალგაზრდა დეპუტატებითა და შესაბამისად, ახალბედა პოლიტიკოსებით იქნება დაკომპლექტებული?**

— არ შეიძლება, ამდენი პროფესიონალის ქუჩაში გაშვება. კარგად ვიცი პროფესიონალი და კვალიფიციური ხალხის ფასი. თავის დროზე, როცა ქვეყანაში ეკონომიკა მთლიანად მოიშალა, მეც იძულებული ვიყავი, გამეშვა პროფესიონალები სამსახურიდან. ახლა კი მათ ვეღარ ვიბრუნებ: სხვა საქმეს მოჰკიდეს ხელი. რას ჰქვია, 40 წელს ზემოთ ვინც არის, არ გვჭირდებაო?! მარტო ის ხომ არაა საქმე, უცხოეთში გქონდეს განათლება მიღებული?! ისეთი ხალხი ჩამოსცილდა საქმეს, თვალდახუჭულს რომ შეეძლო მუშაობა. რაც შეეხება ახალგაზრდულ პარლამენტს — მიმაჩნია, რომ ყველასთან ვითანამშრომლებთ, ვინც თავის მხრივ, ჩვენთან თანამშრომლობისთვის იქნება მზად.

გუგაზ სანიკიძე, *„ედპ-ტრადიციონალისტები“:*

— ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა პარლამენტს მიღმა დარჩა და ჩვენ მივიღეთ ერთპარტიული პარლამენტი. ოპოზიციას არასაპარლამენტო ტრიბუნიდან მოუწევს ხელისუფლებასთან ბრძოლა. რაც შეეხება „მემარჯვენეებსა“ და „მრეწველებს“ — სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ მათი პარლამენტში მოხვედრა ხელისუფლებასთან გარიგების შედეგია. თანაც, „მემარჯვენე ოპოზიცია“ არის ბიზნესჯგუფი და არა პოლიტიკოსების გუნდი. ბიზნესს კი, პოლიტიკისგან განსხვავებული კანონები აქვს...

შალვა ნათელაშვილი, *ლეიბორისტული (შრომის) პარტია:*

— სააკაშვილმა ჩვენი პარტია უკვე მესამედ არ შეუშვა პარლამენტში, თითქოს პარლამენტი მისი მამის ბალნეოლოგიური ცენტრი იყოს. სააკაშვილის ხელისუფლებამ ურცხვად გააყალბა საპარლამენტო არჩევნების შედეგები. ამით მათ თითოეულ ადამიანს ჩაფურთხეს სულში. საპროტესტო აქციებს, გაყალბებული პარლამენტის პირველივე სესიის დაწყების დღეს დავიწყებთ. 28 მარტის არჩევნებმა დაგვანახვა, რომ ესენიც სასწრაფოდ მოსაცილებელი არიან.

ირაკლი გათიაშვილი:

— ახალი პარლამენტი შემაშფოთებელია თავისი შემადგენლობით. „მოქალაქეთა კავშირიც“ ერთმმართველი იყო, მაგრამ ასეთი ერთმნიშვნელოვანი უპირატესობა და ერთმმართველობა არც ერთ პარლამენტს არ ახსოვს. პარლამენტი შექმნილია, როგორც მარიონეტული დეპარტამენტი, რომელიც მოწოდებულია იმისკენ, რომ აღასრულოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებები. „მრეწველები“ და „ახლები“ შეიყვანეს პარლამენტში, მაგრამ ისინი პრობლემას არ შეუქმნიან მმართველ პარტიას. ფაქტობრივად, აბსოლუტური მონოპოლისტური კავშირის ქვეშ ექცევა ზემოთ ხსენებული პარტია. ეჭვი მეპარება, ახალი პარლამენტის უფლებამოსილება ცნოს ასლან აბაშიძემ. მე არ მადარდებს, ვინ ვის დაჭამს ახალ პარლამენტში, მე მაღელვებს ქვეყნის ერთიანობა. ფაქტობრივად, სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე ვდგავართ. ღმერთმა ქნას, პრობლემა დიალოგის გზით გადაწყდეს. ■

ბოლოვანი მამაკაცები

კერპებზე, დონჟუანებზე, გულთამპყრობელ მამაკაცებზე საუბრისას, უმალ ალენ დელონი, გრეგორი პეკი თუ ანტონიო ბანდერასი გვახსენდება, მაგრამ ასეთი მამაკაცი ხომ ქართველებსაც მრავლად გვყოლია!.. ვინ არიან ისინი, ბევრი ქალისთვის უძილო ღამედ, შეუშრობელ ცრემლად და აუხდენელ ოცნებად რომ ქცეულან? რა ძალას ფლობენ, რა გზებს მიმართავენ სასურველი ქალის გულის მოსანადირებლად?.. როცა გულთამპყრობელ მამაკაცთა მოძიება დავიწყე, მითხრეს — ქართველთა შორის უპირველესი, ბატონი კოტე მახარაძე იყოო. ერთ-ერთ წვეულებაზე კოტე დაგვიანებით მისულა. სუფრასთან მსხდომ მამაკაცთაგან ერთ-ერთს ჩაულაპარაკია: ბიჭებო, დამალეთ ცოლები — კოტე მოვიდაო. ბატონ კოტეს ძალიან სწყენია. მისი მეგობრები კი ამ ფრაზას საწყენად სულაც არ მიიჩნევენ...

ლელა ჭანკოტაძე
მარი ხაფარიძე

მარლენ ეგუტია, *მსახიობი:*

— კოტეს ჰქონდა უნარი, ქალები სიტყვის უთქმელადაც მოეხიბლა. ის „ატაკაზე“ არასდროს მიდიოდა, პირიქით — ქალები „უტევდნენ“. ერთადერთი, ვისთვისაც ცდილობდა, თავი შეეყვარებინა, სოფიკო იყო.

მზია ძადაგიძე, *მსახიობი:*

— რვა თვის განმავლობაში ცხოვრობდა კოტე ჩვენს ოჯახში. ამ ხნის მანძილზე, არ გვიძინია, რადგან თითოეული დღე ნამდვილი ზეიმი იყო. არ შეიძლებოდა, კოტე არ გყვარებოდა, არ მოგწონებოდა; თავისი განათლებითა და ინტელექტით დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენდა. ვუთხარი კიდეც — „უგზოუკვლოდ“ განათლებული ხარ-მეთქი... ქალებთან ურთიერთობისას აქტიური არ ყოფილა, ინიციატივას არასდროს გამოიჩენდა, პირიქით — ყოველთვის ქალები იჩენდნენ ინიციატივას მის მიმართ. მასზე შეყვარებული უამრავი ქალი მინახავს. ზოგი ექიმი იყო, ზოგი მსახიობი. უკვე ასაკში შესული, 25-27 წლის გოგონებსაც კი უყვარდათ. ბევრი ქალი მინახავს, მარჯანიშვილის თეატრის წინ რომ ათენებდა კოტეს დანახვის მოლოდინში. როცა სადმე წვეულებაზე ვიყავით, იქ მყოფი ყველა ქალის გული და თვალი კოტესკენ იყო მიპყრობილი. ხნოვან ქალსაც კი გრძნობებს აუშლიდა. თითქოს უჩვეულო ძალას ფლობდა, ადამიანთა გულების დაპყრობის იშვიათი ნიჭით იყო დაჯილდოებული. შეეძლო, ქალისთვის საოცარი სიურპრიზი მოეწყო. არ ვიცი, როგორ, რანაირად, მაგრამ დილით, საყვარელ ქალს აივანზე ლანგრით იმას დაუდებდა, რაც მას უყვარდა. შეეძლო, მოსკოვში გადაფრენილიყო, ქალისთვის აივანზე ყვავილები დაეწყო და უკან დაბრუნებულიყო.

მარლენ ეგუტია:

— ერთხელ, ცხონებულმა პიერ კობახიძემ დაგვარიგა: ლამაზ ქალს რომ დანახავ, „დააგდე“ ერთი სიტყვა — ლამაზი ხარო! — წადი მერე, გაიარე, რა იცი, ეს სიტყვა სად გამოგადგებაო?! ასე იქცეოდა კოტეც.

ქალებს ანდამატივით იზიდავდა. თითქოს მისგან შინაგანი ხმა გამოდიოდა — მოდი ჩემთანო!
(ცნობილ რუს მსახიობ კირილ ლავროვთან ერთად)

ვაჟა გავაშელი, *ჟურნალისტი:*

— 70 წლის ქალი ერთ-ერთი საზეიმო შეხვედრის დროს ადგა და გამოაცხადა: კოტეს საცოლე ვიყავი, დღემდე უბედური ვარ, ეს გოგო მისი შვილი რომ არ არისო, — თქვა და გვერდით მდგარ ულამაზეს გოგონაზე მიუთითა. 70 წლის ასაკშიც ქალი ისევ კოტეზე იყო შეყვარებული. უამრავი ასეთი ქალი მინახავს. ქალის გულის მონადირების უბადლო ნიჭს ფლობდა. მოსკოვში კოტეს მეგობარი, ნოდარი შეხვდა, რომელსაც გვერდში საოცრად ლამაზი რუსი გოგო, ვერა მოჰყვებოდა. მეგობარმა კოტეს შესჩივლა: ძალიან ლამაზი კია, მაგრამ სამი დღეა ვუტრიალებ, თავს ვევლები, ჯერ სახლამდეც არ გამაცილებინა თავიო. — ადექი და პირდაპირ ცოლად შეირთეო! — შესთავაზა კოტემ. — ქალწული რომ არ იყოსო? — შეწუხდა მეგობარი. — მაშინ ადექი და წინასწარ „გასინჯეო“. — უარზეაო, — დაირცხვინა უზომოდ შეყვარებულმა ნოდარმა. — მაშინ მე დაგეხმარებიო, — და ვერას, კლაუდია კარდინალეს კონცერტის ორი ბილეთი აჩუქა. ის გოგო სიხარულით აყვირდა. კოტემ სთხოვა: ხვალ თბილისიდან უნდა წავიყვანო თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრის ტელერეპორტაჟი და გთხოვთ, უყურეთო. ვერას შეეტყო, რომ ფეხბურთის ყურების სურვილი არ ჰქონდა და კოტემ დაამატა: როცა ვიტყვი — თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთი დარჩა-მეთქი, მაშინ სიურპრიზს დაელოდეთ, რაღაცას გამოვაცხადებო... ვერა იძულებული გახდა, ნოდართან ერთად ფეხბურთის მატჩისთვის ეყურებინა. როცა მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთი რჩებოდა, კოტემ დაიწყო საუბარი: грузинские футболисты потеряли веру... შემდეგ დაამატა: этой верой, эта вера... და ა.შ. — ხუთი წუთის განმავლობაში ატრიალა სიტყვა „ვერა“, ის გოგო კი მოსკოვში მიხვდა, რომ კომენტატორი მის სახელს იმეორებდა. დილის ხუთ საათზე, კოტეს ტელეფონი აწკრიალდა. მოსკოვიდან ნოდარმა დარეკა და მთელი ხმით იყვირა: „თანახმაა!“ ამის შემდეგ, ნოდარი და ვერა დაქორწინდნენ. აი ასე, კოტე ქალების მოხიბვლაში მეგობრებსაც ეხმარებოდა...

მზია ძადაგიძე:

— შეიძლებოდა, ქალისთვის ყურადღება არ მიექცია, არც შეეხედა, მაგრამ მაინც მოენადირებინა მისი გული. ქალებს ანდამატივით იზიდავდა. თითქოს მისგან შინაგანი ხმა გამოდიოდა — მოდი

ის „ატაკაზე“ არასდროს მიდიოდა, პირიქით – ქალები „უტევდნენ“. ერთადერთი, ვისთვისაც ცდილობდა, თავი შეეყვარებინა, სოფიკო იყო

ჩემთანო! – და ამ იდუმალ „ხმას“ ყველა ემორჩილებოდა. თეატრში რომ მოდიოდა, ყველა ყიჟინითა და შეძახილებით ეგებებოდა... მაგრამ არ შემხვედრია მისგან მოტყუებული არც ერთი ქალი. არავის ჰპირდებოდა, ცოლად შეგირთავო. ვისაც დაჰპირდა, შეირთო კიდეც. არავისთვის უღალატია. თუ ქალი თვითონ არ უღალატებდა, არ მიატოვებდა. თანაც, ახერხებდა იმას, რომ ყველა ქალისთვის, რომელთანაც სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონია, შემდგომშიც მეგობრად დარჩენილიყო. ის არ იყო მექალთანე კაცი. ის არ ცდილობდა ქალთა გულების დაპყრობას, მხოლოდ ტკბილი ხმით ყურში მსუბუქ კომპლიმენტს თუ ეტყოდა და ქალი მაშინვე ემორჩილებოდა... როცა საუბრობდა, ყველა თვალებში შესცქიროდნენ. სულგანაბულები უსმენდნენ, კიდევ რას იტყოდა. მე ვნახე, ასეთმა კაცმა როგორი ძალით შეიყვარა სოფიკო. ცხადია, საპასუხო გრძნობაც მიიღო. მახსოვს, ბედობის დღეს, დილის ხუთ საათზე სოფიკო ჩემს სახლში როგორ შემოვიდა. ის და კოტე ერთმანეთს ჩაეხვივნენ. სოფიკოს „შუბა“ ეცვა. იატაკზე გაგორდნენ. გაოცებულები ვუყურებდით: არც კინოსა და არც თეატრში მსგავსი სცენა არ გვენახა... ამ ორ ადამიანს ერთმანეთი სხვანაირად, სულ სხვა ძალითა და სიღრმით უყვარდა.

ვაჟა გავაშელი:

– ქალს გამოაცილებდა მოსკოვიდან, მატარებელი ჩამოვიდოდა გაგრაში და კოტე მას ბაქანზე ყვავილებით ხელში დახვდებოდა. ასეთი ბევრი სიურპრიზი მოუწყვია ქალებისთვის. ქალს მართლაც, აგრძნობინებდა იმას, რომ ის ქალია. ორიოდე წლის წინ, ბიბლიოთეკარებმა შეხვედრა მოუწყვეს, სადაც დაუსვეს კითხვა: რას ნიშნავს თქვენთვის ქალიო? კოტემ უპასუხა: ჩემთვის ჯერ ქალი არსებობს და მერე მეო. ამ დევიზით ცხოვრობდა კოტე...

— შეყვარებული კოტე თუ გინახავთ?

მარლენ ეგუტია:

– მე არ მახსენდება, სოფიკოს გარდა არავინ, ვისზეც კოტე იყო შეყვარებული. ერთხელ ზაფხულში, სოფიკო გაგრაში ისვენებდა. კოტემ დაურეკა: მენატრები, როგორა ხარო? – დაკიდა ყურმილი და დაადგა გაგრის გზას. ექვსი საათის შემდეგ დაურეკა: მენატრები, გამოდი, ლიმავასთან ჩანჩქერი რომ არის, იქ გელოდებიო. აი, ასეთი იყო კოტე. სოფიკოც იმავეთი პასუხობდა. ერთხელ, ჩემს ოჯახში ვქეიფობდით. სოფიკო მოსკოვში უნდა გაფრენილიყო. წავიყვანეთ აეროპორტში, ჩავსვით თვითმფრინავში და დავბრუნდით უკან. რეკავს ტელეფონი. სოფიკომ შეგვატყობინა: თვითმფრინავი არ მიიღო მოსკოვმა და სოჭში ვართ, როდის გავფრინდებით, არ ვიცითო. გავიდა სამი საათი. კარზე ვიღაცამ დაკაკუნა. გავაღეთ კარი და სოფიკო არ შეგვრჩა ხელში?!. მოსკოვში გაფრენის მაგივრად, ისევ თბილისში ჩამოფრინდა, ნახა კოტე და მერე წავიდა.

— როგორ ახერხებდა კოტე მახარაძე იმას, რომ საყოველთაო სიყვარულის ობიექტი ყოფილიყო? თქვენი აზრით, მისი რომელი თვისებები ხიბლავდა ქალებს?

– ალბათ, განათლება და ინტელექტი. მახსოვს, თბილისის „დინამოს“ არგენტინაში ჰქონდა მატჩი. კოტეც ფეხბურთელებთან ერთად იყო წასული. რომ დაბრუნდნენ, ერთ დღეს, თეატრში ვნახეთ განცხადება: „სამ საათზე გაიმართება შეხვედრა კოტე მახარაძესთან, რომელიც გვიამბობს არგენტინაში გამართული საფეხბურთო მატჩის შესახებ“. იაშა ტრიპოლსკიმ უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა: რა უნდა გვითხრას კოტემ ისეთი, რაც ტელევიზიით არ ვნახეთო?.. დაიწყო შეხვედრა. კოტემ ისაუბრა არგენტინის ისტორიაზე, იქაურ ხალხზე, მის კულტურაზე... ერთი სიტყვაც არ გაუმეორებია იქიდან, რაც ტელევიზიით ჰქონდა ნათქვამი. მამაკაცებიც კი მოვიხიბლეთ მისი ნიჭიერებითა და მჭევრმეტყველებით. ცხადია, ქალები მით უმეტეს არ დარჩებოდნენ გულგრილი...

ვაჟა გავაშელი:

– კოტე უკვე შეუძლოდ იყო, მაგრამ სოფიკოსთან ერთად ზღვაზე დასასვენებლად მაინც წავიდა. სოფიკომ პარაპლანით გაფრენა მოინდომა. კოტე იდგა და აღტაცებული შეჰყურებდა. დასნეულებულიც კი შეყვარებული იყო და ქალით აღტაცება შეეძლო. ვკითხე – რა შეგრძნება გაქვთ-მეთქი? მიპასუხა – ჩემი თავი შემძულდა: მე, ბებერი, მიწაზე ვდგავარ, ჭიაურელის ქალი კი ცაში დაფრინავსო. გული დასწყდა, საყვარელ ქალთან ერთად ცაში რომ ვერ გაინავარდა... მასზე ლამაზი მამაკაცებიც ახსოვს თბილისს, მაგრამ კოტე უპირველესი იყო მამაკაცთა შორის. ამას პირველ რიგში, ქალები გრძნობდნენ და აღიარებდნენ.

ბევრი ცნობილი ქართველი მამაკაცი ქცეულა ქალების კერპად. ბევრ მათგანზე ოცნებაში გაუთენებიათ ქალებს ღამე. ასეთ მამაკაცთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს

...თურმე წნევა დაუვარდა. როგორც მოგვიანებით, თვითონ ამიხსნა, ეს ზვიადის ხელის ერთმა შეხებამ გამოიწვია...

პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას. მის გარემოცვაში მასზე უგონოდ შეყვარებული უამრავი ქალი ტრიალებდა. ქალბატონი ***მაია გაგნიძე*** *ღიმილითა და უდიდესი სიამოვნებით იხსენებს ერთ შემთხვევას:*

– ჩემი თაობის ბევრი გოგო ჭკუას კარგავდა ზვიადის გამო. მის შესახებ ამბებს ჭორად ვიგებდით ხოლმე. ყო-

მახსოვს, ფილმი – „როცა აყვავდა ნუში“ რომ გამოვიდა, იმ დღიდან, ზურას სახლთან იმდენი გოგო იყრიდა თავს, მიტინგი გეგონებოდათ...

ველთვის ტაბუდადებული იყო ყველაფერი, რაც მას ეხებოდა. კა-გე-ბე სდევნიდა, ხან ძებნაში იყო, ხანაც მოულოდნელად ქუჩაში გამოჩნდებოდა... მქონდა პატივი, ახლოს გამეცნო. ცხადია, მისი პიროვნებით მაშინვე მოვიხიბლე. სხვანაირად არც შეიძლებოდა: განათლებული, სიმპათიური, მჭევრმეტყველი და ყველასგან გამორჩეული ახალგაზრდა კაცი, რაღაც იდუმალ ძალას ფლობდა. ეს ძალა მის მიმართ სიყვარულით, პატივისცემითა და მოწიწებით განაწყობდა ნებისმიერს, ვინც ერთხელ მაინც გასაუბრებია. ჩემს მეგობრებშიც იყვნენ ისეთი გოგონები, ზვიადს, როგორც კერპსა და ოცნების მამაკაცს, ისე რომ უყურებდნენ, მაგრამ ერთი მეგობარი, ია მისით განსაკუთრებით იყო მოხიბლული, უფრო სწორად – მასზე უზომოდ შეყვარებული. ზვიადზე ოცნებაში ღამეებს ათენებდა. არ იცნობდა, მაგრამ შორიდან ეთაყვანებოდა. ერთხელ, ღამით, რუსთაველზე ფეხით მოვდიოდით. მოულოდნელად, ოპერის წინ ზვიადი და მისი მეგობრები გამოჩნდნენ. წუთით შევჩერდით, ერთმანეთს გავესაუბრეთ. უეცრად ზვიადმა იას მკლავში ჩაავლო ხელი და გვერდზე გასწია. იას გული წაუვიდა და დაეცა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მისთვის ხელის შეშველებაც ვერ მოვასწარით. თურმე, იას მთვრალი კაცი ეჯახებოდა, ზვიადმა ეს შენიშნა და ისედაც დაბნეული გოგონა იმ კაცის შეხებისგან რომ დაეცვა, გვერდზე გაწევა დაუპირა, იას კი გული წაუვიდა. ყველანი შევწუხდით, ძლივს მოვასულიერეთ. ზვიადს მაშინ უკვე სდევნიდნენ, ამიტომ როცა ხალხი მოგროვდა, იძულებული გახდა, სწრაფად გასცლოდა იქაურობას. „სასწრაფო დახმარების“ მანქანით ია საავადმყოფოში გადავიყვანეთ და იქ დავადგინეთ იას დაცემის მიზეზი: ძლიერი განცდის გამო, თურმე წნევა დაუვარდა. როგორც მოგვიანებით, თვითონ ამიხსნა, ეს ზვიადის ხელის ერთმა შეხებამ გამოიწვია...

ელიკო ფოფხაძე:

– ზვიადი პირველად კეკელიძის აღმართზე ვნახე. გვერდით ჩამიარა და ჩემი გული გაიყოლა. წუთით გავითიშე. ჯერ ვერ მივხვდი, რა დამემართა, მერე გონს მოვეგე და უკან მივიხედე. ზვიადი თავდახრილი მიდიოდა. მარტო იყო. სანამ თვალს არ მიეფარა, ვუყურებდი. ეს გაუცნობიერებლად გავაკეთე. თვალსაწიერის მიღმა რომ აღმოჩნდა, შევცბი, თითქოს გამოვფხიზლდი, მივიხედ-მოვიხედე – ვინმემ ხომ არ დამინახა-მეთქი?!. – და ჩემსავით გაოგნებული ორი ასაკოვანი ქალბატონი შევნიშნე...

ბევრი ქართველი ქალისთვის ოცნების მამაკაცად იქცა ზურაბ ყიფშიძეც – პოპულარული ქართველი მსახიობი, რომელსაც სიყმაწვილიდანვე ეთაყვანებოდნენ.

ხათუნა ნიორაძე:

– დოლიძის ქუჩაზე ვცხოვრობდი. ჩემს კორპუსში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სახლობდა. სახელები არ მახსოვს, ის კი ვიცი, რომ კაცი სასტუმრო „ივერიაში“, ანსამბლში უკრავდა. მასთან სტუმრად მოდიოდა ხოლმე ზურა ყიფშიძე. მას უკვე ყველა იცნობდა ფილმიდან – „როცა აყვავდა ნუში“... ერთ დილას დედაჩემი აკანკალებული შემოვარდა ჩემს სამინებელში და მითხრა: იცი, ვინ დგას ეზოში? ზურა ყიფშიძეო!.. საწოლიდან წამოვვარდი და ფანჯარასთან დავდექი. ზურა თავისი მანქანიდან გადმოდიოდა. ვინატრე – ნეტავ, ამოიხედოს-მეთქი!.. ზემოთ არ იყურებოდა, მე კი ვიმეორებდი: შემომხედავს, არ შემომხედავს... დამავიწყდა, რომ საღამურით ვიდექი და თუ შემომხედავდა, სირცხვილისგან დავიწვებოდი... იმ დღის შემდეგ, ზურა ბევრჯერ დამინახავს ჩვენს ეზოში. ასევე ფანჯრებთან ასვეტილი უამრავი გათხოვილი და გასათხოვარი ქალიც შემინიშნავს. ზურა ყოველთვის თავდახრილი შედიოდა სადარბაზოში – თითქოს ვერავის ამჩნევდა... ერთხელაც, შევამჩნიე, რომ რაღაც დაუვარდა. შეშლილივით მოვწყდი ფანჯარას და კიბეზე დავეშვი. მინდოდა, ის ნივთი ამეღო, მაგრამ ჩემმა მეზობელმა დამასწრო, რომელიც ჩემზე ორი სართულით ქვემოთ ცხოვრობდა. ერთმანეთს სწორედ ზურას მანქანასთან შევეჩეხეთ.

— **რა დაუვარდა?**

– პალტოს ღილი. ვთხოვე ნანის – მომეცი-მეთქი. უარი მითხრა. – ჩემს ახალ მაისურში გაგიცვლი-მეთქი, – შევთავაზე; მაშინ მოდაში იყო წარწერებიანი მაისურები. მაინც არ დამთანხმდა...

მარიკა ფალიანი:

– მახსოვს, ფილმი – „როცა აყვავდა ნუში“ რომ გამოვიდა, იმ დღიდან, ზურას სახლთან იმდენი გოგო იყრიდა თავს, მიტინგი გეგონებოდათ. თუ ზურა რომელიმე მათგანს მიესალმებოდა, ის უკვე მაგარ გოგოდ ითვლებოდა. თუ ბიჭს ზურასნაირი მანქანა არ ჰყავდა ან მისნაირი გრძელი პალტო არ ეცვა, გოგონები არც კი შეხედავდნენ. ბევრი ჩემი მეგობარი და მეც მისდამი სიყვარულში ერთმანეთს ვეცილებოდით. ზურას ფოტოებს ვაგროვებდით. თუ ფოტოატელიის პატრონი სტენდზე მისი სურათის მოთავსებას გადაწყვეტდა, ღამე არ უნდა დაეძინა: იცოდა, რომელიმე გაბედული გოგო სტენდის მინას ჩაამსხვრევდა და ზურას ფოტოს მოიპარავდა... ერთხელ, ისეთი ფოტო ჩამივარდა ხელში, როგორზეც სხვები ვერც კი იოცნებებდნენ. გოგონები შურით გულზე გასკდნენ. მერე ერთმა დაქალმა სპეციალურად შეიძინა ფოტოაპარატი, რომ თავისი ოცნების მამაკაცისთვის სურათები ჩუმად გადაეღო. ერთხელაც მთხოვა – სადარბაზოსთან ჩავუსაფრდეთ ზურას, რომ გამოვა, გვერდით გამოვყვები, შენ კი ჩუმად სურათი გადაგვიღეო. შვიდი საათი ველოდით. ჩვენმა ხრიკმა გაჭრა – შევძელი, ელენე და ზურა კადრში მომეხვედრებინა. მერე მეც მომინდა ზურასთან ერთად სურათის გადაღება. ეზოში გამოსული შევნიშნე თუ არა, ადგილს მოვწყდი და მისკენ გავექანე. ისე სწრაფად ამოვყავი თავი მის იღლიაში, რომ გაოცებული მომაჩერდა. წუთით დაიბნა და გაშეშდა, ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა. იმან მიშველა, რომ მასზე ბევრად დაბალი ვიყავი, თორემ, იღლიის ქვეშ ვერ მოვთავსდებოდი... მერე გონს მოეგო, გაეცინა და ხელიც გადამხვია. უნიკალური ფოტო გამოვიდა. როცა ვაბეჭდვინებდი, ფოტოგრაფს თავზე ვადექი: ჯერ იმისი მეშინოდა, გამჟღავნების დროს არ გაფუჭებულიყო, მერე კი იმაზე შევშინდი, ვინმემ არ მოიპაროს-მეთქი... ზურამ ცოლი რომ შეირთო, უკვე გათხოვილი ვიყავი, მაგრამ გული მაინც საშინლად დამწყდა. ჩემი ქმარი მიხვდა და ზურას ყველა ფოტო ჩვენი სახლიდან გაქრა...

■

ჩვენი „საპატარძლოს“, ნინო კალანდაძის სახელზე იმდენი გამოხმაურება მოვიდა, რომ ბევრ ვარსკვლავს შეშურდებოდა. არ ვიცი, იმის ბრალი გახლავთ, რომ დეპუტატია, თუ იმის, რომ მართლაც ლამაზია, მაგრამ ფაქტია — მისი გულის დაპყრობის მსურველი უამრავი მამაკაცი შეგეხმიანა. ახლა გავეცნოთ ამ „მესიჯებს“, გადაწყვეტილების მიღება კი ნინოს მივანდოთ.

"71-ე ნომერი ვინ გაკადრათ? პირველობისთვის ხართ დაბადებული"

მარი ჯაფარიძე

„მოხიბლული ვარ ნინო კალანდაძის პიროვნებით. მიხარია, რადგან დედაჩემიც სწორედ ამ ასაკში აირჩიეს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მე მჯერა ნინოსი. მაგდა“.

„ნინო, შენი სურათი ვნახე ჟურნალ „გზაში“ და ძალიან მომეწონე. თუ დამიკავშირდები, მიხვდები, რომ ვისაც ეძებ, მე ვარ. სურათით მაგიჟებ და ისე რას მიზამ? მურთაზი“.

„გამარჯობა, ნინო. ახლა წავიკითხე შენი ინტერვიუ. მოხიბლული ვარ შენი სილამაზით, ქალურობითა და ხასიათით. ძალიან მინდა შენი გაცნობა“.

„წავიკითხე ნინიკოს ინტერვიუ და მივხვდი, რომ ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ შექმნილი. გთხოვთ, დაგვეხმაროთ შეხვედრაში. ზაზა“.

„ნინო, მართლა მაგარი გოგო ხარ. შენზე უმცროსი ვარ, მაგრამ შენი გაცნობის იმედი მაინც მაქვს. ჯერ არ გიცნობ და უკვე მიყვარხარ. ახლაც შენს სურათს დავყურებ. მიშიკო“.

„ნინო, მოვიხიბლე თქვენი სილამაზით, განათლებითა და წარმოშობით. მამით გურული, დედით ალბათ სამტრედიელი იქნებით, საქმიანობით – რეპეტიტორი, თარჯიმანი, მოდელი, იურისტი, დეპუტატი... 71-ე ნომერი ვინ გაკადრათ? პირველობისთვის ხართ დაბადებული. თუ პარლამენტის სხდომებს გააცდენ, ჩემთან, სწორედ შუა ეზოში, კარგი მდინარე ჩამოედინება და ერთად დავასუფთაოთ მისი ფსკერი. პატივისცემით, შალვა, სამტრედია“.

„დედავ! დავეცი! თქვენი ახალი „საპატარძლო“ მართლაც ძალზე მომხიბვლელი და ლამაზია“.

„მე უკვე მიყვარს და მომწონს თქვენი „საპატარძლო“. ბადრი. საჩხერე“.

„შენ ისეთი ქალი ხარ, ყველა კაცის დარდი ხარ, შენ მაისის ვარდი ხარ, აშოლტილი დადიხარ, ქალი ხარ თუ ალი ხარ?“

„ნინოს ჰკითხეთ, მეგრელს თუ გაჰყვება ცოლად? არადა, მომხიბლა ნინოს სილამაზემ“.

„მარი, როგორც ვხედავ, „საპატარძლოდ“ ულამაზესი ქალბატონი ამოგირჩევია. მე წინათ მისი თაყვანისმცემელი ვიყავი, თუმცა, არ გამიმხელია. რა „მაგრა“ გაუქაჩავს! ვუსურვებ წინსვლას. თაზუ“.

„ნინო გერმანიაში გავიცანი, ერთერთ ქალაქში, სადაც ქართველების შეკრება იყო. გული მწყდება, უფრო ახლოს რომ არ ვიცნობ. ბესო“.

„დასაბამიდან გეძებდი, კარგო, გეძებდი ქვეყნის გაჩენის დღიდან, ცხოვრებამ მტანჯა, მაგრამ არ ვნანობ, სიცოცხლე მარტო შენ გამო ღირდა. ბ.ბ-სგან“.

„ნინუცა, ნუ ფიქრობ, რომ არაფერი არ გამოვა, ნუ ფიქრობ, რომ სიყვარული აღარ მოვა...“

„მყავს 27 წლის, უცოლო, ძალიან საყვარელი ბიძა. მაღალი და შავგვრემანი. გამოგვეხმაურე, رااااا! სალომე“.

„ნინო, მე ხიდისთაველი ვარ, ახლა თბილისში ვცხოვრობ. ბიჭოს! რა მაგარი ქალები ყოფილან ხიდისთავში! უკვე მიყვარხარ. ბექუნა“.

„დედას გეფიცებით, ძალიან მაგარია. მაგას პარლამენტში რა უნდა? ეგ დედოფლობის ღირსია მხოლოდ. ოჰ, როგორ ვნანობ, კენჭი რომ არ ვიყარე! შვიდი პროცენტი რა არის? ზღვას გადავლახავდი იმის გულისთვის, სხდომებზე ასეთი ქალისთვის რომ მეცქირა. ანგელოზო, მიყვარხარ“.

„ჯერ ქართველებს რა ვუთხარი, ასეთი ქალი გერმანიაში რომ გაუშვეს. ეს გერმანელები კიდევ უარესი დოყლაპიები ყოფილან, უკან რომ გამოუშვეს. როგორც ჩანს, ჩემი ბედი იყო და იმიტომ“.

„თუ ქიმია მაგრად იცი, მიხვდები, რომ ჩემი შენდამი სიყვარულის შედეგად, ისეთი რეაქცია მაქვს, რომ რეაქციის შედეგად გამოყოფილი სითბოს რაოდენობა მთელ დედამიწას ათ წელიწადს ეყოფა, მზე რომ გაქრეს. ნეონივით ჰაეროვანი ხარ და ოქროსავით აუწონავი“.

„ნინოს ძალზე დიდი ხნის წინ ვიცნობდი. ჩვენ ერთ სკოლაში ვსწავლობდით. მე ის მიყვარდა, მაგრამ ბავშვური ასაკის გამო ვერ ვუმხელდი, ამიტომ სულ თმას ვწიწკნიდი ხოლმე. ბევრჯერ მიტირებია ეს ლამაზი „საპატარძლო“. კაცი არ ვიყო, ეს შენი „პატარძლობა“ მენდელსონის მარშით თუ არ დაგიმთავრო, ჩემთან ერთად. ვიწყებ ბრძოლას შენი გულის მოსაპოვებლად“.

„საქორწილო კაბა და თეთრი, ჰაეროვანი ფატა დაგხატავს. უკვე წარმოვიდგინე, როგორი ლამაზი პატარძალი იქნები და ძალიან მინდა, ჩემი პატარძალი იყო“.

„მყავს ძმა, რომელიც ინგლისში სწავლობს, ძალზე ახოვანი და ლამაზია. ინგლისელი და ქართველი გოგოები ეცემიან მის დანახვაზე. ნინომ ერთხელ რომ შეხედოს, დარწმუნებული ვარ, მაშინვე შეუყვარდება. ვისურვებდი ნინოსნაირ რძალს. გპირდები, საუკეთესო მული ვიქნები“.

„შენ ჩემი ვნება ხარ და მწველი ალი, დეპუტატი და მაგარი ქალი“.

„ვიცი, ბევრი მსურველი გამოჩნდება, მაგრამ ნინოს არავის დავუთმობ. ეს ის ქალია, ვისაც მე დიდი ხანია, ველი. მის გათბობას მხოლოდ მე შევძლებ“.

ყველა გზავნილს ნინო კალანდაძეს გადავცემ და ვის გაცნობასაც ისურვებს, დავუკავშირდები.

იმედია, სხვები არ გამინაწყენდებიან...

ნინო შუბლაძე

ყოველ 13 იანვარს მაგიდის ქვეშ მიძვრება

ამჯერად კვლავ „საპატაძლოს“ წარმოგიდგენთ (თუმცა, არც სასახელო „სასიძოები“ შემოგვლევია). ჩვენი სტუმარი, ტელეჟურნალისტი ნინო შუბლაძე გახლავთ. ნინო მოძრავი, სიცოცხლით აღსავსე გოგოა — ისეთი, ცხოვრებაზე ხელ-ჩაქნეულ ადამიანსაც კი სიცოცხლის წყურვილს რომ გაუღ-ვიძებს; მასთან ვერ მოიწყენ... თუ როგორ მამაკაცს ეძებს საქმროდ, როგორ ჩაუჯდა უცხო მამაკაცებს მანქანაში და რატომ მიძვრება ყოველ 13 იანვარს მაგიდის ქვეშ — ყოველივე ამას მისი ინტერვიუდან შეიტყობთ...

მარი ჯაფარიძე

— **ნინო, გაგვაცანი შენი ოჯ-ახი.**

— მამა — ვაჟა შუბლაძე ამჟამად, ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე გახლავთ. დედა — ანინე ჯვარშეიშ-ვილი, დიასახლისი. და — სოფო შუბ-ლაძე არასამთავრობო ორგანიზაციის — „პარტნიორები საქართველოსთვის“ დირექტორია და აქვს თავისი პიარ-სააგენტო, რომელიც ყველა მსურველის იმიჯის შექმნაზე მუშაობს.

— **ზოდიაქოთი ვინ ხარ?**

— მერწყული. მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევ ასტროლოგიას, მაგრამ მეგობრებისგან მსმენია, ნამდვილი მერწყული ხარო. თუმცა, რას ნიშნავს ეს, არ ვიცი. ერთადერთი, რაც გამეგება, ის გახლავთ, რომ ეს არის წყლის ნიშანი და უზომოდ მიყვარს წყალი. ზაფხულში ზღვაზე თუ არ დავისვენე, მთელი მსოფ-ლიოც რომ მოვიარო, ამას დასვენებად ვერ ჩავთვლი.

— **დაასახელე შენი კარგი თვი-სებები.**

— უუ-უ, რა რთულია საკუთარ თავზე კარგი რამეები ილაპარაკო. ვარ ძალზე კონტაქტური. სადაც მიმუშავია, კარისკ-აციდან დაწყებული, უფროსის ჩათვლით, ყველასთან კარგი ურთიერთობა მქო-ნია. ვარ საოცრად მზრუნველი, შემაწუხ-ებლად მზრუნველიც კი. მინდა, რომ ჩემს საყვარელ ადამიანებს ყველაფერი ჩემი ხელით გავუკეთო, მივართვა, რომ თავი კარგად იგრძნონ. შესაძლოა, ეს ძალზე მომბეზრებელიცაა და სხვამ ცუდ თვისებად ჩამითვალოს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს დადებითია. მართალია, ეს ყვე-ლაფერი მღლის, მაგრამ შინაგანად თავს კარგად ვგრძნობ ხოლმე. ხანდახან მწყინს, როდესაც ვინმეზე ასე ვზრუნავ და ის მაინც უმადურია. ზომაზე მეტად მაქვს პასუხისმგებლობის გრძნობა განვითარე-ბული. ვარ ძალზე კეთილი და ბოროტი განზრახვის ნატამალიც კი არ დევს ჩემში.

— **ახლა შენი უარყოფითი მხა-რეც დაგვანახვე.**

— ვარ ძალიან ფართხაფურთხა. ზუსტად ასეც მეძახიან. მშვიდად ვე-რაფერს ვაკეთებ, სულ ვშფოთავ, მოდე-ბული ვარ ათასგვარ საქმეს, სულ გავრ-ბივარ და გამოვრბივარ. ხანდახან გულ-მავიწყი ვარ. შესაძლოა, ადამიანს რაიმეს შევპირდე და დამავიწყდეს, ან ახლობ-ლის დაბადების დღე გამომრჩეს და მერე უზომოდ შემრცხვეს ამის გამო. ძალზე ფეთქებადი ვარ. შესაძლოა, უცებ გავბრაზდე, რასაც ვფიქრობ, პირში მივახ-ალო, მაგრამ თუ დამნაშავე ვარ, შემი-ძლია ბოდიშიც მოვიხადო.

— **ჯიუტი ხარ?**

— ვერ ვიტყოდი, რომ ჯიუტი ვარ. ხანდახან ზედმეტად მორჩილიც კი, მა-გრამ ზოგჯერ პრინციპულიც, ვერაფ-რით ვერ გადამფიქრებინებ იმას, რასაც ვამბობ. ისიც უარყოფითი თვისებაა, რომ ბევრი ლაპარაკი მიყვარს, სულ ვჩქარ-ობ. მეგობრები მეუბნებიან ხოლმე — „იჩქარე ჩქარა“ ხარო.

— **ბუზღუნი გიყვარს?**

— იცი, არაფერს ვიტოვებ გულში. ყველანაირ ემოციას გამოვხატავ. ცო-ტას წავიბუზღუნებ და გავჩერდები. გაბრა-ზება დიდხანს არასოდეს გამყვება ხოლმე. თუ რაიმე მტკივა, ავიკლებ ყველას „მტკივა-მტკივას“ ძახილით.

— **ბევრი ლაპარაკის გამო შენიშვნებს ხშირად იღებ ხოლმე?**

— *(იცინის)* არა, შენიშვნებს არ ვიღებ ხოლმე, როგორც ჩანს, რაღაც აზრიანს მაინც ვამბობ ხანდახან. უაზროდ ლაპარ-აკი არ მიყვარს. იცი, რა არის? როცა რაიმეს ვყვები, მიყვარს დაწვრილებით მოყოლა, ჟესტებით, მიმიკით, გაფორმე-ბით. ამიტომ გამოდის, თითქოს ბევრს ვლაპარაკობ.

— **ძილი გიყვარს?**

— საერთოდ, ძილისგუდა არასოდეს ვყოფილვარ. ამ ბოლო დროს დამჩემდა დილაობით გვიან გაღვიძება. ოღონდ, კვირაში ერთ დღეს, როცა ვისვენებ. დანარჩენ დღეებში სამსახურში დრო-ზე მივდივარ. კვირა დღეს კი კარგად გამოვიძინებ ხოლმე. თუმცა ადრე მეღ-ვიძება, მაგრამ ლოგინში ნებივრობა მიყ-ვარს და ვცდილობ, გავიხანგრძლივო ეს პროცესი.

— **შენი მზითვი ჩამოგვითვა-ლე...**

— უჰ! არ ვიცი. მართლა არ ვიცი, რა მზითვი მაქვს, მაგრამ ჩემზე კარგი რაღა უნდა იყოს?

— **შენი მწვანე თვალების გა-მო კომპლიმენტს ხშირად იღებ?**

— კი, ხშირად. მაგრამ ჩემი თვალე-ბი ფერს იცვლის იმის მიხედვით, თუ

რა ფერის ტანისამოსი მაცვია და ამიტომ ყველას ჰგონია, რომ ლინზებს ვიყენებ. მე კი იმ რაღაცების თვალებში „ჩათხრის“ ისე მეშინია, სულ რომ დავბრმავდე, ლინზებს ვერ ვიხმარ.

— ამ ცოტა ხნის წინ, „I არხის“ „ალიონიდან“, „რუსთავი 2“-ის „კურიერში“ გადახვედი. რატომ გამოიცვალე სამსახური?

— ჩავთვალე, რომ „ალიონში“ ჩემი თავი მთლიანად ამოვწურე. იქ, როგორც ჟურნალისტი, მე უკვე ვეღარ გავიზრდებოდი. ამიტომ გადავწყვიტე, წამოვსულიყავი. როდესაც ამის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, დამირეკეს სხვადასხვა ტელეარხიდან და თანამშრომლობა შემომთავაზეს. მე არჩევანი „რუსთავი 2“-ზე შევაჩერე, რადგან მიმაჩნია, რომ ნამდვილ პროფესიონალად სწორედ აქ ჩამოვყალიბდები. რომ მეგონა, მაგარი ვარ-მეთქი, აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი. ახლა სამსახურში თავს ძალზე კარგად ვგრძნობ. დილით მეზარება გაღვიძება, წასვლა, მაგრამ იქ რომ მივალ და ზღურბლს გადავაბიჯებ, ყველაფერი მავიწყდება, სულ სხვა, საინტერესო სამყაროში ვხვდები და დროც ისე სწრაფად გადის, მიკვირს ხოლმე.

— რამდენი წლის ხარ?

— 28-ის.

— აქამდე რატომ არ გათხოვდი?

— იცი, ძალზე საინტერესო ცხოვრება გავატარე. პირველად 12 წლის ვიყავი, „პიონერფილმიდან“ ამერიკაში რომ მოვხვდი. იმის შემდეგ, უამრავ ქვეყანაში გახლდით, მქონდა საინტერესო სამსახური, ხალისიანი ცხოვრებით ვცხოვრობდი და წლები ისე გაფრინდა, რომ ვერც გავიგე. თუმცა, ჩემი გაუთხოვრობა სულ იმის ბრალია, მაგიდის ქვეშ რომ ვერ ვეტევი *(იცინის)*.

— ეს როგორ?

— როგორ და, კარგა ხანია, მეგობრებს ტრადიცია გვაქვს, ძველით ახალ წელს ერთ-ერთთან ვიკრიბებით ხოლმე. ერთხელაც ჩვენმა მეგობარმა გოგონამ ახალი ამბავი გვაუწყა: თურმე, ვინც საათის გონგის ჩამოკვრისას მაგიდის ქვეშ შეძვრება, გათხოვდებაო. თუ გათხოვილია, ან ბინას იყიდის, ან მანქანასო. ერთი სიტყვით, გადავწყვიტეთ, შევმძრალიყავით. მაგრამ პირველ წელს მე და ერთი მეგობარი გოგო ვერ შევეტიეთ. ბევრი ვიწვალეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. იმ წელს, ზოგი გათხოვდა, ზოგმა მართლაც, მანქანა იყიდა. მეორე წელს, საათმა რომ ჩამოჰკრა, მაშინ დავიწყე შამპანურის ძებნა და ამ სირბილში ისევ ვერ მოვასწარი მაგიდის ქვეშ შეძრომა და ისევ მე და ის გოგო დავრჩით. მესამე წელს, გადავწყვიტე, სამზარეულოს მაგიდის ქვეშ შევძვრები-მეთქი. მართლაც, ორივე იქით გავიქეცით, მაგრამ სამზარეულოს მაგიდა მეტისმეტად ვიწრო აღმოჩნდა, ტანით კი შევძვერით, მაგრამ ფეხები გარეთ დაგვრჩა. ისევ მარტო ჩვენ დავრჩით გასათხოვრები. მოკლედ, როგორც ჩანს, ვიდრე თავფეხიანად არ შეძვრები მაგიდის ქვეშ, მანამდე ვერ გათხოვდები.

— შეყვარებული როგორი ხარ?

— მთელი ცხოვრება შეყვარებული ვარ. პირველად, ბაღში რომ დავდიოდი და შემიყვარდა, იმის შემდეგ, სულ ვიღაც მიყვარს, ამიტომ, შეყვარებულიც ისეთი ვარ, როგორიც ახლა. შესაძლოა, ცოტა მეტი აღმაფრენა მქონდეს ხოლმე.

— როგორი მამაკაცები მოგწონს?

— მამაკაცებს თვალების ფერითა და თმის ფერით არ ვირჩევ. მთავარია, იყოს ადამიანი და მამაკაცი. ვერ ვიტან უსაქმურ, მატყუარა ადამიანებს. არ უნდა იყოს ცუდი პიროვნება. უნდა იყოს კეთილი, ხელგაშლილი და მოსიყვარულე.

— საოჯახო საქმე გეხერხება?

— კი. აბსოლუტურად ყველაფრის გაკეთება ვიცი. მარტოც მშვენივრად გავუძღვები თუნდაც მრავალრიცხოვან ოჯახს.

— ერთი სიტყვით, სანატრელი საპატარძლო ხარ.

— რა ვიცი, დედაჩემს რომ ჰკითხოთ, გეტყვით, ჩემს მტერს შეუვიდა ოჯახში ასეთი რძალიო... *(იცინის)*.

— ჭორაობა გიყვარს?

— უჰ, მაგის დრო სად მაქვს? წინათ მეგობრებთან რომ მივიდოდი სტუმრად, მთელი ქალაქის ჭორებს მიმოვიხილავდით ხოლმე. ახლა ვეღარ ვიცლი და ძლივს ვასწრებ, თავს გადახდენილი ამბების მოყოლას, ძირითადად, საქმიანმეგობრული ჭორაობა გვაქვს ხოლმე.

— როგორც ჩანს, ბევრი საინტერესო ამბავი გაქვს გასახსენებელი...

— მთელი ჩემი ცხოვრება კურიოზია. ერთს გავიხსენებ. ასეთი ჩვევა მაქვს, სახეებს ადვილად ვიმახსოვრებ, მაგრამ სიტუაციებს — ვერა. ჰოდა, ქუჩაში რომ ვინმე შემხვდება და მეცნობა, ვერ ვიხსენებ, სად მინახავს და ამაზე ფიქრით ვიტანჯები. ამიტომ ხშირად ვაჩერებ იმ ადამიანს და ვეკითხები, სად მინახიხარ-მეთქი? სტუდენტობის პერიოდში, ძალზე ჭირდა ტრანსპორტი. ამიტომ გოგონები „პაპუტკებს“ მივყვებოდით ხოლმე. ერთხელ, „დედაენის“ ძეგლთან რაღაც ზეიმი ტარდებოდა და იქ ვიყავი მეგობრებთან ერთად. ერთი ახალგაზრდა ბიჭი მეცნო, მაგრამ ვერ გავიხსენე, სად მყავდა ნანახი. გადავწყვიტე, მივსულიყავი და მეკითხა. გოგოებმა დამიშალეს, მაგრამ არ დავუჯერე. მივედი და ვეკითხები, უკაცრავად, სად მინახიხართ-მეთქი? ამ დროს ხალხის ყურადღებაც

ისიც უარყოფითი თვისებაა, რომ ბევრი ლაპარაკი მიყვარს, სულ ვჩქარობ. მეგობრები მეუბნებიან ხოლმე — „იჩქარე ჩქარა“ ხარო

მივიქციე. გაღიმებული ველი პასუხს. ის კი მეუბნება — სად და გუშინწინ „პაპუტკას“ რომ აჩერებდი, მე გაგიჩერე და სახლამდე მიგიყვანეო. შემრცხვა და გამოვბრუნდი, მეგობრები დღემდე დამცინიან ამის გამო.

აი, ასეთი „საპატარძლო“ გვყავს. ვისაც მასთან დაკონტაქტება გსურთ, დაგვირეკეთ ან გამოგზავნეთ „მესიჯი“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61.

■

როსტოველი კომერსანტის გაგაცებასა და სადისტურ მკვლელობაში ქართველ კაცს ადანაშაულებენ

გამოძიების მასალებით, ბოროტმოქმედებმა გატაცებული ტბორში ჩაახრჩვეს

40 წლის ბესო გოგალაძე, რომელიც წარსულში ნასამართლევი არ გახლდათ, ამჯერად უმძიმესი დანაშაულისთვის დგას სამსჯავროს წინაშე. პროკურატურა მას როსტოვში 9 წლის წინ მომხდარ გატაცებასა და სადისტურ მკვლელობაში ადანაშაულებს. საქმის მასალების თანახმად, 1995 წლის 29 აგვისტოს, საღამოს, დაახლოებით 7 საათისთვის, როსტოველი კომერსანტი, შპს „სოიუზის“ გენერალური დირექტორი — ალექსანდრ ტუტოვი გაიტაცეს. მეორე დღეს გამტაცებლებმა ტუტოვის ოჯახის წევრებს შეუთვალეს, რომ მისი გათავისუფლების სანაცვლოდ 500.000 დოლარის გადახდა იყო საჭირო; მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. გამტაცებლები ვაჭრობას მას შემდეგაც განაგრძობდნენ, რაც ტუტოვი უკვე მოკლული ჰყავდათ. ამ უკანასკნელის გვამი მილიციამ აკსაისკის რაიონის სოფელ ბოლშიე სალის მიმდებარე ტერიტორიაზე, მკვლელობიდან რამდენიმე თვის შემდეგ აღმოაჩინა. საიდენტიფიკაციო ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ გვამი ნამდვილად ტუტოვის იყო. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, სიკვდილი ასფიქსიის შედეგად დადგა, გარდაცვლილის სხეულზე დაფიქსირებული ძალადობის ნიშნები კი სადისტურ მკვლელობაზე მიუთითებდა.

სისხლის სამართლის საქმე როსტოვის ოლქის პროკურატურაში აღიძრა. ადგილობრივმა სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილთა ვინაობა მალე დაადგინეს და სწორედ მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ საშინელ დანაშაულში ქართველი კრიმინალები მონაწილეობდნენ.

გატაცებულის ოჯახის წევრებმა სამართალდამცავ ორგანოებს მომხდარის შესახებ მხოლოდ ორი თვის შემდეგ შეატყობინეს. მანამდე თავად ცდილობდნენ, დაედგინათ ბოროტმოქმედთა ვინაობა და როგორმე გამოესნათ ტუტოვი. გატაცებულის მეუღლე — ნატალია ტუტოვა ამბობდა, რომ 29 აგვისტოს, დილით, მისი ქმარი სამსახურში წავიდა და მას შემდეგ, შინ არ დაბრუნებულა; მეუღლეს სამსახურში დაურეკა, მაგრამ იქ არ დახვდა. დაახლოებით საღამოს 10 საათისთვის, იგი ტუტოვის მოადგილეს დაუკავშირდა და ქმრის გაუჩინარების შესახებ აცნობა. იმავე ღამით, ორივენი ერთად წავიდნენ მის სახლში. ქალაქში, ეფდოკიმოვის ქუჩაზე ღამის პირველ საათზე იპოვეს კიდეც მისი ავტომანქანა — ვაზი „ვრანგლერი“, რომელშიც არავინ იყო და საეჭვოდ იყო მიტოვებული. მეორე დღეს, ნატალიას უცნობებმა დაურეკეს და გამოსასყიდი მოსთხოვეს.

სამართალდამცავებმა პირველი ეჭვმიტანილი — ვინმე იგორ ბიჩინოვი, შემთხვევიდან თითქმის ორი წლის შემდეგ, 1997 წლის 3 მაისს დააკავეს. სწორედ ბიჩინოვის აღიარებითი ჩვენებისა და ფოტოსურათების ამოცნობის შედეგად დადგინდა დანაშაულში მონაწილე დანარჩენ პირთა ვინაობა. ისინი ალან ტოტოევი და ორი ქართველი — ხვიჩა (იგივე ზაალ) ახობაძე და ბესო გოგალაძე აღმოჩნდნენ. მათზე ძებნა გამოცხადდა. მალე გაირკვა, რომ ხვიჩა ახობაძე 1996 წლის აგვისტოში, ზაპოროჟიეს ოლქის მელიტოპოლის რაიონში მოუკლავთ. ამის გამო, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა. მოგვიანებით, გოგალაძე დააკავეს. რაც შეეხება ტოტოევს — იგი დღემდე, სამართალდამცავებს ემალება.

1997 წლის 20 ოქტომბერს, იგორ ბიჩინოვი როსტოვის საოლქო სასამართლომ გაასამართლა. იგი ტუტოვის გატაცებასა და მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს და სასჯელის ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრეს. მოკლე ხანში — 1997 წლის 4 დეკემბერს, ბიჩინოვი საპყრობილეში გარდაიცვალა. თუმცა სიკვდილამდე მან გამოძიებას რამდენიმე ჩვენება დაუტოვა, სადაც სხვებთან ერთად, გოგალაძესაც ადებდა ხელს და მას გატაცებისა და მკვლელობის ერთ-ერთ ორგანიზატორად მოიხსენიებდა.

გამოძიების მასალების თანახმად, ბესო გოგალაძე წლების მანძილზე, როსტოვში ცხოვრობდა. იქ ჰყავდა ცოლი და ერთი ვაჟი, თუმცა, ცოლთან გაყრილი იყო და ცალკე ცხოვრობდა. მოწმეთა ჩვენებების თანახმად, როსტოვში იგი არანაირ საქმიანობას არ ეწეოდა, თუმცა თავად გოგალაძე ამჟამად აცხადებს, რომ იქ მას საკუთარი ბიზნესი ჰქონდა. 1995 წლის მარტსა თუ აპრილში, როსტოვში ჩავიდნენ ცხინვალში მცხოვრები იგორ ბიჩინოვი და მისი მეგობარი ალან ტოტოევი. როგორც საქმეში არსებული ჩვენებებიდან ჩანს, გოგალაძეს ისინი ერთ-ერთ ბისტროში საერთო ნაცნობმა გააცნო.

იმავე წლის ზაფხულში, გამოძიებით დაუდგენელ თვესა და რიცხვში, „სოიუზის“ მაღაზიაში საყიდლებზე ყოფნისას, გოგალაძემ შემთხვევით გაიცნო მაღაზიის მეპატრონე, ფირმის გენერალური დირექტორი — ალექსანდრ ტუტოვი და მისი მოადგილე — სერგეი შვეცოვი. გარკვეული დროის განმავლობაში, მათთან ხშირი ურთიერთობა ჰქონდა, ორივეს დაუახლოვდა და მალე გაარკვია, რომ ტუტოვი ფირმიდან საკმაოდ დიდ შემოსავალს იღებდა. როგორც პროკურატურა აცხადებს, გოგალაძემ სწორედ მაშინ განიზრახა, როგორმე მის ფულს დაჰპატრონებოდა, მისი გატაცება ჩაფიქრა და ეს ჩანაფიქრი ახალგაცნობილ მეგობარს — ალან ტოტოევს გაანდო. ერთად შეიმუშავეს გატაცების გეგმა და გადაწყვიტეს, რომ ამ საქმის უშუალო შემსრულებელთა შერჩევა იყო საჭირო. ამ მიზნით, ისინი როსტოვში მდებარე ბისტროს მეპატრონეს ომარ მაჩიტაძეს შეხვდნენ და სთხოვეს, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებთან დაეკავშირებინა ისინი. თუ რისთვის სჭირდებოდათ კრიმინალებთან დაკავშირება — არ გაუმჟღავნეს; მაჩიტაძეც, როგორც გამოძიების მასალებში წერია, ამით არ დაინტერესებულა, თუმცა ურჩია, ახობაძესა და ბიჩინოვთან დაეჭირათ საქმე.

ასეც მოიქცნენ. შეხვედრისას ფუნქციები გაინაწილეს. მოლაპარაკების თანახმად, გატაცება უშუალოდ ტოტოევს, გოგალაძეს, ახობაძესა და გამოძიებით დაუდგენელ კიდევ ერთ პირს უნდა განეხორციელებინათ. მათვე უნდა აეძულებინათ ტუტოვი, საკუთარი ხელით დაეწერა წერილი ახლობლებისთვის, სადაც მათ ფულის გადახდას სთხოვდა. ამ წერილს ისინი იგორ ბიჩინოვს გადასცემდნენ, ეს უკანასკნელი კი, შვეცოვთან მოლაპარაკებას მიჰყოფდა ხელს და წერილსაც მას წააკითხებდა.

1995 წლის 29 აგვისტოს, საღამოს 6-7 საათისთვის, ეფდოკიმოვის ქუჩაზე ჩაუსაფრდნენ ტუტოვს. ამ დროს ის ჩვეულებისამებრ, სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა საკუთარი ავტომანქანით. გამოჩნდა თუ არა ნაცნობი ვაზი „ვრანგლერი“, თავდამსხმელებმა ის მაშინვე გააჩერეს. როგორც მოწმე ომარ მაჩიტაძის დაკითხვის ოქმიდან ირკვევა,

ბოროტმოქმედებმა ტუტოვს ნარკოტიკული ნივთიერება გაუკეთეს, რათა მას წინააღმდეგობის გაწევის უნარი წართმეოდა, ამგვარად დაიმორჩილეს, ძალით გადაიყვანეს მანქანიდან და თავიანთ „ჟიგულიში“ ჩასვეს (თავდამსხმელთა ავტომანქანის ნომრები გამოიცვალა ვერ დაადგინა). ამის შემდეგ, მათ როსტოვის ოლქის აკსაისკის რაიონის სოფელ ბოლშიე სალისკენ აიღეს გეზი. სოფელში მისვლისთანავე აიძულეს იგი, დაეწერა წერილი შვეცოვის სახელზე და დაერწმუნებინა იგი, რომ გამტაცებლებისთვის ფულის გადახდა აუცილებელი იყო. პროკურატურის ინფორმაციით, ბოროტმოქმედებმა ტუტოვი სასტიკად სცემეს, შემდეგ კი მისი მოკვლა გადაწყვიტეს. ტანზე 16-კილოგრამიანი ჰანტელი და 4 თითოკილოგრამიანი ლითონის დისკი ჩამოჰკიდეს და გაკოჭილი, ტბორში ჩაუშვეს. ტუტოვი უმალ ჩაიძირა წყალში და ასფიქსიის შედეგად გარდაიცვალა.

გოგალაძე და ტოტოევი მხოლოდ ამის შემდეგ შეხვდნენ იგორ ბიჩინოვს და მას ტუტოვის ხელით დაწერილი ბარათი გადასცეს. ბიჩინოვი შვეცოვთან მივიდა, სიტუაცია აუხსნა და თან, დახმარება შესთავაზა — გამტაცებლებთან გიშუამავლებთო. მეორე შეხვედრისას, მან შვეცოვს წერილი მისცა. თავდაპირველად, გამტაცებლები 500.000 დოლარს მოითხოვდნენ, მაგრამ შედეგს რომ ვერ მიაღწიეს, თანხა 200.000 დოლარამდე შეამცირეს. ბიჩინოვი სისტემატურად ხვდებოდა შვეცოვს და მოლაპარაკებებს აწარმოებდა, თუმცა მრავალი მცდელობის მიუხედავად, ბოროტმოქმედებმა თანხა მაინც ვერ მიიღეს.

როგორც ომარ მაჩიტაძის ჩვენებიდან ირკვევა, ტუტოვის ახლობლებმა ეჭვი მასა და ბიჩინოვზე აიღეს, ორივენი გაიტაცეს და ტუტოვის ადგილსამყოფლის დასახელება და მისი გათავისუფლება მოსთხოვეს. „*...1996 წლის სექტემბერში გამტაცეს უცნობებმა, აგარაკზე წამიყვანეს და სარდაფში ჩამამწყვდიეს. იქ ჩემთან ერთად დაამწყვდიეს ოსი — იგორ ბიჩინოვი... ჩემგან განსხვავებით, იგორს არ სცემდნენ და არ აწამებდნენ... ბიჩინოვს ვკითხე — რაშია საქმე-მეთქი? და მან მითხრა, რომ ზაალ ახობაძესა და ბესო გოგალაძესთან ერთად გაუკეთა ორგანიზება ტუტოვის გატაცებას. ზაალს და ბესოს ვიცნობდი, ჩემს კაფეში ხშირად მოდიოდნენ... იგორმა მითხრა, რომ გამტაცებლებმა ტუტოვი ქალაქგარეთ, ზმეევსკოიში წაიყვანეს და მასთან ზაალი და ბესო დარჩნენ... ამბობდა, რომ მას შემდეგ რა მოხდა, არ იცოდა... 10 დღეში მე გამიშვეს... ამ გატაცებასა და მკვლელობაში მე მონაწილეობა არ მიმიღია*“, — წერს ერთ-ერთ ჩვენებაში მაჩიტაძე.

როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი ამბობს, გოგალაძის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის მასალებში არაა დაკონკრეტებული, თუ ვინ იყვნენ ბიჩინოვისა და მაჩიტაძის გამტაცებლები, რადგან ეს უშუალოდ გოგალაძის დანაშაულს არ ეხებოდა. თუმცა, მისივე თქმით, მაჩიტაძის ჩვენებიდან ცხადი ხდება, რომ გამტაცებლები ტუტოვის ბედით დაინტერესებული პირები იყვნენ. გამოძიების მასალებში არც ისაა აღნიშნული, რა ბედი ეწია ბიჩინოვს მაჩიტაძის ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ. სავარაუდოდ, გამტაცებლებმა ისიც გაუშვეს, მიუხედავად იმისა, რომ მისგან ტუტოვის ადგილსამყოფლის შესახებ ზუსტი ინფორმაცია ვერ მიიღეს. „*ამ ფაქტს მოწმობს ის, რომ 1997 წელს სამართალდამცავებმა თავისუფლად მყოფი ბიჩინოვი დააკავეს და კანონიერი განაჩენი გამოუტანეს*“, — აცხადებს ბრალმდებელი.

პროკურატურის ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ თანხას ვერ მიიღებდნენ, ბოროტმოქმედებმა გადაწყვიტეს, როსტოვს გასცლოდნენ. ეჭვმიტანილთა დაკავებისა და ბიჩინოვის გასამართლების შემდეგ, რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ „სამართლებრივი დახმარებისა და ურთიერთთანამშრომლობის“ მინსკის კონვენციის შესაბამისად, საქმე საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გადმოაგზავნა. სამოლოოდ, საქმე ხაშურის რაიონულ პროკურატურას გადაეცა, ქვემდებარეობის მიხედვით.

2003 წლის 17 ივლისს, გოგალაძეს ბრალდება წარუდგინეს. მან თავი დამნაშავედ არ ცნო და წინასწარი გამოძიების პერიოდში, დუმილის უფლებით ისარგებლა. უზენაეს სასამართლოში გამართულ სხდომაზე განსასჯელმა ჩვენება მისცა, მაგრამ დანაშაულში მონაწილეობა ამჯერადაც უარყო. მისი თქმით, პროკურატურის მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნა ყალბ ცნობებზეა აგებული. გოგალაძე ბიჩინოვთან, ახობაძესა და ტოტოევთან ნაცნობობას არ უარყოფს, მაგრამ მათთან რაიმე დანაშაულში თანამონაწილეობას გამორიცხავს. „*შესაძლოა, სადმე გავიცანი ისინი, არ გამოვრიცხავ, მაგრამ არანირ გატაცებასა და მკვლელობაში მონაწილეობა არ მიმიღია. ამ დანაშაულის შესახებ არაფერი ვიცი*“, — განაცხადა მან პროცესზე. რაც შეეხება დაზარალებულს, ნატალია ტუტოვას — თავის ჩვენებაში იგი ქმრისა და ბიჩინოვის ნაცნობობაზე საუბრობს, თუმცა არაფერს ამბობს გოგალაძეზე... „*მეუღლისგან ვიცოდი, რომ იგი 1993 წლის ზაფხულიდან იცნობდა ვინმე იგორს, რომელმაც ერთხელ მას ხანჯალი აჩუქა*“... — აღნიშნულია მისი დაკითხვის ოქმში.

დაზარალებულისა და მოწმეების დაკითხვა ამჯერად ვერ ხერხდება. მათ მიერ გამოგზავნილი წერილის თანახმად, ისინი საქართველოში ჩამოსვლას ვერ ახერხებენ და ადასტურებენ წინასწარი გამოძიებისთვის მათ მიერ მიცემულ ჩვენებებს. რაც შეეხება განსასჯელის ადვოკატს, ამ ეტაპზე ის ჟურნალისტებთან საუბარს თავს არიდებს. როგორც თავად აღნიშნა, იგი კომენტარს სასამართლო გამოძიების დასრულების შემდეგ გააკეთებს. ■

„ჩვენმა ვვილმა საკუთარ ჭიშკართან დალია სული“ — აცხადებენ მოკლულის მშობლები

ბრალდებულის თქმით, საქონლის დასაკლავი დანა მან მხოლოდ თავდაცვის მიზნით გამოიტანა

ჯარიაშვილებისა და გულიშვილების ოჯახები დუშეთის რაიონის სოფელ ებნისში წლების მანძილზე ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ, თუმცა მუდამ დავა და კონფლიქტი ჰქონდათ ერთმანეთთან. ეს აღნიშნულია პროკურატურის მიერ მოძიებულ მასალებში და ამას დღეს ორივე ოჯახის წარმომადგენლები ადასტურებენ. ჩხუბის მიზეზი ძირითადად, საყოფაცხოვრებო საკითხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი უთანხმოება გახლდათ. გულიშვილების გადმოცემით, ჯერ ეზოში წყლის მილების გაყვანის თაობაზე ვერ მორიგდნენ და საქმე სასამართლომდეც კი მივიდა, შემდეგ, საქონელი დაიკარგა და აღმოჩნდა, რომ ამაში ჯარიაშვილების ოჯახის ერთ-ერთი წევრი იყო დამნაშავე.

„*მცხეთის რაიონის პოლიციაში განცხადება დავწერე. ამ გზით ემზარ ჯარიაშვილს მოპარული საქონელი უკლებლივ დავაბრუნებინე. ამას ვერ ინელებდა, სადაც შეგვხვდებოდა, იქვე ჩხუბს იწყებდა*“, — ამბობს ვიგენტი გულიშვილი. ჯარიაშვილები აცხადებენ, რომ გულიშვილების წინააღმდეგ არაერთი საჩივარი დაწერილა, მოსახლეობის უმეტესობასთან კონფლიქტი ჰქონდათ. რაც შეეხება საქონლის ქურდობის ფაქტს

– ისინი ამას გულიშვილების მიერ შეთხზულ ზღაპარს უწოდებენ: *„ოჯახში გვიცავდებოდნენ, ქუჩაში თუ შეგვხვდებოდნენ, მაშინვე სიტყვიერ შეურაცხყოფაზე გადადიოდნენ, შინიდან გარეთ გასვლა და სოფელში გაჩერება აღარ გვინდოდა“*, – აცხადებენ ჯარიაშვილები.

ამდენმა ჩხუბმა და ურთიერთშეურაცხყოფამ შედეგად ის გამოიღო, რომ ემზარ ჯარიაშვილმა – ორი შვილის მამამ – საშინელი მკვლელობა ჩაიდინა. 2003 წლის 27 ივნისს, საღამოს, დაახლოებით 7 საათისთვის, იგი სოფლის გზაზე შეხვდა გულიშვილების ოჯახის წევრს – კარლო ზავრადაშვილს, მასთან ჩხუბის შემდეგ სახლში შევიდა, საქონლის დასაკლავი დანა გამოიტანა და როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, ზავრადაშვილს, მშობლებისა და დის თვალწინ, ზელიზედ სამჯერ ჩაარტყა სხეულში.

მძიმედ დაჭრილი ზავრადაშვილი მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ იგი გზაში გარდაიცვალა. საავადმყოფოში მოხვდა თავად ჯარიაშვილიც, რომელსაც ჩხუბის დროს ნასროლი ქვა შუბლში მოხვდა და სერიოზული დაზიანება მიაყენა. პოლიციამ ის იქვე დაკავა, ორი დღის შემდეგ პროკურატურამ განზრახ მკვლელობის მუხლით მისცა პასუხისგებაში, საქმის გამოძიების ბოლოს კი, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში დასდო ბრალი.

ბრალდებულის სახით დაკითხვისას ჯარიაშვილმა მხოლოდ ნაწილობრივ ცნო თავი დამნაშავედ. განმარტა, რომ მას კარლო ზავრადაშვილის მკვლელობა განზრახ არ ჩაუდენია, არც შურისძიება ამოძრავებდა მის მიმართ და არც სისასტიკე გამოუჩენია დანაშაულის ჩადენისას. ჯარიაშვილის თქმით, ჩხუბის დროს ის იძულებული გახდა, თავი დაეცვა, რადგან ზავრადაშვილი და გულიშვილები დაუნდობლად სცემდნენ და ქვებს ესროდნენ მას. ეჭვმიტანილად დაკითხვის ოქმში ჯარიაშვილი აღნიშნავს, რომ იმ დღეს, ზავრადაშვილთან და სხვა მეზობლებთან ერთად, გარდაცვლილი თანასოფლელის ქელეხზე იმყოფებოდა, საღამოს 5-6 საათისთვის სუფრა აიშალა, ნასვამი ზავრადაშვილი მასთან ახლოს დაჯდა, მაგრამ მან თავი აარიდა ზავრადაშვილს, რადგან არ სურდა, მიცვალებულის ოჯახში მისი მიზეზით ჩხუბი და აყალმაყალი ამტყდარიყო. ამიტომაც სუფრიდან წამოდგა და გაეცალა; ცოტა ხანში, ზავრადაშვილს მანც შეეფეთა; ამ უკანასკნელმა გააჩერა და უცენზურო სიტყვებით მიმართა, როგორც მას, ასევე მამამისს. ისიც შეეპასუხა, მოუწოდებდა, შეეწყვიტა უხეში ლაპარაკი, მაგრამ ვერაფერს გახდა. მათ შელაპარაკებას ერთ-ერთი მეზობელი შეესწრო, სწორედ მან შეძლო, დაეშორებინა მოჩხუბრები ერთმანეთისთვის. საღამოს 7 საათი იქნებოდა, როცა რამდენიმე მეზობელთან ერთად შინისკენ წავიდა. სახლს რომ მიუახლოვდა, ჭიშკართან ზავრადაშვილი და მთელი მისი ნათესაობა დახვდა შეკრებილი. *„გამოცვივდნენ, გზა გადამიკეტეს და ლანძღვა დამიწყეს ოჯახის მისამართით. ზავრადაშვილი წიხლებით მცემდა. მოვახერხე, ხელიდან დავსხლტომოდი და მაშინვე სახლის ეზოში შევვარდი. გულიშვილები ცდილობდნენ ჩემს ეზოში შემოჭრას“*, – წერს ჯარიაშვილი ჩვენებაში. მისივე თქმით, ზავრადაშვილი და მისი ნათესავები აპირებდნენ, მთელი ოჯახი აეწიოკებინათ, სახლში კი ბავშვებს ეძინათ. ჯარიაშვილი ჩვენებაში ირწმუნება, რომ სწორედ ოჯახის წევრების დასაცავად გადაწყვიტა, დაეშინებინა და წინააღმდეგობა გაეწია გულიშვილებისთვის. ამ მიზნით, ფარდულში შევარდა და აიღო საქონლის დასაკლავი დანა, რომელსაც ყავისფერ ჩემოდანში ინახავდა. გარეთ გასულს, კვლავ დაუწყეს ცემა და ქვების სროლა. *„ვიგრძენი, რომ მარცხენა თვალიდან სისხლი წამომივიდა, მხედველობა დამებინდა. ვერც მეორე თვალში ვიხედებოდი, მეგონა, ისიც ამომთხარეს. მაშინ ამოვიღე დანა საქამრიდან, უმისამართოდ ვიქნევდი, მოხვდა თუ არა ვინმეს, არ მახსოვს... ვიღაცამ მომკიდა ხელი და შემიყვანა ეზოში; დანა სად გადავაგდე, არ მახსოვს“*, – წერს ჯარიაშვილი. მისი თქმით, ზავრადაშვილის დაჭრის მომენტი მას არ დაუფიქსირებია. სასამართლოში უკვე განსასჯელის სახით წარმოდგენილმა ჯარიაშვილმა პროკურატურის ბრალდება მთლიანად უარყო. ასევე არ დაადასტურა საბრალდებო დასკვნაში მოყვანილი ფაქტების სისწორე და განაცხადა, რომ დანას ის მხოლოდ მოგერიების მიზნით იქნევდა, შესაბამისად, დანაშაულიც აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩაიდინა.

აღსანიშნავია, რომ საბრალდებო დასკვნის თანახმად, მკვლელობა ჯარიაშვილის სახლის ეზოსთან მოხდა. ამას დაზარალებულის მხარე უარყოფს. მოკლულის ნათესავები არც ჯარიაშვილის ოჯახის აწიოკების მცდელობას ადასტურებენ. *„ყველანი შინ ვიყავით, როცა ჯარიაშვილმა ბიჭებთან ერთად ჩვენს ჭიშკართან გინებით ჩაიარა, მერე შეჩერდა და კარლოს დაუძახა – გამოდი, ვილაპარაკოთო. არ გავუშვით. ბოლოს, კარლო მანც გავიდა და გასძახა – რა გინდათ? გამეცალეთო! დაახლოებით ნახევარ საათში, ისევ დაუძახეს. ჯარიაშვილი ჩვენს ჭიშკარს მიუახლოვდა, კარლოც იქვე იდგა. მეც გარეთ გავედი, მაგრამ სანამ მათთან მივიდოდი, დავინახე, ჯარიაშვილმა ორჯერ როგორ ჩაარტყა დანა კარლოს, რამდენიმე წამის შემდეგ, მესამედაც მოუქნია. ჩვენმა შვილმა საკუთარ ჭიშკართან დალია სული“...* – ამბობს მოკლულის მამა.

ასევე საგულისხმოა, რომ ბრალდების ძირითადმა მოწმემ – ვიტალი კბილცეცხლაშვილმა სასამართლო სხდომაზე ჩვენება შეცვალა და ჯარიაშვილის საწინააღმდეგოდ მის მიერვე ადრე დაფიქსირებული ფაქტები უარყო. პროკურატურის ინფორმაციით, კბილცეცხლაშვილი მკვლელობის თვითმხილველი იყო, თავად მოწმე კი დღეს, საწინააღმდეგოს ირწმუნება: *„ჩხუბი ჯარიაშვილის სახლის ეზოსთან მოხდა. მხოლოდ ის დავინახე, რომ ზავრადაშვილმა მას ბლოკი ჩაარტყა თავში. ამის შემდეგ, ორივე მხარის ნათესავები ერთმანეთში აირივნენ და ვეღარ ვარჩევდი, რა ხდებოდა. არც დანა დამინახავს... წინასწარი გამოძიებისას ჯარიაშვილის საწინააღმდეგო ჩვენება იმის გამო დავწერე, რომ დაზარალებულის მხარემ დამაშინა“*, – აღნიშნა მოწმემ. პროკურორის კითხვაზე – ახლა რატომ არ ეშინია დაზარალებულის? – მან უპასუხა, რომ სინდისმა შეაწუხა.

მალხაზ ლაბაძე, განსასჯელის ადვოკატი:

„დაზარალებული მხარის წარმომადგენლები დღემდე ახორციელებენ ზეწოლას მოწმეებზე. სამწუხაროდ, პროკურატურამაც არაობიექტურობა გამოიჩინა და თავიდანვე არასწორი გეზი აიღო. ჯარიაშვილს ბრალს სდებენ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში. როცა პროკურორს ვკითხე – რაში გამოიხატება სისასტიკე-მეთქი? – მიპასუხა – ზავრადაშვილის მშობლების თვალწინ ჩაიდინა მკვლელობაო. მართალია, მისი დედ-მამა და ახლობლები იქ იყვნენ, მაგრამ ჩხუბში ისინიც იღებდნენ მონაწილეობას და რა სისასტიკეზეა საუბარი?“

ადვოკატი პროკურატურის მიერ წაყენებული მუხლის გადაკვალიფიცირებას მოითხოვს, დაზარალებული ოჯახი კი – განსასჯელის დამნაშავედ ცნობასა და კანონის მთელი სიმკაცრით მის დასჯას. როგორც სახელმწიფო ბრალმდებელმა გვითხრა, მოწმეები არაერთგვაროვან ჩვენებებს იძლევიან, რამაც სიტუაცია ძალზე გაართულა. საბოლოო სიტყვას ბრალდება სავარაუდოდ, მომავალ კვირაში იტყვის. ■

ჟურნალისტურმა ცნობისმოყვარეობამ მძლია. თუმცა, ის ბოლომდე მაინც ვერ დავიკმაყოფილე...

რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტი გურამ სოზაშვილი ორი წლის წინ გაემგზავრა ინგლისში. გამოიცვალა რამდენიმე კოლეჯი, რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი და ბოლოს, ქალაქ ბომასში დამკვიდრდა. გურამი კატეგორიულად არ ეთანხმება ინგლისელების შესახებ გავრცელებულ აზრს — ცივი და კონსერვატორი ხალხიაო. მოხიბლულია იქაური ქალებით და მასმედიით, რომელიც საკმაოდ მკაცრია და არც ერთ შეცდომას არ აპატიებს არც სამეფო ოჯახს და არც პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს. ჩვენც საუბარი სწორედ იქაური ჟურნალ-გაზეთების მიმოხილვით დავიწყეთ...

რას ეძებდა ქართველი ჟურნალისტი მერილინ მონროს კაბის ქვეშ?

და შეხვედრა „ინგლისელ“ ქეთი მელუასთან

ნანა ქიბიშაური

— გურამ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთმა მზარეულის ტანსაცმელში გადაცმულმა ჟურნალისტმა სამეფო ოჯახში შეაღწია, გარკვეული დროის განმავლობაში სასახლეში ცხოვრობდა და საკმაოდ საინტერესო ინფორმაციაც გამოიტანა. რა ბედი ეწია მერე იმ ჟურნალისტს?

— დაიანას გარდაცვალების შემდეგ, სამეფო ოჯახი უფრო კარჩაკეტილი გახდა. სამეფო რეზიდენციას ახლოს თუ ჩაუვლი, გრძნობ, იქ რაღაც ისეთი ხდება, რასაც საგულდაგულოდ მალავენ. ალბათ, ეს უბიძგებს ჟურნალისტებს გამოიყენონ ყველა ნებადართული თუ აკრძალული მეთოდი, რომ გაიგონ, სინამდვილეში რაშია საქმე. იმ „მზარეულმა“-ჟურნალისტმა საკმაოდ კარგად ჩაიხედა დედოფლის სამზარეულოში და სამეფო კარისთვის არცთუ ისე სასიამოვნო ინფორმაცია გამოიტანა გარეთ. მის საქმეს სასამართლო განიხილავს და ალბათ გაზეთს საკმაოდ დიდი ჯარიმის გადახდას დააკისრებენ. როდესაც დედოფლის პირადი ცხოვრების ამსახველ დეტალებზეა საუბარი, ცენზურა ძალიან მკაცრად მუშაობს. ინგლისელები ამაყობენ თავიანთი დედოფლით, მაგრამ მანდილოსნები უარყოფითად არიან განწყობილნი ჩარლზის მიმართ. პრინცი უილიამი და მისი ძმა საკმაოდ პოპულარულები არიან, თუმცა, ახლახან ერთ-ერთ სატელიტურ არხზე მომზადდა გადაცემა, სადაც იმაზე იყო ლაპარაკი, თუ რა უჯდება ინგლისს უილიამის ერთი უიკ-ენდი ან ფეხსაცმლისა თუ ტანსაცმლის კოლექცია. გადაცემაში საკმაოდ სკანდალურ ფაქტებსა და ციფრებზე იყო საუბარი. ჩემს მეგობრებსაც კი, რომლებიც დიდი სიმპათიით არიან უილიამისა და ჰარის მიმართ განწყობილნი, ამ გადაცემის შემდეგ მათზე შთაბეჭდილება შეეცვალათ. ინგლისში პრესის გულის მოგება არც ხელოვნების მუშაკებისთვის არის იოლი. მკაცრად აკრიტიკებენ უნიჭობას და უგემოვნობას...

— მაგრამ, როგორც ვიცი, ქეთი მელუას არ გასჭირვებია ინგლისელების გულის მოგება. პრესაც მის მიმართ კარგად არის განწყობილი და ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდზეც დაიმკვიდრა ადგილი...

— ქეთი იქ მართლაც ძალიან პოპულარულია. წამოსვლისას ერთ-ერთი ავტორიტეტული გამოცემის გარეკანზე მისი ფოტო ვნახე წარწერით: „ამომავალი ვარსკვლავი“ — ამ ტიტულის მოპოვება მის ასაკში მართლაც დიდი მიღწევაა. ქეთის მე ბომასში შევხვდი. იქ იყო მისი კომპაქტდისკის პრეზენტაცია, რომლის შემდეგაც დაიწყო საგასტროლო ტურნე ევროპასა და ამერიკაში. ის დაცვის წევრებით ისე იყო გარშემორტყმული, რომ მასთან მიახლოება წარმოუდგენელი გახლდათ. ხმამაღლა დავიძახე: „ქეთი გილოცავ“-მეთქი და ისიც ხმის მიმართულებით შემოტრიალდა. „თქვენ საქართველოდან ხართ“? — მკითხა გაკვირვებულმა და გახარებულმა. ჩვენ შორის ძალიან ხანმოკლე შეხვედრა შედგა. მისი პროდიუსერი და ფანები საუბარს არ გვაცლიდნენ. მე მისი ტელეფონი მაქვს და ინგლისში ჩასვლის შემდეგ ვფიქრობ, მოვახერხებ მასთან შეხვედრას. ძალიან კარგად არის ინგლისური პრესა განწყობილი ქართველი პრიმა-ბალერინის, ბალეტის სამეფო დასის წევრის, ელენე გლურჯიძის მიმართ. მასზე ძალიან ბევრი კარგი რეცენზია იწერება და ინგლისში ისიც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

— საუბრის დასაწყისში მითხარი, რომ ინლისელები არც ცივები არიან და არც ზედმეტად კონსერვატორებიო. მაშ, რა ახასიათებს მათ?

— სიძველეების სიყვარული და კიდევ სულ დროის დეფიციტს განიცდიან. ამიტომ ყველა ძალიან სწრაფად დადის. უყ-

მისი პროდიუსერი და ფანები საუბარს არ გვაცლიდნენ (შეხვედრა ქეთი მელუასთან)

მეკითხებიან – ვა, ამათთან როგორღა მოხვდიო?

ვართ ძველი სახლები, ძველი მანქანები... ამას წინათ, ძალიან ძველმა „ვოლგამ" ჩაგვიქროლა. ახლაც ვერ აგიხსნით, რატომ გამიხარდა ასე ძალიან მისი დანახვა, აღტაცებულმა გავაყოლე თვალი. ასეთივე რეაქცია ჰქონდათ ჩემს ინგლისელ მეგობრებსაც – შენ იცი, ეს რა მანქანაა – შეგიძლია, ასეთი მანქანის შეძენაში დაგვეხმაროო? – მეკითხებოდნენ.

— **ინგლისის ძველი სახლები კი, მოჩვენებებს იზიდავს თურმე...**

– სიმართლე გითხრათ, ასეთ სახლში მოხვედრის სურვილი არ გამჩენია. აი, მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმის ნახვა კი ძალიან მინდოდა. ამის ნახვა მართლაც ღირს. ბევრი ფოტო გადავიღე. შინაურულად ჩავდექი სამეფო ოჯახის წევრებს შორის, ძმაკაცურად გადავხვიე ხელი სილვესტერ სტალონეს, შევიჭყიტე მერილინ მონროს კაბის ქვეშ..

— **კი მაგრამ რას ეძებდი იქ?**

– ჟურნალისტურმა ცნობისმოყვარეობამ მძლია. თუმცა, ის ბოლომდე მაინც ვერ დავიკმაყოფილე, რადგან დაცვამ გამომიყვანა და წესიერად ქცევისკენ მიმითითა. მერილინ მონროს ფიგურას რატომღაც თეთრი კაბის ქვეშ მუქი ლურჯი საცვალი აცვია. რატომ მაინცდამაინც ლურჯი – ვერ გავარკვიე.

— **ქართულ ჟურნალებს ხშირად სდებენ ბრალს, — ყვითელ პრესაზე გაქვთ ორიენტაცია აღებული, საცვლებზე წერთო. ამას ვერც ამჯერად ავცდით...**

– ყვითელი პრესა ლურჯი საცვლების შესახებ არა? კი, მაგრამ თუ ის საცვალი მერილინ მონროს ეკუთვნის, მე მგონი, გამართლებულია ამაზე საუბარი.

— **კახეთში რომ ჩაიტანე ეს ფოტოები (*გურამი თელავიდანაა. — ავტ.*), რა რეაქცია ჰქონდათ დამთვალიერებლებს?**

– ბევრი მათგანი თქვენი ჟურნალიდან შეიტყობს, რომ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, გურამ სოზაშვილი სამეფო ოჯახს ბანკეტზე ნამდვილად არ მიუწვევია და რომ ამ ფოტოზე ცვილის დედოფლის გვერდით ვდგავარ.

— **არადა, ვინ იცის, რამდენმა თქვა, — ხო ვამბობდი, ე ბალღი შორს წავაო, — არა?**

– ფოტოს დახედავენ თუ არა გაკვირვებულები მეკითხებიან, – ვა, ამათთან როგორღა მოხვდიო? – მეც სერიოზულად და საქმიანად ვპასუხობ: ჩემი პროფესიის წყალობით-მეთქი. მხოლოდ ერთმა ქალმა დამისვა განსხვავებული შეკითხვა: ნამდვილიაო? კინაღამ გამოვტყდი – თურმე დედოფლის ბრილიანტებზე მეკითხებოდა.

— **ერთ ფოტოზე ვილაც შავგვრემან გოგოს ეხუტები...**

– ჟანაინა ჰქვია, ბრაზილიელია. მესიჯებს მიგზავნის მენატრები, სასწრაფოდ ჩამოდიო...

— **დედაშენმა იცის?**

– რა?

— **შენი და ჟანაინას ამბავი.**

– ჯერ არა, მაგრამ მე მგონი წინააღმდეგი არ იქნება, სხვა ეროვნების გოგოზე ვიქორწინო. ოჯახში ამ თემასთან დაკავშირებით ბევრი შეკითხვა არ დაუსვამთ, შეიძლება იმიტომ, რომ ამ ყველაფერს სერიოზულად არ აღიქვამენ. თუ შევძელი და ახლობლები დავარწმუნე, რომ ეს გოგო მართლა მომწონს...

— **ფოტოს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გაგიჭირდება დარწმუნება. მჭადის გამოცხობა მაინც თუ ასწავლე ჟანაინას?**

– ძალიან მოსწონს ქართული სამზარეულო. ლონდონში არის ქართული რესტორანი, იქ გასინჯა მჭადი და როცა გაიგო, რომ მისი გამოცხობა ძალიან ადვილია, თვითონაც სცადა. რაღაც კი გამოაცხო, მაგრამ ვერ გეტყვით რა. ის „რაღაც" მჭადი ნამდვილად არ იყო.

— **ქართველთა სათვისტომოსა და საქართველოს საელჩოს შესახებ რას გვეტყვი?**

– ინგლისში მცხოვრები რიგითი ქართველების აზრით, საქართველოს საელჩო ძალიან უსუსური და ბუტაფორიული ორგანიზმია. მას არ შესწევს ძალა რაღაც პრობლემის მოგვარებაში რეალურად დაეხმაროს თავისი ქვეყნის მოქალაქეს. მე იქ ბევრი იმედგაცრუებული ქართველი ვნახე. მათ არ დახვდათ ისეთი ინგლისი, როგორსაც ელოდნენ. მხოლოდ მცირე კატეგორიაა კმაყოფილი. სამუშაოს შოვნა იქ არ ჭირს, მაგრამ ინგლისში ცხოვრება ძვირი სიამოვნებაა. ამ მხრივ ლონდონი გამოირჩევა. ის ალბათ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე „ძვირი" ქალაქია, ქართველები იქ ბევრნი არ არიან. ქართველთა სათვისტომოსთან შეხვედრას ხშირად ვერ ვახერხებდი. ბოლო 4-5 თვის განმავლობაში ვეკონტაქტებოდი გაზეთ „თანამემამულე"-ს წარმომადგენლებს. ეს გაზეთი იბეჭდება გერმანიაში და მას ქართველთა სათვისტომო გამოსცემს. გაზეთის რედაქცია ინგლისში გადმოვიდა და მეც საშუალება მომეცა, მათთან მეთანამშრომლა. ერთად თავშეყრილი ქართველები ისეთ ნოსტალგიურ ატმოსფეროს ქმნიან, რომ ქვასა და ხესაც კი სამშობლოზე დააწყებინებენ ფიქრს. ძნელია წარმოიდგინოთ, თუ როგორ ადევნებდნენ თვალს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს უცხოეთში მცხოვრები ქართველები. ბიბი-სის ჰქონდა პირდაპირი ჩართვები საქართველოდან. დეტალურად აშუქებდნენ თუ როგორ მიმდინარეობდა „ვარდების რევოლუცია". ერთ-ერთი ჩართვის დროს, მოვისმინე, როგორ ლაპარაკობდა სტუდენტი გოგონა ყოფილ პრეზიდენტზე. ახლაც თითქოს ყურში ჩამესმის: შევარდნაძე სისხლისმსმელი დრაკონი იყოო – ძალიან ცუდი მოსასმენი იყო ეს იქ, ინგლისში. ამ გადაცემას რომ ვუყურე, მაშინ ერთ-ერთი ინგლისელის ოჯახში ვცხოვრობდი. ეს სიტყვები ითარგმნა თუ არა, მათ შეჰყვირეს, – ჰოდა, მონები ხომ არ ხართ, ჩამოაგდეთ, და თუ სისხლისმსმელი დრაკონია – მოკალითო! ის გოგონაც ჩემი იყო, ის „დრაკონიც", ის ხალხიც, ვინც ტელეეკრანზე

ჟანაინა ბრაზილიელია... რაღაც კი გამოაცხო, მაგრამ ვერ გეტყვით რა. ის „რაღაც" მჭადი ნამდვილად არ იყო.

ჩანდა და ის ქვეყანაც, რომლის შესახებაც საუბრობდნენ. ვიგრძენი ჩემთვის როგორი უცხო იყო ის ინგლისელთა ოჯახი, რომელმაც გვიკარნახა სიტყვა „მოკალით". ამის შემდეგ ერთი სული მქონდა, როდის ჩამოვიდოდი საქართველოში. სანამ წავიდოდი, უფრო ლამაზ ფერებში ვხედავდი ყველაფერს, ჩამოსვლის შემდეგ კი, თითქოს ნათელი ფერები მუქდება. ისევ ისე გიყვარს, მაგრამ უფრო მეტად გებრალება შენი ქვეყანა. ამიტომ ვამბობ, ან არასოდეს არ უნდა წახვიდე შენი ქვეყნიდან შორს და სხვა ქვეყნები არ უნდა ნახო, ან უკან დაბრუნებული არ უნდა აგიტანოს შიშმა და სიბრალულმა. უნდა გქონდეს იმედი, რომ მალე შენი ქვეყანაც აიდგამს ფეხს და განვითარების გზით წავა.

■

„ხანდახან ვაკეთებ ხოლმე, რომ ვცოცავ“

მარიკა ღარიბაშვილი

ხათუნა ჯავახიშვილი

რამდენიმე თვის წინ „ტელე-იმედის“ ეთერით ახალი ტელეწამყვანების გამოვლენის მიზნით კონკურსი გამოცხადდა.

შეირჩა 16 სტუდენტი და 5 იანვრიდან დაწყებული ახალი პროექტი „დუბლიორი“ სამი თვის განმავლობაში პირდაპირ ეთერში გადიოდა. ბევრი ძილის მოყვარული სწორედ მათ გამო იღვიძებდა დილით ადრე და გადაცემის მსვლელობისას სატელეფონო ზარებით აფიქსირებდა საკუთარ ფავორიტს.

„დუბლიორი“ დასრულდა და ორი გამარჯვებულიც გამოვლინდა: **სალომე არშბა** *და* **მარიკა ღარიბაშვილი**.

სალომე და მარიკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტები არიან. „დუბლიორში“ გამარჯვების შემდეგ კი, ისინი „ტელე-იმედის“ თანამშრომლებიც გახდნენ.

— რა სახით მოხდა კონკურსანტების შერჩევა „დუბლიორისთვის“?

მარიკა:

— უნდა დაგვეწერა 100-სიტყვიანი ჩანახატი ნებისმიერ თემაზე, ავტობიოგრაფია და ფოტოებთან ერთად მიგვეტანა „ტელე-იმედში“. 475 ბავშვიდან 40 შეგვარჩიეს, რომლებსაც კითხვარი შეგვავსებინეს და ვიდეოკასტინგი გავიარეთ. ზუსტად ორ დღეში დაგვირეკეს და 17 ბავშვი ერთად დაგვიბარეს. სამწუხაროდ, ერთი თავისი ნებით გამოგვაკლდა და დავრჩით 16 კონკურსანტი.

— ჩანახატი რა თემაზე გააკეთეთ?

მარიკა:

— გამოვიგონე, თითქოს ვიღაც ბოთლების ჩამბარებელი დადის ჩემთან სახლში, რომელიც იბარებს ისეთ არასტანდარტულ ბოთლებს, რომლებსაც სხვაგან არ იბარებენ. მოკლედ, ბოთლების კოლექციონერზე დავწერე. 100-სიტყვიანი უნდა ყოფილიყო ჩანახატი, მაგრამ მე 200-სიტყვიანი გამომივიდა.

სალომე:

— მე ერთ კოლექციონერ ქალბატონზე დავწერე, რომელიც დისნეის გმირების სათამაშოებს აგროვებს.

— კამერის წინ მუშაობა „დუბლიორში“ ისწავლეთ?

სალომე:

— პირველ არხზე არის ასეთი გადაცემა „საწინდარი“. პირველი კურსიდან ამ საუნივერსიტეტო გადაცემაზე ვმუშაობთ. სიუჟეტის გადაღება, სცენარის შექმნა „საწინდარში“ ვისწავლეთ. რამდენჯერმე ამ გადაცემის წამყვანებიც ვიყავით. კამერას იქ შევეჩვიეთ, მაგრამ პირდაპირ ეთერში მუშაობა სულ სხვაა.

— ეთერში გასვლის წინ თუ ნერვიულობდით?

მარიკა:

— ბავშვობიდან მქონდა კამერის წინ „დგომის“ სურვილი. ზოგს კამერის შიში აქვს, მაგრამ მე ეს არ მქონია. თავიდან ცოტათი ვნერვიულობდი, მაგრამ მერე გამიარა.

— „დუბლიორის“ გამო უნივერსიტეტში ლექციების გაცდენა გიხდებოდათ. ლექტორები როგორ რეაგირებდნენ ამაზე?

მარიკა:

— ძალიან გაუხარდათ ჩვენი წარმატება, გვგულშემატკივრობდნენ, მაგრამ ზოგიერთი მაინც ბრაზობდა, — ჯობია ჯერ ისწავლო და მერე მოხვდე ტელევიზიაშიო.

სალომე:

— ლექტორები მხარში გვედგნენ, ვიცი, გვირეკავდნენ კიდეც. ახლა გამოცდების პერიოდი მოახლოვდა და არ ვიცი, რა მეშველება, ძალიან იშვიათად დავდიოდით ლექციებზე. ალბათ შეღავათები გვექნება.

— „დუბლიორი“ დასრულდა. რამდენადაც ვიცი, საზღვარგარეთ მიდიხართ პრაქტიკის გასავლელად და ფულადი ჯილდოც დაგენიშნათ...

მარიკა:

— ახლა უკვე „იმედის“ თანამშრომლები ვართ. ალბათ ისევ დილის პროგრამაში ვიმუშავებთ, ჯერ ზუსტად არ ვიცით. ორივე მოსკოვში მივდივართ პრაქტიკის გასავლელად, ოღონდ ცალ-ცალკე. სალომე მაისში მიდის პოზნერის ტელეწამყვანების სკოლაში, მე სექტემბერში მივდივარ ინტერნიუსის სკოლაში.

მარიკა ღარიბაშვილი და სალომე არშბა (მარჯვნივ)

სალომე:

— „დუბლიორის“ ყველა მონაწილეს გადმოგვცეს სიგელი, „იმედის“ ოქროს ლოგო. მე სექტემბრიდან წამახალისებელი 100 ლარი დამენიშნა.

— პროექტი დამთავრდა, მაგრამ დუბლიორები აგრძელებთ ტელევიზიის გარეთ ურთიერთობას?

მარიკა:

— რა თქმა უნდა, ჩემთანაც მოდიან, სხვებთანაც მივდივართ. ახლა ყოველდღე ვედარ ვხვდებით, მაგრამ ტელეფონით ვეკონტაქტებით ერთმანეთს. თითქოს ერთმანეთის კონკურენტები უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ თავიდანვე პირველ ადგილზე მეგობრობა დავაყენეთ. ამას სათქმელად არ ვამბობ. მართლა ასეა.

სალომე:

— „დუბლიორის“ 16-ვე მონაწილე დიდი მეგობრები ვართ. ბევრს პირველად შევხვდი „იმედში“, მაგრამ ერთი ოჯახივით ვიყავით. ბანკეტის მოწყობაც გვინდა. ჩვენ — ბავშვები ვიქნებით და დილის რედაქციის თანამშრომლები.

— მოგიტანათ თუ არა ამ პროექტმა პოპულარობა? ქუჩაში თუ გცნობენ?

მარიკა:

— კი, ქუჩაში ზოგჯერ მცნობენ. ახლა ცოტა შევეჩვიე, მაგრამ თავიდან ერთი კაციც რომ მცნობდა, ჭკუაზე არ ვიყავი, ისე მიხაროდა.

სალომე:

— ზოგი პირდაპირ მოდის და კომპლიმენტებით გვავსებს, ზოგიც სხვა დუბლიორებთან გვაბარებს მოკითხვას. ხანდახან იმასაც ვამჩნევ, რომ მცნობენ და სხვებს ეჩურჩულებიან: „ეს სალომეა, იცანი?“

„დუბლიორის“ პირველი გამოშვება წარმატებით დასრულდა, ამ პროექტის მეორე გამოშვებას კი მაყურებელი შემოდგომაზე იხილავს.

■

ერაყში ქართველ ქალბატონს ამერიკელი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა

რეზო ხარჩილავა

მარი ჯაფარიძე

ერაყში ქართველი სამხედროების მეორე ჯგუფი გაემგზავრა. მათ ახლობლების უამრავი ცრემლი აცილებდა... ეს ბუნებრივიცაა, რადგან ისინი ცხელ წერტილში გაფრინდნენ. რაღა თქმა უნდა, ყველას აინტერესებს, რა პირობებში იქნებიან ჩვენი შვილები, მეუღლეები, ძმები... სწორედ ამის გამო დავუკავშირდით ერაყიდან ჩამოსული პირველი ჯგუფის წევრებს და ვთხოვეთ, დაწვრილებით მოეთხროთ – როგორ ცხოვრობდნენ, როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ამერიკელ ჯარისკაცებთან თუ ადგილობრივ მოსახლეობასთან. ბატონი ***რეზო ხარჩილავა*** *სამხედრო ჰოსპიტლის მთავარი ქირურგია და ერაყში მედიკოსთა ჯგუფის ხელმძღვანელი გახლდათ. მოდით, პირველ რიგში მას მოვუსმინოთ:*

— ბატონო რეზო, ერაყში საკუთარი სურვილით წახვედით?

– მე პოლკოვნიკი გახლავართ, ამიტომ, რომ ებრძანებინათ, უნდა წავსულიყავი, მაგრამ ერაყში წასვლა საკუთარი სურვილით გადავწყვიტე. მოვაწერეთ კონტრაქტს ხელი და გავემგზავრეთ.

— ეს უბრალოდ, ადამიანური ინტერესი იყო, პროფესიონალური თუ მატერიალურიც?

არ ვიცი, ეს რას მივაწერო, მაგრამ კოალიციური ჯარებიდან ამერიკელები ქართველებს ყველაზე დიდ პატივს სცემდნენ

– მე აფხაზეთის ომიც გამოვლილი მაქვს. ამიტომ არ შემშინებია, როდესაც ასეთი გადაწყვეტილება მივიღე. თუმცა, არც იმას დავმალავ, რომ ფინანსური დაინტერესებაც მქონდა. თვეში 1.500 დოლარს მიხდიდნენ. აქედან სამასი დოლარი მექვითებოდა. დანარჩენი თანხა კი თბილისში, ბანკში პირად ანგარიშზე მერიცხებოდა. წინასწარ ვიცოდი, რომ ექვსი თვე დავრჩებოდით, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ერთი თვით დაგვაგვიანდა ჩამოსვლა.

— რამდენი ადამიანი გაემგზავრეთ აქედან?

– 69 კაცი ვიყავით. მედიკოსების გარდა საინჟინრო და სპეცდანიშნულების რაზმებიც იყო. თბილისიდან პირდაპირ ბაღდადში ჩავფრინდით. იმ ღამით იქ დავრჩით, აეროდრომი იბომბებოდა. მეორე დღეს ჩვენ, სამედიცინო ოცეული ქალაქ ბალადში გადაგვიყვანეს. ეს ქალაქი ბაღდადისგან 80-90 კმ-ით არის დაშორებული. იქ გახლდათ ამერიკელთა სამხედრო ბაზა, სადაც 17 ათასი ჯარისკაცი იყო თავმოყრილი და იქვე იყო ჰოსპიტალიც. პალატები და ჩვენი საცხოვრებელი ოთახები ბრეზენტის კარვებში იყო განთავსებული. დაჭრილებს ვუწევდით პირველად დახმარებას, შემდეგ ისინი გადაჰყავდათ ქუვეითში, გერმანიასა ან ამერიკაში. ჩვენ ამერიკელ ექიმებთან ერთად ვმუშაობდით. თავდაპირველად ჩვენ შორის ენობრივი ბარიერი არსებობდა, მაგრამ თარჯიმნების დახმარებით იოლად დავძლიეთ, მერე კი ინგლისურშიც გავიწაფეთ.

— იქაურ ჰავასთან შეგუება გაგიჭირდათ?

– რა თქმა უნდა. დღისით ჰაერის ტემპერატურა +70 გრადუსამდე ადიოდა. საღამოს შედარებით გრილოდა, 50 გრადუსი იყო. კოღოებიც გვაწუხებდა. იმ ადგილებში ბევრი მორიელი და გველი იყო. ბიჭები იჭერდნენ და მინის ქილებში აგროვებდნენ.

— ადგილობრივ მოსახლეობასაც უწევდით დახმარებას?

– რა თქმა უნდა. ვინც მოგვმართავდა, ყველას ვეხმარებოდით.

— ამერიკელებთან ურთიერთობა გაგიჭირდათ?

– სულაც არა. ჩვენ, ქართველებს განსაკუთრებულად გვექცეოდნენ. არ ვიცი, ეს რას მივაწერო, მაგრამ კოალიციური ჯარებიდან ამერიკელები ქართველებს ყველაზე დიდ პატივს სცემდნენ. მე ხშირად მიწევდა ბრიფინგებზე წასვლა ბაბილონში, ბაღდადში. იქ აუცილებლად სიტყვით უნდა გამოვსულიყავი. გამოაცხადებდნენ ხოლმე: ახლა მოვუსმინოთ ქართველ ქირურგს, პოლკოვნიკს და ვნახოთ, რას გვეტყვისო.

— რა აინტერესებდათ? რა შეკითხვებს გისვამდნენ?

– ძირითადად აინტერესებდათ, როგორი პოლიტიკური ვითარება იყო საქართველოში, რას ვფიქრობდით ქართველები ერაყის ომთან დაკავშირებით. შემდეგ, ნოემბრის რევოლუციის პერიოდში სულ გვგულშემატკივრობდნენ. ბალადში სულ ოთხი თვე დავყავით. შემდეგ გადაგვიყვანეს ქალაქ ელკუტის ბაზაზე, სადაც უკრაინელები იყვნენ...

— ქართველი ექიმებისა და ამერიკელების პროფესიონალიზმზე რას გვეტყვით?

– მათ აქვთ საუკეთესო სამედიცინო ტექნიკა. თვითონვე აღიარებდნენ, რომ ჩვენს მდგომარეობაში ისინი ვერაფერს მოიმოქმედებდნენ. მათთვის არ არსებობს – არ მაქვს. თუ რაიმე პრეპარატი ახლა არა აქვთ, რამდენიმე საათის შემდეგ აუცილებლად ექნებათ. სხვათა შორის, კარგ პირობებთან შეგუება სულაც არ გაგვჭირვებია *(იცინის)*. ისინი კი, აქ რომ ჩამოიყვანო, ვერაფერს გააკეთებენ.

— საყოფაცხოვრებო პირობები როგორი გქონდათ?

– კარგ პირობებში ვიყავით. დენი სულ იყო, მაგრამ თითო პალატას თითო გენერატორი ჰქონდა, ყოველი შემთხვევისთვის. კვება – საუკეთესო. თუ რაიმე საჭმელი არსებობს, ყველაფერი შეუზღუდავი რაოდენობით იყო. ნატურალურ წვენებსა და „ფანტა“-,,კოკა-კოლაზე“ ხომ აღარაფერს ვამბობ. მაღალი ტემპერატურის გამო დიდი რაოდენობით სითხის მიღება აუცილებელია. ცივი წყალიც სულ გვქონდა. უზარმაზარი მაცივარი იდგა, სადაც წყლის მარაგი ინახებოდა. უალკოჰოლო ლუდიც კი თავზე საყრელად იყო. ერთადერთი, რაც არ

მოიპოვებოდა, ალკოჰოლური სასმელი გახლდათ. ამერიკულ ჯარში ერთი ჯარისკაცის კვება დღეში 25 დოლარი ჯდება. ჩვენ აბსოლუტურად თანაბარ პირობებში გახლდით.

— ხშირად იბომბებოდა ის ტერიტორია, სადაც თქვენ იმყოფებოდით?

— ბალადში ყოფნის დროს წარამარა ვიბომბებოდით. ადგილობრივი მოსახლეობა ამზადებდა თვითნაკეთ ბომბებს — გადაჭრილ მილში რამდენიმე ხელყუმბარას ჩადებდნენ და ღობის გადაღმა გადმოისროდნენ ხოლმე. ასეთ შემთხვევაში სპეციალურად გათხრილ სანგრებში ვაფარებდით თავს. თუ ბაზის ტერიტორიიდან გასვლა გვიწევდა, აუცილებლად დაცვის თანხლებით მივდიოდით. ბაზის ტერიტორიაზეც სპეციალური ავტომანქანები გვემსახურებოდა.

— ახლობლებთან კონტაქტს როგორ ამყარებდით?

— იშვიათად ვრეკავდით ტელეფონით. ინტერნეტით კი შეუზღუდავად შეგვეძლო წერილების გამოგზავნა.

— რომელიმე რომ დაჭრილიყავით, პასუხისმგებლობას ვინ აიღებდა თავზე?

— ტრაგიკული შემთხვევის შედეგად, დაღუპულის ოჯახს ათი თვის ხელფასს გადაუხდიდნენ. საბედნიეროდ, ყველანი უვნებლად ჩამოვედით. დაჭრის შემთხვევაში კი, 3.400 დოლარს გადაუხდიდნენ ერთჯერადად. ამერიკელ ჯარისკაცს თითოეულ გასროლაზე უხდიდნენ თანხას, იქ თითოეული ტყვიის გასროლა და სამხედრო ქმედება აღირიცხებოდა და ისე უხდიდნენ დამატებით ხელფასს.

— თქვენთან ერთად ქალებიც იყვნენ. ამერიკელი ჯარისკაცები ხომ არ დაინტერესდნენ ქართველი ქალბატონებით?

— რა თქმა უნდა. ისინი მიჩვეული იყვნენ კოალიციის ჯარების ქალბატონებთან თავისუფალ ურთიერთობას. თავდაპირველად ეგონათ, რომ ჩვენს ქალებთანაც ასე გაუვიდოდათ, მაგრამ მათ წინააღმდეგობას რომ წააწყდნენ, მიხვდნენ, რომ ასე იოლად ვერ დაიპყრობდნენ ჩვენი ქალების გულებს. ერთ-ერთ ექთან გოგონას საკმაოდ სერიოზული თაყვანისმცემელი გამოუჩნდა. ის ბიჭი ჩვენთან მეგობრობდა, თავის მშობლებსაც შეატყობინა, ქართველი საცოლე მყავსო. გოგონა საქართველოში იმ პირობით წამოვიყვანეთ, რომ მშობლებს საღსალამათს ჩავბარებდით და მერე გაჰყვებოდა თავის ამერიკელ საქმროს. რამდენადაც ვიცი, მათ მიმოწერაც აქვთ და ტელეფონითაც უკავშირდებიან ერთმანეთს.

— ქართული მხარე თუ ინტერესდებოდა თავისი ქვეყნის მოქალაქეების ბედით?

— ქართული ჯგუფის უფროსი გახლდათ გვარად კაზალიკაშვილი, ვიცე-პოლკოვნიკი, რომელიც ბაღდადში, ცენტრალურ შტაბში იმყოფებოდა. მისი საშუალებით საქართველოს მთავრობა ჩვენ შესახებ ყველანაირ ინფორმაციას იღებდა.

ბატონ რეზოსთან საუბრის შემდეგ, ორ ქალბატონს დავუკავშირდი, რომლებიც ერაყში ქართულ ჯგუფთან ერთად იმყოფებოდნენ. ***ქეთინო ჩორგოლაშვილი*** *და* ***ნაირა წულაია*** *ჰოსპიტლის უფროსი ექთანები არიან. ორივე გაგრის მკვიდრია და აფხაზეთის ომგამოვლილი.*

— როგორ მოხვდით ერაყში წამსვლელთა სიაში?

ქეთინო:

— მთავარმა ექიმმა გამომიძახა და მთხოვა, საშუალო მედპერსონალისთვის მომეყარა თავი. ვიდრე ყველა გავაფრთხილე და მისაღებში ჩავედი, იქ უკვე ჩოჩქოლი და ხალხმრავლობა დამხვდა. ერთმა დაიძახა: — ქეთი, ერაყში მივდივართ და რას იზამო? — ხუმრობა მეგონა და ვუპასუხე — ჩამწერეთ-მეთქი. აღმოჩნდა, რომ სულაც არ ყოფილა ხუმრობა...

ნაირა:

— მეორე დღეს მოითხოვეს წამსვლელთა სია, რომელიც უფროსთან უნდა ჩაეტანათ. ჩავეწერე სიაში. ვიფიქრე, მერე ამოვეწერები-მეთქი, მაგრამ ვინ ამოგწერა? ასე გავემგზავრე ერაყში. ოჯახის

თუ ბაზის ტერიტორიიდან გასვლა გვიწევდა, აუცილებლად დაცვის თანხლებით მივდიოდით

წევრებს უშუალოდ წასვლის წინ გავუმხილე. არ ესიამოვნათ, მაგრამ რას იზამდნენ?

ქეთინო:

— მე შვილების, შვილიშვილების პატრონი ვარ. არც არავის გაუწევია წინააღმდეგობა.

— ბავას თქვენც ძნელად შეეგუეთ?

ნაირა:

— უჰ, ძალიან. ვერ შევეგუეთ სიცხეს და ბომბების აფეთქებების ხმას. კარავში კონდიციონერი გვქონდა, მაგრამ იმ პირობებში ესეც არ იყო საკმარისი.

— ხშირად გბომბავდნენ?

ქეთინო:

— პირველი დაბომბვა პირველსავე ღამეს მოხდა, სამ საათზე. მე აფხაზეთის ომში ამას მიჩვეული ვიყავი. ყველანი ფეხზე წამოვყარე, ჩაიცვით-მეთქი, მაგრამ ვიდრე ამათ ჩაიცვეს, დაბომბვა შეწყდა.

— მშვენიერმა ქართველმა ქალბატონებმა ამერიკელი ჯარისკაცების დაინტერესება არ გამოიწვიეთ?

ქეთინო:

— კოალიციის ჯარში ქალების სიმცირე იგრძნობოდა. უკრაინელებს ჰყავდათ სამი გოგონა — თარჯიმნები, მედპერსონალი კი, მთლიანად მამაკაცებისგან შედგებოდა. თავიდან გვეკითხებოდნენ, ვინ ვიყავით. შემდეგ უკვე გვცნობდნენ, ხელის აწევით გვესალმებოდნენ და ჰელო, ჯორჯიაო, გვეუბნებოდნენ, ან დაგვიძახებდნენ — „გუდ ჯორჯია, გუდ ჯორჯია!“

— გასართობად თუ იცლიდით?

ნაირა:

— ამერიკელებს პირველ პლანზე სწორედ გართობა აქვთ დაყენებული. სამუშაო საათებში დატვირთული ხარ მაქსიმალურად. სამაგიეროდ,

მიჩვეული იყვნენ კოალიციის ჯარების ქალბატონებთან თავისუფალ ურთიერთობას. თავდაპირველად ეგონათ, რომ ჩვენს ქალებთანაც ასე გაუვიდოდათ

შემდეგ შეგიძლია გაერთო. წახვიდე კინოში, კლუბში, დისკოთეკაზე, აუზზე. მახსოვს, პირველად როცა საცურაოდ წავედით, მე და ერთი გოგონა შევედით წყალში. აუზი თანდათან ღრმავდებოდა, ბოლოში კი, ფეხზე დასადგომი იყო. რომ დავდექით, აუზის პირზე დარჩენილებმა იფიქრეს, რომ წყალი ღრმა არ იყო და თამამად შემოვიდნენ წყალში. თურმე, ცურვა არ სცოდნიათ. რომ ჩაყვინთეს, მეგონა, მაგარი მოცურავეები არიან-მეთქი და ყურადღება არ მიმიქცევია. თურმე იხრჩობოდნენ... მოკლედ, ამერიკელმა ჯარისკაცმა გადაარჩინა ჩვენი გოგონები. ამის შემდეგ, აუზთან რომ გამოვჩნდებოდით, მაშინვე თოკებს გააბამდნენ ხოლმე და მობილიზებული იყვნენ იმისთვის, რომ საჭიროების დროს დაგვხმარებოდნენ. ბაზაში მყოფი 17 ათასი ჯარისკაცი ყველაფრით უზრუნველყოფილი იყო. აღნიშნავდნენ დღესასწაულებს, აწყობდნენ ბალ-მასკარადებს. ასევე გვქონდა საშუალება, გვეთამაშა კომპიუტერზე, გვევარჯიშა ტრენაჟორებზე. ამერიკელებს არ მოსწონთ პასიური ადამიანები. ყველაფერში უნდა მიიღო მონაწილეობა. ჩატარდა სიგარეტის მოწევის საწინააღმ-

ქეთინო ჩორგოლაშვილი

დეგო ღონისძიება. ჩვენ ძალზე აქტიური მონაწილეობა მივიღეთ და ამისთვის მადლობაც კი გამოგვიცხადეს.

ქეთინო:

— ამერიკელებში სიგარეტის მოწევის საწინააღმდეგო ძალზე აქტიური კამპანიაა გაჩაღებული. ჩამოტანილი ჰქონდათ წამლები და ვისაც სურვილი ჰქონდა, ამ წამლების საშუალებით შეეძლო სიგარეტისთვის თავის დანებება. იქ ერთი შვილობილი ჯარისკაცი მყავდა. ქართული ისწავლა. დადგებოდა ჩვენს კარავთან და მეძახდა ხოლმე: — დედა! — რომ გავაგონებდი, შემეკითხებოდა — კანფეტი აქ? — მაქვს! — მოგეცი, რა! — შემდეგ ვკითხავდი — რობერტო, კანფეტი მოგეწონა? — მე მომწონს კანფეტი — მიპასუხებდა და თვითონაც უხაროდა, ქართულად ლაპარაკს რომ ახერხებდა. ზოგმა წერაც კი ისწავლა ქართულად.

ნაირა:

— თავიდან ძალზე გაგვიჭირდა ენობრივი ბარიერის გადალახვა. შემდეგ ნელ-ნელა ინგლისურს დავეუფლეთ და უფრო გვიადვილდებოდა ურთიერთობა. რევოლუციის მიმდინარეობას პირდაპირ ეთერში ვუყურებდით. ქართველმა ბიჭებმა CNN-ის არხზე დააყენეს ტელევიზორი და ამერიკელები არც მიჰკარებიან, რადგან იცოდნენ, რომ ეს ინფორმაცია ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ყველა ჯარისკაცმა იცოდა ნინო ბურჯანაძისა და მიხეილ საკაშვილის სახელები და მათ მიმართ ძალზე კეთილგანწყობილნიც იყვნენ. სულ გვეკითხებოდნენ, რით დაგეხმაროთ? მხარდაჭერა ხომ არ გჭირდებათო?

— ადგილობრივი მოსახლეობა როგორ პირობებში ცხოვრობს?

ნაირა:

— საშინელ სიღარიბეში, პატარა მიწურებში ცხოვრობენ, რომლებიც გარედან ტალახითაა შელესილი. ეს მიწურები ერთმანეთზეა მიდგმული და ყოველ მათგანზე აუცილებლად დროშა ფრიალებს, რომელიც მათ სარწმუნოებრივ კუთვნილებაზე მიანიშნებს, შავი კი, ოჯახის მგლოვიარობას აღნიშნავს. ბაღდადში ცხოვრება დუღს. უმდიდრესი სასახლეებია წამოჭიმული და ომის ქარცეცხლი სულაც არ იგრძნობა. მხოლოდ აქა-იქ თუა ნანგრევები.

— ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილი იყო ამერიკელების შემოსვლით?

ნაირა:

— უმეტესწილად, კი. თუმცა არიან ისეთებიც, ვინც ეწინააღმდეგება მათ. ასეთი ადამიანების რაოდენობა გაცილებით მცირეა.

— საინტერესო თავგადასავალიც ბევრი გექნებოდათ...

ქეთინო:

— რა თქმა უნდა. ერთს გავიხსენებ. უზარმაზარი, მაცივარ-კონტეინერი იდგა. პირველად რომ მოიტანეს და წყლის ბოთლებით გაავსეს, გვთხოვეს, თითო ბოთლზე მეტს ნუ დალევთ, იქნებ, ტემპერატურა „აკრიფოს“, შემდეგ, რამდენიც გინდათ, მიირთვითო. ცივ წყალს მონატრებული ვიყავით. სამი ქალი მივადექით მაცივარს, მივიხედ-მოვიხედეთ და ამერიკელები რომ ვერ დავინახეთ, მაცივარში შევძვერით. ერთი სულ წინ წავიდა, მეორე — მაცივრის შუაში, მე კი კართან ვიდექი და დავინახე, რომ კარი იხურებოდა. ვცადე,

ნაირა წულაია

შემეჩერებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე. კარი ბოლომდე მოიხურა და ჩაიკეტა. ჩვენ შიგნით დავრჩით. კარგა ხანს ვიყურყუტეთ, ვაბრახუნეთ, შემდეგ ნაირას გაუგია ჩვენი ხმაური და კარი გაგვიღო. უფროსმა „გვაგინა“ — „კრისებივით“ რომ შეძვერით მაცივარში, იმის ღირსები იყავით, შიგნით რომ გაყინულიყავითო.

აი, ასე ცხოვრობდნენ ერაყში ქართველები. მადლობა ღმერთს, უკლებლივ ყველა დაუბრუნდა ოჯახს. ახალწასულ ჯარისკაცებს კი ჯანის სიმრთელესა და წარმატებას ვუსურვებთ.

დაბოლოს, რამდენიმე რჩევა, რომელსაც ერაყში ახალწასულ ქართველ ჯარისკაცებს, იქიდან დაბრუნებული, უკვე გამოცდილი ადამიანები აძლევენ.

არ შეიძლება ენდონ უცნობ ადამიანს — პირველ რიგში, ადგილობრივ მცხოვრებს, რადგან ძნელია, მათ შორის გაარჩიო მტერი და მოყვარე.

აუცილებლად უნდა დაემორჩილონ სამშვიდობო ქვედანაყოფის წესდებისა და კანონის ყველა მუხლს.

დასვენების დროსაც კი არ უნდა იარონ სამოსის გარეშე და თუ მაინც წელს ზევით შიშველი სიარული სურთ, უნდა წაისვან სპეციალური კრემი, რომ მზისგან დამწვრობა არ მიიღონ.

არ უნდა დალიონ არანაირი წყალი, გარდა იმისა, რაც ბოთლებით, სპეციალურად სასმელად შემოდის, რადგან ადგილობრივი წყლით კბილების გახეხვამაც კი შესაძლოა, რაიმე ინფექცია გამოიწვიოს.

აუცილებლად უნდა ატარონ მზის სათვალე.

არავითარ შემთხვევაში ფეხშიშველებმა არ იარონ, ვინაიდან იქ ქვიშა ღამითაც ცხელია.

უნდა დაიცვან სანიტარული ნორმები და დღის განრიგი.

დაბომბვის დროს რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიხურონ ჩაფხუტი, ჩაიცვან სპეციალური ჟილეტები და სანგარს შეაფარონ თავი. ■

შენ ჭკვიანი გეგონე? – ანუ პოლიტიკა და ნევროზი

მარი ხაფარიძე

ახლობელ ადამიანს ფსიქიატრიულ კლინიკაში, ნათესავის მოსანახულებლად გავყევი. ვიდრე ჩემი ახლობელი პალატაში საუბრობდა, მე ფოიეში ვიჯექი და იქ მოსიარულე ავადმყოფებს ვაკვირდებოდი. მინდა გითხრათ, საკმაოდ უცნაურ სამყაროში აღმოვჩნდი: ორმოციოდე წლის მამაკაცს ხელში გაზეთის ნაგლეჯი ეჭირა, ხელების ქნევით წინ და უკან დადიოდა და ხმამაღლა „კითხულობდა“. ტექსტს, ძირითადად პოლიტიკურ საკითხებზე, როგორც ჩანს, თვითონვე თხზავდა. მეორე ავადმყოფი დაცვის თანამშრომელს ანამუსებდა: ერთი ღერი პაპიროსი რომ მომეცი, ბევრი გენანება? მასესხე და პრეზიდენტი რომ გავხდები, ჩაგასესხებო. მესამე – სავარძელში გაუნძრევლად იჯდა, ხელები მუხლებზე დაეწყო და ჭერში ერთ წერტილს მიშტერებოდა. შიგადაშიგ თავს დანანებით გადააქნევდა, ნწუ-ნწუო – იტყოდა, მუხლზე ხელს დაირტყამდა და ისევ ერთ წერტილს გაუშტერებდა თვალს. თითქოს, იქ მისი წარსულიდან სასიამოვნო მოგონებებს ხედავდა და ნანობდა, რომ დღეს გისოსებიან სახლში ცხოვრობს. ცოტა ხანში კარგად ჩაცმული, სანდომიანი, ოცდაათ წლამდე ასაკის მამაკაცი მომიჯდა გვერდით და გამოკითხვა დაიწყო: ვინ ვიყავი, რა მინდოდა... ვიფიქრე, ავადმყოფის სანახავად მოსული ნათესავია-მეთქი და საუბარში ავყევი. ცოტა ხანში აჭარაში მიმდინარე პროცესებით დაინტერესდა. – ეს ჩვენი ოპოზიციონერია – მიმითითა გაზეთის მკითხველ ავადმყოფზე (რომელიც როგორც მოგვიანებით დაცვის თანამშრომელმა მითხრა, ერთ-ერთი ყოფილი პარლამენტარის ღვიძლი ძმა აღმოჩნდა), მომავალ არჩევნებში ყველა მავას მივცემთ ხმასო. როდესაც ჩემს თვალებში გაკვირვება ამოიკითხა, გაიცინა: – შენ მე ჭკვიანი გეგონე? ვიცი, ვერ მიხვდი, რომ გიჟი ვარ! – წამოხტა, ერთი-ორი ბუქნი გააკეთა, თან წაუმღერა – არ მეგონა, არ მეგონა, არ მეგონა! – შემდეგ უცებ დასერიოზულდა და მითხრა: –



გაიოზ მარაძე: პარადოქსია, მაგრამ ავადმყოფი უფრო მიყვარს, ვიდრე ჯანმრთელი ადამიანი

გიჟი ვარ, მაგრამ შემიძლია, თავი ჭკვიანად მოგაჩვენო, არ გჯერა? მკითხე, რამდენია ორჯერ ორი, მკითხე, რა? გეხვეწები, მკითხე და თუ გეტყვი, რომ ოთხია, ერთი ლარი მომეცი, თუ გეტყვი, რომ ხუთი – მაინც ერთი ლარი მომეციო... თან ცხვირწინ ხან ოთხ, ხან ხუთ თითს მიტრიალებდა. მისგან დაცვის თანამშრომელმა მიხსნა... მე კი გადავწყვიტე, გამეგო, რატომ არიან ასე „პოლიტიზებულნი“ სულით ავადმყოფები, რა განსხვავებაა გიჟ „პოლიტიკოსებსა“ და პოლიტიკოს „გიჟებს“ შორის, შეიძლება თუ არა, რომ ნევროზი (რომელიც სტატისტიკის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 85%-ს აქვს) გადაიზარდოს ფსიქოზში და ამ და სხვა კითხვებზე პასუხის მისაღებად, ფსიქიატრიული პოლიკლინიკის მთავარ კონსულტანტს, ბატონ **გაიოზ შარაშიძეს** *ვესტუმრე:*

– რასაც მე გეტყვით, პარადოქსი იქნება, რადგან ავადმყოფი უფრო მიყვარს, ვიდრე ჯანმრთელი ადამიანი. Психиатрия – это тайна души. ადამიანს აქვს ინტელექტუალური, მოტორული და ემოციური ცნობიერება. თუ ეს სამი ცნება ერთმანეთთან ჰარმონიულ დამოკიდებულებაშია, ადამიანი ჯანმრთელია. თუ რომელიმე მათგანი განსხვავებული კუთხით გადაიხრება, ხდება ფსიქიკის გახლეჩა და სწორედ ეს არის შიზოფრენია. ეს არის სულიერი დაავადება, რომელიც გარეგნულად ადამიანის ქცევებში აისახება. ამ დროს შეინიშნება ქცევის პათოლოგია, თვალთმოჩვენებები, ყურთმოჩვენებები და სხვა... ფსიქიატრი მზად უნდა იყოს, დაამყაროს კონტაქტი ავადმყოფთან, გაუგოს, მის პოზიციაზე დადგეს და მისი თვალებით შეხედოს სამყაროს. თუ ეს ნიჭი გაქვს, კარგი ფსიქიატრი ხარ...

— არის თუ არა ნევროზი ფსიქიატრიის კვლევის საგანი?

– დიახ, ნამდვილად არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნევროზი ფსიქიკური დაავადებაა. დღეს ძალიან მცირე პროცენტი ინარჩუნებს სულიერ წონასწორობას. საქართველოს მოსახლეობის 80-85% ნევროზითაა დაავადებული. ნევროზიანი ავადმყოფი მოივლის ხოლმე ყველა პროფილის ექიმს, მაგრამ დისკომფორტის შეგრძნება ისევ რჩება. ბოლოს, შესაძლოა მივიდეს ფსიქიატრთან

დღეს ძალიან მცირე პროცენტი ინარჩუნებს სულიერ წონასწორობას. საქართველოს მოსახლეობის 80-85% ნევროზითაა დაავადებული

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის **უბის წიგნაკიდან:**

1. სიფათი არაბული სიტყვაა.
2. შუბლთეთრა ცხენს საღარი ჰქვია.
3. დათვის კუნძული ნორვეგიას ეკუთვნის.
4. გრძელ ბუმბულს მამლის ბოლოზე საყივარს ეძახიან.
5. „ურადა“ პოლონური სიტყვაა და სილამაზეს ნიშნავს.

6. ბუზისა და ზოგი სხვა მწერის კვერცხს მსხმილი ჰქვია.
7. სარავი უნაგირისა და ცხენის სხვა აღკაზმულობის მკეთებელია.
8. ცრემლსადენ ნივთიერებებს ქიმიკოსები ლაკრიმატორებს ეძახიან.
9. ჭიჭნაგური შინაურულად გაკეთებული ძეხვია. მას საინგილოში ამზადებენ.
10. სახელგანთქმული რომანსის, „ოჩი ჩორნიეს“, ტექსტი ევგენი გრებენკას დაწერილია.
11. სიტყვა „ბრატან“ ციმბირული წარმოშობისაა და თავდაპირველად ბიძაშვილს ნიშნავდა.
12. თავისი სეხნიის მიერ კოსმოსის დაპყრობა საბჭოთა კავშირს იური ლევიტანმა აცნობა.
13. მამაკაცის დასამშვიდებლად ძველად ზოგიერთი ქალი მკერდზე კატაბალახას ფესვს ატარებდა.
14. „შუტმანი ტუ დანკა ოვაჩი“ – ასე წარმოითქმის სიუს ინდიელთა ენაზე „მგლებთან მოცეკვავე“.
15. რუსულ „დერევნიასა“ და „სელოს“ შორის ის განსხვავებაა, რომ „დერევნიაში“ არ არის ეკლესია.
16. ხელოვნურ ენა ესპერანტოში არსებითი სახელები „ო“-ზე მთავრდება, ზედსართავი სახელები „ა“-ზე.
17. მედიცინის ცალკეულ დარგს, რომელიც მოხუცებულობით გამოწვეულ დაავადებებს სწავლობს, გერიატრია ეწოდება.
18. ახალგაზრდობაში სილამაზის კონკურსში გამარჯვებულმა შერონ სტოუნმა მის პენსილვანიის ტიტული მოიპოვა.
19. „ქალს ინტელექტი ძროხაზე ოდნავ უფრო მეტი უნდა ჰქონდეს და თუ უფრო მეტი აქვს, მით უკეთესი,“ – მტკიცედ სწამს შალვა რამიშვილს.
20. ფლორიდის სანაპიროს ზოგიერთ დასახლებებში, სადაც გოლფსტრიმი ნაპირს უახლოვდება, საზღვაო სასაზღვრო სამსახური მოქცევისა და წყლის ტემ-

და სწორი მკურნალობის შედეგად განიკურნოს კიდეც. ოღონდ ამას ყველა არ აკეთებს, რადგან ფიქრობენ – მე ხომ გიჟი არ ვარ, ფსიქიატრთან რა მინდაო?

— თუ არის შესაძლებელი, რომ ნევროზი ფსიქოზში გადაიზარდოს?

– არავითარ შემთხვევაში. ნევროზი ეს აბსოლუტურად ადეკვატური და ნორმალური რეაქციაა არადამაკმაყოფილებელ საარსებო პირობებზე, ამა თუ იმ გადაულახავ სიძნელეზე, დაბალ ანაზღაურებაზე, ოჯახურ კონფლიქტზე და ა.შ.

— როგორი მეთოდით ახდენთ ნევროზის მკურნალობას?

– ამ შემთხვევაში, მთავარია, ვიცოდეთ ნევროზის გამომწვევი მიზეზი. შემდეგ ვცდილობთ, მოხდეს პიროვნების ადაპტაცია გარემო პირობებთან. თუ შეგუება მოხდა, ის განიკურნება. ჩვენ, ფსიქიატრებს, არ ძალგვიძს, შეგიცვალოთ გარემო პირობები – მოგიმატოთ ჯამაგირი, ან ვაიძულოთ თქვენი მეუღლე, აღარ გიღალატოთ. ჩვენი მიზანია, შეგაგუოთ ამ პირობებს და მსუბუქად დაგანახვოთ არსებული სიძნელეები. ერთ ანეკდოტს მოგიყვებით: მრავალშვილიან მეგრელს ძალიან პატარა სახლი აქვს და სულ წუწუნებს – ვერ ვეტევით შინ, ძალიან ვიწროდ ვცხოვრობთო... ერთმა ჰკითხა – ცხვარი გყავსო? – კიო. – ადექი და ისიც შინ შეიყვანეო. შეიყვანა. – ახლა ძროხაც შეიყვანეო. შეიყვანა. – ახლა ღორიც შენთან გყავდესო. – მეგრელი ასეც მოიქცა. როგორ ხარ? – ჰკითხა ჭკუის დამრიგებელმა. – საშინელ დღეში ვარ, კაცო, სუნთქვაც შეუძლებელია ჩემს სახლშიო. – ახლა ადექი და ღორი, ცხვარი და ძროხა ისევ გარეთ გაიყვანეო. – ასეც მოიქცა. – აშენდა შენი ოჯახი, რა კარგად ვარ, თავისუფლად ამოვისუნთქეო, – გაიძახოდა თურმე მეგრელი... აი, ეს ანეკდოტი კარგად გამოხატავს ფსიქიატრიის არსს. მაგალითად, თქვენ უკმაყოფილო ხართ ხელფასით, თქვენი უკმაყოფილება საფუძვლიანია, მე კი დაგიმტკიცებთ, რომ მასთან შეგუება შესაძლებელია.

— გამოდის, თუ პროფესორს, რომელიც ტაქსის მძღოლად მუშაობს, დაანახვებთ მეორე პროფესორს, რომელიც მიწისქვეშა გადასასვლელში მათხოვრობს, გულზე მოეშვება?

– დიახ, ნამდვილად ასეა... თუ ამ პროფესორს თავისი თავის ძველებურად რეალიზაციის საშუალება მიეცემა, თავის სფეროში იმუშავებს და ჯამაგირიც ნორმალური ექნება, თავისთავად გაუვლის ნევროზული მდგომარეობა. თუ არა და, უნდა შეეგუოს არსებულ პირობებს ან სხვა კუთხით შეხედოს...

— რას გვეტყვით შიზოფრენიაზე? რამდენადაც ვიცი, ეს გენეტიკური დაავადება უნდა იყოს...

– არ მიყვარს იმის თქმა, რომ ეს გენეტიკურია, რადგან ყველას ჰგონია – რადგან გენში აქვთ, სადღაც აუცილებლად წამოეწევა. მეცნიერულად ასეა, გენეტიკურია, მაგრამ ამის ქედაგების წინააღმდეგი ვარ. არსებობს ადამიანი, რომელსაც დედისა და მამის მხრიდან 7 თაობა ჯანმრთელი ჰყავს და თვითონ დაავადებულია. ასევე არსებობს ადამიანი, რომელსაც ორივე მშობლის მხრიდან გენში აქვს ეს დაავადება, თვითონ კი სრულიად ჯანმრთელია.

— როგორ ხდება ტყუპის დროს?

– აქ სხვადასხვა ვარიანტი შეიძლება გათამაშდეს. ტყუპიდან, შესაძლოა ორივე დაავადებული იყოს ან მხოლოდ ერთი. გვარს ვერ დავასახელებ, მაგრამ გეტყვით, რომ თბილისში, ერთი ტყუპი ძმა საკმაოდ სოლიდური თანამდებობის პირია, მეორე კი – ჩვენი პაციენტი და 30 წელია, ფსიქიატრიულ კლინიკაში წევს...

— თუ ყოფილა პაციენტთა შორის სუიციდის შემთხვევა?

– როგორ არა. თვი-

ჰალუცინაციები ჰქონდა. მამაკაცური უძლურება აწუხებდა და მიაჩნდა, რომ ვიღაც მართავდა, ვიღაც იყო დაპატრონებული მის გონებას

რაც ესმით ტელევიზიით, თავის გარშემო, თავადაც აიტაცებენ ხოლმე და მთელი მონდომებით საუბრობენ

თმკვლელობის სურვილით შეპყრობილნი ძირითადად ის პაციენტები არიან ხოლმე, რომლებსაც მკურნალობის კურსი ჩაუტარდათ, ნაწილობრივ გამოჯანმრთელდნენ და ცნობიერებამ გამოიღვიძა. ისინი, აცნობიერებენ რა, თავიანთ მდგომარეობას, ფიქრობენ, რომ ოდესმე კვლავ გაუმეორდებათ. ასეთი რამ ძირითადად დეპრესიულ ავადმყოფებს ემართებათ. ერთი ავადმყოფი გვყავდა. 28 წლის, ჯან-ღონით სავსე მამაკაცი იყო. ჰალუცინაციები ჰქონდა. მამაკაცური უძლურება აწუხებდა და მიაჩნდა, რომ ვიღაც მართავდა, ვიღაც იყო დაპატრონებული მის გონებას და ამიტომ ვერ ახერხებდა ქალთან ურთიერთობას. ერთ დღესაც, თავისი სახლის მე-6 სართულიდან გადახტა. საოცარია, მაგრამ რაღაცნაირად უვნებლად გადარჩა. მოიყვანეს ჩვენთან, ვუმკურნალეთ, შინ გავუშვით, ოჯახმა სანიტარი დაუქირავა, რომ მუდმივად მის გვერდით ყოფილიყო. სანიტარი საპირფარეშოში შესულა და ეს კაცი მეორედ გადამხტარა ფანჯრიდან. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ... ისევ გადარჩა. შემდეგ ჩვენთან მოიყვანეს და კვლავ მკურნალობის კურსი დავუნიშნეთ.

— მანიით შეპყრობილ ადამიანებს რა უცნაურობები ახასიათებთ ხოლმე?

— მანიას გააჩნია... მაგალითად, ერთი კაცი მოვიდა ჩემთან, გარეგნულად თითქოს არ ეტყობოდა, რომ ავად იყო... ვისაუბრეთ, შემდეგ შემპირდა, მილიონ დოლარს გადმოგირიცხავთ, ძალიან ბევრი ფული მაქვსო. უარი ვუთხარი. შემდეგ მკურნალობა ჩავუტარეთ. მას ჰქონდა მანიაკური მიდრეკილება სიმდიდრისკენ. მკურნალობის დაწყებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა სევდიანი და ნაღვლიანი სახით. მიზეზი რომ ვკითხეთ, თქვა: — რაც ფული მქონდა, სულ დავკარგე, გავკოტრდი და ამიტომ ვარ უხასიათოდო. მანია საკმაოდ ადვილად ექვემდებარება მკურნალობას, თუ სწორად წარვმართავთ მას.

— განდიდების მანიით შეპყრობილ ადამიანებზე რას იტყვით?

— მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეპიდემიურად გავრცელდა ვენერიული დაავადება — სიფილისი. მაშინ ამ დაავადებას ვერ კურნავდნენ და რატომღაც იწვევდა მანიაკურ გადახრებს: ავადმყოფები გულზე იკიდებდნენ ჯინჯილებს, ვითომ ორდენოსნები იყვნენ, ჰქონდათ „იმპერატორული“ განცდები — ვითომ მსოფლიოს განაგებდნენ. განდიდების მანიით შეპყრობილი ხალხი დღესაც გვყავს საქართველოში, მაგრამ ისინი ავადმყოფებად არ ითვლებიან.

— ჩვენს პოლიტიკოსებს გულისხმობთ?

— დიახ. ფსიქიატრიაში არსებობს მოსაზრება — კომპეტენტურობის ზღვრის შესახებ. კომპეტენტურობა არის ადამიანის უნარი, მართოს და ფლობდეს სიტუაციას. მარტივ მაგალითს მოგიყვანთ: გლეხს ჰყავს 5 ძროხა. მშვენივრად უვლის, კვებავს და კარგი შემოსავალიც აქვს. მან მოინდომა ჰყოლოდა 10 ძროხა. მიზანს მიაღწია, მაგრამ მთელი მეურნეობა დაენგრა. გაკოტრდა. მიზეზი? ის, რომ გლეხი თავისი კომპეტენციის ზღვარს გადასცდა. 10 ძროხას ვეღარ მოუარა და საქმე უკუღმა წაუვიდა. იგივე ემართებათ ჩვენს პოლიტიკოსებსაც. ჩაიბარებენ ერთ უწყებას, მერე ჰგონიათ, ათი უწყების ხელმძღვანელობასაც შეძლებენ და ბოლოს ყველას ქვეყნის პრეზიდენტობა სურს.

— დაბოლოს — როგორც თქვენს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ვნახე, სულით ავადმყოფები საკმაოდ აქტიურად საუბრობენ პოლიტიკაზე. რატომ?

— დიახ, ცხოვრებისეული მოვლენები მათზეც აისახება. რაც ესმით ტელევიზიით, თავის გარშემო, თავადაც აიტაცებენ ხოლმე და მთელი მონდომებით საუბრობენ, კამათობენ ამ თემაზე და თავიანთი მოსაზრებები კომპეტენტურადაც მიაჩნიათ. ■

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის **უბის წიგნაკიდან:**

პერატურის მონაცემების გარდა გადმოსცემს ცნობას იმის შესახებ, თუ რამდენი შხამიანი მედუზა შეიძლება მოაწყდეს ნაპირს.

21. ესპანელთა შემოსვლამდე ინდიელებს არც თიხის და არც რკინის ჭურჭელი არ ჰქონიათ, მიუხედავად ამისა, ისინი მშვენივრად ამზადებდნენ ცხელ კერძებს საგანგებოდ დაწნულ კალათებში. ცხადია, კალათების ცეცხლზე შემოდგმა შეუძლებელი იყო, ამიტომ ინდიელები წყლით სავსე კალათში გავარვარებულ ქვებს ყრიდნენ, რომლებსაც სწრაფად ცვლიდნენ და ასე ადუღებდნენ წყალს.

22. საფრანგეთის პირველმა მინისტრმა, კარდინალმა რიშელიემ არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპაში შეზღუდა რომის კათოლიკური ეკლესიის პრეტენზიები და მის ეკონომიკურ მოთხოვნილებებსაც ზღვარი დაუდო. „სახელმწიფოს აქვს რეალური მოთხოვნილებები, მაშინ, როდესაც ეკლესიის მოთხოვნილებები თავისუფალი და წარმოსახვითია,“ — ამბობდა იგი.



23. ჩინეთში ყველაზე პოპულარული საყოფაცხოვრებო ნივთი სარეცხი მანქანაა. ჩინურად მას „აიცი“ ჰქვია, რაც ასე ითარგმნება: „ცოლის მაღმერთებელი“.

24. 1919 წელს, როდესაც რუსეთში შიმშილი მძვინვარებდა, ბევრი ინტელიგენტი და მათ შორის მოქანდაკე იური ანენკოვიც, იძულებული იყო, სხვადასხვა დაწესებულებაში წაეკითხა ლექციები ხელოვნების შესახებ, რისთვისაც მას იმ დაწესებულების მშრომელებისათვის გათვალისწინებული ულუფით უმასპინძლდებოდნენ. ასე მაგალითად, მილიციაში იგი მილიციელის დღიურ ულუფას იღებდა, სახანძრო დახმარებაში — მეხანძრისას და ა.შ. ყველაზე ნოყიერი როზა ლუქსემბურგის სახელობის სამშობიარო ცენტრში მიღებული ულუფა იყო — მას იქ მეძუძური დედის ულუფით გაუმასპინძლდნენ.

25. „წავედით რომის პაპთან სასაუბროდ,“ — ამბობდნენ ჯვაროსნები ტუალეტში წასვლის წინ. „წავედით ფორუმზე,“ — ამბობდნენ რომაელები. ინკები „მზის შესახვედრად“ მიდიოდნენ, რუსები — „დათვზე სანადიროდ“, ვოლტერი კი ამ შემთხვევაში ამბობდა: „წავალ, მსოფლიო გონს გავესაუბრები“. ■

ვერ ვაკეთებ რეკომენდაციას

მკითხველები, რომლებიც დღევანდელ თემას გამოეხმაურნენ, გაბედულებით მართლაც ვერ დაიკვეხნიან. მათი უმრავლესობა სწორედ გაუბედაობის გამო მისტირის წარსული სიყვარულისა თუ ცხოვრების უკულმართობას. პირველი რესპონდენტი 30 წლის რამაზი გახლავთ.

მარი ჯაფარიძე

„ტყვიამ ყურთან ჩამიარა...“

„რაიონში გავიზარდე. ჩემს მეზობლად მცხოვრები ჩემი კბილა ბიჭი და მე ვმეგობრობდით. ის გაჭირვებული ოჯახიდან იყო, მე – საკმაოდ შეძლებულიდან, ამიტომ ჩემი მშობლები ცდილობდნენ, მისთვის ხელი შეეწყოთ, რომ ნორმალურად ჩაცმულ-დახურული ყოფილიყო და თავი კარგად ეგრძნო. სკოლის წიგნებსაც კი მისთვის ჩვენ ვყიდულობდით, სწავლაში ხელი რომ არ შეშლოდა. ცოტა რომ წამოვიზარდეთ, ერთმანეთს ძმობა შეეფიცეთ. ერთ დღეს გამიმხილა, რომ კარტი უთამაშია და საკმაოდ სოლიდური თანხა წაუგია. ჩემი ველოსიპედი და რაღაც ნივთები გავყიდეთ, მაგრამ საჭირო თანხა მაინც ვერ მოვაგროვეთ. შემდეგ შემომთავაზა, ჩვენი სოფლის ბოლოში მცხოვრები, საკმაოდ შეძლებული კაცის სახლში შევსულიყავით და ძვირფასეულობა „გაგვეტანა“. რადგან სხვა გამოსავალი არ იყო, დავთანხმდი, აბა, მეგობარს გასაჭირში ხომ არ მივატოვებდი? გადაწყდა – როცა შინ არ იქნებოდნენ, მე შევიპარებოდი, ის კი გარეთ დამელოდებოდა და თუ ოჯახის პატრონები გამოჩნდებოდნენ, გამაფრთხილებდა, რომ გამოვქცეულიყავი. ერთ საღამოს მაუწყა, რომ სახლის პატრონები თბილისში გაემგზავრნენ. დაღამებას დაველოდეთ. მე ეზოში შევიპარე, ის კი ღობის გადაღმა, მოშორებით იდგა. როგორც იქნა, სახლში შევაღწიე და ოქროულსაც მივაგენი. ჯიბეში ჩავიყარე ძვირფასეულობა და ის იყო, უნდა გამოვბრუნებულიყავი, რომ თოფის გასროლის ხმა გავიგონე. ტყვიამ ყურთან ჩამიარა და გინება და ყვირილიც გაისმა. ფანჯრიდან გადავხტი და როგორც იქნა, სამშვიდობოს გავაღწიე. ჩემი მეგობარი იქ აღარ დამხვდა. შინ მივაკითხე. იჯდა და ტელევიზორს უყურებდა. გარეთ გამოვიყვანე და ოქროულობა ვაჩვენე. მოპარულ ნივთებში ერთი დიდთვლიანი, ძალზე ლამაზი ბეჭედიც ერია. მინდოდა მეთქვა, ამ ბეჭედს მე ავიღებ-მეთქი, მინდოდა, იმ გოგონასთვის მეჩუქებინა, რომელზეც უზომოდ შეყვარებული ვიყავი, მაგრამ ვერ ვუმხელდი. თვითონ დამასწრო – ეს ძალიან მაგარი ბეჭედია, არ გავყიდი, საჩუქრად მინდაო. ხმა არ ამომიღია. ის ძვირფასეულობა გავყიდეთ და მისი ვალი გავისტუმრეთ. რამდენიმე დღის შემდეგ კი, ის ბეჭედი სწორედ იმ გოგონას თითზე ვნახე, რომელიც მე მომწონდა. არც მაშინ ამოვიღე ხმა, თუმცა გული დამწყდა. მივხვდი, ჩემს მეგობარსაც ის გოგო მოსწონდა. გადავწყვიტე, გზიდან ჩამოვცლოდი. წლების შემდეგ, როცა ორივენი უკვე სტუდენტები ვიყავით, სტუმრად იმ სახლში მიმიწვიეს, რომელიც მე გავძარცვე. გულს სულ ბაგბუგი გაუდიოდა, მაგრამ მაინც წავედი. როცა შევთვერი, ვერ მოვითმინე და მასპინძელს იმ ქურდობაზე ჩამოვუგდე სიტყვა. ნეტავ, სულ არ მეხსენებინა. – გაიხაროს იმ კაცმა, – ჩემი მეგობარი დაასახელა. – იმას რომ არ შეეტყობინებინა, რომ ჩვენს სახლში ქურდი იყო შეპარული, ალბათ პირწმინდად გაგვძარცვავდნენ, ჩვენ იქვე, მეზობელთან წვეულებაში ვიყავით, შემოვუსწარი მძარცველს, ვესროლე, მაგრამ ავაცილე და გამასწროო. პირდაღებული ვუსმენდი. სიმართლე 7 წლის მერე გავიგე და გაოგნებული დავრჩი. თბილისში დაბრუნებულმა კი ვერ გავბედე, მეგობრისთვის მეკითხა, რატომ მოიქცა ასე. ხშირად მიფიქრია, მოდი, ვკითხავ-მეთქი, მაგრამ ვერ ვბედავდი. ვფიქრობდი, რომ მეგობარს დავკარგავდი. ყველაფრის მიუხედავად, ის ჩემთვის ძალზე ძვირფასი იყო. თუმცა, ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ სწორად არ მოცქეულა. მოგვიანებით, ის რუსეთში წავიდა. ყოველი ჩამოსვლისას ვნახულობდით ერთმანეთს და ისევ ვერ ვბედავდი, დამესვა კითხვა, რომელიც ასე მაწვალებდა. მოგვიანებით ის დაიღუპა. ჩემი კითხვა ასე უპასუხოდ დარჩა და ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე გამაწვალებს ამაზე ფიქრი...“

როდესაც „გზავნილების“ თემად გაუბედაობაზე საუბარი შემოგთავაზეთ, ვფიქრობდი, რომ ძირითადად ისეთ „მესიჯებს“ მივიღებდი, სადაც სასიყვარულო ამბები იქნებოდა მოთხრობილი, მაგრამ თურმე ვცდებოდი. შემდეგი რესპონდენტი ქალია. ის სახელსა და ასაკს არ გვიმხელს, მაგრამ საკმაოდ შთამბეჭდავ ამბავს გვიყვება.

„მივხვდი, საყვარელთან პაემანი ჰქონდა...“

„დედისერთა ვარ. პატარაობიდან მახსოვს, რომ ჩემს მშობლებს ერთმანეთთან გართულებული ურთიერთობა ჰქონდათ. სულ ჩხუბობდნენ და ხშირად მუშტი-კრივზეც გადადიოდნენ. ამ დროს მე საბანი მქონდა თავზე

„მამაშენმა კაცური სიტყვა შეასრულა, მაგრამ აბა, რაღა დროს“...

გადაფარებული და ჩუმად ვტიროდი. ღამით ტუალეტში გასვლა რომ მომინდებოდა, შიშით ვაღებდი საბაზანოს კარს, თვალებს ვხუჭავდი, შუქს ვანთებდი და შემდეგ ნელ-ნელა ვახელდი თვალებს. რატომღაც მეგონა, იატაკზე დედის დასისხლიანებულ, უსულო სხეულს აღმოვაჩენდი. იატაკი ცარიელი რომ მხვდებოდა, შვებით ამოვისუნთქავდი ხოლმე. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. რომ წამოვიზარდე, სურვილი გამიჩნდა, დედას დავხმარებოდი და დამეცვა, მაგრამ მშობლების კამათისას ოთახში შესვლას და მათ ჩხუბში ჩარევას ვერ ვბედავდი. მე-11 კლასში ვიყავი, როდესაც დედის და მისი დაქალის საუბარს შემთხვევით ყური მოვკარი. თავზარი დამეცა, რადგან დედა თავის საყვარელზე ლაპარაკობდა. თან ამბობდა: – რა ვქნა, უკვე ველარ ვუძლებ ქმრის გვერდით ყოფნას, მეც ხომ მაქვს უფლება, ბედნიერი ვიყო? გადავწყვიტე, მის გვერდით ვიყო, ვისაც ასე ვუყვარვარ. გურამი კი მეტის ღირსია, ან ამდენ ხანს რატომ ვიყავი მისი ერთგულიო. ვერც მაშინ გავბედე, დედისთვის რაიმე მეთქვა. გავიდა წლები... მე უკვე 22 წლის ვიყავი. მამას ღამით უწევდა მუშაობა. ერთ დილით ისე დაბრუნდა, დედას არ გაუგია, ეძინა. მე ჩაი დავალევინე, შემდეგ დივანზე წამოწვა დასაძინებლად. ამ დროს ტელეფონმა დარეკა. დედამ უპასუხა, საძინებლიდან. მამამ პარალელური აპარატის ყურმილი აიღო და ლაპარაკს თავიდან ბოლომდე მოუსმინა. ვხედავდი, სახე როგორ შეეცვალა. ცოტა ხანში დედა საძინებლიდან გამოვიდა, გაემზადა და მეგობართან მივდივარო, – დაგვიბარა. მივხვდი, საყვარელთან პაემანი ჰქონდა. კვლავ ვერ გავბედე, მეთქვა, რომ მამამ მათ საუბარს მოუსმინა. ცოტა ხნის შემდეგ მამაც წავიდა. იმ საღამოს კი პოლიციიდან დარეკეს და შემატყობინეს, მამაშენი დაპატიმრებულიაო. იქ მისულმა აღმოვაჩინე, რომ დედაჩემის მკვლელობისთვის იყო დაკავებული... დღემდე ვერ მიპატიებია თავისთვის, რომ დედას ვერ ვუთხარი, არ წასულიყო. აი, რა ქნა ჩემმა გაუბედაობამ. გმადლობთ, რომ მომისმინეთ“.

ადამიანის ღირსება სიმდიდრით არ გამოიხატება. მერე რა, ღარიბი რომ ხარ? გაბედე და თქვი. იქნებ, არჩევანი სწორედ შენზე გააკეთონ? გვიამბობს 27 წლის ნიკა:

„სად შენ და სად მე?“

„ერთი ღარიბი ბიჭი ვარ. თავს ხელობით ვირჩენ. სამუშაო ხან მაქვს, ხან არა. ერთხელ, ელიავაზე, „ბირჟაზე“ ვიდექი, მორიგი საქმის მოლოდინში. „მერსედესი“ გაჩერდა და იქიდან ბიძა-კაცი გადმოვიდა. მუშები მაშინვე გარს შემოეხვივნენ. კაცს რემონტის გაკეთება უნდოდა. ზოგი ეუბნებოდა „კაფელშიკი“ ვარო, ზოგი – „ელექტრიკიო“. უცებ, მე მომიბრუნდა, შენ რა შეგიძლიაო? მე „მალიარი“ ვარმეთქი, ვუთხარი. მანქანაში ჩამსვა, სამსართულიან კერძო სახლში მიმიყვანა და მკითხა: ამ სახლს რამდენ ხანში მორჩებიო? – სამ თვეში-მეთქი, ვუთხარი. თავი დამიქნია, ფასზეც მოვრიგდით და მეორე დღიდან საქმეს შევუდექი. ეს კაცი ხშირად მაკითხავდა, საათობით იჯდა ხოლმე ჩემ გვერდით და მესაუბრებოდა. ერთხელ მკითხა, – ბიჭო, „მალიარ“ კაცს ამდენი განათლება საიდან გაქვსო? გამეცინა: – განათლება და დიპლომი არ მაკლია, მაგრამ სამსახური ვერ ვიშოვე-მეთქი. ჩემი იმედი გქონდესო, მითხრა. რამდენიმე დღის შედეგ, ჩემს საქმეში გართულს, ნაბიჯების ხმა მომესმა. ვიფიქრე, სახლის პატრონი მოვიდა-მეთქი, მაგრამ ის მძიმე ნაბიჯებით დადიოდა ხოლმე, მე კი მოკლე, მსუბუქი ნაბიჯების ხმა მიახლოვდებოდა. შემოვბრუნდი და შემოსასვლელ კარს ინტერესით მივაცქერდი. კარში ცხრამეტიოდე წლის, მშვენიერი გოგონა გამოჩნდა. კარგა ხანს ყელმოღერებული მიყურებდა და მერე მკითხა:

– შენ ვინ ხარ? – ვუპასუხე, ვინც ვიყავი.

– მე ამ ბინის დიასახლისი ვარ, – გამეცნო თავადაც.

იმ კაცის შვილი აღმოჩნდა. ყავა მომიდუღა, კარგა ხანს ვისაუბრეთ. საღამოს კი მამამისიც მოვიდა. – ჩემმა ალქაჯმა გული ხომ არ გაგიწყალა ლაქლაქითო? (ნინო დასასვენებლად იყო და იმ დღეს დაბრუნებულა). ღამით იქ ვრჩებოდი და მე და სახლის პატრონი ერთად ვვახშმობდით ხოლმე. იმ დღეს კი, ნინოც შემოგვიერთდა. მოგვიანებით კარტის თამაშით შევიქციეთ თავი. მამამისი კი კომპიუტერთან იჯდა და თავის საქმეს აკეთებდა. მოკლედ, კარგად გავუგეთ ერთანეთს და სულ მალე ნინო უზომოდ შემიყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ მდიდარი მამიკოს შვილი იყო (დედა არ ჰყავდა), განებივრებული სულაც არ გახლდათ, ძალზე თავმდაბალი და კარგი გოგონა იყო. ვგრძნობდი, მასაც მოსწონდა ჩემთან ურთიერთობა. სამ თვეში შესასრულებელი სამუშაო 6 თვე გავწელე. საყვედური არავის უთქვამს. ერთ საღამოს ნინო გვერდით მომიჯდა და გამიმხილა, რომ მამის მეგობარ ბიჭზე ათხოვებდნენ. მე სხვა მიყვარსო, ამბობდა. თან ისეთი თვალებით მიყურებდა, ვგრძნობდი, ის „სხვა“ მე ვიყავი, მაგრამ ვერ გავბედე მისთვის მეთქვა, მეც მიყვარხარ და ჩემი ცოლი გახდი-მეთქი. ბინის რემონტს მოვრჩი. ქორწილიც მალე გადაიხადეს. მეც ვიყავი მიწვეული. მანამდე კი ნინოს მეგობარმა გოგონამ ელიავას ბაზრობაზე მომძებნა და ცხვირაბზუებულმა ბარათი გადმომცა. ნინოს წერილი აღმოჩნდა, რომელშიც სათქმელს თან ამბობდა, თან არა... მივხვდი – რომ მივსულიყავი და მეთქვა, ქვეყნის დასალიერში გამომყევი-მეთქი, წამოვიდოდა... ისევ ვერ გავბედე. შესაძლოა, მან სხვა რამ იფიქრა, მაგრამ ნამდვილ მიზეზს ახლა „გზიდან“ შეიტყობს: უზომოდ მიყვარდი და მიყვარხარ, ნინო, მაგრამ ვერ გავბედე, შენთვის ჩემი მეუღლეობა მეკადრებინა, მამაშენისთვის – ჩემი სიძეობა. სად შენ და სად მე? ბედნიერებას გისურვებ, მამაშენმა კი კაცური სიტყვა შეასრულა და დღეს საკმაოდ კარგი სამსახური მაქვს, მაგრამ აბა, რაღა დროს?..“

ახლა კი დანარჩენ „მესიჯებს“ გაეცნოთ.

„გაუბედავი ეშმაკუნა უნდა იყო...“

„დავქორწინდი სამი წლით უფროს ქალზე, რომელიც დღემდე სიგიჟემდე მიყვარს. დედამისმა ერთი წლის შემდეგ წაიყვანა. ის 6 თვის ორსული იყო და ბავშვი მოაშორებინეს. გაბედული რომ ვყოფილიყავი, არ გავატანდი ცოლს და ცხოვრება ჯოჯოხეთად არ მექცეოდა. ორი წელი ვემუდარებოდი, მაგრამ არ შემირიგდა. მერე სხვა ოჯახი შეექმენი. ორი გოგონა მყავს, მაგრამ მისი დავიწყება ვერ შევძელი. ახლა ვეძებ. ისიც გათხოვდა და ვიცი, არ არის ბედნიერი, რადგან შვილი არ უჩნდება. ვგრძნობ, მას შვილი მარტო ჩემგან ეყოლება. სხვასთან უშვილოდ დაბერდება. ნონა, ძალიან მიყვარხარ. დამიბრუნდი. თუ ამ „მესიჯს“ წაიკითხავ,

მარის შენი ნომერი დაუტოვე. ხვიჩა“.

„ერთხელ ზოოპარკში გალიასთან ახლოს მივედი. იქიდან კი გორილამ ხელი გამოყო და თმაში მწვდა. მაშინ ვერაფერი მოვახერხე. ახლა ალბათ დავახრჩობდი. ნინო“.

„უფრო გაბედული რომ ვყოფილიყავი, ახლა მის გვერდით ვიქნებოდი, ვინც ასე ძალიან მიყვარდა. მე კი გავურბოდი, არ ვურეკავდი, არ ვხვდებოდი და კიდევ რამდენი „არ“ – ვინ მოთვლის... მერე კი მეგობარს დავუთმე. ყველას ვურჩევ, იყავით უფრო გაბედულნი და იბრძოლეთ სიყვარულისთვის“.

„გაბედულება რომ გამომეჩინა და არ შემშინებოდა, ახლა შვილი მეყოლებოდა და საყვარელი მამაკაციც ჩემ გვერდით იქნებოდა, მაგრამ ვერ გავბედე. ულმობელი ცხოვრებისა და ახლობლების დაკარგვის შემეშინდა. ვერ გავბედე, მარტო, ყველასგან გარიყული დავრჩენილიყავი. ნინო“.

„ერთხელ შენ მითხარი, როცა მოგენატრები და შენ გვერდით არ ვიქნები, ცას ახედე, ობლად მყოფი ღრუბელი მე ვიქნები, შენი მოლოდინით დაღლილი; სიოდ მოგეკვლინები და მოგეფერებიო. მე მას შემდეგ ცას შევყურებ და გელოდები. შენ კი არ ჩანხარ... უფრო გაბედული რომ ვყოფილიყავი, ლოდინი არ დამჭირდებოდა. გოგონებო, იყავით გამბედავები, ნუ მოგერიდებათ თქვენი გრძნობის გამომჟღავნებისა“.

„უფრო გაბედული რომ ვყოფილიყავი, ჩემს სიყვარულს დავიცავდი და ახლა იქნებ, ბედნიერიც ვყოფილიყავი, მაგრამ ამისთვის გამბედაობა არ მეყო და საკადრისიც მივიღე. ირმა.“

„ეს ამბავი დაახლოებით ერთი წლის წინ მოხდა. მახსოვს, მაშინ დეკემბრის ქარიანი დღე იყო. იმ დღეს ბებიასთან ერთად სოფელში მივდიოდი. სადგურში მისულმა, ბაზრობაზე შევიარე. ვერც კი გავიგე, როგორ ამედევნა უცნობი მამაკაცი. მე მის დაჟინებულ მზერას ვგრძნობდი. ხალხში შევერიე, მას რომ არ დავენახე. თან, მაინტერესებდა, რას მოიმოქმედებდა. ავტობუსში რომ ავედი, ვხედავდი, როგორ აკვირდებოდა ყველა ავტობუსს. შემნიშნა. დადგა და მიყურებდა. შემდეგ ავტობუსი დაიძრა... არ ვიცი რატომ, მაგრამ მას შემდეგ სულ მასზე ვფიქრობ. ხომ შეიძლებოდა, ერთ-ერთს გაგვებედა და ერთმანეთს გამოვლაპარაკებოდით. მინდა, რომ ეს წერილი წაიკითხოს. იქნებ, ახლა მაინც გაბედოს. ქუთაისი“.

„გაბედულება არ მაკლია, მაგრამ უცნაური სიყვარული მეწვია. „ის“ არასოდეს მინახავს. გეცინებათ? წინათ მეც მიკვირდა ასეთი სიყვარული. მე კი მართლა მიყვარს. მეგობრებმაც შენიშნეს, რომ ჩემში რაღაც ცვლილებები მოხდა. რამდენიმე დღის წინ ვუთხარი, რომ მიყვარს და ამით მგონი ყველაფერი გავაფუჭე. ბასტი, მაპატიე, გთხოვ. „ჩემი სიყვარული შენ არ შეგაწუხებს, ჩუმად მეყვარები, ჩემთვის...“ ჩემი ბრალია, უცებ თუ შემიყვარდა? მგონი, ზედმეტი გაბედულება ზოგჯერ ყველაფერს აფუჭებს“.

„უფრო გაბედული რომ ვყოფილიყავი, გუშინ გოჩას ვეტყოდი, რომ მეც ძალიან მიყვარს. ყოველი დღე მასზე ფიქრით იწყება და მთავრდება. კიდევ, ვეტყოდი, რომ სულ ჩემ გვერდით ყოფილიყო. ნატა“.

„გაბედული რომ ვყოფილიყავი, ფარმაცევტის ნაცვლად მსახიობი გამოვიდოდი. თანაც ყველა აღნიშნავს, რომ ამის ნიჭი მაქვს. რას იზამ, მშობლებს წინააღმდეგობა ვერ გავუწიე“.

„უფრო გაბედული რომ ვყოფილიყავი, „ღამის შოუში“ მივიდოდი, დათო გოგიჩაიშვილს ბლანჟეს მოვპარსავდი და სათვალეს მოვხსნიდი. მერე დათო ილურიძესთან მივიდოდი და მაგრად ვაკოცებდი“.

„19 წლის ვარ. ახლა მეწვია ნამდვილი სიყვარული. უფრო გაბედული რომ ვყოფილიყავი, იქნებ, უფრო ადრეც მწვეოდა... მაგრამ გაბედული კი არა, გაუბედავი ეშმაკუნა უნდა იყო და გაიმარჯვებ. ნინო“.

„გაბედული რომ ვიყო, მივიდოდი ირაკლისთან, დღედაღამ კომპიუტერებთან რომ დგას და ვეტყოდი: „ჩემო სიცოცხლევ, უშენოდ ჩემს სიცოცხლეს აზრი არ აქვს „კიკო“.

„უფრო გაბედული რომ ვყოფილიყავი, პირველ სიყვარულს დავიცავდი. არ დავკარგავდი, მაგრამ როგორი ბატიც ახლა ვარ, ისეთი ბატი ვიყავი მაშინაც“.

„მე რომ გაბედული ვყოფილიყავი, დღეს როსტომი ცოცხალი იქნებოდა, ან გვარის გამგრძელებელი მაინც ეყოლებოდა, მაგრამ უკვე გვიანია. სიყვარულის დღეს გამოვემშვიდობეთ. დიდი ხნის განმავლობაში გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ვერ გავბედეთ ოჯახის შექმნა. „გზის“ მეშვეობით პატიებას ვთხოვ მის სულს. მიყვარხარ!“

„ვსწავლობ საზღვაო აკადემიაში. მიყვარს გიორგი. მასაც მოვწონვარ. უფრო გაბედული რომ ვყოფილიყავი, საქმე სულ სხვაგვარად წავიდოდა. მე-4 კურსელი“.

„მე და „ის“ სისულელის გამო დავშორდით. უფრო გაბედული რომ ვყოფილიყავი, მივიდოდი მასთან, თვალებს დავუხუჭავდი და ვაკოცებდი. მიყვარხარ, „კუსა“.

„გაბედული რომ ვყოფილიყავი, გავთხოვდებოდი და საკუთარი კერა მექნებოდა. პირველი ნაბიჯი ვერასოდეს გადავდგი. სითამამე არ მეყო. სესილი“.

„ჩვენი სიყვარული ჩაუქრობელ ალად მოედო ჩემს გულს და ჩაქრობა არ სურს. შენ რომ უფრო გაბედული ყოფილიყავი, ამ სიყვარულს არ დაკარგავდი და დამირეკავდი. „პირველი“.

„ჯერ არა, მაგრამ გაბედულება აწი უნდა გამოვიჩინო და ჩემს გადარეულს სამტრედიაში ჩავაკითხო. ხატია“.

„მინდა, „გზის“ საშუალებით გავბედო და ლევანს ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს. მინდა, პატიება ვთხოვო ჩემი უაზრო საქციელის გამო, რადგან ძალზე ვატკინე გული. მიშველეთ, თორემ მოვკვდები“.

„უფრო გაბედული რომ ვყოფილიყავი, მამაჩემის ყველა საყვარელს ერთად მოვუყრიდი თავს და ამოვჟლეტდი“.

„გაბედული რომ ვიყო, ჩემს სიცოცხლეს, ნესტანს სიყვარულში გამოვუტყდებოდი, თავს შევაყვარებდი და მოვიტაცებდი. „მ“. ქუთაისი“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვასრულებთ. შემდეგ თემად კი გთავაზობთ: სულ ცოტა დავიგვიანე. გამოგზავნეთ „მესიჯები“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, რა მოხდებოდა, რომ არ დაგგვიანებოდათ. მომავალ ხუთშაბათამდე გეშშვიდობებით.

■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

ჩოჩკა სიყვარული სიკვდილს აშარკვეს

„ჩვენ პოზენციურ მკვდრებად გვთვლიან“

ვეფხია ზვიადაძე ოჯახთან ერთად

ნანა ქიბიშაური

ვეფხია ზვიადაძეს *ექიმებმა ქრონიკული ტუბერკულოზის დიაგნოზი დაუსვეს და უთხრეს, რომ მისი განკურნება შეუძლებელი იყო. შეკითხვაზე – თუ რამდენ ხანს იცოცხლებდა? – უპასუხეს, რომ მხოლოდ ორი წლის სიცოცხლეღა ჰქონდა დარჩენილი, თანაც იმ შემთხვევაში, თუ მკაცრ რეჟიმს დაიცავდა. წამმზომი ჩაირთო. მაშინ ვეფხია 30 წლის იყო. წლეულს მარტში 38-ის გახდა. არც ერთი ფილტვი აღარ ესინჯება. როგორც ექიმები ამბობენ, სუნთქავს ბრონქებით და მხოლოდ გამძლე გულის წყალობით ცოცხლობს. თუმცა, სწორედ ამ მაცოცხლებელ გულს ორი მილიმეტრით ასცდენია სამზარეულო დანა, რომლითაც ავადმყოფობით თავგაბეზრებულ ვეფხიას თავის მოკვლა უცდია.*

ვეფხიას სიმაღლე მეტრი და ოთხმოცდათორმეტი სანტიმეტრია. ის სპორტით ყოფილა გატაცებული, კრივში ვარჯიშობდა თურმე. ეზოში მისნაირი ბიჭი არ დადიოდა, – ამბობენ მეზობლები, – ძმაკაცებით გარშემოხვეულს ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად; მართლაც, რა არის ბედი კაცისა, რას ვიფიქრებდით, ასე თუ გაამწარებდა ცხოვრებაო.

ვეფხიამ წარსულის გახსენება სახალისო ამბით დაიწყო:

– მამა ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში მუშაობდა. ვიღაცას 20 კაპიკით მეტი გადაახდევინა კარტოფილში და დაიჭირეს. 2 წელი იხდიდა სასჯელს. დედამ მუშაობა დაიწყო. მე იმ პერიოდში გავედი ქუჩაში, პირველი სიგარეტიც მაშინ მოვწიე. ვარჯიშებს ვაცდენდი. კიდევ კარგი, რომ ქუჩაში შეგნებულ ხალხში მოვხვდი, ბევრი რამ ვისწავლე მათგან. მერე ცოტა ხნით კიევში გავემგზავრე. ახალი ჩამოსული ვიყავი, ეზოს ბიჭებმა თევზი და ლუდი მოვიტანეთ და ეზოშივე ვსვამდით. ერთ ძმაკაცს ვთხოვე, ცოტა ხნით მანქანა მათხოვე, „გავიკატავებ“-მეთქი. გასაღები მომცა და მეც მეტი რა მინდოდა. ამ დროს დავინახე მზია. მთელი ბავშვობა ერთად გვქონდა გატარებული. მისი ბებია-ბაბუა ჩვენს კორპუსში ცხოვრობდა. ვმეგობრობდით, მაგრამ მისთვის არასოდეს შემიხედავს სხვანაირი თვალით. მანქანაში ჩავისვი. რა არის, თევზის სუნით ხარ აქოთებულიო, – ცხვირი ზიზღით გასწია გვერდზე. ჰო, ეზოში ბიჭებს თევზი და ლუდი გვქონდა-მეთქი, – ვუთხარი. – ლუდს მეც დავლევდიო, – მიპასუხა. – კარგი, გიყიდიმეთქი, მაგრამ მაღაზიასთან არ გამიჩერებია ავტომობილი. მანქანით სიარული მიხაროდა და შორს მინდოდა წასვლა. – გააჩერე, სად მიდიხარო, – მითხრა. მეორე მაღაზიასაც ჩავუარე, მესამესაც... სად მიგყავარო? – უკვე ხმის კანკალით მკითხა და მეც ვუპასუხე – მოგიტაცე-მეთქი. მერე არ ვიცი, რამ დამარტყა თავში და მართლა არ მოვიტაცე? საგურამოში წავედით ჩემს მეგობრებთან. იმან დაგვლოცა, სუფრა გაწყობილი დაგვიტოვა და წავიდა. მზიამ დიდი ნაჯახი იპოვა. ის ჩაიხუტა, კუთხეში მიჯდა და მითხრა: თუ მომეკარები, თავს გაგიპობო. ბევრი ვიცინე, მოგეკარები არა, ახლა შენ დაგიწყებ ჭიდაობას-მეთქი. მივუჯექი სუფრას, ვჭამე, ვადღეგრძელე, დავლიე. მე მარტო ვქეიფობდი, ნაჯახჩახუტებული მზია კი შორიდან მიყურებდა. მერე დიდი ქორწილი გადავიხადეთ. მზია დღეს სამი შვილის დედაა. ისე გაზარდეს მშობლებმა, მისთვის ჩიტის რძე არ მოუკლიათ, ჩემთან კი... ახლა ნამცხვრებს აცხობს და ყოველ დილით ფიქრობს, რა გააკეთოს, რომ შვილებს ლუკმაპური არ მოაკლოს ან როგორ მოაგროვოს ჩემი წამლებისთვის საჭირო თანხა.

— რამ გამოიწვია დაავადების გართულება? გვიან მიაკითხეთ ექიმს თუ დიაგნოზის დასმა გაუჭირდათ?

– ტუბერკულოზი მოწამვლის შედეგად ჩამომიყალიბდა. დაოჯახების შემდეგ მეგობრებთან ერთად აკუმულატორების საამქრო გავხსენი. ყველა, ვინც იქ ვმუშაობდით, „კისლატით“ და ტყვიის ჟანგით მოვიწამლეთ. სამივეს ტუბერკულოზი აღმოგვაჩნდა. მათ შორის მე ყველაზე მძიმე მდგომარეობა მქონდა. 3 თვის განმავლობაში ვერ დამისვეს ექიმებმა დიაგნოზი, შემდეგ კი „ფანტანმა დამარტყა“. ამ გამოთქმას ხუდადოვზე ყველაზე ხშირად გაიგებთ. ეს არის სისხლის შადრევანი, რომელიც ახრჩობს ადამიანს. 5 თვის განმავლობაში სპეციალიზებულ კლინიკაში ვმკურნალობდი. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ, შარში გავეხვიე. ვიღაცამ რაღაც მაკადრა, ვერ მოვითმინე და ვიჩხუბე. ხელით რომ ვერ მომერივნენ, ავტომატის ჯერი მოუშვეს ჩემზე და... ისევ საავადმყოფოში აღმოვჩნდი. 2001 წელს მოსკოვში წავედი. სასტუმროში ვისხედით ქართველები წყნარად, მშვიდად.

...მერე დიდი ქორწილი გადავიხადეთ



აი, შეხედეთ ჩვენს შვილებს, რა ლამაზები არიან...

შემოვარდნენ ვიღაც შავნიღბიანები და მხოლოდ იმიტომ გვცემეს, რომ ქართველები ვიყავით. ცოცხალ-მკვდარი ჩამომიტანეს თბილისში. ისევ საავადმყოფოში აღმოვჩნდი. ხელახლა „დამარტყა ფანტანმა". იმ პერიოდში უკვე 49 კილოს ვიწონიდი. პირველადი სტაციონარული მკურნალობა ჩემთვის საკმარისი აღარ იყო. მეორადი ანუ ქრონიკული ტუბერკულოზის მკურნალობის შესაძლებლობა კი საქართველოში არ არის, რადგან როგორც ერთმა ნაცნობმა ექიმმა მითხრა, სახელმწიფოს ერთი ასეთი ავადმყოფის მკურნალობა 7.500 დოლარი უჯდება. „ქრონიკები" კი ტუბერკულოზით დაავადებულთა 30%-ს შეადგენს. ჩვენ პოტენციურ მკვდრებად გვთვლიან და ალბათ არც ცდებიან. ერთი კვირა რომ გამოვალ გარეთ, შემდეგ ერთი თვე ვწევარ. თორმეტსაფეხურიანი კიბის ავლისას ორჯერ უნდა დავისვენო. საავადმყოფოში მკურნალობისას ოთხი თვის განმავლობაში ფეხი არ დამიდგამს იატაკზე. წყალს კოვზით მასმევდნენ, თვალის გახელაც აღარ შემეძლო. მესმოდა, როგორ ეუბნებოდა ექიმი დედაჩემს და მეუღლეს: წაიყვანეთ სახლში, აქ ცოდოა, არ არსებობს, ეს რომ საააქაოს მობრუნდესო. არადა, მჯეროდა, არ მოვკვდებოდი და ალბათ ამიტომ გადავრჩი. ექიმს ვეუბნებოდი – მიდი, რაც გასაკეთებელია, გააკეთე, შენ შენს საქმეს მიხედე და ვიცოცხლებ-მეთქი. მართლაც გამოვძვერი ამ მდგომარეობიდან, მაგრამ ტუბერკულოზი ძალიან ვერაგი დაავადებაა. თავს მხნედ გრძნობ, ფიქრობ, რომ კარგად ხარ, მადაც გაქვს და უცებ, ბახ! დაგარტყამს და წამოვა სისხლი პირიდან. სისხლი კი არა, ბოლოს, დაშლილი ფილტვები ამოდის. ამ დროს ძალიან გეზიზღება შენი თავი. ეს რომ არ მოხდეს, დღეში 30-40 ლარის წამლები გჭირდება, ხედავ, როგორ წვალობენ შენთვის საყვარელი ადამიანები ამ ფულის საშოვნელად და ერთ მშვენიერ დღეს შინ მარტო აღმოჩნდები. სამზარეულოში ზიხარ და ფიქრობ იმაზე, რაც გჭირს, რაც დაგემართა, ფიქრობ, რომ ტვირთი ხარ, რომ აწუხებ ხალხს, არაფრის მაქნისი. სამზარეულოს მაგიდაზე დანა დევს. მე ეს გავაკეთე. ეს ყველაფერი წამებში მოხდა. აზრზე რომ მოვედი, დანა ქანაობდა ჩემს მკერდზე. ამოვაძრე, მოვისროლე, მერე წითელი ქაფი ამოვიდა ჭრილობიდან... საავადმყოფომდე ჩემი ფეხით მივედი, იქ კი გრძნობა დავკარგე. დანა ორი მილიმეტრით ასცდენოდა გულს და ფილტვში გაევლო. მას შემდეგ საწამლავი დავლიე, მაინც არ მოვკვდი. მერე მღვდელი მოგიყვანეს, ერთი თვე მელაპარაკებოდა: მიუხურე ეშმაკს კარი, ნუ შემოუშვებ შენთან, თავს ნუ დაიტანჯავ სამუდამო ჯოჯოხეთში მოხვედრითო. ტუბერკულოზი გადამდებია, მაგრამ მე ისეთი ჩხირი მაქვს, რომელიც არ გადადის – მკვდარი ბაცილაა. ეს რომ ასე არ იყოს, ალბათ მოძღვარიც ვერ მიშველიდა, მაინც მოვიკლავდი თავს. ძალიან ბევრი ჩემნაირი ავადმყოფი, ისინი, ვისთან ერთადაც მკურნალობის კურსს ვიტარებდი, დღეს ცოცხალი აღარაა. გადარჩნენ მხოლოდ ისინი, ვისაც პატრონი გამოუჩნდა და სამკურნალოდ გერმანიაში წაიყვანეს. ტყუპი ძმა იწვა ჩემთან ერთად ტუბდისპანსერში. ქურთები იყვნენ. ერთი გარდაიცვალა, მეორე კი „ადიელაში" გაახვია ბიძამისმა და გრძნობადაკარგული წაიყვანა გერმანიაში. ამას წინათ დავინახე წითელი BMW-დან გადმოვიდა ვიღაც ბიჭი, მიცინოდა, სანამ თვითონ არ მითხრა, ვინ იყო, ვერ ვიცანი. გამოჯანმრთელებულა. ჩემი ერთადერთი იმედიც ეს არის. ჩემს თავს ვეუბნები: კაი ცხოვრებას ყველა უძლებს, თუ ვაჟკაცი ხარ, ახლა არ დაუვარდე გაჭირვებას, ჯერ გაუძელი, მერე მოერიე, მიდი და რაღაცა ქენი, იჩალიჩე, იმოძრავე. გერმანიაც ხომ ისევ იქ არის, ჩახვალ იქამდე, არ არსებობს, ვიღაც გამოჩნდება, რაღაც საშველი აუცილებლად გამოჩნდება... აი, ამ სიტყვებით ვიმხნევებ თავს. მართალი ყოფილა – იმედი ბოლოს კვდებაო. ალბათ ყველა ასე იყო, ვინც უკვე მოკვდა..

როცა ექიმმა მითხრა, რომ ჩემს მეუღლეს ორი წლის სიცოცხლეღა დარჩენოდა, დავფიქრდი, რა ვქნა, როგორ ვიცოცხლო მის გარეშე, რა უნდა ვაკეთო-მეთქი? – და მოვიფიქრე...

— მოგვიყევი, რა ხდება ტუბერკულოზიანთა პალატებში. იქ შესვლა ხომ ჯანმრთელებს ეკრძალებათ...

– იქ „ქრონიკები" ერთმანეთს ეუბნებიან – ჩვენ ხომ ჩამოწერილი ხალხი ვართო. ხუდადოვზეც და აბასთუმანშიც ექიმები იბრძვიან იმისათვის, რომ ავადმყოფი ამ მდგომარეობამდე არ მივიდეს, მაგრამ ვინც უკვე მისულია, მათ მკურნალობაზე დროს აღარ კარგავენ. იმიტომ კი არა, რომ მათი დახმარების სურვილი არა აქვთ, იმიტომ, რომ არ არის დაშვებული მეორადი სტაციონარული მკურნალობა. ტუბერკულოზით დაავადებულები ბევრს იცინიან იმაზე, რომ მათთვის ყველაფერი, რაც კარგია, აკრძალულია. ჩემმა ექიმმაც მითხრა – თუ გინდა, რომ იცოცხლო, არ მოსწიო, არ დალიო, ქალებს არ გაეკარო, ღამე არ გაათიოო და ა.შ. ვკითხე – აბა, კაცური რა ვაკეთო-მეთქი? გაეცინა – პირის პარსვა გააგრძელეო. მე ყველა მახსოვს, ვინც ჩემთან ერთად მკურნალობდა და გარდაიცვალა. ერთი ბიჭი იყო, ვალოდია ერქვა. ქვედა სართულზე იწვა. ერთხელ ამოვიდა ჩემთან და მითხრა – ვაშლი მომინდა გულით და ხომ არ გაქვ-

სო? — არ მაქვს-მეთქი, — ვუთხარი. წავიდა. დაწოლის წინ ტანსაცმელი უნდა გამომეცვალა, კარადა გამოვაღე და რას ვხედავ, კუთხეში ერთი ვაშლი არ გდია? ჩავიცვი, ჩავედი მასთან და ნანატრი ვაშლი მივუტანე. ისე გაუხარდა, ისე გემრიელად შეჭამა... დილით, 6 საათზე ქვემოდან ჩოჩქოლი მომესმა. ჩავედი... ვალოდია იმ საღამოს გარდაცვლილიყო. მაშინ რომ დამზარებოდა ქვემოთ ჩასვლა და მეორე დღისთვის გადამედო მისთვის ვაშლის მიტანა, ალბათ მთელი ცხოვრება ვერ მოვინელებდი ამ ამბავს... „ჯოკერს“ ვთამაშობდით საზამთროს მოტანასა და ჩაცივებაზე. ვიცინოდით, კარგ ხასიათზე ვიყავით. ერთმა თქვა — თქვენ დაითვალეთ, მე წამოვწვებიო. ხმაურით შევედით მასთან; წაგებული ხარ, ძმაო და უნდა იკისრო-თქო. მკვდარი დაგვხვდა... ზაჰესელი ბიჭი იწვა ჩემ გვერდით პალატაში, გონა ერქვა. მე ძილის წამლებს ვსვამდი, გამეპარა თურმე და 1 ჭიქა არაყი დაულევია. მისმა ყვირილმა გამომაღვიძა — ვეფხო, მიშველეო! — მეხვეწებოდა. — ვერ ვუშველე... ერთი იყო, გვარად ბუკია. ჩემს მაგიდაზე ერთი ღერი სიგარეტი იდო. არ მკითხა, ისე აიღო. ბიჭო, როცა სხვის ნივთს იღებ, უნდა იკითხო-მეთქი, — ვუთხარი. — ოოო, ნუ იცი, შენ ეგრეო, — სიცილი დაიწყო. პირის დასაბანად გავედი, შემოვედი — მკვდარი დამხვდა. როდესაც ამდენ ადამიანს წაგართმევს სიკვდილი, ისიც ჩვეულებრივი მოვლენა ხდება, უფრო მეტს ფიქრობ სიკეთეზე.

ჩემს შვილებს ისეთ პირობებში უწევთ ცხოვრება, როცა გაიზრდებიან, გაჭირვებული კაცის მდგომარეობას გულგრილად ვერ შეხედავენ. მინდა, სიკეთით სავსენი და პატიოსნები იყვნენ. მათ კი, ვინც ამჟამად უმიდო მდგომარეობაშია, ვურჩევ, ღვთის მოწყალებისა და კეთილი ხალხის იმედი არ მოშლოდეთ. კარგი კაცის სიტყვასაც კი შეუძლია, მეორე ადამიანს სიცოცხლე გაუხანგრძლივოს და ასეთი ხალხი ნამდვილად მოიძებნება საქართველოში.

*ფოტოსურათების გადასაღებად ზვიადაძეების ოჯახს შინ ვესტუმრეთ და მის მეუღლეს — **მზია ზვიადაძესაც** გავესაუბრეთ. უცვლელად შემოგთავაზებთ მისი საუბრის ჩანაწერს:* — წლების განმავლობაში კაცი რომ ავადმყოფობს, მას ნერვებიც უფუჭდება და ხასიათიც. ერთხელ განერვიულებულმა ვეფხიამ მაწვნის ქილა მესროლა, რომელიც შემთხვევით იმ დროს პალატაში შემოსულ ექთანს მოხვდა... როდესაც ქალს ქმარი გიყვარს, ყველაფერს გაუძლებ, ბოლომდე გვერდში დაუდგები და მარტოს არ დატოვებ. ხუდადოვზე ბევრი ვნახე ისეთი, ვინც დაავადების შემდეგ ახლობლებმა მიატოვეს. ისინი უყურადღებობით კვდებიან და არა დაავადებით. მე ჩემი საცხოვრებელი ტუბდისპანსერში, მეუღლის გვერდით მოვიწყვე. ერთი ოთახი შევარემონტე და დროის უმეტესი ნაწილი იქ გავატარე. სხვისი „ფანტანიც“ ბევრჯერ შემომსხმია, მაგრამ ზიზღის გრძნობა არ გამჩენია, რადგან ის ხალხი ჩემი მეუღლის გვერდით იწვა. მათაც ვუვლიდი და საჭმელს ვუყოფდი. როცა ექიმმა მითხრა, რომ ჩემს მეუღლეს ორი წლის სიცოცხლეა დარჩენოდა, დავფიქრდი, რა ვქნა, როგორ ვიცოცხლო მის გარეშე, რა უნდა ვაკეთო-მეთქი? — და მოვიფიქრე: კიდევ გავაჩენ შვილებს და გვარს გავუგრძელებ-მეთქი. ერთი შვილი მყავდა, ისიც საკეისროთი გაჩენილი. ორიც ისევ საკეისრო ოპერაციით გავაჩინე. ერთმანეთზე უკეთესები არიან. ექიმმა მკითხა — რატომ აკეთებ ამას, ასე რატომ რისკავო?.. რაღაც ისეთი უნდა მომეფიქრებინა, რომ ვეფხიას გული გამეხარებინა-მეთქი, ვუპასუხე. მე არ ვიცი, სხვა ქალებს როგორ უყვართ ქმრები, მაგრამ მე ჩემი მეუღლე ძალიან მიყვარს და ეს სიყვარული მაძლებინებს, ეს სიყვარული მაცოცხლებს. ნამცხვარიც კი არ გამოდის გემრიელი, თუ მას უსიყვარულოდ გამოაცხობ. ამდენ პრობლემასაც ვერ მოვერეოდი, რომ არა ის გრძნობა, რაზეც გესაუბრებით. მე არ ვიცი, რამდენ ხანს ვიცოცხლებთ მე და ვეფხია, მაგრამ აი, შეხედეთ ჩვენს შვილებს, რა ლამაზები არიან. აი, ასე გვიყვარს ჩვენ ერთმანეთი...“

■

მათ კი, ვინც ამჟამად უიმედო მდგომარეობაშია, ვურჩევ, ღვთის მოწყალებისა და კეთილი ხალხის იმედი არ მოშლოდეთ.

ტესტი ერუდიციაზე

1. სად ინახება გალაკტიონ ტაბიძის სახის ნიღაბი?

ა) საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში;
ბ) საქართველოს მწერალთა კავშირში;
გ) ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში (გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში).

2.ქალის სხეულის რომელ ნაწილს მიიჩნევდა უშნოდ დიზაინერი კოკო შანელი

ა) საჯდომს;
ბ) მუხლს;
გ) კისერს.

3. რომელი ძვეყნის საფეხბურთო გუნდი გახდა ევროპის პირველი ჩემპიონი?

ა) ყოფილი საბჭოთა კავშირის;
ბ) იტალიის;
გ) ინგლისის.

4. ძველ... ბაზარში მხოლოდ მამაკაცები დადიოდნენ. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა:

ა) ინგლისში;
ბ) რომში;
გ) საბერძნეთში.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

რამაზ ჩხიკვაძისა და გურამ სალარაძის სასცენო ოინები და პატიმარი, რომელსაც მერი მიქელაძე დღემდე ეძებს

ელენე ხირსელი

ბიჭები აკაკი ხორავასთან საჩივლელად მივიდნენ, მერი ისეთი დაუნდობელია – მართლა გვეშინიაო...

დღეს ჩვენი სტუმარია, უფროსი თაობებისთვის კარგად ცნობილი, ძველი რადიოს წარმომადგენელი, ერთ-ერთი წამყვანი დიქტორი ქალბატონი მერი მიქელაძე. მერი მიქელაძის ცხოვრების ოცნება მია წყნეთელის თამაში იყო. თუმცა ამ ოცნების რეალიზება ვერ მოახერხა, ნაწილობრივ მაინც დაიკმაყოფილა სურვილი: ფილმ „მია წყნეთელში“ მთავარი გმირი (ასრულებდა ლეილა აბაშიძე) გაახმოვანა. ქალბატონი მერი სიამოვნებით იხსენებს განვლილ ცხოვრებას – სითბოთი და სიყვარულით აღსავსე გზას.

— როგორ მოხვდით რუსთაველის თეატრში?

— თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა ბატონმა აკაკი ხორავამ აგვარჩია რამდენიმე კურსდამთავრებული: რამაზ ჩხიკვაძე, გურამ სალარაძე, ლამზირა ჩხეიძე, იამზე თავაძე და მე – თქვენი მონა-მორჩილი და რუსთაველის თეატრში მიგვიყვანა. თეატრში უფრო დრამატულ როლებს ვასრულებდი და ფარიკაობის ცოდნა სავალდებულო იყო. წარმოდგენის დროს ვცდილობდით, რაც შეიძლება მტკივნეულ ადგილას დაგვერტყა და ერთმანეთი გაგვემწარებინა. ერთხელ, ბიჭები აკაკი ხორავასთან საჩივლელად მივიდნენ: გვიშველეთ რამე, მერი მიქელაძე ისეთი განრისხებული გვებრძვის, ისეთი დაუნდობელია – მართლა გვეშინიაო.

— როგორი იყო აკაკი ხორავა ურთიერთობაში?

— ძალიან მკაცრი იყო, თუმცა მშვიდი და დინჯი. მისი ყველას გვეშინოდა. ისეთი გამოხედვა ჰქონდა – შიშის ზარს გვცემდა. მეტსახელად „მაკრი“ შევარქვით. გამოჩნდებოდა თუ არა, მომენტალურად გავისუსებოდით და ერთმანეთს გადავუჩურჩულებდით ხოლმე: „მაკრი! მაკრი!“

— თვითონ თუ იცოდა, ასე რომ ეძახდით?

— რა თქმა უნდა. თუმცა, არ იმჩნევდა. ყურს რომ მოჰკრავდა, ჩუმად ჩაიცინებდა ხოლმე.

— იმ პერიოდში თეატრში მოღვაწეობდა კიდევ ერთი დიდი მსახიობი — სერგო ზაქარიაძე. ამბობენ, რომ მას და აკაკი ხორავას გარდასახვის რადიკალურად განსხვავებული მეთოდები ჰქონდათ.

— ერთ მაგალითს მოვიყვან. ოიდიპოს „ლაპარაკობს თბილისი. დილა მშვიდობისა, ძვირფასო რადიომსმენელებო. ვიწყებთ რადიოგადაცემებს“... გვეძალება ნოსტალგია, ნოსტალგია წარსული დროისა, რომელიც რა ხანია, ისტორიის კუთვნილებად იქცა. ეს იყო პერიოდი — ვისთვის ბავშვობის, ვისთვის ყმაწვილკაცობის, ვისთვის მოწიფულობის. ბევრისთვის კი შორეული, უცნობი ეპოქაა, რომელზეც, მხოლოდ გადმოცემით თუ სმენიათ მცირეოდენი რამ. მაშინ ყველაფერი სხვანაირი იყო: სხვანაირად ეცვათ, სხვანაირად ეხურათ, სხვანაირად მღეროდნენ, სხვანაირად ცეკვავდნენ... რადიოც სხვანაირი იყო მაშინ: სხვანაირი გადაცემებით, სხვანაირი დიქტორებით... ის ოჯახის სრულუფლებიანი წევრი იყო, მასთან ერთად იღვიძებდნენ, მასთან ერთად იძინებდნენ.

მეფე აკაკი ხორავამაც და სერგო ზაქარიაძემაც შეასრულეს. ხორავას სცენაზე გასვლამდე წუთით ადრე, შეეძლო ეცინა, ეხუმრა. სცენაზე კი უმალ ტრაგიკულ პერსონაჟად გარდაისახებოდა ხოლმე. ზაქარიაძეს სულ სხვა მანერა ჰქონდა: ის კულისებშიც ვერ გამოდიოდა როლიდან.

— თეატრში მრავლად იყო ახალგაზრდობა, ამიტომაც, ალბათ გართობა და მხიარულება არ გაკლდათ.

— არც ერთი რეპეტიცია, არც ერთი სპექტაკლი არ ჩაივლიდა მასხრობისა და ოხუნჯობის გარეშე. ყველაზე მეტს კი რამაზ ჩხიკვაძე და გურამ სალარაძე მიმუნობდნენ. ისეთ ოინებს გვიწყობდნენ – გვაგიჟებდნენ. სხვათა შორის, საოცრად მკაცრი აკაკი ხორავა რამაზისა და გურამის მიმართ საკმაოდ ლოიალური იყო. იმაზე, რაზეც ჩვენ ერთ ამბავს დავაწვევდა, მათ არაფერს ეუბნებოდა. ალბათ იმიტომ, რომ ამ ოინებშიც ფანტაზიის ნიჭსა და მსახიობურ ოსტატობას ხედავდა. რამაზთან და გურამთან ერთად შეუძლებელი იყო სცენაზე თამაში: ხან მხარს გაგკრავდნენ, ხან ისეთ რამეს წაგჩურჩულებდნენ, შეიძლება სიცილისაგან დაწოლილიყავი. სულ იმის ფიქრში იყვნენ, როგორ გაემასხარავებინათ წარმოდგენის დროს მსახიობი. სპექტაკლ „ახალგაზრდა მასწავლებელში“ არის სცენა, სადაც ჩემს შეყვარებულს (რამაზ ჩხიკვაძეს) ვუხსნი სიყვარულს. მე თითქმის ვტირი (ძალიან სევდიანი სცენაა). უეცრად რამაზმა (მაყურებელთან ზურგით იდგა) თვალები დაიკრა და სახის ისეთი გამომეტყველება მიიღო, მსოფლიოში ყველაზე მწუხარე ადამიანსაც კი გაეცინებოდა. ვცდილობდი, როგორმე აზრები ერთი მიმართულებით წამეყვანა: „მაკრი! მაკრი! მაკრი!“ — ვიმეორებდი გონებაში. – ამან იმდენად იმოქმედა, რომ მოვერიე საკუთარ თავს – არ გამცინებია, მაგრამ ვი ასეთ

კურორტი ხაშურთან	მომღერალი ... კრავიცი	ესკიმოსების ნავი	გამოღრმავებული ადგილი კედელში	კოსმოსური კვლევის ცენტრი ამერიკაში	ჰოლანდიური გვარის ნაწილაკი	ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი	გამხმარი ბალახი
ყელწვრილი თიხის ჭურჭელი წყლისათვის	ათასწლეულის დასასრული	სახალხო მომღერალი შუა აზიაში	„მზე ... და მზე გარეთა, მზევ, შინ შემოდიო“	ვრცელი მინდვრები აფრიკაში	ძვ. თბილისური მიმართვა	ლეგენდა, საგა	გამა[illegible] მეძახ[illegible]

თავშეკავებას, რაც მე მაშინ გადავიტანე. ერთ სპექტაკლში იყო ასეთი სცენა: მამაკაცს, რომელსაც მატარებელზე აგვიანდებოდა, ჩემოდნით ხელში უნდა გადაერბინა სცენა (უზარმაზარი სცენაა). ერთხელაც, მორიგი წარმოდგენის დროს, ამ როლის შემსრულებელმა მოჰკიდა ხელი ჩემოდანს და... ადგილიდან ვერ დაძრა. დაბნეულმა კულისებისკენ გაიხედა. იქ კი რამაზისა და გურამის გაბრწყინებული სახეები რომ იხილა, ყველაფერს მიხვდა. მათ მძიმე საგნებით დაემძიმებინათ ჩემოდანი. საბრალომ ძლივს გაათრია ბარგი. კულისებამდე რომ მიაღწია, ერთი ამოიხვნეშა და მაშინვე ამ ოინის მომწყობებს გამოეკიდა. მერე ეს ტრიუკი ტრადიციად იქცა.

— ქალბატონო მერი, რატომ წამოხვედით თეატრიდან?

— იყო რაღაც, რაზეც ახლა საუბარი არ მსურს. თეატრი უზომოდ მიყვარდა და მისი მიტოვება ჩემთვის ყველაზე დიდი სასჯელი იყო. მერე ოჯახი შევქმენი და ნაწილობრივ ამანაც გადამატანინა.

— როგორ შექმენით ოჯახი?

— ოჯახის შექმნას ძალიან სერიოზულად ვუყურებდი. ამიტომაც მიჭირდა არჩევანის გაკეთება. მეუღლედ იდეალური პიროვნება წარმომედგინა. ჩვენი თეატრის მსახიობი გიორგი საღარაძე (გურამ საღარაძის მამა), უაღრესად კულტურული, ზრდილობიანი ადამიანი იყო. ერთხელ, თეატრში დავიფიცე, ცოლად მხოლოდ გიორგი საღარაძისნაირ კაცს გავყვები-მეთქი. რა თქმა უნდა, თვითონ გიორგი არ მიგულისხმია, ის ჩემზე ბევრად უფროსი იყო, და როგორც მამას, ისე ვუყურებდი. 32 წლის ვიყავი, როცა ინჟინერი კობა ზაუტაშვილი გავიცანი. მან თავისი სიდარბაისლითა და პატიოსნებით მოიხიბლა. შეეუღლდით, ორი ქალიშვილი შეგვეძინა. მეუღლე ორი წელია, რაც გარდაიცვალა.

— თქვენ ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი რადიოს უკავშირდება. როგორ მოხვდით რადიოში?

— იმ დროს, როცა თეატრიდან წასვლაზე ვფიქრობდი, მაშინდელმა რადიოს დირექტორმა ბატონმა ანტონ კელენჯერიძემ დიქტორობა შემომთავაზა — ძალიან უხდება შენი ხმა მიკროფონსო. მეც დავთანხმდი და შეიძლება ითქვას, მეორედ დავიბადე. მალე რადიო ჩემთვის თეატრზე არანაკლებ ძვირფასი გახდა.

— დიქტორებს ძირითადად პირდაპირ ეთერში გიწევდათ მუშაობა. ამას კი ალბათ, ბევრი კურიოზიც ახლდა...

— უმეტესად, ორი დიქტორი ერთად (ქალი და მამაკაცი) ვკითხულობდით ტექსტს. კომუნისტების დროს, მოგეხსენებათ, რადიოსა და ტელევიზიაში დიდი სიმკაცრე იყო. ყოველ სიტყვას ექცეოდა ყურადღება. ამიტომ, როცა გრძნობ, რაშხელა პასუხისმგებლობა გაკისრია, განსაკუთრებით დაბაბული ხარ და სწორედ ამ დროს, როცა იცი, რომ არაფრით არ შეიძლება გაგეცინოს, წვრილმანმაც კი შეიძლება შენში ჰომერული სიცილი გამოიწვიოს. ერთხელ, მე და დიქტორი გივი ქოჩლაძე საკმაოდ მნიშვნელოვან სახელმწიფო დადგენილებას ვკითხულობდით. მე რაღაც შემეშალა. გივის ჩუმად ჩაეცინა. ახლა გივის ვერი დადგა, მაგრამ ის ხმას არ იღებს, ზის ჭარხალივით აწითლებული და რაც ძალა და ღონე აქვს, პირზე იფარებს ხელს. პაუზა საშინლად გაიწელა, გადავწყვიტე, მის მაგივრად წამეკითხა. მაგრამ ვერაფერი მოვახერხე, როცა დავინახე, გივი ნელ-ნელა დგება და ჩუმად იპარება. ის-ისაა, კარი უნდა გამოაღოს, მაგრამ ძალა აღარ ეყო, იქვე ჩაიკეცა და ისტერიკული სიცილი აუვარდა. ამის დანახვაზე სკამიდან გადმოვვარდი. და ასე, მთელი ათი წუთის მანძილზე სახელმწიფო დადგენილების ნაცვლად, ეთერში სიცილ-ხარხარი და გრუხუნი ისმოდა.

— დაბოლოს, ქალბატონო მერი, რა იყო თქვენს ცხოვრებაში ყველაზე ამაღელვებელი, ყველაზე სათუთი, რასაც დღესაც თქვენს გულში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს?

— დაახლოებით ოცი წლის წინ ციხიდან პატიმრის წერილი მივიღე. ეს იყო სითბოთი და სიყვარულით გაჟღენთილი ბარათი. ჩანდა, რომ მისი ავტორი რომანტიკული, ლირიკული ადამიანი იყო. ის მწერდა:

„...თქვენ ყველაფერი იყავით ჩემთვის: დედაც და დაც, მეუღლეც და მგობარიც. თქვენ გადამატანინეთ უკიდეგანო დღეები. ყოველ დილას თქვენი დილა მშვიდობისა მაღვიძებდა, ყოველ ღამე კი ისევ თქვენი ხმა მეალერსებოდა და მშვიდ ძილს მგვრიდა... ხვალ სამუდამოდ ვტოვებ აქაურობას, მაგრამ არ ვიცი, სასიხარულოა ეს თუ არა. ხშირად ვფიქრობ: ღირს კი გასვლა, თუ გარეთ არ მეძება სითბო, ჩვეულებრივი ადამიანური სითბო. ცხოვრების ქარიშხლებით დაღლილი, ვნატრობ ნავსაყუდელს, სადაც სიმშვიდეს და მყუდროებას ვიპოვი. უბრალოდ, მინდა ჩამოდის ვინმემ ჩემს მხარზე თავი — ვიგრძნო რომ ვჭირდები... ძალიან მინდა თქვენი ხვალინდელი „დილა მშვიდობისა“ მხოლოდ მე მეკუთვნოდეს, ეს იქნება ჩემი საშვი ახალ ცხოვრებაში“. ამ წერილმა სულით ხორცამდე შემძრა. საბუნაროდ, ავტორმა თავისი ვინაობა არ გაამხილა, თორემ იმ დილას აუცილებლად სახელით მივმართავდი.

მის მერე უცნაური გრძნობა ამეკვიატა — ყველგან იმ ადამიანს ვეძებდი: ქუჩაში ვინმე თბილ მზერას თუ გამაყოლებდა, ტრანსპორტში თავაზიანად თუ დამითმობდა ვინმე ადგილს — ის ხომ არ არის-მეთქი, ვფიქრობდი. ველოდი, რომ მომაწვდენდა ხმას. გული ძალიან მწყდება, რომ არ გამოეხმაურა. ყველაზე საოცარი ის არის, რომ დღემდე ვფიქრობ მასზე. ვუყურებ ადამიანებს თვალებში და მინდა, რომელიმეში ის კაცი შევიცნო. მგონია, თვალებში თუ ჩავხედავ, აუცილებლად ვიცნობ. ნეტავ, სად არის ახლა? რა ბედი ეწია? ჩემი უცნობი მეგობარო, თუ გესმის ახლა ჩემი, გთხოვ, გამოეხმაურე, მოწერე წერილი, ძალიან მინდა ვიცოდე, რომ ბედნიერი ხარ!



არც ერთი რეპეტიცია, არც ერთი სპექტაკლი არ ჩაივლიდა მასხრობისა და ოხუნჯობის გარეშე. ყველაზე მეტს კი რამაზ ჩხიკვაძე და გურამ საღარაძე მაიმუნობდნენ

...ტყლის ...ოვილი	ხეს ქოში	მოსევადების სარე	ფუტკრების სახლი	პირბადე	მუქი, ნაცრისფერი, რუხი	მოვლენა „ჩრდილოეთის ...“	კაციჭამია
...ის	პორტუგალიის დედაქალაქი	...მაკ-ფერსონი	აშშ-ის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო	რომელიმე ორგანიზაციის წარმომადგენელთა ჯგუფი	დასასვენებელი ადგილი ბორჯომთან	ხილი

რა უნდა ვიცოდეთ მირონცხების საიდუმლოსთან დაკავშირებით

მორენა მერკვილაძე

მართლმადიდებლური ეკლესია შვიდ საიდუმლოს აღიარებს. მათ შორის ერთ-ერთი მირონცხების საიდუმლოა, რომელიც მოციქულთა დროიდან მომდინარეობს. თვით საიდუმლო არის უფალ იესო ქრისტეს მიერ დაწესებული საღმრთო მოქმედება, რომლის მეშვეობითაც მორწმუნე ადამიანზე მოქმედებს მადლი და ძალა ღვთისა (საღმრთო მოქმედებას საიდუმლო ეწოდება იმიტომ, რომ იგი მიუწვდომელია კაცთა გონებისათვის და საიდუმლოს აღსრულების დროს, ადამიანზე ღვთიური მადლი უხილავად მოქმედებს).

მართალია, ღვთიური მადლი ადამიანს ნებისმიერი საიდუმლოს აღსრულების დროს ეძლევა, მაგრამ თითოეული საიდუმლოს აღსრულების დროს, ადამიანი იძენს განსაკუთრებულ ღვთიურ მადლს... რა მადლს იძენს ადამიანი, მირონცხების საიდუმლოს აღსრულების დროს? რატომ ხდება ნათლისღების და მირონცხების ურთიერთდაკავშირება? რისგან მზადდება წმინდა მირონი? — ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, გვესაუბრება წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძრის მოძღვარი, მღვდელი ილია მაღლაფერიძე.

— საერთოდ, ყველა საიდუმლოს აქვს ხილული და უხილავი მოქმედება. ხილული ქმედების დროს, ადამიანი თვალნათლივ ხედავს საიდუმლოს აღსრულებისას შესრულებულ ამა თუ იმ მოქმედებას, უხილავი ქმედება კი ხდება ადამიანის თვალთაგან დაფარულად. მირონცხების საიდუმლოს ხილული, ანუ გარეგანი მოქმედება არის ის, რომ ადამიანს ღვთისმსახური სხეულის სხვადასხვა ნაწილზე სცხებს ნაკურთხ მირონს და წარმოთქვამს სიტყვებს: „ბეჭედი მინიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა“. რაც შეეხება შინაგან, ანუ უხილავ მოქმედებას, წმინდა მირონის ცხებისას, მართლმორწმუნე ქრისტიანზე გადმოდის ღვთიური მადლი, რაც ყველა საიდუმლოს აღსრულების დროს ხდება.

წმინდა მირონს სცხებენ ახალმონათლულ ადამიანს: ნათლობის საიდუმლოს საშუალებით, ადამიანი იბადება სულიერად, მაგრამ როგორც ხორციელად შობის შემდეგ სჭირდება ადამიანს ხორციელად ზრდისთვის ჰაერი, კვება თუ სხვა სიცოცხლისთვის აუცილებელი საშუალებები, ასევე ვსჭიროებთ სულიერად შობის შემდეგ, სულიერ ზრდას და განვითარებას — მირონცხების საიდუმლოს აღსრულებისას, სხეულის სხვადასხვა ნაწილზე წმინდა მირონის ცხებისას, მართლმორწმუნე ქრისტიანს ეძლევა განსაკუთრებული მადლი და ნიჭი სულიწმიდისა, მისი სულიერი ცხოვრების განწმენდის, განმტკიცებისა და განვითარებისთვის.

მართალია, სულიწმიდის მაცხოვნებელი მადლის გარდამოსვლა ყველა საიდუმლოს აღსრულების დროს ხდება, მაგრამ მირონცხება უპირატესად სულიწმიდის საიდუმლოა: ნათლისღების ჟამს, როდესაც ადამიანს სცხებენ ნაკურთხ მირონს, მას განსაკუთრებული სახით ეგზავნება სულიწმიდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სულიერად გაძლიერებისა და ზრდა-განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, ნათლობა — სულიერი შობაა, მირონცხება კი სულიერი ზრდა.

— სხეულის რომელ ნაწილებზე სცხებენ ადამიანს წმინდა მირონს?

— წმინდა მირონის ცხება ხდება შუბლზე, თვალებზე, ნესტოებზე, ყურებზე, მკერდზე, ხელებსა და ფეხებზე. შუბლზე მირონის ცხებით, განიწმინდება ადამიანის გონება და აზრები. მგრძნობელობით ორგანოებზე (თვალებზე, ყურებზე და სხვა) ნაკურთხი მირონის ცხებით, განიწმინდება გრძნობები. მკერდზე მირონის ცხებით, განიწმინდება გული და გულისთქმანი. ხელებსა და ფეხებზე მირონცხებით კი — ქრისტიანის ყოველი საქმე და მოქმედება.

— რას მიგვანიშნებს, სხეულის თითოეულ ნაწილზე წმინდა მირონის ცხებისას, ღვთისმსახურის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „ბეჭედი მინიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა“?

— ბეჭედი ნიშნავს, რომ ადამიანი გახდა ღვთისა.

— ეკლესიური სწავლებით, ნათლისღება სულ სხვა საიდუმლოა, მირონცხება კი სულ სხვა, რატომ ხდება ამ ორი საიდუმლოს ურთიერთდაკავშირება?

— ნათლისღებასა და მირონცხებას შორის ძალიან ღრმა სულიერი კავშირია, თუმცა ახალმონათლულის მირონცხება, ხდება არა როგორც ნათლისღების შემადგენელი ნაწილი, არამედ როგორც ცალკე საიდუმლო. ეს წესი მოციქულთა დროიდან მომდინარეობს: იესო ქრისტე პირდაპირ მიუთითებდა მოციქულებს, რომ ყველა მორწმუნე მიიღებდა სულიწმიდის მადლს. მოციქულებიც მოქმედებდნენ სულიწმიდის შთაგონებით და ნათელღებულ მორწმუნეთათვის ხელდასხმით გარდამოიწევდნენ სულიწმიდის მადლს. აქედან ნათლად ჩანს, რომ ნათლისღება და სულიწმიდის გარდამოწევა, მოციქულთა ხელდასხმით, მოციქულთა დროსვე განირჩეოდა, რომელიც ისევე აუცილებელი იყო ადამიანისთვის, როგორც ნათლისღება.

„ახალი აღთქმის“ საღვთო წიგნებიდან ჩანს, რომ სულიწმიდის მადლის ხელდასხმით გარდამოწევის ნაცვლად, ნათელღებულთათვის ნაკურთხი მირონის ცხება მოციქულების დროსვე შემოიღეს, რადგან მოსანათლთა სიმრავლის გამო მოციქულები ვერ ახერხებდნენ ყველა ახალმონათლულის ხელდასხმას — სულიწმიდის ნიჭთა მისაღებად. ამიტომ მოციქულებმა დაიწყეს მირონის კურთხევა და მისი მღვდელმსახურთათვის გადაცემა, რათა წმინდა მირონი ეცხოთ ახალმონათლულთათვის და გარდამოეწიათ მათზე მადლი სულისა წმიდისა.

— გამოიყენება თუ არა ნაკურთხი მირონი სხვა რომელიმე შემთხვევაში და სცხებენ თუ არა წმინდა მირონს ადამიანს მეორედ?

— ნაკურთხი მირონი გამოიყენება ტაძრებისა და ტრაპეზის კურთხევის დროსაც. ადრე გამოიყენებოდა მეფედ კურთხევის შემთხვევაშიც, მაგრამ ეს იყო განსაკუთრებული სახე მირონცხებისა, მეფობისთვის საჭირო მადლის შესაძენად. რაც შეეხება მართლმორწმუნე ადამიანზე წმინდა მირონის ცხებას, ეს ხდება მხოლოდ ერთხელ — ნათლობის საიდუმლოს აღსრულების შემდეგ.

— ნათლობის საიდუმლოს დასრულებისთანავე, ღვთისმსახური ახალმონათლულს მირონისგან განბანს, რაც ძველად რვა დღის შემდეგ აღესრულებოდა. რამ გამოიწვია ადრე არსებული წესის სახეცვლილება?

— ნაკურთხი მირონი უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენს და მასთან შეხების უფლება მხოლოდ სასულიერო პირს აქვს. იმის გამო, რომ ჩვენში სულიერება სათანადო დონეზე არ დგას და ჩვენ შორის მრავალ, თუნდაც მორწმუნე ადამიანს გაუჭირდება, ოჯახის პირობებში სათანადოდ გაუფრთხილდეს წმინდა მირონს — არ მიეახლოს სხეულის იმ ნაწილებს, სადაც წმინდა მირონი სცხეს, არ დაიბანოს თუნდაც ხელი და სხვა, წმინდა ეკლესიამ შეცვალა ადრე არსებული წესი, რომლის თანახმადაც, ახალმონათლულს მღვდელმსახური ნათლობის დასრულებისთანავე განბანს წმინდა მირონისგან, რათა ადამიანმა თავიდან აიცილოს სიწმინდისადმი მოუფრთხილებლობის ცოდვაში ჩავარდნა.

— როდის და ვის მიერ ხდება მირონის კურთხევა?

— მირონის კურთხევის უფლება ენიჭებათ მხოლოდ ავტოკეფალიურ ეკლესიებს. ე.ი. მირონი მზადდება ყველა დამოუკიდებელ ეკლესიაში და ეს არის ავტოკეფალიის ერთ-ერთი ნიშანი. მირონის კურთხევა ხდება ეკლესიის უმაღლესი იერარქის მიერ (საქართველოში მირონს აკურთხებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, სვეტიცხოვლის ტაძარში). მირონის მოხარშვა ხდება ეკლესიის საჭიროებისამებრ და მასში მთელი წმინდა სინოდი იღებს მონაწილეობას. თუკი საჭიროება მოითხოვს, მირონი შესაძლოა მოიხარშოს ყოველწლიურად. მირონის კურთხევა ხდება დიდ ხუთშაბათს.

— რისგან მზადდება წმინდა მირონი?

— მირონი არის მცენარეული სურნელოვანი ზეთი, მას ამზადებენ ოცდაათზე მეტი სურნელოვანი ნივთიერებისგან (ზეითუნის ზეთის, თეთრი ღვინის, საკმევლის, ვარდის ზეთისა და სხვა ნივთიერებისგან). ■

„დიახ, პერია იდგა ამ კამპანიის სათავეში...“

ქართველ ერს ბევრი კეთილშობილი და ინტელექტუალური ადამიანი ჰყავს. ეს ადამიანები ყოფით პრობლემებზე არ წუწუნებენ და თავიანთ საყვარელ საქმეს რუდუნებითა და დიდი სიყვარულით აკეთებენ. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება, ტრადიციული, ინტელექტუალური ელიტის შთამომავალი, ცნობილი მუსიკათმცოდნე ქალბატონი მანანა ახმეტელია.

ნუცა თოფჩიშვილი

— ქალბატონო მანანა, გარდა იმისა, რომ თავად ცნობილი მუსიკისმცოდნე ბრძანდებით, თქვენი მამა, ბატონი შალვა, სანდრო ახმეტელის შვილი იყო. მოგვიყევით თქვენი მშობლების შესახებ.

— მამა პროფესიით მშენებელი ინჟინერი იყო, თუმცა ცხოვრების გზაზე რამდენჯერმე შეიცვალა პროფილი. დიდი ენერგიის, დიდი შემართების ადამიანი გახლდათ. გენეტიკური ტემპერამენტი სდევდა თან. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მამაჩემი პრინციპულობის, კეთილსინდისიერების, უკომპრომისობის განსახიერება იყო — ეს, მე მგონია, ახმეტელებისთვის დამახასიათებელი თვისებებია. მან რთული ცხოვრებით იცხოვრა, თავად ეპოქა იყო ძალიან რთული, რამაც დიდი დაღი დაასვა მის პიროვნებას და რადგან სანდრო ახმეტელის ანუ რეპრესირებულის შვილი იყო, ფართო გასაქანი არ მიეცა. ეს ალბათ შინაგანად თრგუნავდა და ექმნებოდა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რადგან თავისი პოტენციალის რეალიზებას ვერ ახდენდა. სახლში არაჩვეულებრივად წყნარი, მშვიდობისმოყვარე ადამიანი იყო. სულ საწერ მაგიდასთან და თავის წიგნებთან მახსოვს. ახალგაზრდობიდან ფილოსოფიით იყო გატაცებული. არისტოტელეს წიგნი სულ მაგიდაზე ედო. ძალიან რთულად და მტკივნეულად გადაიტანა მამამისის ტრაგედია. განსაკუთრებით მაშინ, როცა შეატყობინეს, რომ უდანაშაულო მსხვერპლი იყო. როდესაც რეაბილიტაციის პროცესი დაიწყო, წერილებს გზავნიდა მოსკოვში: „Мой отец выслан в дальние лагеря без права переписки“ და ითხოვდა, შეეტყობინებინათ, თუ როგორ იყო და სად იმყოფებოდა. იმედიც ჰქონდა, რომ 20 წლის შემდეგ ნახავდა. ავადმყოფობაც ამ ნიადაგზე დაეწყო. ტკივილი ჩვენი ოჯახის თანამდევი გახლდათ, ეს ჩვენს კარჩაკეტილ ცხოვრებაშიც ვლინდებოდა. ჩემს მშობლებს არ უნდოდათ, ისეთი პროფესია ამერჩია, რომ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვჩენილიყავი. ახალგაზრდობაში მქონდა ისეთი პერიოდი, როცა თეატრმცოდნეობაზე ვფიქრობდი და როცა თეატრი ვახსენე, აღმოჩნდა, რომ ეს ჩემთვის დახურული სამყარო იყო.

მანანა ახმეტელი გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორებისა და მუსიკოსების გარემოცვაში

სანდრო ახმეტელი

— ამბობენ, დედათქვენი, ქალბატონი ქეთევან ჩუბინიშვილი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი ბრძანდებოდა...

— დედა პროფესიით გეოლოგი იყო. რამდენად ენერგიული გახლდათ და როგორ იყო გატაცებული თავისი საქმით, იქიდანაც ჩანს, რომ 75 წლის ასაკში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ჩვენს სახლში ასეთი ტრადიცია არსებობდა — ყველა გატაცებული იყო თავისი პროფესიით. დედა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მუშაობდა — 85 წლამდე. ბევრი მოწაფე ჰყავდა.

— თქვენი დიდი წინაპრების შესახებაც გვიამბეთ...

— რაც შეეხება ჩემს დიდ წინაპრებს, დედის მხრიდან დავიწყოთ. ჩუბინიშვილები ცნობილი მომღერლები იყვნენ. დედაჩემის მამა იყო კომპოზიტორი გიორგი ჩუბინიშვილი, დღემდე ცნობილი სიმღერების ავტორი „ერთხელ კოცნა“ ანუ „ქალო გნახე ფეხშიშველი“ — ვაჟას მიხედვით, „ხმა გულისა“ — ილია ჭავჭავაძის ლექსის მიხედვით, „მუხამბაზი“ — აკაკის ლექსზე და სხვა. ისიც ტრაგიკული პიროვნება გახლდათ. რაც დაწერა, ის დარჩა და ცოცხლობს. ხალხი მღერის მის სიმღერებს. დღე არ გავა — სცენიდან, ესტრადიდან, ეკრანიდან — მისი მელოდიები არ შემომესმას. ხალხი კი მღერის, მაგრამ ბევრმა არც იცის მისი სახელი, ამას „გახალხურდას“ ეძახიან. მე კი მგონია, რომ ეს უგულისყურობის ბრალია. არც ერთი კულტურული ერი ასეთ ადამიანებს არ ივიწყებს. ჩვენს სახლში გაუთავებლად ისმოდა მუსიკა, სულ მიდი-მოდიოდნენ მომღერლები. დედაჩემიც ძალიან მუსიკალური იყო, ბიძაჩემიც. მთელი ოჯახი მღეროდა. მეორე პაპა — სანდრო ახმეტელი, სამწუხაროდ, არ მინახავს. მაშინ დავიბადე, როცა ის ციხეში იჯდა. იქ შეატყობინეს შვილიშვილის შეძენა. აპრილში დავიბადე, ახმეტელი კი ივლისში დახვრიტეს. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრება მისი სამყაროს გაცნობიერებას ვცდილობ, ის მაინც ლეგენდარული პიროვნებაა და არა რეალური.

— სანდრო ახმეტელის ოცნება იყო „ქართული თეატრის აღორძინება“, „განახლება“, „მშობლიური ხელოვნების ახალი ერა“... ქართულ სცენაზე მან სპექტაკლით — „ბერდო ზმანია“ ახალი სიტყვა თქვა, სერიოზული განაცხადი გააკეთა... თქვენ რას გვეტყვით დიდ პაპაზე?

— ვიდრე „ბერდო ზმანიას“ დადგამდა, სანდრო ახმეტელი უკვე საკმაოდ ღრმად იყო ჩახედული თეატრალური ხელოვნების სამყაროში. თეატრისადმი ინტერესი ჯერ კიდევ ბავშვობაში გამოავლინა, როცა ქიზიყში, მაჩხაანში დადგა თავისი პირველი სპექტაკლი. თეატრით სერიოზულად დაინტერესდა პეტერბურგში, სადაც იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. დიდ დროს ატარებდა პეტერბურგის თეატრებში, ეცნობოდა თანამედროვე თეატრის მიმდინარეობებს, წერდა რეცენზიებს, პრობლემურ, კრიტიკულ წერილებს. აანალიზებდა ქართული თეატრის მდგომარეობას, თანდათან აყალიბებდა თავის ესთეტიკურ კონცეფციას, თეატრის პრინციპებს. „ბერდო ზმანია“ მართლაც ახალი სიტყვა იყო ქართულ სცენაზე. ასეთ შედეგს არავინ ელოდა გამოუცდელი რეჟისორისგან, მაგრამ ახმეტელმა თავისი არაორდინარული მოქმედებით ერთბაშად მოხიბლა მთელი დასი. სხვათა შორის, ახმეტელის პირველი სპექტაკლია დიმიტრი არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“, რომელიც 1919 წელს დაიდგა. თანამედროვეთა აზრით, თავი იჩინა საოპერო ესთეტიკის განახლების ტენდენციამ, რაც საყურადღებო ფაქტია. ამ ტენდენციას ახმეტელი ავითარებდა შემდგომშიც, თბილისის საოპერო სცენაზე განხორციელებულ სპექტაკლებში. ახმეტელის ბოლო ნამუშევარიც დაკავშირებულია საოპერო თეატრთან. როცა იგი 1935 წელს რუსთაველის თეატრიდან გააძევეს, ლენინგრადის საოპერო თეატრში მიიწვიეს, სადაც ბოროდინის ოპერის — „თავადი იგორის“ დადგმაზე მუშაობდა. სამწუხაროა, რომ მას ამ სპექტაკლის დამთავრება არ დასცალდა...

— 30-იან წლებში რუსთაველის თეატრი სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით ტრიუმფით აგრძელებდა გზას. იგი საბჭოთა კავშირის თეატრების ლიდერი იყო. მალე თეატრში ბზარი გაჩნდა, რასაც სპეციალურად დანიშნული სამთავრობო კომისიის შექმნა მოჰყვა. ახმეტელი გაათავისუფლეს, მისი ადგილი ვასაძემ დაიკავა... ამ დევნის მთავარი სულისჩამდგმელი ბერია იყო? თუ არსებობს ისეთი კითხვები, რომელსაც დღემდე არ გასცემია პასუხი?

— 30-იან წლებში ახმეტელის თეატრს საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა. ტრიუმფალური წარმატებებით ჩატარდა მისი გასტროლები მოსკოვში ჯერ 1930 წელს, შემდეგ 1933 წელს. ახმეტელმა მიწვევები მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. დაიგეგმა დიდი ევროპული ტურნე, რომელიც იწყებოდა ვენიდან და უნდა გაგრძელებულიყო ბერლინში, პარიზში, რომში, ამსტერდამში, ოსლოში და ა.შ. ახმეტელს ელოდნენ ნიუ-იორკშიც. მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა ცნობილი იმპრესარიო სოლ

ბიძინა კვერნაძესთან ერთად

იუროკი. მაგრამ რუსთაველის თეატრის გასვლას მსოფლიოს სცენებზე განხორციელება არ ეწერა... ყოველივე ეს ტრაგიკულად დამთავრდა. ახმეტელს არ აპატიეს საერთაშორისო აღიარება. ჯაშუშად, აგენტად, ფაშისტად მონათლეს და მის წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანია ააგორეს. ბერია იდგა ამ კამპანიის სათავეში. ახმეტელს რთული ურთიერთობები ჰქონდა იმჟამინდელ ცეკას მდივანთან. იგი მის დიქტატურას არ ემორჩილებოდა. ახმეტელი თეატრში თავის სახელმწიფოს ქმნიდა. ამ სახელმწიფოს მმართველობაში ვერავინ ჩაერეოდა. ბერია რუსთაველის თეატრზე იდეოლოგიურ ზედამხედველობას ვერ ახორციელებდა. რა თქმა უნდა, ბერიას თანამზრახველებიც გამოუჩნდნენ. როგორც ამბობენ, ციხე შიგნიდან ტყდებაო. აღარ მინდა ამ რთულ, მტკივნეულ თემაზე ლაპარაკი. ყველამ ყველაფერი იცის.

— ახლა, თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში ვცხოვრობთ. აღარ არსებობს რეპრესიული მანქანა, უსამართლოდ დასჯილები რეაბილიტირებულნი არიან. გაიხსნა ახმეტელის სახელობის თეატრი, მეტრო, კინოთეატრი. კიდევ რა არის გაკეთებული მის უკვდავსაყოფად? რამეზე ხომ არ ხართ გულნატკენი?

— დღესაც არ მტოვებს ახმეტელის სახელთან დაკავშირებული გულისტკივილი. მისი სახელის აღორძინებას საკმაო დრო დასჭირდა. ბევრ უსამართლობას ვაწყდებოდით რეაბილიტაციის შემდეგაც. ახმეტელი რუსთაველის თეატრის შენობაში ცხოვრობდა. დიდი ბრძოლების გადატანა დაგვჭირდა, რათა რუსთაველის თეატრის კედელზე გაკეთებულიყო მემორიალური დაფა. დღეს ეს დაფა მოხსნილია თეატრში მიმდინარე რემონტის გამო. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მაღელვებს ეს ამბავი. ვაი, რომ აღარ დააბრუნონ უკან... ჩემი შიში მთლად უსაფუძვლო არ არის, სამუდამოდ გაქრა საგანგებო წარწერა დარბაზის პარტერში იმ სკამიდან, რომელზეც ახმეტელი იჯდა ხოლმე რეპეტიციების დროს. ეს ჩემთვის ძვირფასი სკამი იყო. ახმეტელს ხომ საფლავი არა აქვს, ამიტომაც ამ ორ სიტყვას: „ახმეტელის სკამი“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და არა მარტო ჩემთვის. რა ჰქვია ამას? გულგრილობა? პასუხი თქვენთვის მომინდვია. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითი ბევრია.

— ქალბატონო მანანა, ახლა რას საქმიანობთ? თქვენი სამსახურის შესახებ რას გვეტყვით?

— ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი გავატარე ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციაში, რომელმაც ბევრი რამ მომცა. აქ ჩამოვყალიბდი. ძალიან აქტიურ საქმიანობას ვეწეოდი, დიდი პასუხისმგებლობით ვმუშაობდით. ახლანდელ ჟურნალ-გაზეთებს რომ ვკითხულობ, გაოცებული ვარ, სად წავიდა ჟურნალისტიკის კულტურა. ერთ კორექტურულ შეცდომაზე, თარიღის, ფაქტის დამახინჯებაზე თავდაყირა დგებოდა მთელი რედაქცია. ყველა პასუხს ვაგებდით. ახლა კი ისეთ რაღაცებს წაიკითხავ, ასე გგონია, გაზეთს რედაქტორი არ ჰყავსო. გადაუმოწმებელი ინფორმაციის გაშვება ხომ ჩვენს პრესაში წესად იქცა. სიტყვის თავისუფლება გაუნათლებლობას და უცოდინარობას, შეურაცხყოფას, ლანძღვა-გინებას ნიშნავს? პრესასთან აღარ ვთანამშრომლობ, არც ინტერვიუებზე ვთანხმდები, იმიტომ, რომ არ ვიცი, ჩემი ნათქვამი როგორ გამოქვეყნდება.

გიორგი თოფურია შვილებთან ერთად

— როგორც მოგეხსენებათ, თანამედროვე ესტრადა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს...

— არა და სწორედ ასეთ პროდუქციას აქვს დიდი გასავალი. ბატონობს ბანალური, გაცვეთილი, მდარე ინტონაცია, შესაბამისი ტექსტით. ამ მდგომარეობას ვერ გამოასწორებ საქმიანი პროტესტებით და კრიტიკული წერილების წერით. ამას საქმით უნდა დაპირისპირება. ამის მაგალითი მოგვცა ჩვენმა შესანიშნავმა მომღერალმა ეკა მამალაძემ, რომელმაც კონსერვატორიის დიდ დარბაზში ამ რამდენიმე ხნის წინ გამართა გიორგი ჩუბინიშვილის რომანსებისა და სიმღერების მშვენიერი საღამო. ეს არის გზა, რომლითაც უნდა ვითარდებოდეს ჩვენი საესტრადო ხელოვნება, მით უმეტეს, რომ ქართველმა კომპოზიტორებმა შექმნეს მდიდარი სასიმღერო მემკვიდრეობა. რომელი ერთი დავასახელო: რეზო ლაღიძე, სულხან ცინცაძე, გოგი ცაბაძე, შოთა მილორავა, არჩილ კერესელიძე, დავით თორაძე, ბიძინა კვერნაძე, ვაჟა აზარაშვილი. აშკარად მოდუნდა ინტერესი და ყურადღება მათი შემოქმედების მიმართ.

— რით შეიძლება დაპირისპირება ამ ტენდენციასთან?

— გადავწყვიტეთ, საქართველოს მუსიკალურ საზოგადოებასთან დავაარსოთ რევაზ ლაღიძის სახელობის პრემია, რომელიც მიენიჭება კომპოზიტორს — საუკეთესო სიმღერისთვის და შემსრულებელს — საუკეთესო ქართული სიმღერების შესრულებისთვის. ეს პრემია დაგვეხმარება კრიტერიუმების ამაღლებაში, გეზის მიცემაში.

— თქვენი შვილი გიორგი დღეს ამერიკაშია. რას საქმიანობს, აპირებს თუ არა დაბრუნებას?

— ჩემი შვილი გიორგი თოფურია მათემატიკოსია. თამამად ვიტყვი — ნიჭიერი, მოკრძალებული, კეთილსინდისიერი ადამიანია, რომელმაც დროის შესაბამისად პროფესია შეიცვალა. ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში სწავლობდა და ტელეკომუნიკაციების სპეციალისტი გახდა. გიორგი ის ადამიანია, რომელმაც ინტერნეტში 1996 წელს პირველი ქართული გვერდი გახსნა. ახლა ისევ თავის უნივერსიტეტშია, სადაც გადის დოქტორანტურას სტრატეგიული ტელეკომუნიკაციების ხაზით. მისი მეუღლე ირინა თევზაძე, ნიჭიერი დიზაინერია. სხვათა შორის, მან პირველმა მოაწყო მოდების ჩვენება თბილისში. ასე რომ, ორივე, პიონერია. ორი შვილი ჰყავთ — ქეთევანი და ვიქტორ-ალექსანდრე. რასაკვირველია, არც ერთი არ აპირებს იქ სამუდამოდ დასახლებას. გულისყური სულ აქეთ აქვთ და იმედი მაქვს, თავიანთ ქვეყანას გამოადგებიან.

■

ბექსის სასიყვარულო თავგადასავლები

ბრიტანულმა The News of the World-მა დევიდ ბექჰემის შესახებ კიდევ ერთი სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა. ყოველკვირეული გამოცემა იუწყება, რომ „რეალის“ ნახევარმცველი მეუღლეს რებეკა ლოოსის გარდა სხვა ლამაზმანთანაც ღალატობდა. უკვე ორი წელია, რაც დევიდისა და სინგაპურელი ადვოკატის შვილის, სარა მერბეკის რომანზე ლაპარაკობენ. მათ ერთმანეთი 2001 წლის 26 ივნისს გაუცნიათ, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედი“ საწვრთნელ შეკრებას შორეულ აღმოსავლეთში ატარებდა. მერბეკის თქმით, იგი ბექჰემმა იმავე მეთოდებით აცდუნა, როგორსაც შემდგომში რებეკა ლოოსის მიმართ იყენებდა. „ალბათ ბექსი მთელ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მეოჯახე, მამა და ქმარია, – ამბობს სარა, – მან ჩემი ცხოვრება შეცვალა. როდესაც სექსით ვტკბებოდით, დევიდი მეუბნებოდა, რომ რაღაცას სწორად არ ვაკეთებდით, თუმცა არაფრის შეცვლა არ შეგვეძლო. პირველად, როდესაც ის დამეუფლა, მთელ სხეულზე მკოცნიდა. მე კი ზემოდან ვუყურებდი, თუ როგორ მეფერებოდა მკერდზე. ეს მართლაც დიდი ნეტარება იყო“. სარა მერბეკის უახლოესი მეგობარი, ავსტრალიელი ადვოკატი, მაიკლ ბრერეტონი კი იმის დამტკიცებას აპირებს, რომ სინგაპურელი გოგონას ნათქვამში გაზვიადებული არაფერია: „სარა დიდხანს ფიქრობდა და ბოლოს გადაწყვიტა, რომ ბექჰემთან თავისი ინტიმური თავგადასავლების შესახებ მთელი მსოფლიოსთვის უნდა ემცნო. დევიდი მილიონობით ადამიანის კერპია და ყველამ უნდა იცოდეს მასზე სიმართლე“. საგულისხმოა ისიც, რომ მერბეკს ინგლისელი სუპერვარსკვლავის მიერ ნაჩუქარი არაერთი სუვენირი ჰქონია, თვით სექსუალური და სადო-მაზოხისტური დანიშნულებისაც კი.

„...ყველა იმ ქალმაც, რომელსაც მასთან სარეცელი გაუყვია“

ამასობაში კი, სულ უფრო მძაფრი ხასიათის განცხადებებს აკეთებს რებეკა ლოოსი, რომელიც მზადაა, რომ თავისი ნათქვამის ჭეშმარიტება სასამართლოშიც დაამტკიცოს. ჰოლანდიელი დიპლომატის ქალიშვილმა, რომელსაც ბექჰემთან ოთხი დაუვიწყარი ღამე გაუტარებია, ერთ-ერთი ბრიტანული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მალე ყველაფერს საჯაროზე გამოიტანს. რებეკამ უკვე დაწვრილებით აღწერა დევიდთან თავისი შეხვედრები და ისიც კი მოჰყვა, თუ როგორ აჭმევდა თავისი ხელით მარწყვს „რეალის“ ნახევარმცველს. თუმცა ეს ჯერ კიდევ არაფერია. ლოოსი მზად არის უფრო დიდი საიდუმლოს გასამხელადაც: „არის რაღაც, რაც მეც ვიცი და ყველა იმ ქალმაც, რომელსაც ოდესმე ბექჰემთან სარეცელი გაუყვია. ამიტომ, თუ სასამართლოში გამომიძახებენ, ავდგები და ყველაფერს ვიტყვი...“

სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ, ცნობილ მამაკაცებზე მონადირე კიდევ ერთმა უტიფარმა ქალბატონმა, ჯორდანმა განაცხადა, რომ თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში სპორტის ყველა იმ ვარსკვლავის ინტიმურ საიდუმლოებას გამოააშკარავებს, რომელთანაც ურთიერთობა ჰქონია. აი, რებეკა ლოოსზე კი, ახალი სკანდალური ინფორმაცია გავრცელდა. როგორც ირკვევა, იგი ბისექსუალური ორიენტაციისა ყოფილა...

დევიდის საყვარელი, ლესბოსელიც ყოფილა

როგორც ირკვევა, რებეკასთან ინტიმური კავშირი წარსულში ცნობილ ჩოგბურთელ, პეტ კეშსაც ჰქონია, თუმცა ეს უკანასკნელი დარწმუნებული არ არის, რომ სწორედ ლოოსთან იყოფდა სარეცელს: „მახსოვს, მადრიდში ღამე გავატარე გოგონასთან, რომელიც ნახევრად ჰოლანდიელი და ნახევრად ინგლისელი გახლდათ, მაგრამ ვერ გეტყვით იყო თუ არა იგი რებეკა ლოოსი. ასეთი შემთხვევების შემდეგ ხომ სწრაფად გავიწყდება სქესობრივი პარტნიორის სახე“. კორესპონდენტებმა კი, სიმართლის დასადგენად კეშს ლოოსის უამრავი ფოტოსურათი უჩვენეს, თუმცა ჩოგბურთელმა დანამდვილებით მაინც ვერაფერი გაიხსენა. „ალბათ ჰგავს, მაგრამ დარწმუნებით მაინც ვერ ვიტყვი, რომ სურათებზე აღბეჭდილი ქალბატონი სწორედ ისაა, რომელთანაც ესპანეთის დედაქალაქში ღამე გავატარე. მახსოვს, ის ცოტა უცნაური გოგონა იყო“, – ამბობს კეში, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩოგბურთის სექსსიმბოლოდ ითვლებოდა. სწორედ მისი გამოუსწორებელი მექალთანეობა იქცა 2002 წელს მეუღლესთან გაყრის მიზეზად, რომელთანაც პეტმა 12 წელი იცხოვრა.

აქვე გაცნობებთ, რომ რებეკა ლოოსის პირად ცხოვრებაზე ახალი ინტიმური დეტალები გამომჟღავნდა. დევიდ ბექჰემის მაცდუნებელი, ბისექსუალი ყოფილა. სკანდალისტი ქალბატონის ნაცნობ-მეგობრები ამტკიცებენ, რომ რებეკა სხვადასხვა სახის „ტუსოვკის“ ხშირი სტუმარია. მას განსაკუთრებით თურმე ჰომოსექსუალისტთა საღამოები იზიდავს. ლესბოსელი ყოფილა ლოოსის მწვრთნელი ფიტნესში – მელანი მაკვივიც, რომელიც The Sun-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ბექჰემის საყვარლის ხასიათზე საუბრობს: „ის ყოველთვის აღწევდა დასახულ მიზანს. საღამოებზე სიარულისას მას არასოდეს უჭირდა

რებეკა ლოოსი

სარა მერბეკი

პარტნიორის მოძებნა და გაცნობა. ასე დამიახლოვდა მეც, მაგრამ კეკის (რებეკა ლოოსის მეტსახელი) ადამიანთან გულწრფელი ურთიერთობა არ შეუძლია, ის მხოლოდ პარტნიორის გრძნობებზე თამაშობს". მიუხედავად მაკვივის პირადი შეხედულებისა, ამბობენ, რომ რებეკას მაინც ჰყავს მუდმივი საყვარელი – ვიღაც ფრანგი ქერათმიანი ლამაზმანი. ამასთან, იგი არც მამაკაცებთან სექსუალურ კონტაქტებს გაურბის. გაზეთებში ლოოსის ყოფილი ბოიფრენდის, კაილი ბრაუნის ნათქვამიც გამოაქვეყნეს: „მას კოკაინის ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას უყვარდა სიყვარულით ტკბობა, ამასთან ისე ყვიროდა, რომ იძულებული ვიყავი, დამეწყნარებინა. გარდა ამისა, საღამოებზე, სადაც ერთად დავდიოდით, რებეკა დიდი რაოდენობით ღვინოსა და ვისკის მიირთმევდა. ხოლო ის, რომ ლოოსი ბისექსუალია, მე დიდი ხნის წინ ვიცოდი: ჩემ თვალწინ მას სხვა გოგონებისთვის ვნებიანად არაერთხელ უკოცნია".

ერთი სიტყვით, ამ კომენტარების გაცნობის შემდეგ, ვიქტორია ადამსისთვის ძნელი წარმოსადგენი არ იქნება ის, თუ ვისთან ჰქონდა მის ქმარს საქმე.

ცხადია, დევიდ ბექჰემისა და რებეკა ლოოსის რომანის შესახებ გავრცელებული ცნობები მადრიდის „რეალის" ბანაკშიც აღწევს. ჰოდა, „სამეფო კლუბელებსაც" გასართობად კარგი სალაღობო თემა გასჩენიათ და ბექსს ვარჯიშებზე მოსვენებას არ აძლევენ. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ, მათ გასახდელში უზარმაზარი პლაკატი დაუკიდიათ, რომელზეც ინგლისელი ნახევარმცველი შარვალჩაწეული ყოფილა გამოსახული. საერთოდ, ფეხბურთელებს ამგვარი ხუმრობები სჩვევიათ. ამ მხრივ გამონაკლისი არც დევიდი ყოფილა, ოღონდ, მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც შაყირი და სიცილ-ხარხარი მასა და ვიქტორიას არ ეხება. ამიტომ თანაგუნდელების საქციელს იგი ძალიან გაუღიზიანებია. გაცოფებულ ბრიტანელ ვარსკვლავს პლაკატი დაუხევია და ყვირილი აუტეხია – ეს მე არ ჩამიდენია და ჭორებს ტყუილად მივრცელებენო. „რებეკა ვიქტორიაზეა გამწარებული. იგი მიიჩნევს, რომ ჩემი ცოლის მითითებით გაათავისუფლეს სპორტული სააგენტო SFX-იდან და ამგვარად გვიხდის სამაგიეროს", – არწმუნებდა თურმე აღშფოთებული ბექსი „რეალის" ფეხბურთელებს.

რონალდო და რობერტო ჯი ბორჯილებისგან გათავისუფლდნენ

ბოლო ხანს ვიქტორია ადამსი უმეტეს დროს ინგლისში ატარებს, ამიტომ დევიდს ხშირად უწევს ყოფნა ღამის კლუბების მოყვარულ, მექალთანეობით განთქმულ რონალდოსა და რობერტო კარლოსთან. სწორედ ბრაზილიელების კომპანიაში ყოფილა იგი, როდესაც რებეკა ლოოსთან ერთად აღუბეჭდავთ ფოტოფირზე პაპარაცებს. თუმცა, თუ ბექჰემს ჯერ კიდევ სამაგალითო ქმრისა და მამის სახელი აქვს, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით ბრაზილიელ ვარსკვლავებზე, რომლებიც წელს ცოლებს გაშორდნენ. ორივე მათგანი ნორა ბერმუდესმა აცდუნა. ესპანელი სექსსიმბოლო იმასაც ამტკიცებდა, რომ ბექსთანაც ჰქონდა ინტიმური კავშირი, თუმცა მისი განცხადება სერიოზულად არავის მიუღია. ერთი სიტყვით, რონალდო და რობერტო კარლოსი მეუღლეთა ბორკილებისგან უკვე თავისუფლები არიან და სიცოცხლით ტკბებიან. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ორივე მათგანი ბექსთან ერთად მადრიდის ჩრდილოეთით მდებარე ღამის კლუბ Buddha Del Mar-ში თაყვანისმცემელ გოგონებთან ერთად ერთობოდა. ერთ-ერთ მომენტში კიჭა ლამაზმანთან ერთად გაუჩინარდა, ხოლო უკან დაბრუნებულმა განაცხადა: მან ის მიიღო, რაც ძალიან სურდაო... აი, „უიღბლო" დევიდს კი, გვერდით გახედვის საშუალებას არ აძლევენ და ყველა სიამოვნებას ცხვირიდან ადენენ.

■

ტიმბერლეიკი ჰოკეისტიც ყოფილა

ცნობილი კანადელი მუსიკოსი, ჯასტინ ტიმბერლეიკი, რომელიც ჰოლივუდური „ყვითელი პრესის" ვერსიით იმითაცაა ცნობილი, რომ ბრიტნი სპირსის პირველი მამაკაცი ყოფილა, თურმე ჰოკეისაც რიგიანად თამაშობს. ცოტა ხნის წინ ტორონტოს ცენტრალურ პარკში მყოფ ადამიანებს სწორედ მისი თამაშის ხილვის საშუალება მიეცათ. გორგოლაჭებზე შემდგარი ტიმბერლეიკი თურმე მარტო არ დასდევდა პატარა ბურთს – მას კომპანიონობას კანადელი მსახიობი ელიშა კატბერტი და მისი ბოიფრენდიც უწევდნენ. თვითმხილველთა თქმით, სამივე მათგანი დამაჯერებლად თამაშობდა, მაგრამ ტიმბერლეიკი უფრო ოსტატურად დაქროდა გორგოლაჭებით და ხმარობდა ჰოკიჯოხს. თუმცა კი ამან ძალიან არ უნდა გაგვაკვირვოს, რადგან საქვეყნოდაა ცნობილი, რომ „კანადელები ჰოკიჯოხით ხელში იბადებიან..."

■

მოკრივე ქალბატონი მამაკაცი ეგონათ

მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მოკრივე ქალბატონს ღამის კლუბში არცთუ ისე სასიამოვნო ამბავი გადახდა თავს. ვალერი მაფუდმა გასართობი დაწესებულების დაცვის სამსახური ვერაფრით დაარწმუნა იმაში, რომ ქალი იყო. სუსტი სქესის წარმომადგენელთათვის განკუთვნილი ტუალეტისკენ მიმავალი მაფუდი დაცვას მამაკაცად მიუჩნევია და მისთვის საპირფარეშოში შესვლის ნება არ მიუცია. ღამის კლუბის მომსახურე პერსონალი თავისი გადაწყვეტილების სისწორეში მას შემდეგ კიდევ უფრო დარწმუნებულა, როცა მოკრივე ქალბატონს მათთვის ნამდვილი „მამაკაცური" წინააღმდეგობა გაუწევია. თუმცა, სულ სხვაგვარ განცხადებას აკეთებენ მაფუდი და მისი ადვოკატი, რომელთა თქმითაც, ღამის კლუბის დაცვამ ვალერი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლად მიიჩნია და ამ მიზეზით დაატოვებინა დაწესებულება.

■

ველომრბოლელი ავარიაში მოყვა

Weltcup-Klassiker-ის ტურნირზე იტალიელ ველომრბოლელ პაოლო სავოლდელის ავარია მოუხდა, რის შედეგადაც მან ლავიწისა და წინამხრის მოტეხილობა მიიღო, აგრეთვე სახე და ფეხებიც დაიზიანა. სავოლდელი და მისი უახლოესი სამი მდევარი უსაფრთხოების ზღუდეს შეეჯახნენ, რის გამოც იტალიელი ასფალტზე დაეცა და გონება დაკარგა. ამის შემდეგ იგი საავადმყოფოში წაიყვანეს. გაცნობებთ, რომ

პაოლო სავოლდელი გერმანული „ტელეკომის" ღირსებას იცავს. მის უმთავრეს მიზანს, რბოლის დროს თანაგუნდელ იან უილრიხის დახმარება წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ ულრიხი ძალიან წუხს მომხდარის გამო.

■

რანიერიმ ჩემპიონთა ლიგაში უნდა გაიმარჯვოს

„ჩელსის“ მთავარი მწვრთნელი, კლაუდიო რანიერი პოსტზე იმ შემთხვევაში დარჩება, თუ ლონდონური კლუბი ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვებს. The Evening Standart-ის მონაცემებით, „არისტოკრატთა“ მფლობელ, რომან აბრამოვიჩს სწორედ ასეთი პირობა წაუყენებია ფეხბურთის იტალიელი სპეციალისტისთვის. გამოცემა ხაზს უსვამს იმასაც, რომ ევროტურნირიდან „მილანის“ გამოთიშვის შემდეგ, „ჩელსის“ წარმატების მისაღწევად უფრო მეტი შანსი ეძლევა. ■

თუ ფულს შოულობ, ჩოგბურთი რაღად გინდა?!

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ანა კურნიკოვა ფაქტობრივად ჩამოშორდა ჩოგბურთს, იგი კვლავაც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. უფრო მეტიც, რუსი ლამაზმანის სხეულის თითოეული ნაწილი მილიონებადაა შეფასებული. მაგალითად, მისი სახე დაახლოებით 10 მილიონი დოლარი ღირს. სწორედ ამ ფასად გააფორმა კურნიკოვამ კონტრაქტი მსოფლიოში ცნობილ ინტერნეტკომპანია TerraLycos-სთან. ჩოგბურთის სექსსიმბოლოს მკერდი ორ მილიონადაა შეფასებული. ეს თანხა მიიღო ანამ Berlei-ს თეთრეულის რეკლამირებისათვის. გარდა ამისა, adidas-მა კურნიკოვას ფეხებისა და თეძოების რეკლამაში გამოყენებისთვის სამი მილიონი დოლარი გადაიხადა. ხოლო ჩოგნების მწარმოებელმა Yonex-მა ანას ხელების „შესაძენად“ 1,4 მილიონი არ დაიშურა. ამდენივე გადაიხადა „პეგასომ“, რომლის მიერ წარმოებულ მობილურ ტელეფონებსაც სწორედ კურნი უკეთებს რეკლამას. ასევე 1,4 მილიონად აფასებს ჩოგბურთელის მაჯას საათების მწარმოებელი Omega. აი, კიდევ ერთი საინტერესო მონაცემი: ანა კურნიკოვას ანგარიშზე ყოველდღიურად 225 ათასი დოლარი ირიცხება. ასე რომ, ანასთვის ჩოგბურთი მართლაც დროის უქმად დაკარგვაა. ამიერიდან რუსი სექსსიმბოლო ცხენოსნობასაც გაუკეთებს რეკლამას. საქმე ისაა, რომ ცოტა ხნის წინ Omega საცხენოსნო ტურნირ Triple Crown Endurance Challenge Series-ის სპონსორი გახდა. ამ შეჯიბრების ფინალი დუბაიში გაიმართება. 140-კილომეტრიანი საცხენოსნო რბოლის გამარჯვებული, საპრიზო 1,5 მილიონის გარდა, Omega-ს საათსაც მიიღებს, რომელიც კურნიკოვასაგან გადაეცემა. შეგახსენებთ, რომ ადრე Omega-ს ისეთი ცნობილი პირები უკეთებდნენ რეკლამას, როგორებიც არიან: სინდი კროუფორდი, მარტინა ჰინგისი, მიხაელ შუმახერი და პირს ბროსნანი. ■

ინძაგის საყვარელმა უღალატა

„ინტერის“ თავდამსხმელმა ადრიანომ „მილანელ“ ფილიპო ინძაგის გელფრენდი წაართვა. ბრაზილიელ ფეხბურთელს ფოტომოდელი ჯიპსი ერთ-ერთ მილანურ დისკოთეკაზე გაუცნია. ისინი მალე დაახლოებიან ერთმანეთს და პაემანიც დაუნიშნავთ. ასე რომ, საფეხბურთო მინდორზე დაპირისპირებული ადრიანო და ფილიპო ინძაგი, ამიერიდან ერთიმეორის პირად მტრებადაც იქცნენ. ■

ფორლანის „მანჩესტერიდან“ წასვლა სურს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ურუგვაიელი ლეგიონერი, დიეგო ფორლანი აცხადებს, რომ სეზონის დასრულებისთანავე კლუბს დატოვებს, რადგან სათადარიგოთა სკამზე ჯდომის სურვილი აღარ აქვს. „ჩემთვის მთავარი, თამაში და გოლების გატანაა, სკამზე ჯდომა კი ნაკლებად სახარბიელოა. ამიტომ ზაფხულში სხვა კლუბში გადავალ, თუმცა „მანჩესტერთან“ განშორებაც მიმძიმს“, – ამბობს 24 წლის სამხრეთამერიკელი ფორვარდი, რომლის შეძენაც ესპანურ „ატლეტიკოს“, „ბეტისსა“ და ფრანგულ „პარი სენ-ჟერმენს“ სურთ. „მანჩესტერმა“ ფორლანი არგენტინული „ინდეპენდიანტესაგან“ 2002 წლის იანვარში 7,5 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინა. ■

ქროუს დანაშაული აპატიეს

აშშ-ის ოლიმპიურმა კომიტეტმა ათენში ასპარეზობის ნება დართო ტემი ქროუს, რომელიც სინქრონულ ცურვაში ამერიკის ეროვნული ნაკრების წევრია. ადრე იგი ორი ადამიანის მკვლელობაში არაპირდაპირი მონაწილეობის ბრალდებით სამი თვით ციხეში იმყოფებოდა. ქროუ იმ ავტომობილის საჭესთან იჯდა, რომლის ავარიამაც ორი მოქალაქის სიცოცხლე იმსხვერპლა. თვითმხილველთა თქმით, იგი ავტოკატასტროფის მომენტში არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, ამერიკის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას სურს, რომ ტემი ქროუმ საბერძნეთში აშშ-ის სინქრონულად მოცურავეთა ნაკრების ღირსება დაიცვას. ■

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი“ – „LCG“ (ელ-სი-ჯი) გთავაზობთ სამართლებრივ მომსახურებას შემდეგ საკითხებში:

- სამეწარმეო-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- კონსულტაციები და ინტერესების დაცვა საგადასახადო და საბაჟო საქმეების წარმოებისას;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმება (ხელშეკრულებების პროექტების მომზადება);
- მიწასთან ან სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება;
- შრომითი-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- აუდიტორული მომსახურება;
- უფლებების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში;
- სანოტარო მომსახურება;
- კონსულტაციები სამართლის სხვა დარგებში.

მის: ლესია უკრაინკას ქ. №3
☎ (+995 32) 92 11 60; 98 39 38
ფაქსი: (+995 32) 98 39 38

თავისუფალი თემა

მძიმე ბავშვობაგამოვლილ გვანცა ჩოხელს ბედი მერეც არ წყალობს. საშუალო სკოლის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე, გვანცას მასზე ბევრად უფროსი მამაკაცი, ირაკლი იაშვილი შეუყვარდება. ირაკლი ამით ისარგებლებს და გოგონას ლოგინშიც თითქმის უპრობლემოდ ჩაიწვენს, თუმცა ცოლად შერთვასაც შეეპირდება. მაგრამ, ამასობაში, თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყება. ირაკლი ომში წავა და უკან აღარ დაბრუნდება. გვანცა ირაკლისგან ფეხმძიმედ დარჩება. ომში უგზო-უკვლოდ დაიკარგება გვანცას სკოლის მეგობარი ლუკა ჩადუნელიც. ლუკას გვანცა ძალიან უყვარს, ამიტომ, აფხაზეთის ომში წასვლამდე, მასზე ოფიციალურად იქორწინებს და მის ბავშვსაც გვარს მისცემს.

როგორც კი ქვეყანა ოდნავ დამშვიდდება, გვანცა დაკარგული ლუკას ძებნას იწყებს და შემთხვევით, ირაკლის ნახევარძმას პარლამენტარ ლაშა რჩეულიშვილს გადაეყრება. ლაშა მას გერმანიაში სასწავლებლად გაგზავნას შესთავაზებს. ასე გახდება გვანცა გერმანიის ერთ-ერთი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი. თუმცა, მალე იქაც ახალ შარში გაეხვევა. თანაკურსელი გოგონას თავქარიანობის წყალობით, გვანცას თურქეთში ჩაიტყუებენ და მონად გაყიდიან. გვანცა საშინელი ქალის — ზეინაბ-ხანუმის კიდევ უფრო საშინელ სამფლობელოში აღმოჩნდება. ზეინაბ-ხანუმი გვანცას ხელზე მოსამსახურედ დაიყენებს, თუმცა წამდაუწუმ იმითაც აშინებს, რომ რომელიმე ჩემს ბორდელში გიკრავ თავსო. გვანცას ზეინაბ-ხანუმის კლანჭებისგან თავის დახსნაში ამ უკანასკნელის ძმა — ბავშვობიდან ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული უმარი დაეხმარება.

თბილისში დაბრუნებული ფსიქიკაშერყეული გვანცა ნორმალურ ცხოვრებას რის ვაი-ვაგლახით უბრუნდება. მოგვიანებით, გვანცა ლაშა რჩეულიშვილს მიაკითხავს. ლაშა მას პირად მდივნად აიყვანს და ნელ-ნელა თავის ფარულ საქმეებშიც ჩაახედებს. გვანცა ხვდება, რომ ლაშა საშიშ გზას ადგას, მაგრამ ხმამაღლა მაინც არაფერს ეუბნება.

ერთხელაც ლაშა მოსკოვიდან ოფიციალური მოწვევით ჩამოსული ქართველი ბიზნესმენით გიორგი ჩადუნელით დაინტერესდება. ის ლუკა ჩადუნელის მამა აღმოჩნდება. გიორგის ლუკაც თან ახლავს. ის გვანცას შინ მიაკითხავს. წლების უნახავი ახალგაზრდები ირაკლის გამო იჩხუბებენ და გვიან ღამით გვანცასგან დემონსტრაციულად წამოსული ლუკა მამამისის ფულზე მონადირე გამტაცებლების ხელში აღმოჩნდება. გამტაცებლები გიორგი ჩადუნელს შვილის დასაბრუნებლად დიდი თანხის გადახდას მოსთხოვენ. ბიზნესმენთან ხელმოსაწერი სარფიანი საქმის ჩავარდნით შეშფოთებული ლაშა რჩეულიშვილი გამტაცებლებზე გასვლას თავისი არსებით ცდილობს, მაგრამ, ამასობაში, თავადაც თავდასხმის მსხვერპლი ხდება...

შეშფოთებულმა გვანცამ ჩანთა სწრაფად გახსნა, გასაღებების მოზრდილი ასხმულა ამოიღო და ივიკოს მიაწოდა:

— აჰა, გააღე, თორემ მე მთელი საათი მოვუნდები...

ივიკომ ასხმულიდან ერთ-ერთი გასაღები გამოაცალკევა, საკეტს წამში მოარგო და ენერგიულად გადაატრიალა. კარი ხმაურით გაიღო. გვანცა მისაღებ ოთახში პირველი შევარდა, უმალვე ტელეფონს ეცა და რეკვა დაიწყო. ამასობაში, ფრაქციის წევრებიც ერთმანეთის მიყოლებით შემოლაგდნენ, ივიკომ გვანცას წინ, სკამზე, მოხერხებულად მოკალათებაც მოასწრო და ჰკითხა:

— საავადმყოფოში რეკავ?

— არა, — მოკლედ მოუჭრა გვანცამ.

— აბა, სად? — მაინც არ მოეშვა ივიკო.

— შენ რაში გაინტერესებს? — გაღიზიანდა გვანცა და ნომერი ხელახლა აკრიბა.

— ნამდვილად არ მაინტერესებს, მაგრამ ჯერ საავადმყოფოში დარეკე! იქნებ, ბატონ ლაშას რა სჭირდება?

— კი, მაგრამ, — ყურმილი გამეტებით დაახეთქა გვანცამ. — მე რომ არ

მოვსულიყავი, ლაშას ამბის კითხვას არ აპირებდით?

— კარგი, კარგი, ჰო! — დანებების ნიშნად ორივე ხელი ასწია ივიკომ. — რა უცბად ავარდი?.. საავადმყოფოში უკვე რამდენჯერმე დავრეკეთ, მაგრამ ჯერ ოპერაცია არ იყო დამთავრებული და არავინ არაფერი იცოდა. ასე რომ, მორჩი ბუზღუნს და „არამიანცის“ ქირურგიულ განყოფილებაში დარეკე!

— კარგი, — დანებდა გვანცა. — ნომერი მითხარი!

— ეგრე, რა! — გაეღიმა ივიკოს და ჯიბიდან ქაღალდის პატარა ნაგლეჯი ამოიღო. — აი, ნომერიც... წეღან ჩავიწერე... ისე კი, — მაგიდის კუთხეში მიწყობილი ცნობარებიდან ყველაზე სქელტანიანს მან ხელი რამდენჯერმე დაჰკრა. — აქ ყველა საავადმყოფოს ტელეფონის ნომერია „გაიასნებული“...

გვანცამ ივიკოს ქაღალდის ნაგლეჯი უსიტყვოდ გამოართვა და მასზე გაკრული ხელით წარწერილი ნომერი აკრიბა. სატელეფონო მავთულის მეორე ბოლოში ყურმილი სწრაფად აიღეს.

გვანცამ ქირურგიულ განყოფილებაში ლაშას ამბავი დაწვრილებით გამოიკითხა, შემდეგ ყურმილი დადო და კმაყოფილმა შეკრებილთ თვალი მოავლო:

— მგონი, გადავრჩით... — დაიწყო მან შემდეგ.

— მგონი თუ ნაღდად? — გააწყვეტინა ივიკომ.

— ნუ... — განაგრძო გვანცამ. — თუ გავითვალისწინებთ, რომ მარჯვენა ფილტვი გაგლეჯილი ჰქონია... მოკლედ, ბატონმა არჩილმა მითხრა, რომ ოპერაციამ კარგად ჩაიარა და სერიოზული გართულებები მოსალოდნელი არ არის.

— ბატონი არჩილი ვინღაა? — იკითხა ვიღაცამ.

— ქირურგიული განყოფილების გამგე და ლაშას მკურნალი ექიმი. ცხადია, ოპერაციაც თავად გაუკეთა. — უპასუხა გვანცამ. — ასე რომ...

— რატომ არ ჰკითხე, ნახვა როდის შეიძლება? — ისევ გააწყვეტინა ივიკომ გვანცას.

— რა დროს ნახვაა? — შეიცხადა გვანცამ. — ჯერ ბოლომდე ნარკოზიდანაც კი არ გამოსულა. თანაც, კარგა ხანს, რეანიმაციაში, სასუნთქ აპარატზეც ეყოლებათ მიერთებული...

— მე საავადმყოფოში დღეს მაინც შევივლი, — ფეხზე წამოხტა ივიკო.

— აბა, რა!.. ახლავე გაიქეცი! — გესლიანად წააქეზა ივიკო ფრაქციის ერთ-ერთმა წევრმა. — შეფი თვალს რომ გაახელს, პირველი ხომ შენ უნდა დაგინახოს!..

— ნუ იკბინები, რა! — შეუღრინა მას ივიკომ და ოთახიდან უკანმოუხედავად გავარდა...

ივიკოს წასვლის შემდეგ, ფრაქციის სხვა წევრებიც ნელ-ნელა გაიკრიფნენ. გვანცამ მისაღების კარი მჭიდროდ მიხურა და შვებით ამოისუნთქა. ცოტა ხანში მაგიდაზე მდგარი ერთ-ერთი ტელეფონი აწკრიალდა. გვანცამ ყურმილი უხალისოდ აიღო:

— გისმენთ... მე ვარ... დიახ, ბატონო გიორგი, გიცანით... ახალი ხომ არაფერია?.. ცუდია!.. რომელი ფურცლები?.. დიახ, სამსახურში მაქვს... რა თქმა უნდა, როცა გენებოთ, მაშინ წაიღეთ... კარგი, გელოდებით...

გვანცამ ყურმილი დადო, შემდეგ მაგიდის ერთ-ერთი უჯრა გამოსწია, ორად მოკეცილი რვეულის ფურცლები ამოიღო, სწრაფად გაშალა და კითხვა დაიწყო.

„ისე, ბებიაჩემი ხანდახან კი არ ტყუის, — გაიფიქრა მან შემდეგ და ფურცლები ისევ უჯრაში შეინახა. — ასეთი სიგიჟე მართლა რამ დამაწერინა?..“

უცბად ისევ ის ტელეფონი აწკრიალდა. გვანცამ ყურმილი სწრაფად აიღო და მაშინვე ფერი ეცვალა:

— რომელი ფული?.. რომელ მამამთილს? ბატონი გიორგი მე ანგარიშს ნამდვილად არ მაბარებს... გუშინ ხომ გასაგებად გითხრათ — სანამ არ დავრწმუნდები, რომ ლუკა ცოცხალია... მე როგორ უნდა დავარწმუნო?.. მართლა?.. როდის?.. ჯერ დამალაპარაკეთ და მერე ვნახოთ... კი, ბატონი გიორგიც წუთიწუთზე მოვა!...

გვანცამ ყურმილი დაკიდა თუ არა, ვიღაცამ კარზე ფრთხილად დააკაკუნა. გვანცა წამში კართან გაჩნდა და ხმაურით გამოაღო. ზღურბლზე გიორგი ჩადუნელი იდგა.

— ბატონო გიორგი! — მაშინვე დაიწყო გვანცამ. — წუთის წინ ლუკას გამტაცებლებს ველაპარაკე.

— მეგონა, აქ აღარ დარეკავდნენ. რა გითხრეს? — შეცბა გიორგი.

— რა და ცოტა ხანში ისევ დაგირეკავთ და ლუკას დაგალაპარაკებთო...

— მართლა? — ოდნავ შვებით ამოისუნთქა გიორგიმ. — მაინც, რამდენ ხანშიო?

— ზუსტად არ უთქვამთ. ოღონდ, მამამისიც მანდ უნდა იყოსო...

— გასაგებია... — თავისთვის ჩაილაპარაკა გიორგიმ. — კიდევ რა მოგთხოვეს?

— ფული.

— შე-ენ? — მოულოდნელად შენობით ლაპარაკზე გადავიდა გიორგი.

— არა, თქვენზე მითხრეს, ფული დროზე მოაგროვოსო... — არაფერი შეიმჩნია გვანცამ.

— ვინ უთხრა, რომ ვაგროვებ? — გაღიზიანდა გიორგი. — ჯერ ჩემს შვილთან დამალაპარაკონ და მერე ვნახოთ...

გიორგის სიტყვა ტელეფონის წკრიალმა გააწყვეტინა.

— ავიღო? — შეთქმულივით ჩურჩულზე გადავიდა გვანცა.

— აიღე, — გვანცას ჩურჩულზე გაეღიმა გიორგის. — მაგრამ თუ ისევ ფული გიხსენეს, მაშინვე მე დამალაპარაკე.

გვანცამ ყურმილი უხალისოდ აიღო, თუმცა სახე უმალ გაუნათდა:

— ლუკა! შენ ხარ? როგორ ხარ?.. მამაშენი?.. კი, აქ არის. ახლავე დაგალაპარაკებ.

გიორგიმ გვანცას ყურმილი სასწრაფოდ ჩამოართვა და რამდენადაც შეეძლო, მშვიდი ხმით ჩასძახა:

— ჰო, შვილო, გისმენ... გასაგებია... მაშინ მეც ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც ეგენი მეტყვიან... როდის დამირეკავენ?.. კარგი, დაველოდები... ნახვამდის... ჰო, მართლა, ყველაფერი რიგზეა?.. კარგი, ჩემო ბიჭო, ყველაფერი გავიგე...

ამის შემდეგ გიორგიმ ყურმილი გამეტებით დაახეთქა და ოთახში ნერვიულად გაიარ-გამოიარა.

— ბატონო გიორგი, რა მოხდა? — როგორც იქნა, კითხვა შეეჰბედა გვანცამ.

— კარგი არაფერი... — სკამზე მოწყვეტით დაეშვა გიორგი და ფართო ხელები მუხლებზე დაიწყო.

— კი, მაგრამ ლუკამ რომ გითხრათ, ყველაფერი რიგზეაო?.. თუ მე მომეყურა?..

— არა, — ამოიოხრა გიორგიმ. — ზუსტად ეგრე მითხრა, მაგრამ ეს, უბრალოდ, პაროლი იყო.

— რა პაროლი?

— რა და... ლუკა ტყვეობიდან რომ გამოვიხსენი, მაშინ შევთანხმდით, რომ თუ მომავალში რომელიმე ჩვენგანს რამე გაუჭირდებოდა და ამის პირდაპირ თქმის საშუალება არ ექნებოდა, ჩვენ-ჩვენს სატკივარს ერთმანეთს ამ გზით გავაგებინებდით... წეღანაც, გაიგონე ალბათ, საგანგებოდ რომ ჩავეკითხე, ხომ ყველაფერი რიგზეა-მეთქი?.. კიო, მითხრა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ძალიან ცუდად არის... ეტყობა, ის არამზადები კიდევ რაღაცას მიმზადებენ... შეიძლება, ისე გათავხედდნენ, რომ გამოსასყიდი თანხაც გაზარდონ... თუმცა, ეს ამ სიტუაციაში მაინც ყველაზე უმტკივნეულო გამოსავალი იქნებოდა...

— თავი ჩაქინდრა გიორგიმ.

— ყველაზე უმტკივნეულო?.. — გაფითრდა გვანცა — შეიძლება, რამე უფრო უარესიც მოიფიქრონ? — ჩაეკითხა ის შემდეგ სტუმარს, მაგრამ ფიქრებში წასული გიორგი გვანცას უკვე აღარ უსმენდა.

— ბატონო გიორგი... — ცოტა ხნის შემდეგ ხმადაბლა შეეხმიანა თავჩაქინდრულ მამაკაცს გვანცა. — ცუდად ხომ არა ხართ?

— არა... — თავი ნელ-ნელა ასწია გიორგიმ. — შეიძლება, ვცდები, მაგრამ გარემოებები ისე უცნაურად დაემთხვა ერთმანეთს, რომ ეჭვიც კი გამიჩნდა, რომ... — სათქმელი აღარ დაასრულა მან.

— რა ეჭვი? — ჩაეძია გვანცა.

— არა, არაფერი... — ხელი ჩაიქნია გიორგიმ და ფეხზე წამოდგა. — მომეცი ის ფურცლები, ჩემო კარგო და წავალ.

— დიახ, ახლავე! — მაგიდის უჯრა სწრაფად გამოსწია გვანცამ, ფურცლები ამოიღო და გიორგის გაუწოდა. — აი, ინებეთ... რატომღაც, ერთი ფურცელი აკლია... შეიძლება, ლუკამ დაკარგა სადღაც...

— არა, — მშვიდად მიუგო გიორგიმ. — ის ფურცელი გამტაცებლებთანაა... დილით დამირეკეს და გამაფრთხილეს, რომ როცა დათქმულ ადგილზე ფულს მივიტან, თუ ის ფურცელი იქ არ დამხვდა, ფული არ უნდა დავტოვო...

— ეს ფურცლებიც იმათ უნდა მიუტანოთ? — დაინტერესდა გვანცა.

— არა. — ფურცლები ფაქიზად გადაკეცა და უბის ჯიბეში შეინახა გიორგიმ. — ესენი მე მჭირდება. იმ ფურცელს უნდა შევადარო, რომ რამე „ლიპა“ არ შემომაპარონ... ვიცი, ამ საქმეში საბოლოოდ მაინც „შავების“ ჩარევა მომიწევს და ამიტომაც, ვცდილობ, თავად ყველა პირობა ზუსტად დავიცვა... ასე რომ, შენს სასკოლო თემას წინ დიდი თავგადასავალი ელის. — სევდიანად გაეღიმა შემდეგ გიორგის. — და თუ ყველაფერი კარგად დამთავრდება, უკანაც მშვიდობით დაგიბრუნდება...

— ჩემს ნაჯღაბნს ჯანდაბამდეც გზა ჰქონია! — შესძახა გვანცამ. — მთავარია, ლუკა დაგვიბრუნდეს მშვიდობით!

— ღმერთმა გისმინოს, ჩემო კარგო! — გვანცას მხარზე ხელი შინაურულად მოუთათუნა გიორგიმ და წასასვლელად მოემზადა. — მართლა, — გაახსენდა უცბად, — ბატონი ლაშა სად არის?

— ლაშა? — უცნაურად იკითხა გვანცამ. — არ გაგიგიათ, ბატონ ლაშას რაც დაემართა?

— არა. რა მოხდა? — დაინტერესდა გიორგი.

გვანცამ ლაშას ამბავი გიორგის მოკლედ უამბო.

— ცუდი ამბავი შემთხვევია. ნამდვილად არ მიფიქრია, რომ ისიც პრეზიდენტის ესკორტში იქნებოდა. — გულგრილად შენიშნა გიორგიმ. — მართალია, წაქცეულს აღარ სცემენ, მაგრამ მაინც უნდა გითხრა: შენი უფროსი მთლად პატიოსანი კაცი არ უნდა იყოს... რას იტყვი?

— მე ვერაფერს... — მხრები უცნაურად აიჩეჩა გვანცამ. — თანაც, გააჩნია, პატიოსნებაში რას გულისხმობთ.

— მე პატიოსნებაში მხოლოდ პატიოსნებას ვგულისხმობ, ჩემო კარგო, — მშვიდად უპასუხა გიორგიმ. — აი, შენი უფროსი კი... თუმცა, კონკრეტული და ხელჩასაჭიდი ჯერ მის წინააღმდეგ ნამდვილად არაფერი მაქვს... ამიტომაც ამჯერად აქ გავჩერდები, თორემ ხომ გაგიგონია, გამკეთებელმა ერთი ცოდვა ქნა, დამბრალებელმა კი — ათასიო... დრო მოვა და ყველაფერი ისედაც გაირკვევა.

— დიახ... ალბათ... — თავისთვის ჩაილაპარაკა დაბნეულმა გვანცამ.

გიორგის წასვლის შემდეგ, გვანცამ ჯერ შინ დარეკა და შვილი მოიკითხა, მერე კი, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, საავადმყოფოში ლაშას სანახავად გასწია. ივიკო მას სარეანიმაციო განყოფილების კართან დახვდა ატუზული.

— მოხვედი? — გაიხარა მან. — დანარჩენები სადღა არიან?

— ვინ დანარჩენები? — კითხვა შეუბრუნა გვანცამ. — ექიმმა ხომ გასაგებად მითხრა, რომ პალატაში არავის შეუშვებდა და რისთვისღა წამოვიდოდნენ?

— აბა, შენ რაღა მოგარბენინებდა?

— მე ექიმს ვნახავ, ლაშას ამბავს გავიგებ და მაშინვე უკან გავბრუნდები...

— მაშინ წამო, ერთად ვნახოთ. მერე წავიდეთ, თორემ ცოტაც და შიმშილით კუჭი გამიხმება.

— იცი, ლაშას ექიმი სად ზის?

— კი. მე აქ უკვე ყველა „დირკა“ ზეპირად ვიცი... წამო, რაღა! — მხარზე ხელი შინაურულად მოხვია ივიკომ გვანცას.

გვანცამ ივიკოს ხელი დემონსტრაციულად მოიშორა. სწორედ იმწუთას სარეანიმაციო განყოფილების კარი ფრთხილად გაიღო და ორი საეჭვო გარეგნობის მამაკაცი გამოვიდა. მათ გვანცას და ივიკოს ბოროტი მზერა ესროლეს და ის იყო, დერეფანს უნდა გაჰყოლოდნენ, რომ ერთ-ერთი, გვანცას გამომცდელად მიაშტერდა და მეორეს ხმადაბლა რაღაც გადაულაპარაკა.

— ნაღდად? — კბილებში გამოცრა ამ უკანასკნელმა, უცბად, გვანცას წინ გადაუდგა და მხარში უხეშად ჩააფრინდა:

— რა გქვია, ლამაზო?

— ეი, ძმაკაც, ცოტა ფრთხილად! — მაშინვე ხელში ეცა მას ივიკო. — ასე შეიძლება, ქალს ხელიც მოსტეხო!

— შენ ნუ ეჩრები! — შეუღრინა უცნობმა ივიკოს და ისევ გვანცას მიუბრუნდა, მაგრამ უცბად, დერეფანში თეთრხალათიანი ჭაღარა მამაკაცი გამოჩნდა, რომელსაც უკან თეთრხალათიანი ახალგაზრდა ქალი მოსდევდა. მათ დანახვაზე უცნობმა გვანცას ხელი ცივად უშვა.

— ბატონო არჩილ! — მაშინვე თეთრხალათიანისკენ გაქანდა ივიკო და გვანცაც თან გაიყოლა. — თქვენ გეძებდით. ეს გვანცაა, ბატონი ლაშას თანაშემწე...

— სასიამოვნოა. — ხელი მეგობრულად ჩამოართვა ექიმმა გვანცას. — მე კი თქვენი მონა-მორჩილი არჩილ არაბული გახლავართ. მგონი, ამ დილით თქვენ დამირეკეთ, ხომ?

— დიახ, მე ვიყავი. — დაეთანხმა გვანცა.

— ახლა რისთვისღა გარჯილხართ? — დაინტერესდა არჩილი. — ხომ გითხარით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა-მეთქი?

— დიახ, მაგრამ გულმა მაინც არ მომითმინა... — თავის მართლება სცადა გვანცამ.

— ოჰ, ოჰ! მაინც რა ვართ ეს ქართველები! — გამხიარულდა არჩილი. — გულმა არ მომითმინაო, სულმა წამძლიაო... ჯერ იყო და, თქვენი უფროსის ოჯახის წევრები ძლივს გავისტუმრე შინ და ახლა თქვენ არ გამომეცხადეთ?! მაგრამ გულდაწყვეტილებს არც თქვენ გაგიშვებთ. ცოტა ხანს დამელოდეთ, ავადმყოფს დავხედავ და მთლად ცინცხალ ინფორმაციას გამოგიტანთ...

— დიახ, რა თქმა უნდა... — სასწრაფოდ დაეთანხმა გვანცა.

— ბატონო არჩილ! — სარეანიმაციოს კართან დაეწია ექიმს ივიკო. — ჩვენ რომ გარეთ გვაყურყუტებთ, ის ორი ტიპი რატომღა შეუშვით ბატონ ლაშასთან?

— ვინ შევუშვი? — გამოღებული კარი სასწრაფოდ ისევ მიხურა არჩილმა და ივიკოს მიუბრუნდა. — ვისზე მეუბნებით?

— აგერ, იმათზე! — უკვე დერეფნის ბოლომდე მისულ უცნობებზე ანიშნა ივიკომ ექიმს. — ეგენი ბატონი ლაშას პალატიდან სულ ორიოდე წუთის წინ

მობრუნებული ავადმყოფი მარტო მიატოვე? მეტი არ მინდა, რამე გაურთულდეს! – თვალები დაუბრიალა მან შემდეგ ექთანს და კარში გაუჩინარდა. ექთანიც მაშინვე მას მიჰყვა და ივიკოს და გვანცას კარი ცხვირწინ მოუჯახუნა.

– არა, ძმაო, აქ რაღაც ძაან ცუდი რამეები ხდება! – მაშინვე აქაქანდა ივიკო.

– რა რამეები? – მექანიკურად ჰკითხა გვანცამ.

– ვერ გამიგია, საავადმყოფოა თუ „პრახადნოი დვორი“! – ისევ თავისას აგრძელებდა ივიკო. – რეანიმაციაში ვიღაც ტიპები ისე „შეტასავდნენ“, რომ კაციშვილს არ გაუგია... ასე ხომ შეიძლება, იქ კაციც გააგორონ და ვერავინ გაიგოს?!..

– რას ჰქვია, გააგორონ?! – შეუტია ივიკოს გვანცამ. – შენ დღეს მთლად ნორმალურ ჭკუაზე არ უნდა იყო...

– მე კი არა, ეს ექიმები და ექთანები ვერ არიან თავიანთ „მატორზე“! – თავისას მაინც არ იშლიდა ივიკო.

უცბად სარეანიმაციოს კარი ხმაურით გაიღო, დაფეთებული მაკა შურდულივით გამოვარდა და წამში დერეფნის ბოლოში გაჩნდა.

– „ისტრიბიტელივით“ არ ჩაგვიფრინა?! – ხელები გაოცებით გაშალა ივიკომ.

მალე მაკა უკან ორ თეთრხალათიან მამაკაცთან ერთად დაბრუნდა და სამივე კვლავ სარეანიმაციოში გაუჩინარდა.

– მგონი, შიგნით მართლა რაღაც ცუდი ხდება. – შეშფოთდა გვანცა.

– გითხარი? – ნიშნი მოუგო ივიკომ. – „ბოზიშვილი“ ვიყო, თუ ის ახვრები ლაშას არ იცნობდნენ და რაღაცას არ უჩალიჩებდნენ!

– რაღაცას ნუ იგონებ, რა! – შეუძახა ივიკოს გვანცამ. – სად ლაშა და სად ის ტიპები?.. ეტყობა, ეგენი სარეანიმაციოში სულ სხვა ვინმეს ეძებდნენ...

– ვინ სხვას, გოგო? – გააწყვეტინა ივიკომ. – ვერ გაიგონე, ექიმმა რომ თქვა, მთელ განყოფილებაში მარტო ლაშა წევსო?.. თანაც, შენც რომ დაგეთომარნენ?!

– მაგით რისი თქმა გინდა? – შეცბა გვანცა.

– იმის, ჩემო ძვირფასო, რომ ლაშა რჩეულიშვილი უკვე ძალიან ბევრ ბნელ საქმეშია გახლართული და შენც თან მიგათრევს...

– მე რაღა შუაში ვარ? – გაწიწმატდა გვანცა.

– შუაში კი არა, თავში ხარ, – არ დაუთმო ივიკომ. – იცი, ფრაქციაში რამდენი ხანია, ჭორაობენ, გვანცა ლაშას ქალია და ყველა მისი „სდელკის“ აზრზეც არისო...

– რა-ა?.. – ნერვიულობისგან ხმა თითქმის ჩაუწყდა გვანცას. – გესმის, რას ამბობ?

– ამას მე კი არა, პირველ რიგში, სხვები ამბობენ. – სასწრაფოდ უკან დაიხია ივიკომ.

სწორედ ამ დროს სარეანიმაციოს კარი კიდევ ერთხელ გაიღო და ექიმები ერთმანეთის მიყოლებით გამოვიდნენ. არჩილ არაბულს გადაღლილ სახეზე შეშფოთებაც ეტყობოდა. გვანცა და ივიკო მაშინვე მასთან გაჩნდნენ.

– ბატონო არჩილ, რა მოხდა? – ჰკითხა ექიმს ივიკომ.

– ხომ მშვიდობაა? – მაშინვე ივიკოს აჰყვა გვანცაც.

– კი, ახლა ნამდვილად მშვიდობაა. – კედელს ზურგით მიეყრდნო არჩილი და ახალგაზრდები ისე შეათვალიერა. – რაც გინდა თქვი და თქვენი უფროსი ნამდვილად ქუდბედიანი ყოფილა. კიდევ რამდენიმე წუთით რომ დაგვეგვიანა, ვეღარაფერს ვუშველიდით...

– მართლა? – თითქმის ერთხმად იკითხეს გვანცამ და ივიკომ.

– ჰო, ვიღაცამ სასუნთქი აპარატი გამოურთო...

– ვიღაცამ კი არა, მე რომ დაგანახვეთ, იმ ტიპებმა! – გააწყვეტინა ექიმს ივიკომ.

– შეიძლება, – დაეთანხმა არჩილი ივიკოს, – მაგრამ მე პირადად, ვერაფერს დავამტკიცებ... პალატაში რომ შევედი, ავადმყოფი უკვე ხრიალებდა, მაგრამ გადავარჩინე... ასე რომ, ახლა ისღა დამრჩენია, სასწრაფოდ პოლიციაში დავრეკო, დანარჩენს კი გამოძიება დაადგენს. – დაასრულა სათქმელი არჩილ არაბულმა და დერეფანს ისე არხეინად გაუყვა, თითქოს საერთოდ არაფერი მომხდარიყო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ქალის საიდუმლოებით მოცული სულის კიდევ ერთი გამოვლინებაა უიტნი ჰიუსტონის უჩვეულო სიყვარული. ეს ქალბატონი ლამაზი და ძკვიანია, მისი რჩეული კი — უქნარაა და დიდად არც გარეგნობით გამოირჩევა. სვამს, გამუდებით ღალატობს და ტყუილუბრალოდ სცემს ცოლს. იქნებ, ვინმეს ის მილიონერი ჰგონია, რომელიც სიფხიზლის მომენტში იმდენად კარგად ეექცევა ცოლს და საკუთარი დანაშაულის გამოსყიდვას ისეთი საჩუქრებით ცდილობს, რომ ქალი ცდუნებას ვერ უძლებს? სულაც არა. უიტნი თავადაა მილიონერი და პოპმუსიკის ვარსკვლავი. ჰიუსტონის გულის დაპყრობას არა ერთი ცნობილი და წარმატებული მამაკაცი ცდილობდა, მაგრამ რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მან ყველას შფოთისთავი ბობი ბრაუნი ამჯობინა...

უიტნი ჰიუსტონის ანდამატური სიყვარული

უიტნი 1963 წლის 9 აგვისტოს მუსიკალურ ოჯახში დაიბადა. დედამისი — ემილი დრინქარდი ელვის პრესლისა და არეტ ფრანკლინის „ბექვოკალი“ იყო, მამამისი, ჯონ ჰიუსტონი — გიტარების დამამზადებელი ფირმის მთავარი სპეციალისტი. საქვეყნოდ სახელგანთქმული, ბლუზის ქალბატონად წოდებული დაიონ უორვიკი კი მათი ნათესავი გახლდათ. ასე რომ, უიტნის შოუბიზნესის ასპარეზზე სამოღვაწეოდ ბავშვობიდანვე ამზადებდნენ. მართალია, თავდაპირველად ოჯახს სურდა, რომ გოგონას მოდელის კარიერა შეექმნა, მაგრამ როცა ამ ასპარეზზე დიდ წარმატებას ვერ მიაღწია, უიტნიმ მომღერლობა გადაწყვიტა.

გოგონა თხუთმეტი წლის იყო, როცა მისი მშობლები გაიყარნენ. ეს ძალზე მოულოდნელი აღმოჩნდა უიტნისთვის, რადგან რაც თავი ახსოვდა, ოჯახში ყოველთვის მშვიდობა და ურთიერთთანხმობა სუფევდა. სინამდვილეში კი გაირკვა, რომ დედას საგასტროლო ტურნეების დროს რომანები ჰქონდა, მამას კი საყვარელი ჰყავდა. იმ ხანებიდან მოყოლებული, გოგონას ერთი შეხედვით უშფოთველი, მდგრადი ურთიერთობებისადმი შიში დასჩემდა და ცხოვრებაში ყოველთვის აქტიურ, ფეთქებადი ხასიათის პარტნიორს ეძებდა. თუმცა ასეთი ყმაწვილის საპოვნელად მას საკმაო დრო დასჭირდა.

1984 წელს, უიტნიმ კომპანია Arista Records-ის პრეზიდენტის — კლაივ დევისის ყურადღება მიიპყრო. უფრო მეტიც, დევისმა თავადვე შეურჩია მომღერალს საუკეთესო პოპკომპოზიტორების კომპოზიციები. შედეგმაც არ დააყოვნა: ჰიუსტონის სადებიუტო სინგლი — You Give Good ამერიკულ ტოპ-3-ში შევიდა, სიმღერა Createst Love Of All კი, სინგლების ჰიტაღლუმს სათავეში მოექცა.



სინგლებს მოჰყვა ალბომი — „უიტნი ჰიუსტონი“, რომელმაც გამოსვლისთანავე, პირველი ადგილი დაიკავა ჰიტაღლუმში. მეორე ალბომს — „ჰიუსტონს“ იგივე ბედი ეწია, რაც პირველს. იმხანად მომღერალს 25 წელი შეუსრულდა და ამ თარიღისა და საკუთარი წარმატების აღსანიშნავად ახალგამომცხვარმა ვარსკვლავმა თავს უფლება მისცა, ნიუ-ჯერსიში 11-მილიონიანი ვილა შეეძინა.

მომხიბლავი გარეგნობის ვარსკვლავი სულ მალე ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში მოექცა. მისი მცირერიცხოვანი რომანების შესახებ გამუდმებით წერდნენ პრესაში: მის ცხოვრებაში ჯერ ჯერმეინი (ჯექსონთა ხუთეულის წარმომადგენელი) გამოჩნდა, შემდგომ კი, რენდელ კანინგემი და ედი მერფი. უიტნი და ედი ოჯახის შექმნასაც აპირებდნენ, მაგრამ საცოლემ ბოლო მომენტში] გადაიფიქრა. ამის მიზეზი კი, ისევ და ისევ მშობლების გაყრა იყო — მას და ედის ხომ ისეთივე მშვიდი და უშფოთველი ურთიერთობა ჰქონდათ.

უიტნი მამასთან, ჯონ ჰიუსტონთან ერთად

და აი, მის ცხოვრებაში გამოჩნდა შფოთისთავი, მექალთანე, ნარკომანი, ლოთი და ორი უკანონო შვილის (ბავშვები მას სხვადასხვა ქალთან ჰყავს) მამა, რეპერი ბობი ბრაუნი, რომელმაც ისე დაახვია თავბრუ ჰიუსტონს, რომ ამქვეყნად ყველაფერი დაავიწყა. 1992 წელს

ასე გამოიყურებოდა უიტნი კარიერის დასაწყისში (1985 წ.)

მომღერალი ცოლად გაჰყვა ბობი ბრაუნს. მათ იმდენად გრანდიოზული ქორწილი გადაიხადეს, რომ ჟურნალისტებმა ეს ცერემონია საუკუნის ქორწილის სახელითაც კი მონათლეს. ჯვრისწერას 800 მიწვეული სტუმარი დაესწრო, პატარძალს თეთრი, შლეიფიანი კაბა ემოსა (რომლის შლეიფის სიგრძეც სამი მეტრი გახლდათ, ფასი – 40.000 დოლარი), ცერემონიის გასაფორმებლად კი, ათი ათასი ვარდი იყო შეკვეთილი...

იმავე 1992 წელს, ჯერ კიდევ ქორწილამდე, კევინ კოსტნერმა უიტნი მთავარ როლზე მიიწვია ფილმში – „პირადი მცველი", სადაც მისი პარტნიორის როლი თავადვე უნდა შეესრულებინა (სხვათა შორის, კევინ კოსტნერი ამ ფილმის პროდიუსერიც გახლდათ). მომღერალმა თავაზიანი უარი უთხრა კევინს და დასძინა, რომ ჭირვეული პრიმადონას როლი სულაც არ ხიბლავდა. კოსტნერმაც უკან არ დაიხია და გამუდმებით უმტკიცებდა უიტნის, რომ მასავით ვერავინ იმღერებდა და სწორედ ამიტომ სჭირდებოდა როლზე. მოულოდნელად ბობიმაც კევინს აუბა მხარი და როგორც იქნა, მომღერალიც დათანხმდა (სხვათა შორის, ამ ფილმის გმირის მსგავსად ჰიუსტონსაც არაერთგზის დამუქრებიან ცხოვრებაში).

ფილმში შესრულებულმა ამ როლმა მომღერალს რამდენიმე-მილიონიანი ჰონორარი და მსოფლიო მასშტაბის პოპულარობა მოუტანა, სურათში გაჟღერებული სიმღერა – I Will Always Love You – კი უმალ სუპერჰიტად იქცა. ფილმის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, ბობი საერთოდ ხელიდან წავიდა: სანამ უიტნი მათი პაწია გოგონას აღზრდით იყო დაკავებული, ბრაუნი განურჩევლად ყველასთან ღალატობდა ცოლს, გაუთავებლად ჩხუბობდა შინ თუ გარეთ, სვამდა და კიდევ უფრო მეტ ნარკოტიკს მოიხმარდა, ვიდრე ადრე. მიუხედავად ამისა, ჰიუსტონს ქმართან გაშორება არც უფიქრია. მომღერლისათვის „საყვარელი" მეუღლის მიერ მიყენებული სილურჯეების გრიმით დაფარვა გრიმიორებს სულ უფრო ხშირად უწევდათ. უიტნის მძაფრი რეაქცია არც მას შემდეგ ჰქონია, როცა ბობიმ ერთ-ერთი ჩხუბის დროს სახეზე ნაიარევითაც „დაასაჩუქრა". მან ესეც აპატია ქმარს და ჟურნალისტებს განუმარტა, რომ წყალში ყვინთვისას თავი ქვას დაარტყა და ეს ნაიარევიც სწორედ მას შემდეგ დარჩა. „არა, ბობის არასოდეს ვუცემივარ. მას არც კი უცდია ჩემი ცემა. პირიქით, როცა ვბრაზდები, მე თვითონ ვცემ ხოლმე მას!" – ამბობდა ვარსკვლავი.

შოუბიზნესის სამყაროს სასტიკმა წესებმა, ოჯახურმა აყალმაყალმა და გამუდმებულმა სტრესულმა მდგომარეობამ მომღერალი იქამდე მიიყვანა, რომ მან სმა და ნარკოტიკების მოხმარება დაიწყო. მთელი მსოფლიო შემოიარა იმ კადრებმა, სადაც აღბეჭდილი იყო, თუ როგორ იღებდნენ პოლიციელები მომღერლის მანქანიდან ნარკოტიკულ ნივთიერებას.

ცხოვრების ასეთმა წესმა მომღერლის ხმაზეც იმოქმედა: „ზოგჯერ სცენაზე გავდიოდი, თევზივით პირს ვაღებდი, ხმა კი არ ამომდიოდა..." რამდენიმე წლის განმავლობაში ჰიუსტონს არც ერთი ალბომი არ ჩაუწერია. პრესის ფურცლებზე მისი სახელის გამოჩენა კი, მხოლოდ ბობის გამოხდომებს უკავშირდებოდა. ბოლოს და ბოლოს, უიტნისაც აევსო მოთმინების ფიალა და 1997 წელს ქმარს გამოუცხადა, რომ მათ შორის ყველაფერი დამთავრდა. ერთ წელიწადში მომღერალმა ახალი ალბომი ჩაწერა. გარკვეული ხნის შემდეგ კი, ბობის პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა, რომ თავს დაანებებდა სმას, ნარკოტიკებსა და ქალებს და ისევ შეირიგა ქმარი. ყველაფერი კვლავ თავის ადგილას დადგა...

თუმცა, მომღერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან საკუთარი თავის პოვნა კიდევ ერთხელ შეძლო. ახალი ალბომის – Just Whitney-ს გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე (2002 წლის დეკემბერში), მან ბობისთან ერთად ცნობილ ამერიკელ ჟურნალისტს დაიანა სოიერს („ეიბისი ნიუსის" თანამშრომელი) სენსაციური ინტერვიუ მისცა. ვარსკვლავი ტელეკამერების წინ იჯდა და ჟურნალისტის შეკითხვებს გულახდილად პასუხობდა. მან ილაპარაკა ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულების შესახებ და დასძინა, რომ ძალზე ბედნიერია, ვინაიდან ამ მავნე ჩვევის დაძლევა შეძლო. გაიხსენა საკუთარი ბავშვობა და ავადმყოფური სიგამხდრე... არც 90-იანი წლების შუა ხანებში გადატანილი დეპრესია დაუტოვებია აღნიშვნის გარეშე. მოკლედ, უიტნი თავის ცხოვრებაზე გულახდილად ლაპარაკობდა და არც ბობისადმი სიყვარულისათვის აუვლია გვერდი: „ვფიქრობ, ჩვენ ერთმანეთისკენ ის ან-

11-მილიონიანი ვილა ნიუ-ჯერსიში

დამატური ძალა გვიზიდავს, რასაც სიყვარული ჰქვია... ბობი ჩემი პირველი სიყვარულია. მსგავსი გრძნობა არავისთან განმიცდია და ყოველთვის მზად ვიყავი, რომ მისი გულისთვის ყველაფერი მომეთმინა. მოვითმინე კიდეც!“ მომღერლის აღიარებამ მაყურებლის ისეთი ინტერესი გამოიწვია, რომ მთელი ამერიკა ტელეეკრანს მიეჯაჭვა...

2003 წლის მაისში ჰიუსტონი ქმარშვილთან ერთად იერუსალიმში, წმინდა ადგილების მოსალოცად გაემგზავრა. მისი ვიზიტი შეუმჩნეველი არ დარჩენია პრესასა და იერუსალიმის ქუჩებში ქმართან ერთად გამოსული, წითელ კაბაში გამოწყობილი მოღიმარი ვარსკვლავი კვლავ ფოტოკორესპონდენტების ყურადღების ცენტრში მოექცა.

უიტნი ქმართან და ბობის ქალიშვილთან კრისტინთან ერთად

ცოტა ხნის წინ ჰიუტსონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ძალზე დაღალა შოუბიზნესმა: „ეს უკვე ძალზე დიდი ხანია, რაც გრძელდება...“ თუმცა, მთავარი მაინც ის არის, რომ ვარსკვლავს სიმღერა ჯერ არ მოჰბეზრებია.

■

ნიკოლ კიდმანი შოუმიზნესის ყველაზე მდიდარი ვარსკვლავი გახდა

„ოსკარის“ პრემიის ლაურეატმა ნიკოლ კიდმანმა 2003 წლის მონაცემების მიხედვით, გააორმაგა თავისი შემოსავლები და გასართობი ინდუსტრიის ყველაზე მდიდარ ავსტრალიელ ვარსკვლავად იქცა – ასეთ დასკვნამდე მივიდა ანალიტიკური ჟურნალი Business Review Weekly, რომელმაც კინოსა და შოუბიზნესის 50-მდე ვარსკვლავის მონაცემები გამოაქვეყნა.

გასულ წელს კიდმანმა 18,6 მილიონი დოლარი გამოიმუშავა და მე-8 ადგილიდან პირველზე გადაინაცვლა (შედარებისთვის, 2002 წელს კიდმანი „მხოლოდ“ 8,63 მილიონი დოლარს დასჯერდა); მეორე ადგილზე მომღერალი ჯონ ფარნხემია, რომლის წლიური შემოსავალი 17,8 მილიონ დოლარს შეადგენს; მესამე ადგილი კი – 14,9-მილიონიანი წლიური შემოსავლით, ჯგუფ AC/DC-მ დაიკავა.

■

ოზი ოსბორნი გაცუცურაკემას გადაურჩა

ოზი ოსბორნი კინაღამ მხიარული გათამაშების მსხვერპლი გახდა – მუსიკოსი ლამის დაარწმუნეს, რომ კანადის ხელისუფლება მისთვის საპატიო ჯილდოს – ქალაქ მონრეალის სიმბოლური გასაღების გადაცემას აპირებდა.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ოსბორნმა თითქოსდა კანადის პრემიერ-მინისტრის პოლ მარტინისგან წერილი მიიღო, სადაც მინისტრი ოსბორნს სთავაზობდა, ტელეფონით ერთად განეხილათ დაჯილდოების ცერემონიის დეტალები. ოზი ოსბორნს ეჭვი გაუჩნდა, რომ მას ვიღაც აქილიკებდა, ხოლო „მისტერ მარტინთან“ ტელეფონით საუბრის შემდეგ, საბოლოოდ დარწმუნდა თავისი ვარაუდის სისწორეში.

უნდა ითქვას, რომ ოზის ეს ყველაფერი სასაცილოდ სულაც არ მოსჩვენებია და მომხდარის შესახებ პოლიციაში განაცხადა. მუსიკოსი თავის საქციელს იმით ხსნის, რომ აფერისტებმა წერილზე პრემიერ-მინისტრის ხელმოწერის ასლი გააკეთეს. „ეს სისხლის სამართლის დანაშაულია, რაც კანონის ძალით ისჯება“, – განაცხადა მან.

■

რობი უილიამსი ცისფერია?

„რობი უილიამსი ჰომოსექსუალისტია“, – განაცხადა მომღერლის მენეჯერმა, კევინ კინსელამ, რომელიც რობისთან ერთად ჯერ კიდევ მაშინ მუშაობდა, როცა ეს უკანასკნელი ჯგუფ Take That-ის წევრი იყო.

„სიმართლე“ დოკუმენტური ფილმიდან – The Truth About Take That გაირკვა, რომლის პრემიერაც სულ ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ ბრიტანულ ტელეარხზე შედგა.

კინსელას სიტყვებს თუ ვირწმუნებთ, თავის სექსუალურ ორიენტაციას მუსიკოსი იმის გამო მალავს, რომ იცის – ეს უდიდეს გავლენას მოახდენს მის პოპულარობაზე. ხოლო გაუთავებელი სკანდალები უილიამსის სიმთვრალისა და სასიყვარულო თავგადასავლების გამო, მხოლოდ გარშემომყოფთათვის თვალის ასახვევი მანევრია. კინსელა ამტკიცებს, რომ რობი უილიამსი ბისექსუალიც კი არ არის – ის „ნატურალური“ გეია.

თავად მომღერალი ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით არანაირ კომენტარს არ აკეთებს.

■

faraonebis sayvareli sunamo

თანამედროვე ეგვიპტოლოგებმა და არქეობოტანიკოსებმა „ლორეალის“ კოსმეტოლოგიური ფირმის პარფიუმერებთან ერთად ერთ-ერთი უძველესი არომატიული აფროდიზიაკის („სასიყვარულო სუნამო“) საიდუმლოს ახსნა მოახერხეს.

5000 წლის წინ ზემო და ქვემო ეგვიპტის დიდებული ფარაონები ამ სუნამოს საცდუნებლად, ვნების გასაღვივებლად და სიამოვნების გასამძაფრებლად იყენებდნენ.

სუნამოს საიდუმლოს კვლევა ექვსი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. თავიდან თითქოს არაფერი გამოდიოდა: მუზეუმებში დაცული ათასწლოვანი სიძველის ფლაკონებში „ცოცხალი“ სუნამოს ნიშანწყალს ვერსად მიაგნეს – მათი ინგრედიენტები გახრწნილი იყო. მეცნიერებს დიდი დახმარება გაუწია სახელგანთქმული ძველი ბერძენი პროზაიკოსის, ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის პლუტარქეს შრომამ. ცნობისმოყვარე პლუტარქემ დაახლოებით ქრისტეშობის პერიოდში იმოგზაურა ეგვიპტეში და მისი რეცეპტიც მაშინ ჩაიწერა. თანამედროვე მეცნიერებმა „ლორეალის“ პარფიუმერების დახმარებით დაამზადეს კიფი. ქვემოთ გთავაზობთ სურნელოვანი მასის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესს.

აღმოჩნდა, რომ ექსტრაქტის შემადგენლობაში 16 ნივთიერება შედიოდა, რომელთა დამუშავება თანამიმდევრულად, ექვს ეტაპად მიმდინარეობდა. 270 გრამ ლიმონის უროს, ფსტას, ასევე პიტნასა და დარიჩინს ნაყავენ მურტის ხის ქერქთან და შხამიან ლერწამთან ერთად, რომლის სახელიცაა – Acorus calamus. სხვა ჭურჭელში ნაყავენ ერთნაირი რაოდენობის ღვიის ნაყოფს, ფოთოლსა და ფესვებს. შემდეგ ამ ნარევს ჩვეულებრივ, ყურძნის ღვინოს ასხამენ, უმატებენ დაჭყლეტილ, წიპწებგამოცლილ ყურძენს და პალმის ღვინოს. ხუთი დღის შემდეგ 3 კილოგრამ თაფლსა და 1,2 კილოგრამ საკმეველს წამოადუღებენ, ყველაფერს ერთმანეთში გადაურევენ და კიდევ ხუთი დღით აჩერებენ. უკანასკნელი ინგრედიენტი ერთი კილოგრამი დაფხვნილი სურნელოვანი ფისი გახლავთ. მიიღება შესახედავად ფრიად გულმიუსვლელი ყავისფერი მასა, რომელსაც საოცრად მაცდუნებელი და ეროტიკულად აღმგზნები სურნელება აქვს.

კიფის ჩვ.წ.აღ-მდე III-I ათასწლეულებში იყენებდნენ. ეგვიპტელი ქალბატონები ამ მასისგან (მასის გამყარებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდებოდა) პაწაწინა ბურთულებს აგორგოლავებდნენ და თმაში იმაგრებდნენ. სარკოფაგებში, მუმიების გვერდით, კიფის ნარჩენებს არქეოლოგები ხშირად პოულობენ. ძველი ეგვიპტელები ამ სურნელოვანი მასის საფლავში ჩატანებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კიფის მეშვეობით სიყვარულში წარმატების მოპოვება მიცვალებულს იმ ქვეყნადაც სჭირდებოდა.

■

იყიდება ფრინავი თეფში!



ჯერჯერობით მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის ხელისუფლებას და არც უფოლოგებს ოფიციალურად არ განუცხადებიათ იმის შესახებ, რომ ამოუცნობ მფრინავ ობიექტს ან თუნდაც მის ნამსხვრევებს მიაკვლიეს.

სამაგიეროდ, ამ საოცრების მფლობელია მისურის შტატის 75 წლის პენსიონერი ბობ უაიტი, რომელმაც ადგილობივ გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება, რომ იყიდება მფრინავი თეფშის ნამსხვრევი. მისი მფლობელი ამ უჩვეულო ნივთში სულ რაღაც 10 მილიონ დოლარს ითხოვს! პოტენციური მყიდველების ეჭვის გასაქარწყლებლად უაიტი დაწვრილებით მოჰყვა იმ ამბავს, თუ როგორ ჩაუვარდა ხელში მფრინავი თეფშის ნამსხვრევი.

80-იანი წლების დასაწყისში ბობს შვებულება აუღია და კოლორადოს ტყეებში მოგზაურობა გადაუწყვეტია. ერთ საღამოს, ცნობისმოყვარე ტურისტს ცაში უჩვეულო ნათება შეუნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე დაბინდებული იყო, უაიტი ნათების მიმართულებით წასულა და სულ მალე უჩვეულო ფორმის ლითონის დეტალს გადაჰყრია, რომელიც მკვეთრად ანათებდა. მას ეს საოცრება თან წაუღია.

შვებულებიდან შინ დაბრუნებულ ბობს გულდასმით დაუთვალიერებია ნაპოვნი და იმ დასკვნამდე მისულა, რომ ეს მფრინავი თეფშის ერთ-ერთი დეტალი გახლდათ. მას საკუთარი ვარაუდის გადამოწმება განუზრახავს და ამ მიზნით, ლითონის დეტალიდან პატარა ნაწილის მოხერხვა უცდია, რათა ლაბორატორიაში წაეღო გამოსაკვლევად. ლითონი იმდენად მდგრადი აღმოჩნდა, რომ მისი გაჭრა მხოლოდ და მხოლოდ სპეციალური ალმასისპირიანი საჭრელის მეშვეობით გამხდარა შესაძლებელი.

ამის შემდეგ, ბობს ღამით მანათობელი ლითონის ქიმიური შემადგენლობის ანალიზში 200.000 დოლარი გადაუხდია. გამოკვლევის შედეგებმა მისი ვარაუდი დაადასტურა: მის მიერ ნაპოვნი ლითონის დეტალი 80% ალუმინს შეიცავდა,

მაგრამ მასში აგრეთვე შედიოდა 30 ისეთი ელემენტი, რომელიც ძალზე იშვიათად გვხვდება დედამიწაზე; უმთავრესი კი, მაინც ის იყო, რომ ზოგიერთი ელემენტი მეცნიერებისათვის დღემდე უცნობია. ასე რომ, პოტენციურ მყიდველებს შეუძლიათ გულდამშვიდებულნი იყვნენ — ეს რკინის ნაჭერი მართლაც არამიწიერი წარმომავლობისაა.

მთელი ოცი წლის მანძილზე ბობ უაიტს არავისთვის მოუყოლია თავისი უცნაური ნაპოვნის შესახებ, მაგრამ ახლა, ხანდაზმული ასაკის გამო გადაუწყვეტია, რომ უმჯობესი იქნება, თუ ამ უნიკალურ ნივთს სანდო პირის ხელში დატოვებს, რათა მისი სიკვდილის შემდეგ მფრინავი თეფშის ნამსხვრევი შემთხვევით ნაგავსაყრელზე არ აღმოჩნდეს. ამასთან, მისი აზრით, არც „ცოტაოდენი“ ფულის შოვნა იქნება ურიგო საქმე.

■

ქაშტიმქე ეფათქე ქეფლშ თნაფლშ

პერუში ერთი ფრიად უჩვეულო ამბავი მოხდა: ვეებერთელა მფრინავმა თეფშმა სოფელ პამბოტის მთელი მოსახლეობა მოიტაცა.

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის თქმით, 2001 წლის ნოემბერში სოფელ პამბოტის მცხოვრებნი — 113 მამაკაცი, 87 ქალი და 60 ბავშვი თავიანთი საცხოვრებლიდან 160 კილომეტრის მოშორებით 16-დღიანი ძებნის შემდეგ მთებში აღმოაჩინეს. „ადამიანები საოცრად დამფრთხლები და გაოგნებულები იყვნენ — ამბობს ლიმას პოლიციის თანაშრომელი. — ახალგაზრდა ქალების უმრავლესობას სხეულზე სისხლნაჟღენთები და ნაიარევები აღენიშნებოდა. გარდა ამისა, ბევრი მათგანი გულისრევის შეგრძნებას უჩიოდა. სოფლის მცხოვრებნი პოლიციელებს მოუყვნენ იმის შესახებ, რომ დიდმა მფრინავმა ხომალდმა ისინი თავის ბოროტზე აიყვანა. მოციმციმენათურებიანი ხომალდი ჯერ კიდევ მოტაცებამდე სამი დღით ადრე გამოჩენილა სოფელში და ამ სამი დღის განმავლობაში ყოველ ღამეს ზვერავდა მიმდებარე ტერიტორიას. მათი თქმით, ხომალდი სიდიდით მათ სოფელსაც კი აღემატებოდა და მისი გამოჩენისას ღამღამობით ისე ნათდებოდა ირგვლივ ყველაფერი, რომ დაძინება შეუძლებელი იყო“.

ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაიხსენა ის, თუ რა ხდებოდა იმ 16 დღის განმავლობაში, როცა ისინი უცხოპლანეტელთა ტყვეობაში იმყოფებოდნენ. მხოლოდ ერთმა ორსულმა ქალმა, 40 წლის ანა სალუდამ შეძლო ბუნდოვნად გაეხსენებინა ის, თუ როგორ კვებავდნენ მას რაღაც ფართო შლანგის მაგვარი მოწყობილობით და რომ ეს საკვები გემოთი თაფლიან წყალს აგონებდა.

პერუს ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით, სოფელ პამბოტის მცხოვრებნი ძირითადად, თევზაობითა და ნადირობით ირჩენენ თავს. ისინი ცივილიზაციიდან საკმაოდ მოშორებით ცხოვრობენ და ნაკლები კონტაქტი აქვთ გარე სამყაროსთან.

დაზარალებულების გამოსაკვლევად ოლქის ადმინისტრაციის მიერ გაგზავნილი მედიკოსების თქმით, პამბოტის მცხოვრებნი აბსოლუტურად ადეკვატურად რეაგირებენ ყველაფერზე და ფსიქიკაც ჯანმრთელი აქვთ. ქალები ძირითადად, გულისრევის შეგრძნებასა და თავისტკივილს უჩიოდნენ, ბევრ მათგანს სხეულზე ნაიარევი აღმოაჩნდა, რომელიც ძალზე ჩამოჰგავდა სიგარეტით მიყენებულ დამწვრობას. თექვსმეტდღიანი ტყვეობის შემდეგ არც ერთი მათგანი გამოფიტული და დაუძლურებული არ გახლდათ; ერთადერთი, რაც უმრავლესობას აწუხებდა, ეს გაუწყლობა იყო.

ამ შემთხვევას აშშ-სა და ევროპის ქვეყნების სპეციალისტები იკვლევენ. თუ მომხდარის რეალურობა დადასტურდა, ეს იქნება მფრინავი თეფშების მიერ ადამიანთა მოტაცების ყველაზე მასობრივი შემთხვევა.

■

ბერიბჯეს მოსაწონი ქალი...

ინგა ჯაყელი

ნიკა, ლაშა და ლევანი თანაკლასელები იყვნენ და ერთმანეთის სიყვარულით ინსტიტუტშიც ერთად გადაწყვიტეს სწავლა — სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხნენ. ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ნიჭიერი მოსწავლეებისთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა თუნდაც სამედიცინო ინსტიტუტის გამოცდების „შტურმით“ აღება-ჩაბარება...

დრო მოვიდა და სიყვარულიც ეწვიათ — ჯერ ნიკა დაცოლშვილდა, მერე ლევანიც, ლაშა კი... ლაშა ფეხს ითრევდა და წუწუნებდა: სრულყოფილი ქალი როგორც ჩანს, არ არსებობს, ვისაც სხეულიც და სულიც ერთნაირად მშვენიერი ექნებაო!.. თვეში ერთ გოგოს მაინც იწუნებდა, ხან ვის ახვედრებდნენ მეგობრები და ნათესავები, ხან ვის და ის ავიწყდებოდა, რომ ასაკმა მასაც დასვა დაღი — დამსხვილებული კისერი და თავი გაუერთიანდა, თმა გასცვივდა და მელოტ კუს დაემსგავსა. ბეჭებში მოხრილი, პატივცემული, გათავხედებული ღიპი კი, ლამის შარვლიდან ამოხტომოდა...

რძლისა და შვილიშვილების ნატვრაში ამოხდა სული ლაშას მამას და ახლა დედა იხვეწებოდა: „მიშველეთ რამე, ხალხი არა ხართ, შვილის დარდს საფლავში ნუ ჩამატანთო?!.“

ლაშა კი ასაკთან ერთად, კიდევ უფრო გაჯიქდა: იმას ძუძუ არ ეტყობაო... ამას კამელიასავით (პატივცემული ძროხა! — ავტ.) ჰკიდიაო... ეგ თეძოგანიერიაო, ეგ კი ელამიო!.. — და ა.შ.

ერთხელაც, მოთმინებადალეულმა ბიჭებმა დასვეს და წინ ფურცელი დაუდეს — „ადექი და დახატე ვისაც ეძებ, თორემ ჩვენი ხელით ამოგხდით სულს!..“

უნდა გითხრათ, რომ პორტრეტების ხატვის ნიჭი ბავშვობიდანვე ჰქონდა, მისი ხატვის მასწავლებელს გულიც კი დასწყდა, სამხატვრო აკადემიაში რომ არ ჩააბარა ლაშამ...

მეტი რა გზა ჰქონდა, დაჯდა, შუბლი შეიკრა და გვარიანი დრო მოანდომა

დახატვას. დახატა, მაგრამ რა დახატა. კარგა ხანს უცქერდნენ ბიჭები ქაღალდიდან მომზირალ ლამაზმანს, პირდაღებულები და ენაგადმოგდებულები...

ბოლოს ისევ ლევანი მოეგო გონს: „არა, ასე არაფერი გამოვა... ასეთი ქალი, ბუნებაში რომც არსებობდეს, ტყუილია, შენ არ გამოგყვება და თუ გამოგყვა, სხვა მიზეზი ექნება უსიკვდილოდ რამე!..“

— სხვანაირს არ ვითხოვ, 42 წელია ვოცნებობ ასეთ ქალზე და ახლა შევიცვალო აზრი?! არავითარ შემთხვევაში! — შეჯდა კახურად ვირზე ლაშა.

— ბიჭო, ასეთი ქალი რომ ავაწყოთ, კლაუდია შიფერი, ევა ჰერციგოვა, ნომი კემპბელი უნდა დავშალოთ ნაწილებად, მერე ისევ ავაწყოთ და ზედ თამარ მეფის ღვთიურობა დავუმატოთ, აზრზე ხარ, რას ითხოვ?!.

— აბა, თავი დამანებეთ და შემეშვით, როდის შეგაწუხეთ ჩემი ტემპერამენტით! — გაბრაზდა ლაშა და წავიდა.

— რა უნდა უყო ახლა ამას?! — ხელები გაშალა ნიკამ.

— მე ვიცი, რასაც ვუზამ! — დაიქადნა ლევანმა. მერე მობილურ ტელეფონზე ვიღაცის ნომერი აკრიბა და სასწრაფოდ თავისთან დაიბარა...

...ცოტა ხანში ლევანის დეიდაშვილი ცოტნე მოვიდა, მსახიობობაზე მეოცნებე ბიჭი, ხუთი წელიწადი რომ აბარებდა ინსტიტუტში ზედიზედ და რადგან „უპატრონო“ იყო, ვერაფრით მოაწონა კომისიის წევრებს თავი, რომლებსაც ბიძაშვილ-მამიდაშვილ-„სიდედრიშვილების“ გრძელი სიიდანაც ვერ მოეწყოთ ჯერ ყველა...

— ცოტნე რა შუაშია?! — გაიკვირვა ნიკამ.

— ახლავე ნახავ, რა შუაშიცაა და რა ტალანტი ეკარგება მისი სახით საქართველოს უგულო კომისიის გამო! — ლევანმა მერე ცოტნეს შინ ლაშას დახატული ლამაზმანის პორტრეტი დაუდო და პირდაპირ ჰკითხა: „შეგიძლია ასეთი გახდე?!“

— ხუთას დოლარს ჩამოდით და უფრო ლამაზიც ვიქნები!..

ცნობისმოყვარეობით გაგიჟებულმა ნიკამ პირველმა გაიკრა ჯიბეზე ხელი და... ცოტნეს ფული ჩააბარეს და ორი დღის ვადაც მისცეს...

ორი დღის შემდეგ კი ლაშასთან ერთად რესტორანში შევიდნენ და ცოტნეს მღელვარებით დაუწყეს ლოდინი, რომელიც ვითომდა შემთხვევით იქვე სადილად უნდა შემოსულიყო.

ხომ იცოდნენ, ვისაც ელოდნენ და რისთვის, მაგრამ კარი რომ გაიღო და ქალად „გადაკეთებული“ ცოტნე შემოვიდა, ლამის სკამებიდან გადმოცვივდნენ...

— ე, ბიჭო, ანგელოზი! — წამოიკნავლა ლევანმა.

— ვაიმე, ეგ ხომ ჩემი მეზობლის, დეიდა ცაცას დისშვილია, მოსკოვში სწავლობდა სამედიცინოზე და ჩამოსულა! — წამოიძახა ნიკამ და ცოტნე-ვიკას შეეგება, გადაეხვია, — ჩვენთან მობრძანდიო! — სუფრასთან მიიპატიჟა და მეგობრები გააცნო, მისი ოჯახური მდგომარეობითაც დაინტერესდა.

ცოტნე-ვიკამ კეკლუცად გაიღიმა:

— რუსს არ გავყევი, ქართველი მამაკაცია ჩემი იდეალი და ამიტომ ჩამოვედი. დეიდაჩემმა გამომიძებნა ვიღაც, ამ საღამოს უნდა შემახვედრონ...

...მავედრებელი თვალებით შეხედა ლაშამ ნიკას: ე, ბიჭო, შემაწიე ორი სიტყვა, თუ ოდესმე მართლა გსურდა და გინდოდა ჩემი გაბედნიერებაო!..

ნიკამაც არ დააყოვნა და ცოტნე-ვიკას კატეგორიულად უთხრა:

— თუ გათხოვება გინდა, ჩვენს ლაშაზე უკეთესს ვის იპოვი, ჩვენც შენნაირ გოგოს ვეძებთ ზუსტად მისთვის!..

მოკლედ, სიყვარულით გაგიჟებულმა ლაშამ ორი კვირის განმავლობაში რესტორნიდან რესტორანში ატარა ძმაკაცებიც და ცოტნე-ვიკაც. მერე კი, რადგან „საპატარძლოს“ „მოსკოვში ეჩქარებოდა“ — სასწრაფოდ ცოლობა სთხოვა და თანხმობის შემდეგ პატარა ქორწილიც გადაიხადეს. ოფიციალური რეგისტრაცია და ჯვრისწერა მძიმე მარხვის შემდეგ დანიშნეს...

როგორც იქნა, დარჩა მარტო ჩვენი ბერბიჭა ლაშა თავისი ოცნების ქალიშვილთან და რაც ამის შემდეგ მოხდა, საშინელ კოშმარშიც ვერ წარმოიდგენდა ალბათ და დღემდე უჭირს გახსენება...

„პატარძალმა“ მორცხვად დახარა მზერა, — მე თავად გავიხდიო!..

...ჯერ პარიკი მოიძრო და იატაკზე დაუდევრად დააგდო ქერა კულულები, ასე რომ აგიჟებდა ლაშას და მოკლედ გაკრეჭილი, საფეთქლებთან თმაშეთხელებული თავი მოატრიალა მისკენ; მერე წამწამები მოიძრო, შემდეგ ბროლივით ქათქათა კბილების პროთეზი და ჩაშავებული კბილებით (წინასწარ დახატულით) სანდომიანად გაუღიმა გაოცებისგან თვალებდაჭყეტილ ნეფეს...

მერე ლიფი გაიხსნა და... ორი პატარა საჰაერო ბუშტი დაჩუტა სისინსტვენით, ბრტყელი, ბანჯგვლიანი მკერდი წამოსწია წინ, — როგორ მოგწონსო?!..

მერე კი, როცა ქვედა საცვალი ჩაიძრო და მრგვალი თეძოებიც თან მიაყოლა, ლაშას მეტი აღარაფერი ახსოვს, გულწასული დაენარცხა იატაკს და გონს საკუთარი საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მოვიდა...

ნიკას და ლევანს კარგა ხანს არ ელაპარაკებოდა, მერე მიხვდა მისი ბრალი რომ იყო და დათმო, — „რაც მოგივა დავითაო!“ — ჩაილაპარაკა.

...რამდენიმე თვეში კი პირველსავე შემოთავაზებულ კანდიდატურაზე დაქორწინდა, ოღონდ გაცნობის პირველ საღამოსვე გააქცია თურმე საწყალი გოგო — ჯერ იყო და სკალპი ააგლიჯა ლამის, — პარიკი ხომ არ უკეთიაო?! მერე მკერდზე უჩქმიტა — თუ ბუშტია, გასკდებაო, — და ცხარე ცრემლით აატირა საბრალო, რომელიც გაქცევას ცდილობდა, — ეს გიჟი ვინ გამაცანითო?!..

სანამ არ უამბეს ლაშას „პირველი ქორწინების“ ამბავი, ვერ დაამშვიდეს...

■

ჯაბიოლეტი ვოლფსბურგიდან

ფირმა Volkswagen-მა ჟენევის ავტოსალონზე კუპე-კაბრიოლეტი VW Concept C წარმოადგინა. გერმანული კონცერნის ხელმძღვანელების აზრით, მოდელი პრაქტიკულად მზად არის სერიულ წარმოებაში ჩასაშვებად. შეიძლება, ავტომანქანა 2005 წლის საზაფხულო სეზონისთვისაც კი გამოჩნდეს საერთაშორისო ბაზარზე.

ბოლო წლებში კუპე-კაბრიოლეტები დიდი პოპულარობით სარგებლობს: შარშან ევროპაში 580 ათასმა ადამიანმა სწორედ მას მიანიჭა უპირატესობა. VW-ის ინჟინრებმა Concept C დამოუკიდებელ მოდელად შექმნეს და ის განსხვავებულია იმავე Golf-ისგან, რომლის ღია ვარიანტი დახურულის ბაზაზე იქმნებოდა. Concept C ზომებითაც მნიშვნელოვნად განსხვავდება დღეს უკვე წარმოებაში ჩაშვებული Golf-ის მეხუთე თაობისგან: მისი სიგრძე 4,41 მ-ია, სიგანე – 1,81 მ (Golf-ს, შესაბამისად, 4,20 და 1,76 მ აქვს). ფოლადის ასაკეცი სახურავი ხუთი ელემენტისგან შედგება. აკეცვის მექანიზმი ელექტროჰიდრავლიკურია. სახურავში ჩამონტაჟებულია გამჭვირვალე ლიუკი ელექტროამძრავით. ჩაკეცილი სახურავით, საბარგულის მოცულობა 200 ლ-ს შეადგენს. გარეგნულად კუპე-კაბრიოლეტი მეტისმეტად სპორტულად გამოიყურება: წინა ბორბლების დიამეტრი 19-დუიმია, უკანასი – 20. ავტომანქანაში ავტომოყვარულებისთვის უკვე კარგად ცნობილი 150-სიმძლავრიანი FSI-ის ტიპის, 2 ლ-ს მოცულობის ძრავა დგას. აქვს 6-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი. მგზავრების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს ოთხი საჰაერო ბალიში და დამატებითი, ე.წ. გამოსაწევი ფოლადის რკალები. ■

ჩვენთან ჯი „ფიესტაა“!

Ford-მა ჟენევაში ავტომანქანა Fiesta-ს სპორტული მოდიფიკაცია წარმოადგინა. მისი სრული სახელწოდება Ford Fiesta ST უნდა ყოფილიყო. რადგან აბრევიატურა ST იშიფრება, როგორც Sport Technologies და ავტომანქანის სპორტულ ხასიათზე მიუთითებს. მაგალითად, Focus ST 170, Mondeo ST 220, მაგრამ Fiesta-ს შემთხვევაში, რატომღაც უარი თქვეს აღნიშნულ ტრადიციაზე.

გარეგნულად ახალი Ford Fiesta ოდნავ განსხვავდება ჩვეულებრივისგან: მას დაბლა ჩადგმული ბამპერი და 17-დუიმიანი საბორბლე დისკები აქვს, სალონში კი შავი ტყავით გაწყობილი სპორტული ტიპის სავარძლებია. მაგრამ მთავარი ღირსება კაპოტის ქვეშ იმალება – ახალი 150-ცხ.ძ. სიმძლავრიანი, 2 ლ-ის მოცულობის ძრავით. 8,5 წამში მანქანა 100 კმ\სთ სიჩქარეს ავითარებს. მაქსიმალური სიჩქარე კი, მკვეთრად აჭარბებს 200 კმ\სთ-ს. ვარაუდობენ, რომ ავტომანქანა ამ წლის ბოლოს გამოჩნდება ბაზარზე და სწორედ მაშინ გამოაცხადებს Ford მის ფასს. ■

იტალიური ცეხოდენა

კონცერნი FIAT ძირითადად მცირე კლასის ავტომობილებზე მუშაობს. ამჯერადაც, იტალიელებმა რამდენიმე საინტერესო სიახლე წარმოადგინეს. – ექვსადგილიანმა ავტომანქანამ კომპაქტურმა Multipla-მ შედარებით სადა დიზაინი შეიძინა, სიგრძეში კი 10 სმ-ით მოიმატა (ამჯერად მისი სიგრძე 4,09 მ-ია). ამის შედეგად, მძღოლიცა და მგზავრებიც სალონში თავს უფრო კომფორტულად გრძნობენ. საბარგულის მოცულობა 430 ლ-ს შეადგენს, აკეცილი უკანა სავარძლებით – 1300 ლ-ს. ძრავა ძველებური დარჩა, თუმცა, მოტორი მოდიფიცირებულია და ბუნებრივ აირზე მუშაობს. შემოდგომიდან FIAT Multipla იტალიის ფარგლებს გარეთაც გამოჩნდება. ■

რა ხერხს მიმართავენ ქალები სილამაზის შესანარჩუნებლად

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ქალები სილამაზის შესანარჩუნებლად სხვადასხვაგვარ ხერხს მიმართავენ. ყველას თავისი საიდუმლო აქვს, მათი ტრადიციული მეთოდები კი გაცილებით მარტივია, ვიდრე იმ მეცნიერთა ძიებანი, რომლებიც ცდილობენ, ქიმიური და ბუნებრივი პროდუქტების სინთეზით მარადიული სილამაზის ფორმულა შექმნან. დავიწყოთ იმ ქვეყნით, სადაც ყველაზე ბევრი ლამაზმანია. ეს არის საფრანგეთი.

ფრანგი ქალები

ფრანგი ქალები თვეში 2-3-ჯერ სამდღიან დიეტას იცავენ. პომიდორს, ნიორს, კომბოსტოს, მწვანე წიწაკას და მარცვლეულს ნელ ცეცხლზე ხარშავენ და დღეში სამჯერ (სამი დღის განმავლობაში) მიირთმევენ. დღის განმავლობაში იღებენ ბევრ სითხეს, წვნიანი კერძი მათ ყოველდღიურ რაციონში აუცილებლად შედის. ფრანგი ქალების საყვარელი ხილია ყურძენი, რომელსაც სხეულის გასაახალგაზრდავებლადაც იყენებენ. ყურძნისა და მისი წიპწებისგან დამზადებული ექსტრაქტები თითქმის ყველა ფრანგული კოსმეტიკური ფირმის პროდუქციის შემადგენლობაში შედის. ფრანგი ქალები განსაკუთრებული ყურადღებით არჩევენ პარფიუმერიას. ვიტამინებით მდიდარი მათი ლოსიონები მართლაც სასწაულს ახდენს. 50 წელს გადაცილებული ფრანგი ქალებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა მკერდისა და ტუჩების გადიდება. ისინი ხშირად მიმართავენ ესთეტიკურ ქირურგიას და ღრმა მოხუცებულობაშიც ცდილობენ, ისევე გამოიყურებოდნენ, როგორც ეს კლასიკური ტიპის ფრანგ ქალს შეშვენის.

ინგლისელი ქალები

ინგლისელი ქალები ორგანიზმის გამწმენდ წვენებსა და ბალახეულ ნაყენებს ეტანებიან. ძალზე მოსწონთ ხილის ნიღბები და ხშირადაც იყენებენ.

საუკუნის დასაწყისში ინგლისი ესთეტიკური ქირურგიის აკვანს წარმოადგენდა, დღეს კი სულ სხვაგვარი ვითარებაა. ლონდონში გაცილებით დაბალკვალიფიციური ქირურგები არიან, ვიდრე საფრანგეთსა და ამერიკაში. ალბათ ამიტომ არის, რომ ბევრი ინგლისელი ქალი გასალამაზებლად პარიზში ჩადის. თუ რამდენიმე ხნის წინ ინგლისელ მანდილოსნებს ამერიკელი ლამაზმანების სტანდარტული გარეგნობა ხიბლავდათ და ჰბაძავდნენ კიდეც მათ, ახლა საკუთარი ინდივიდუალურობისა და სექსუალურობისთვის ხაზის გასმას ცდილობენ. მათ სურთ სავსე ტუჩები ჰქონდეთ და ახალგაზრდული იერიც შეინარჩუნონ. ინგლისელი ქალები ძალიან პრაქტიკულები არიან, გამოყენებულ ჩაის პაკეტს კი არ აგდებენ, მაცივარში ინახავენ და როგორც კი თვალების დაღლას იგრძნობენ, თვალის ქუთუთოზე იდებენ. არ ეზარებათ სისტემატურად იზრუნონ საკუთარ გარეგნობაზე და შედეგიც სახეზეა.

ამერიკელი ქალები

ამერიკელი ქალები ხშირად იცავენ სხვადასხვა დიეტას. ცდილობენ, ძირითადად უმი ბოსტნეული მიირთვან. ამერიკაში პლასტიკური ქირურგია პოპულარობის ზენიტშია. პლასტიკური ქირურგიის ამერიკული ასოციაციის მონაცემებით, ფიზიოლოგიური ხსნარით მკერდი ამერიკელი ქალების 45%-მა გაიდიდა. უმეტესობას სურს შეიცვალოს ცხვირის ფორმა, იკეთებენ ლიპოსაქციას და ლიფტინგს, მაგრამ მათ მთავარ პრობლემას მაინც ჭარბი წონა წარმოადგენს. ამერიკელი ქალების უმრავლესობას ფიზიკური ვარჯიში ეზარება, ამიტომ იქ პოპულარულია სპეციალური ქამრებისა და ჟილეტების საშუალებით სხეულისთვის სასურველი ფორმის მიცემა.

გერმანელი ქალები

ისინი თვლიან, რომ ქალი ისე გამოიყურება, როგორც იკვებება. კერძებიდან უპირატესობას ბოსტნეულსა და მისგან დამზადებულ წვნიანებს ანიჭებენ. კვირაში ორჯერ ორგანიზმის გასაწმენდად მკაცრად იცავენ კვების რეჟიმს. განსაკუთრებით უვლიან თმას და სახის კანს. უმეტესობა მისდევს სპორტს და უფრო გვიან ბერდებიან, ვიდრე მათი მეზობელი ევროპელი ქალები. ალბათ ამიტომ არის, რომ გერმანიაში პლასტიკური ოპერაციები მოდაში არ არის. ერთადერთი, რაც პოპულარულია, ქუთუთოების კორექციაა.

იაპონელი ქალები

იაპონელი ქალები სხეულს იოგის მეშვეობით იხვეწენ. მათთვის ბანაობა ნამდვილი რიტუალია. სააბაზანოში სურნელოვანი ზეთებით გაჟღენთილ ტომსიკას ათავსებენ, რომელსაც მატონიზებელი და დამამშვიდებელი მოქმედებაც აქვს. იაპონელი ქალები ცხიმიანი კანით ხასიათდებიან. ცხიმის მოსაცილებლად წითელი ლობიოს მარცვლებს ფქვავენ, მას ცოტაოდენ წყალს უმატებენ და წებოსმაგვარი სითხით სახეს იწმენდენ. კერძებში წყალმცენარეებს, ბრინჯსა და სოიის ნორჩ ღეროებს ამატებენ. მათი რწმენით, ისინი ხელს უწყობს კანის და თმის ბრწყინვალებას. მშრალ კანს (ასეთი კი იაპონელი ქალების უმცირესობას აქვს), ქოქოსის ზეთით კვებავენ. მათი ძირითადი პრობლემა დავიწროებული ქუთუთოებია, რომელიც მათ თვალებს იმაზე უფრო პატარას და ვიწროს აჩენს, ვიდრე სინამდვილეში აქვთ. ქუთუთოების პლასტიკური ოპერაციის შემდეგ, ცხვირის „გადაკეთებაზე“ ზრუნავენ. ქირურგები მათ პაჭუა ცხვირებს ფუძეზე მყარი სილიკონის დამატებით ადიდებენ. ქუთუთოებისა და ცხვირის პრობლემების მოგვარების შემდეგ, არანაკლებ ყურადღებას აქცევენ ფეხებს. ფეხების ლიპოსაქცია ძალიან მტკივნეული და ხანგრძლივი ოპერაციაა, მაგრამ სილამაზისთვის ღირს გარისკვა.

■

გაზაფხულზე კანი რომ განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებს, ამაში ახალი თითქოს არაფერია, მაგრამ უამრავ კოსმეტიკურ საშუალებას შორის საუკეთესოს ამორჩევა, ნამდვილად ძნელია. ქართველი კოსმეტოლოგები ძვირად ღირებულ კრემებსა და ნიღბებს, ხშირად, ოჯახურ პირობებში დამზადებულ ლოსიონებსა და ნელსაცხებლებს ამჯობინებენ. როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ სახის კანის მოვლა და გაახალგაზრდავება განვიზრახეთ — ამის შესახებ რჩევებს ექიმი-კოსმეტოლოგი დოდო ძევხიშვილი გვაძლევს.

რამდენი ტუნისგან შედგება კანი ანუ როგორ მოვუაროთ სახეს

ლელა ჭანკოტაძე

— კანი გაზაფხულზე განსაკუთრებით სათუთი ხდება, ხშირად წითლდება და მასზე ლაქები ჩნდება. ამიტომ აუცილებელია, მზის სხივებისგან დამცავი მალამო ვიხმაროთ. მზე სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს სხვადასხვა ტიპის კანზე. საერთოდ, კანი სამი ფენისგან შედგება, ესენია: გარე ანუ ზედა ფენა, შუა (ნამდვილი კანი) და ღრმა ფენა ანუ კანქვეშა ცხიმოვანი ფენა. ჯანსაღი, მკვრივი კანის შესანარჩუნებლად, მისი ნაადრევი დაჭკნობისა და დაავადების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა კანის სამივე ფენის რეგულარული მოვლა.

— რას ნიშნავს კანის მოვლა?

— სხეულის დაუფარავ ნაწილებზე — სახეზე, კისერსა და ხელებზე განსაკუთრებით მოქმედებს გარე ფაქტორები. ამიტომ ისინი სისტემატურ და გულმოდგინე მოვლას საჭიროებს. კანის მოვლაში შედის: კანის ჰიგიენა — ე.ი. მისი გასუფთავება, კანის დარბილება — კვება და კანის დაცვა გარე გამაღიზიანებელი ფაქტორებისგან. არასოდეს მოიკლოთ ძილი, თუ გსურთ, რომ კარგი სახის კანი გქონდეთ. დღეღამეში უნდა გეძინოთ, სულ მცირე, 7 საათი. დასაძინებლად დაწექით ერთსა და იმავე დროს. საწოლი ოთახი კარგად უნდა იყოს განიავებული. აუცილებელია წყნარი გარემო. თუ ღამით მუშაობა გიწევთ, მაშინ სამუშაოს შემდეგ აუცილებელია ხანგრძლივი ძილი და დასვენება. დღისით კარგად რომ გეძინოთ, დაწოლისას არ უნდა გაწუხებდეთ შიმშილისა და წყურვილის გრძნობა. დაძინებამდე 3-4 საათით ადრე ჭამეთ, ხოლო ნახევარი საათით ადრე, შეიძლება დალიოთ ერთი ჭიქა მაწონი, მიირთვათ ვაშლი, შავი ქლიავი ან სტაფილო. ძილის წინ, ცხადია, სასარგებლოა სუფთა ჰაერზე გასეირნება, შემდეგ კი თბილი აბაზანის მიღება.

— როგორი უნდა იყოს მოსადუნებელი აბაზანა?

— საღამოს ჩაწექით არომატულ ქაფიან აბაზანაში. სასურველია, გაიკეთოთ მასაჟიც, რადგან ამ დროს ფორები გაფართოებულია და მასაჟის მოქმედება უკეთესია. ასეთი აბაზანა განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვისაც ცხიმიანი კანი აქვთ. აბაზანის შემდეგ, ტანი გაიწმინდეთ უხეში პირსახოცით და კანში შეიზილეთ სპეციალური კოსმეტიკური რძე. საერთოდ, ყოველი შხაპის შემდეგ, უხეში პირსახოცით გაიკეთეთ მასაჟი 10-15 წთ. ყოველ საღამოს გაისუფთავეთ სახის კანი და წაისვით ღამის კრემი. ძილის წინ, თმა კარგად დაივარცხნეთ, რათა მოიცილოთ დღის განმავლობაში დაგროვილი მტვერი. თუ გსურთ, დიდხანს შეინარჩუნოთ ახალგაზრდული კანი, იცხოვრეთ სწორი რეჟიმით: არ გადაიღალოთ გონებრივად, იძინეთ არანაკლებ 8-10 საათისა, დაიცავით კანის ჰიგიენა, უარი თქვით თამბაქოზე და შეზღუდეთ ალკოჰოლური სასმელების მიღება. იარეთ ფეხით, ივარჯიშეთ დილით; თუ შხაპის მიღების საშუალება არ გაქვთ, დილით ტანი წყალში დასველებული ხაოიანი პირსახოცით დაიზილეთ.

— როგორ უნდა დავამზადოთ ოჯახურ პირობებში სახის გამწმენდი საშუალებები?

— ნებისმიერი ტიპის კანისთვის ეფექტური საშუალებაა ე.წ. „ცილის რძე". ისეთ მინის ჭურჭელში, რომელსაც თავი მჭიდროდ ეხურება, ჩასხით 1 კვერცხის ცილა, 1 ს/კ ნაღები და 1 ლიმონის წვენი. ჭურჭელი კარგად შეანჯღრიეთ და დაუმატეთ 200 გ არაყი. მიიღებთ არაჩვეულებრივ კანის გამწმენდ „ცილის რძეს". ეფექტურია „კიტრის ემულსიაც": ერთი ცალი კიტრი გახეხეთ და კარგად გაწურეთ. შემდეგ 1 ჩ/კ ლანოლინი და 1 ჩ/კ საპნის ფხვნილი (საპონი სახეხზე გახეხეთ) გახსენით მცირე რაოდენობის ანადუღარ წყალში. ზემოდან დაასხით 1/4 ლიტრი არაყი და ერთმანეთში აურიეთ. მიღებულ მასას დაასხით კიტრის წვენი. ემულსია განკუთვნილია მშრალი კანისთვის და სახის კანიდან შავი წერტილების მოსაცილებლად. მათ, ვისაც მშრალი კანი აქვთ, ვურჩევ გლიცერინის ლოსიონსაც, რომელიც რთული დასამზადებელი სულაც არ არის. მინის ჭურჭელში მიყოლებით ჩასხით: 1 ჩ/კ ბორის მჟავა, 1 ჩ/კ გლიცერინი, 1 ჩ/კ წყალი, 1 ს/კ ოდეკოლონი. ამ ლოსიონით სახის კანი გაიწმინდეთ საღამოობით, შემდეგ კი წაისვით მკვებავი კრემი. მშრალი კანისთვის გამოიყენეთ მკვებავი ლოსიონიც. თუ შეატყვეთ, რომ თქვენი კანი მოდუნებულია, არ დაიზაროთ და დაამზადეთ მოდუნებული კანისთვის უებარი ლოსიონი. 3 გ ბორაქსი (თეთრი ფხვნილია, შეიძინეთ აფთიაქში) გახსენით 100 გ მდუღარე წყალში. დაამატეთ 5 გ გლიცერინი და 20 გ სპირტი. ამ ხსნარით სახე გაიწმინდეთ დღეში 2-ჯერ. მისი შენახვის ვადაა 5 თვე.

— ეს ლოსიონები მხოლოდ სახის კანისთვისაა გამოსადეგი?

— ხელებისთვის ლოსიონები სპეციალურად უნდა დავამზადოთ. სახის კანის ლოსიონი არ გამოგვადგება. მინის ჭურჭელში მოათავსეთ 20 გ გლიცერინი. 5 გ შაბი (დაფხვნილი), 100 გ გამოხდილი წყალი და 40 გ ნებისმიერი ოდეკოლონი. დაამატეთ 1 ლიმონის წვენი. ხელებზე წაისვით ბამბით. ხმარების წინ შეანჯღრიეთ.

— როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ცხიმიანი და ფერიმჭამელებისადმი მიდრეკილი კანი გვაქვს?

— ასეთი კანისთვის პირველ რიგში, უნდა გამოიყენოთ კოსმეტიკური საპონი, რომლის დამზადებაც სრულიად არ არის რთული. საჭირო კომპონენტებს აფთიაქში შეიძენთ. გახეხეთ 1 ცალი 100-გრამიანი საპონი და დაასხით 2,5 ჩ/ჭ ადუღებული წყალი. ურიეთ, შემდეგ დაუმატეთ 1 ს/კ ბორმჟავა და 1 ჩ/კ ბორაქსი. დადგით დაბალ ცეცხლზე და ურიეთ. საპონი დნობას რომ დაიწყებს, დაამატეთ 1 ს/კ ნიშადურის სპირტი და ქაფურის სპირტი. საპონი გადნება თუ არა, გადმოდგით ცეცხლიდან და დაამატეთ 1 ს/კ წყალბადის ზეჟანგი. კოვზით ურიეთ მანამ, სანამ არ მიიღებთ თოვლისმაგვარ მასას. საპონი შეინახეთ დახურულ ჭურჭელში. ყოველდღე წაისვით კანზე, გაიჩერეთ 15 წთ და ჩამოიბანეთ ჯერ თბილი (და არა ცხელი), შემდეგ გრილი წყლით.

— რამდენჯერ ან როგორ უნდა დავიბანოთ პირი?

— როცა სახის კანი მგრძნობიარეა და ვერ იტანს წყალს და საპონს, უკეთესია, დასაბანად შვრიის ფანტელისა და პურის ქატოსგან დამზადებული მასა გამოვიყენოთ. შვრიის ფანტელი და პურის ქატო უნდა ავიღოთ თანაბარი რაოდენობით, დავასხათ მდუღარე წყალი და 15-20 წუთის შემდეგ მიღებული წებოვანი მასით დავიბანოთ სახე — საპნის გარეშე. მაგრამ ყველაზე ეფექტურია წყალი, რომელსაც თავად დაამზადებთ. მინის ჭურჭელში ჩაასხით 1 ს/კ რძე, 2 ს/კ არაყი და 1 ს/კ წყალი. კარგად აურიეთ ერთმანეთში. საღამოს, ამ სითხეში დასველებული ბამბით გაიწმინდეთ სახე. შემდეგ აუცილებლად უნდა წაისვათ მკვებავი კრემი. დილაობით კანის დაზელა (დაბანა) წყლით შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზმის გამოწრთობა, გაკაჟება გსურთ, საპნით პირს ყოველ დილით ნუ დაიბანთ, რადგან საპონი ცხიმს აცლის კანს. ტუტის შემცველმა საპონმა შეიძლება კანს ცხიმი ზედმეტი რაოდენობითაც მოაცილოს და ამით დაუკარგოს ბუნებრივი დაცვითი თვისება. ამიტომ რეკომენდებულია ნეიტრალური (სბავშვო) საპონი. თუმცა, უმჯობესია, უარი თქვათ ჩვეულებრივ საპონზე და უპირატესობა კოსმეტიკურ საპონს მიანიჭოთ.

— რა უნდა გააკეთოს მშობელმა, რომ გარდატეხის ასაკში მყოფ შვილს სუფთა კანი შეუნარჩუნოს?

— მომწიფების (გარდატეხის) ასაკში (14-18 წელი) ორგანიზმში მნიშვნელოვანი ძვრების, განსაკუთრებით — ენდოკრინული ჯირკვლების მოქმედების ცვალებადობის შედეგად, კანი ძალზე მგრძნობიარე ხდება. ირღვევა ცხიმის ჯირკვლების ფუნქცია, კანი ცხიმიანი და ბზინვარე ხდება. ცხიმის ჯირკვლების სადინარები ფართოვდება, კანის ზედაპირზე შეინიშნება გაქონილი ქერცლი, რომელიც ახშობს ცხიმის ჯირკვლების სადინარებს, რის გამოც მრავლდება მიკრობები. ცხიმის ჯირკვლების დაქვეითების გამო ვითარდება კანის სიმშრალე, ხოლო მათი ფუნქციის გაძლიერება იწვევს სებორეას — ფერიმჭამელებს, რომელთა მკურნალობა საკმაოდ ბევრ დროს მოითხოვს. საჭიროა ზოგადი და ადგილობრივი ხასიათის მკურნალობა, პირველ რიგში — სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესება (ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება) და ცხიმის ჯირკვლების სადინარების გახსნა. ამ ასაკში საკვები რაციონიდან უნდა გამოვრიცხოთ აღმგზნები პროდუქტები: ყავა, შოკოლადი, სანელებლები, ალკოჰოლი და ნიკოტინი. განსაკუთრებით სასარგებლოა რძის ნაწარმი და ვიტამინები. თუ სახეზე ფერიმჭამელები გაგიჩნდათ, კარგია ნიღბის გაკეთება. კვირაში ერთხელ რეკომენდებულია, საფუვრის ნიღაბი: ჯაჭში ჩაყარეთ 1 ს/კ საფუარი, დაუმატეთ კარგად შემთბარი რძე და ურიეთ, სანამ სქელ ფაფას არ მიიღებთ. გაცივების შემდეგ, წაისვით სახეზე სპეციალური ჯაგრისით (შეგიძლიათ გამოიყენოთ კბილის ჯაგრისიც). 20 წუთის შემდეგ, ჩაიტარეთ მასაჟი — თითების ისეთი მოძრაობით, თითქოს კანის ზედაპირიდან ნიღაბს იშორებთ. ეს პროცედურა შესანიშნავად ასუფთავებს ფორებს და ასწორებს კანს. ამ ნიღბის შემდეგ, ცხადია, სახეზე ცივი წყალი უნდა შეისხათ. ათასფურცელას (რომელსაც, საერთოდ, ანთების საწინააღმდეგო მოქმედება აქვს) ნიღაბი კარგია გაფართოებული ფორების შესამჭიდროებლად და სახის კანის ფერიმჭამელებისგან გასასუფთავებლად. წვრილად დაჭრილ ათასფურცელას შეურიეთ ცოტაოდენი კარტოფილის ფქვილი, დაასხით მდუღარე წყალი და ურიეთ ფაფისებური მასის მიღებამდე. შეგრილებული მასა თანაბრად წაისვით სახეზე. 20-30 წუთის შემდეგ მოიცილეთ.

უკეთესია, დასაბანად შვრიის ფანტელისა და პურის ქაგოსგან დამზადებული მასა გამოვიყენოთ

— ბოლო დროს, მეტისმეტად მოდური გახდა სახის ნიღბები. გაზაფხულზე რომელ მათგანს გვირჩევდით?

— ჭორფლიანი და ლაქებიანი კანისთვის ეფექტური მათეთრებელი ნიღაბი იოლად მზადდება. ერთი დიდი ლიმონის წვენს დაუმატეთ 100 გ თაფლი. ნარევი ყოველდღე წაისვით სახეზე, ყელსა და ხელებზე. გაიჩერეთ 20-25 წუთი. ჩამოიბანეთ ცივი წყლით და წაისვით მკვებავი. ეს ნიღაბი აუცილებლად შეინახეთ მაცივარში. შემიძლია შემოგთავაზოთ ნიღაბი, რომელსაც მხოლოდ მათეთრებლის დანიშნულება აქვს. 1 კვერცხის ცილას შეურიეთ ერთი დიდი ლიმონის წვენი, დაამატეთ 1 ჩ/კ პუდრა „ფისო-ფისო“ ან ბავშვის „ტალკი“ და გააზავეთ 100 გ წყალში. სახეზე გაიჩერეთ 25 წთ. შემდეგ ჩამოიბანეთ ცივი წყლით და წაისვით მკვებავი.

— მშრალი კანისთვის როგორი ნიღბის გაკეთება სჯობს?

— 2 ს/კ „ჰერკულესს“ დაასხით ცხელი რძე — იმდენი, რომ დაფაროს. დადგით, სანამ არ გაფუვდება. შემდეგ წაისვით სახესა და ყელზე. გაიჩერეთ 20 წუთი. ჩამოიბანეთ თბილი წყლით და წაისვით მკვებავი. კარგ ნიღაბს მიიღებთ, თუ ერთმანეთში აურევთ ერთი კვერცხის გულს, 1 ჩ/კ კარტოფილის ფქვილს და 1 ჩ/კ მცენარეულ ზეთს. მშრალი და ნორმალური კანისთვის რეკომენდებულია სტაფილოს ნიღაბი, რომელიც მდიდარია ვიტამინებით და შესანიშნავი მკვებავია: ორი ცალი ბაცი ყვითელი სტაფილო (მუქი სტაფილო არ გამოიყენოთ) გახეხეთ. დაამატეთ კვერცხის გული და რამდენიმე წვეთი ნიგვზის ზეთი (აძლიერებს მკვებავ მოქმედებას). მიღებული მასა სქლად დაიდეთ სახეზე. შემდეგ მოიცილეთ დასველებული ტამპონით.

— რომელ ნიღბებს ურჩევთ მათ, ვისაც ცხიმიანი კანი აქვთ?

— მათ, ვისაც ცხიმიანი კანი აქვთ, ვურჩევ, მოერიდონ ცხარე საკვებსა და ალკოჰოლს. ასეთი კანის დასაბანად უნდა გამოიყენოთ რბილი წყალი: 1 ლ წყალს დაუმატეთ 1 ს/კ გლიცერინი. კარგია რძიანი წყლით დაბანაც. ცხიმიანი კანისთვის სასარგებლოა მჟავე და აგრეთვე ცილით მდიდარი ნიღბები: ერთმანეთში აურიეთ 1 ს/კ ხაჭო და 1 ს/კ მაწონი. მიღებული მასა 10 წუთი დაიდეთ სახეზე. შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ და მკვებავი მანამდე წაისვით, სანამ სახე ნამიანი გაქვთ.

— როგორ მოვიქცეთ, თუ სახეზე ნაოჭები შევნიშნეთ?

— დაიდეთ ნიღაბი, რომელიც რეკომენდებულია დაბერებული სახისთვის: 1 ს/კ მაიონეზს დაუმატეთ 1 ჩ/კ თაფლი და 1 ჩ/კ ლიმონის წვენი ან ძმარი. წაისვით სახეზე და გაიჩერეთ 20-25 წუთი. ჩამოიბანეთ მხოლოდ ცივი წყლით. შემდეგ წაისვით მკვებავი. ■

კურდღლები და ლომები

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

სტრესი ყველა ადამიანზე სხვადასხვაგვარად ზემოქმედებს. მაინც რაზეა დამოკიდებული ჩვენი რეაქცია სტრესზე და როგორ უნდა მოვიხნათ დაძაბულობა?

ამ კითხვაზე პასუხი მეცნიერებს სტრესის ჰორმონების გამოკვლევამ — ადრენოგრამამ უკარნახა. თავდაპირველად საინტერესო კანონზომიერებანი ცხოველებში გამოავლინეს. აღმოჩნდა, რომ ორთაბრძოლის შემდეგ აგრესიული, თავდამსხმელი ცხოველის სისხლში ჰორმონი ნორადრენალინი ჭარბობდა, მსხვერპლის სისხლში კი — ადრენალინი. მაიმუნების ჯგოგში ნორადრენალინი ყოველთვის ჭარბობს წინამძღოლებში, ადრენალინი — რიგით მამრებში.

მეოცე ასწლეულის 60-იან წლებში ამერიკელმა მეცნიერმა გუდოლმა დაადგინა, რომ თირკმელზედა ჯირკვლები კურდღლებში ძირითადად ადრენალინს გამოიმუშავებს, ლომების თირკმელზედა ჯირკვლები კი — ნორადრენალინს. შვედმა მეცნიერმა ფრანკენჰოიზერმა კი დაადგინა, რომ ზოგ ადამიანში — ადრენალინი, ზოგში — ნორადრენალინი ჭარბობს. თუმცა მათი დაყოფა „კურდღლებად“ და „ლომებად“ რთული აღმოჩნდა.

ადამიანთა უმრავლესობაში ამა თუ იმ ჰორმონის სიჭარბე არსებითი როდია: ორგანიზმი თითქოს გარკვეულ წონასწორობას ინარჩუნებს. ასეთი ადამიანები სტრესის მიმართ მდგრადები და გაწონასწორებულები არიან. ისინი კი, ვის ორგანიზმშიც სტრესის ჰორმონების გამოყოფის ინტენსივობა 2-ჯერ და მეტადაა გაზრდილი, რისკის ჯგუფში ხვდებიან. ამ ჯგუფის წარმომადგენლები თავის მხრივ სამ ტიპად შეიძლება დავყოთ. სტრესის მოსახსნელად მედიკოსები თითოეულ ტიპს შესაბამის მეთოდს ურჩევენ.

ადრენალინური ტიპის ადამიანი მშფოთვარე ხასიათით გამოირჩევა. სამსახურში იგი კეთილსინდისიერი მუშაკია — ჩვეად აქვს ყველაფრის არაერთხელ გადამოწმება და არც შინ დაბრუნებულს შეუძლია მოდუნება. მას ხშირად ჰიპერტონია, დეპრესია, წყლულოვანი დაავადება, ნერვული გამოფიტვა აწუხებს, ემართება ინსულტი. საპასუხისმგებლო სამუშაო მისთვის რეკომენდებული არ არის, სამაგიეროდ შეუცვლელია, როგორც რიგითი მუშაკი.

ადრენალინური ტიპის ადამიანისთვის სპორტის ექსტრემალური სახეობები ზედგამოჭრილია: ამგვარად ის ერთფეროვანი სამუშაოს კომპენსაციას ახდენს და თან მოჭარბებულ ჰორმონს „ხარჯავს“. თუმცა, ჰიპერტონიის დროს, ჭარბ ემოციურ დატვირთვამდე, ექიმს უნდა მოეთათბიროს.

ნორადრენალინური ტიპის ადამიანი მაღალი შინაგანი დაძაბულობით, ძლიერი ნებისყოფით, მიზანდასახულობითა და თავმოყვარეობით გამოირჩევა. ის უმეტესად ის ჩაკეტილი, უთქმელი, ძლიერი და მბრძანებლური ტიპია. ჩვეულებრივ, კარგად უძლებს კრიტიკულ სიტუაციებს, მაგრამ დიდხანს მიჰყვება დაძაბულობა. თუ კონფლიქტურ სიტუაციას მშვიდობიანი გზით ვერ აგვარებს, საკმაოდ აგრესიული ხდება. ბუნებით ლიდერია, მაგრამ აუცილებლად უნდა ისწავლოს მოდუნება. ნორადრენალინური ტიპის ადამიანს ექიმები ურჩევენ, სპორტის აქტიური სახეობებს — სირბილს, ცურვას მისდოს; ივარჯიშოს სატრენაჟორო დარბაზში.

ზეგრძნობიარე ანუ შერეული ტიპის ადამიანს მომატებული აქვს როგორც ადრენალინი, ისე ნორადრენალინი. ის ფეთქებადი ხასიათისაა, ხშირად ეცვლება განწყობილება, არტისტულია, ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს... ემოციურ ნიადაგზე ხშირად ავადმყოფობს, უძილობით იტანჯება და ნერვული გამოფიტვა ახასიათებს. ამ ტიპის ადამიანი ექსტრემალურ სიტუაციებსა და ფიზიკურ დატვირთვას უნდა ერიდოს. მას მშვიდ ატმოსფეროში ყოფნა, საღამოობით სეირნობა, რეჟიმის დაცვა და იოგის ვარჯიშები მოუხდება — ამგვარად ჯანმრთელობასაც შეინარჩუნებს და შრომისუნარიანობასაც. ■

მედიცინის სიახლენი

ანტაციდებს ალერგიის პროვოცირება შეუძლია

ვენის უნივერსიტეტში აღმოაჩინეს, რომ კუჭის წვენის მჟავიანობის შესამცირებელი მედიკამენტებით — ე.წ. ანტაციდებით მეტისმეტი გატაცება კვებით ალერგიებს იწვევს.

მეცნიერებმა შეისწავლეს ლაბორატორიულ ცხოველებსა და მოხალისეებზე ანტაციდების გავლენა და დაასკვნეს, რომ ეს პრეპარატები კუჭში საკვების კომპონენტთა გახლეჩის ნორმალურ პროცესს არღვევს. ეს იმის გამო ხდება, რომ საკვების კომპონენტთა გახლეჩის ფუნქცია კუჭის მჟავიანობას აკისრია, ანტაციდები კი ამცირებს მას. როცა ცუდად გადამუშავებული საკვები ნაწლავში ხვდება, იმუნური ელემენტები გაუხლეჩავ ნივთიერებებს „უცხო“ სხეულებად აღიქვამს. ეს კი კლასიკური კვებითი ალერგიით მთავრდება. ყველაზე ხშირად ასეთი რამ იმ ადამიანებს ემართებათ, ვისაც ეგზოტიკური საკვები უყვართ.

მათ, ვინც ანტაციდებს სვამს, მეცნიერები ურჩევენ, რაც შეიძლება მარტივი დიეტა და წამლის მიღების წესი დაიცვან. ■

C ვიტამინი მოხუცებისთვისაც აუცილებელია

ლონდონის ჰიგიენისა და ტროპიკული მედიცინის ინსტიტუტის პროფესორ ჯეკ სტოუნს მიაჩნია, რომ ხანდაზმულთა სისხლის შრატში ანტიოქსიდანტების (მათ შორის C ვიტამინის) შემცირება მოახლოებულ სიკვდილს მოასწავებს.

75-დან 84 წლამდე 1214 ხანდაზმული ადამიანის სისხლში ასკორბატების შემცველობის გამოკვლევამ დაადასტურა, რომ გულის შეტევისგან გარდაცვლილებს, სისხლის შრატში C ვიტამინის დაბალი შემცველობა აღენიშნებოდათ. სხვა ანტიოქსიდანტებთან (ტოკოფეროლთან, ბეტა-კაროტინთან, რეტინოლთან) დაკავშირებით ამგვარი კანონზომიერება არ გამოვლენილა.

პროფესორის თქმით, მოხუცთა რაციონში უთუოდ უნდა შევიტანოთ ბუნებრივი C ვიტამინის შემცველი პროდუქტები, ვინაიდან ორგანიზმისთვის სამკურნალო საშუალებებისა და დანამატების სახით მიწოდებული ვიტამინები მნიშვნელოვანი გამავჯანსაღებელი ეფექტით არ გამოირჩევა. ■

კითხვა + პასუხი

კითხვა: ვარ 68 წლის ქალი. მაწუხებს თავბრუსხვევა. შეიძლება თუ არა ამისგან განკურნება? ყველანაირი მკურნალობა უშედეგო აღმოჩნდა ჩემთვის.

პასუხი: თავბრუსხვევის მიზეზი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ხანში შესულებს ასეთი რამ, უმეტეს შემთხვევაში, არტერიული ჰიპერტენზიის (წნევის) და სისხლძარღვთა (კერძოდ, თავის ტვინის სისხლძარღვების) ათეროსკლეროზული გადაგვარების გამო ემართებათ ხოლმე. არც ის არის გამორიცხული, კისრის მალების ოსტეოქონდროზი ან ვესტიბულარული (წონასწორობის შენარჩუნების) ორგანოს პათოლოგია გქონდეთ. თუ საჭირო გამოკვლევები ჩაიტარეთ და ზუსტი დიაგნოზიც დაგისვეს, მკურნალობის არაეფექტურობა ალბათ იმის ბრალია, რომ ორგანიზმს ტვინის სისხლმომარაგების აღდგენის პოტენციური შესაძლებლობა ნაკლებად აქვს. თუმცა ხელს ნუ ჩაიქნევთ — ისევ მიმართეთ ექიმს. მკურნალობა არა მხოლოდ ჩივილების მოსახსნელადაა აუცილებელი, არამედ იმისთვისაც, რომ დაავადება უფრო შორს არ წავიდეს.

კითხვა: ვარ 37 წლის. შუბლზე, ცხვირსა და ტუჩებს შორის ნაოჭები გამიჩნდა. რა იწვევს ნაადრევი ნაოჭების გაჩენას და რა გავაკეთო იმისათვის, რომ შევაფერხო პროცესის შემდგომი განვითარება?

პასუხი: სამწუხაროდ, ნაოჭები მხოლოდ ხანდაზმულებს როდი უჩნდებათ. მზე, ჰაერი და წყალი, რომელიც სასიკეთო გავლენას ახდენს მთელ ორგანიზმზე, კისრისა და სახის კანს აშრობს, ანაოჭებს, ათხელებს და ფერს უცვლის.

ნაოჭების გაჩენას ძალზე აჩქარებს ემოციები. ალბათ, შეამჩნევდით, რომ ჩხუბის ან უსიამოვნო კამათის შემდეგ სახე თითქოს იღლება, შუბლი იჭმუხნება. უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს გენეტიკურ ფაქტორსაც.

რაც შეეხება პრობლემის რადიკალურ გადაჭრას, ნაოჭების მოსაშორებლად არსებობს პლასტიკური ქირურგიის არაერთი მეთოდი: ბოტოქსის ინიექციები და კანის გადაჭიმვა ოქროს ძაფებით.

საერთოდ კი, ერიდეთ მზის ზემოქმედებას, სტრესებს, უძილობას; მიიღეთ ბევრი ხილი და ბოსტნეული, მისდიეთ ჯანსაღი ცხოვრების წესს და კანიც შედარებით გვიან დაგიბერდებათ.

კითხვა: არის თუ არა ერთი და იგივე „ნაწლავების ნორმალური მიკროფლორის დარღვევა“ და „დისბაქტერიოზი“? შეიძლება თუ არა ბაქტისუბტილის მაგივრად მეზიმ-ფორტე დავლიო?

პასუხი: ნაწლავთან ნორმალური მიკროფლორის დარღვევა კუჭ-ნაწლავში არაპათოგენური, სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობის შემცირებას გულისხმობს. სწორედ ამას ეწოდება დისბაქტერიოზი, რომლის დიაგნოზი განავლის ანალიზით დგინდება. დისბაქტერიოზის დროს ინიშნება ე.წ. ბიოპრეპარატები, რომლებიც შეიცავს სასარგებლო ბაქტერიებს და ამგვარად აღადგენს ნაწლავურ ფლორას. ბაქტისუბტილი სწორედ ბიოპრეპარატი გახლავთ. რაც შეეხება მეზიმ-ფორტეს, ეს ფერმენტული პრეპარატია, რომელიც აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, მაგრამ არ აღადგენს ნაწლავურ ფლორას. თუმცა დისბაქტერიოზის დროს დარღვეულია მონელების პროცესები, პაციენტს ფერმენტულ პრეპარატებსაც უნიშნავენ ხოლმე, მაგრამ ეს ორი პრეპარატი ერთმანეთს ვერ შეცვლის.

კითხვა: მყავს 26 წლის ქალიშვილი, რომელსაც კუჭის შეკრულობა აწუხებს. ამის გამო ყოველდღიურად სვამს 3-4 აბ სენადექსინს. ეს სახიფათო ხომ არ არის? რას გვირჩევდით კუჭის მოქმედების მოსაწესრიგებლად?

პასუხი: ყაბზობა (კუჭის შეკრულობა) უმიზეზოდ არ ვითარდება — იგი კუჭ-ნაწლავის რაიმე პათოლოგიის გამოხატულება გახლავთ. მისი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია ქრონიკული სპაზმური კოლიტი (მსხვილი ნაწლავის ანთება), აგრეთვე ქრონიკული ქოლეცისტიტი (ნაღვლის ბუშტის ანთება), სანაღვლე გზების დისკინეზია (მოძრაობის უნარის მოშლა), კუჭის წვენის მაღალი მჟავიანობა, დისბაქტერიოზი. სენადექსინი ნაწლავის პერისტალტიკის გამაძლიერებელი საშუალებაა. ასე რომ, მისი მიღება ყაბზობის გამომწვევ მიზეზს არ აღმოფხვრის — ეს მხოლოდ სიმპტომური მკურნალობაა. თანაც ორგანიზმი თანდათანობით ეჩვევა სენადექსინს და ბოლოს და ბოლოს, იგი აღარ იმოქმედებს. გირჩევთ, მიმართოთ გასტროენტეროლოგს (კუჭ-ნაწლავის სპეციალისტს), რომელიც გამოკითხვის, გასინჯვისა და საჭირო გამოკვლევების საფუძველზე დიაგნოზს დაგისვამთ და პათოგენეზურ (გამომწვევი მიზეზის წინააღმდეგ მიმართული) მკურნალობას დაგინიშნავთ. საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს დიეტოთერაპიას — საჭიროა რაციონში პერისტალტიკის გამაძლიერებელი პროდუქტების შეტანა. ასეთებია: ხილ-ბოსტნეული, უჯრედისით მდიდარი საკვები, მწვანილეული. ყაბზობის სამკურნალოდ საკმაოდ ეფექტურია ქერის ნახარში, აგრეთვე ფიტოპრეპარატები (ხეჭრელი, პიტნა, გვირილა და სხვა). ■

მარილი

მარილი არასოდეს ითვლებოდა უბრალო პროდუქტად — მასზე საუბარია სახარებაში, მასთან არაერთი ცრურწმენაცაა დაკავშირებული... ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ დისპუტები მარილის სარგებლიანობისა თუ მავნებლობის შესახებ ასწლეულების განმავლობაში გრძელდება.

გვავნებს თუ არა

ზომიერი რაოდენობით მარილის მიღება ადამიანთა უმრავლესობისთვის სრულიად უსაფრთხოა, მაგრამ ზოგიერთისთვის იგი საკმაოდ მავნებელია: ადამიანთა დაახლოებით 20% ანუ ყოველი მეხუთე ადამიანი მეტ-ნაკლებად მგრძნობიარეა მარილის მიმართ. მისი მოხმარებისას, ორგანიზმში ხდება წყლის შეკავება, რაც გულისა და თირკმლების ზედმეტად დატვირთვას, შეშუპებებს იწვევს; ადამიანს აწუხებს თავის ტკივილი.

რთული არ არის იმის დადგენა, მიეკუთვნებით თუ არა რისკის ჯგუფს. თუ უმარილო (ან ნაკლებმარილიანი) დიეტისას თავს უკეთ გრძნობთ, ე.ი. თქვენ მარილის მკაცრად შეზღუდვა გესაჭიროებათ. ზოგიერთს კი (თუნდაც წნევიანებს) მარილზე უარის თქმა მდგომარეობას საგრძნობლად ვერ შეუმსუბუქებს. თუმცა გადამლაშება არავისთვისაა სასურველი — ამაზე თუნდაც იმ ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, სადაც მარილს ჭარბად მოიხმარენ: მოსახლეობა ხშირად ისჯება ჰემორაგიული ინსულტით.

პრობლემა ის გახლავთ, რომ მარილისადმი ჩვენი სწრაფვა ხშირად არ შეესაბამება რეალურ მოთხოვნილებებს. თანამედროვე მზა პროდუქტები გადამლაშებულია და ბავშვობიდან გვიმახინჯებს გემოვნებას ისე, რომ ნორმალური საკვები უმარილო გვეჩვენება. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, მარილის დღეღამური რეკომენდებული დოზა 0,5-დან 3 გრამამდეა. ამაში შედის მარილის ის „უხილავი“ რაოდენობაც, რომელიც პურში, ძეხვში, მწნილში, წვნიანსა თუ ლუდშია... მაგალითისთვის, გეტყვით, რომ ერთი ულუფა პიცა 1,5 გ-მდე მარილს შეიცავს, რომ აღარაფერი ვთქვათ „ჩიფსებსა“ და დამარილებულ მიწის თხილზე. 1 გ-მდე მარილს შეიცავს ე.წ. სწრაფი მომზადების წვნიანის პაკეტებიც... ამგვარად, ასეთი პროდუქტების მიღებისას ხშირად ვაჭარბებთ კიდეც მარილის დღიურ დოზას — თან ისე, რომ ვერც ვნაყრდებით. ეს კიდევ ერთი არგუმენტია შინაური საკვების სასარგებლოდ: რაც მეტია იგი თქვენს რაციონში, მით ნაკლებია გადამლაშების რისკი.

ხოლო თუ თქვენ ნებისმიერ კერძს მარილს კიდევ უმატებთ, უნდა გითხრათ, რომ ორგანიზმის რეალურ მოთხოვნილებებთან ამას არავითარი კავშირი არა აქვს — ეს უბრალოდ ჩვევაა. გასინჯეთ ნაკლებმარილიანი პროდუქტები — თანდათანობით მიეჩვევით ახალ შეგრძნებებს და ასეთი საკვები მალე მოგეწონებათ კიდეც. სალათებისთვის გემოს მისაცემად კი, კარგი იქნება, თუ ძმარს, ლიმონის წვენს და სუნელებს გამოიყენებთ.

გვჭირდება თუ არა

მაშ გვჭირდება თუ არა მარილი? ამ კითხვაზე პასუხი არაერთგვაროვანია.

არარაფინირებული ზღვის მარილი ინაჩუნებს ყველა ბუნებრივ მინერალურ კომპონენტს (60-მდე), რომელსაც ზღვის წყალი შეიცავს. მაკრობიოტიკის მომხრენი მას საკვებად საჭირო და სასარგებლო ელემენტად მიიჩნევენ. საჭმელი ზღვის მარილის შეძენა ჯანსაღი კვების მაღაზიებში შეგიძლიათ — იგი ჩვეულებრივზე უფრო ძვირი ღირს.

სუფრის მარილი, რომელსაც ყოველდღიურად ვხმარობთ, გაწმენდილია უცხო მინარევებისაგან და ფაქტობრივად მხოლოდ ნატრიუმის ქლორიდს შეიცავს. კარგია ეს თუ ცუდი — დიეტოლოგთა აზრი ამის შესახებ ერთგვაროვანია. ზოგი მათგანი ამტკიცებს, რომ სწორედ, გაწმენდილი, ბუნებრივი სიმდიდრისაგან გამოფიტული მარილია საშიში ჯანმრთელობისათვის. სხვები ვარაუდობენ, რომ რადგანაც ზღვები დღეს საკმაოდ დაბინძურებულია, მაღაროებში მოპოვებული მარილი უფრო უსაფრთხოა.

რაში გვჭირდება ნატრიუმის ქლორიდი? ნატრიუმი და ქლორი თავ-თავიანთ ფუნქციას ასრულებს. პირველი მონაწილეობს წყლისა და მჟავატუტოვანი ბალანსის შენარჩუნებაში, ნერვული იმპულსების გადაცემასა და კუნთების შეკუმშვაში. მისი უკმარისობისას ადამიანს კუნთოვანი სისუსტე, ძილიანობა, კოორდინაციის დარღვევა აღენიშნება. ქლორი კუჭის წვენის წარმოსაქმნელადაა აუცილებელი. თუ იძულებული ხართ, უარი თქვათ მარილზე, მაშინ ეს ელემენტები სხვა წყაროს საშუალებით (მაგალითად, მინერალური წყლიდან) მაინც უნდა მიიღოთ.

რაც შეეხება *იოდით გამდიდრებულ სუფრის მარილს*, უმჯობესია, ექიმთან შეთანხმებით გადაწყვიტოთ, გამოიყენოთ ის თუ არა. თუ თქვენ მთიან რეგიონში ცხოვრობთ, სადაც იოდის დეფიციტია, ასეთი მარილი თქვენთვის აუცილებელია. ისიც გაითვალისწინეთ, რომ კვების მრეწველობაში ჩვეულებრივ, უიოდო მარილს იყენებენ და მზა მარილიანი პროდუქტების მიღება ვერანაირ სარგებლობას ვერ მოგიტანთ.

როგორ შევინახოთ

ჩვეულებრივი მარილი 1-დან 5 წლამდე ინახება (შეფუთვის შესაბამისად). იოდიზებულის დიდხანს შენახვა კი არ შეიძლება — მისი შენახვის ვადა ყუთზეა მითითებული. ფტორიზებული მარილი (ასეთიც არსებობს) ექვს თვემდეა ვარგისი. ვადის გასვლის შემდეგ იოდიანი და ფტორიანი მარილი ჩვეულებრივ, უდანამატო მარილად იქცევა.

■

ჭაბურიანი ადამიანების ოსტროვსკული ჭამოსაფრქვევები

სირთულე

ერთხელ, გამოჩენილ ფრანგ მწერალთან, ანატოლ ფრანსთან ახალგაზრდა ქალი მივიდა და შესთავაზა, თქვენთან სტენოგრაფისტად ვიმუშავებო.

— მესიე, — უთხრა მან მწერალს, — წუთში 150 სიტყვის სტენოგრაფირება შემიძლია.

— კეთილი, მაგრამ ამდენი სიტყვა საიდან მოგიძებნო? — მიუგო ფრანსმა.

მოთმინება

ერთხელ, ცნობილმა გერმანელმა მწერალმა ვილი ბრედელმა შვებულებაში ყოფნის დროს შეამჩნია, რომ ვიღაც ჭაბუკი ყოველდღე საათობით უყურებდა მის ანკესით თევზაობას.

ბოლოს მწერალმა ჰკითხა:

— რატომ თქვენ თვითონ არ თევზაობთ?

ჭაბუკმა ხელები გაასავსავა და მიუგო:

— საამისოდ მოთმინება არ მყოფნის.

პრინციპულობა

ავსტრიელ მწერალს შტეფან ცვაიგს მეგობრებმა სთხოვეს ვენაში ლექცია ანდა თავისი ახალი ნაწარმოებიდან ნაწყვეტი წაეკითხა, მაგრამ მან უარი განუცხადა:

— მეორე გაფრთხილების შემდეგ, რომელიც მე მივიღე, გადავწყვიტე, ამ საქმეს მოვეშვა. ჩემს უკანასკნელ ლექციაზე შევამჩნიე, ერთმა მსმენელმა დროის დასადგენად როგორ ჩუმად ამოიღო ჯიბიდან საათი. ეს პირველი გაფრთხილება იყო, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, მეორე მსმენელმა არა მარტო ამოიღო საათი, არამედ ყურთანაც კი მიიტანა, ხომ არ გაჩერებულაო. ეს სრულიად საკმარისი იყო ჩემთვის. მე პრინციპულად ლექციებსა და მოხსენებას აღარასოდეს ჩავატარებ.

ფუჭი სიამაყე

ერთ დღეს კაიზერი მაქსიმილიანი თავისი ამალით ნიურბერგის წმინდა ლავრენტის ეკლესიაში შევიდა, სადაც მეთექვსმეტე საუკუნის დიდი გერმანელი ფერმწერი და გრავიორი ალბრეხტ დიურერი კედლების მოხატვაზე მუშაობდა. იგი მაღალ კიბეზე იდგა. კაიზერმა შენიშნა, რომ კიბემ ქანაობა დაიწყო.

— კიბე დაიჭირე! — შესძახა ერთ-ერთ რაინდს. და რადგან იგი შეყოყმანდა, კიბე თვითონ კაიზერმა დაიჭირა და რაინდს უთხრა:

— აგრე ნუ ამაყობ შენი მოდგმით! დუჟინი მდაბიოსაგან შემიძლია დუჟინი რაინდის შექმნა, მაგრამ დუჟინი რაინდისაგან ერთ მხატვარსაც ვერ შევქმნი.

ანეკდოტები

***

— რაში მდგომარეობს ცხოვრებისეული სიმართლე? — ეკითხებიან პოლიტიკოსს.

— იმაში, რომ იძულებულნი ვართ, ხშირად ვიცრუოთ...

***

— ვის აძლევს თქვენისთანების სიცოცხლე ხელს? — პათეტიკურად იკითხა მოსამართლემ და ხელი მსჯავრდებულისკენ გაიშვირა.

— პოლიციას და თქვენ... — შეუღრინა განსასჯელმა.

***

იურიდიული ფაკულტეტის მისაღებ გამოცდაზე:

— თქვენი გვარი? — ეკითხება პროფესორი აბიტურიენტს.

— შავდია.

— სახელი?

— ბოჩია.

— კი, მაგრამ რატომ გეღიმებათ?

— მიხარია, ბატონო პროფესორო, ორ კითხვაზე რომ უკვე გიპასუხეთ — პასუხობს მომავალი იურისტი.

***

— მშვენიერი გოგო ხარ, ჩემო ნანა და რატომ არ თხოვდები?

— მთვრალი კაცები არ მომწონს.

— მერე... ფხიზელზე გათხოვდი, შე ქალო.

— ფხიზლებს მე არ მოვწონვარ.

***

— თქვენ ძალიან გამოიცვალეთ, ბატონო ვალერიან, — ეარშიყება ქალი კაცს, — წინათ მსუქანი, ფერმკრთალი და უშნო იყავით. ახლა გამხდარხართ და სიმპათიურად გამოიყურებით.

— მაპატიეთ, ქალბატონო, მაგრამ მე ვალერიანი არა ვარ — ვერ მიუხვდა კაცი.

— ოჰ... სახელიც გამოგიცვლიათ? — „გაოცდა“ მანდილოსანი.

***

— მიხო... გიყვარვარ? — ეკითხება აგზნებულ შეყვარებულს მარო.

— იი... მა... რა... — ქშინავს მიხო.

— ცოლად მამიყვან?..

— ფუი!... ხაშლამას რო დაა.. ეგეთი ჩვევა გაქვს...

***

ცოლიანი ძმაკაცი უცოლოს შეუჩნდა — გინდა თუ არა, ცოლი მოიყვანეო და თან, უხსნიდა:

— წარმოიდგინე, სიბერეში ლოგინად რომ ჩავარდები და სიკვდილი მოგიკაკუნებს, წყლის მომწოდებელი გეყოლება.

უცოლო დათანხმდა. მაგრამ ისეთი ქალი შეხვდა, რომ მთელი ცხოვრება მასთან ჩხუბსა და აყალმაყალში გაატარა.

სიბერეში კი ლოგინად ჩავარდა და მის სანახავად ის ძმაკაცი მივიდა, რომლის რჩევითაც ცოლი შეირთო.

— იცი... გული რაზე მწყდება? — შესჩივლა მომაკვდავმა მეგობარს და თვალებიდან ცრემლი ჩამოუგორდა — სულ არ მწყურია!..

***

გურული ექიმი ეუბნება პაციენტს:

— დღეიდან, ძმა, თავი უნდა დაანებო ღვინის სმას... თამბაქოს მოწევას... ქალებში და რესტორნებში სიარულს... მოკლედ, გართობაზე უნდა ეიღო ხელი... ფული დაგეზოგება და შეაგროვებ...

— ...კი, მარა რაღად მინდა ეგეთი ფული?..

— მკურნალობის ხარჯებს დაფარავ, ძმა... აპა...

კვირის (26 აპრილი - 2 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: კვირის პირველსავე დღეებში ისეთ ინფორმაციას მიიღებთ, რომელიც გაიძულებთ, თქვენს საქმეს სხვა თვალით შეხედოთ და ფულის შოვნის დამატებითი საშუალება გამონახოთ. კვირის ბოლოს დაუგეგმავ შეხვედრაზე მოგიწევთ წასვლა.

მამაკაცი: ოთხშაბათამდე მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარებას და საჭირო ადამიანებისთვის ახალი იდეების გაცნობას მოასწრებთ. კვირის მეორე ნახევარში ცხოვრების დინებას მიჰყევით.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: საწუწუნო ნამდვილად არაფერი გაქვთ. მთავარია, მოზღვავებული ენერგია სასიკეთო საქმეებისკენ მიმართოთ. უქმე დღეებში საოჯახო საქმეებით დაკავდით. კარგი იქნება, თუ კულინარიული შედევრით ახლობლებს სიურპრიზს მოუმზადებთ.

მამაკაცი: სწორედ ის დროა, საყვარელ ადამიანს გამოუტყდეთ, რომ მთელი ცხოვრების გატარებას მის გვერდით აპირებთ. ამ კვირაში წარმოთქმული ყოველი თქვენი სიტყვა ადამიანებს დიდხანს ემახსოვრებათ.

მარჩხეზი – 22/V-21/VI

ქალი: საკმაოდ პოზიტიური დღეები გელით. უამრავი სასიამოვნო ცვლილება გულს გაგიხარებთ. წარმატების მიღწევაში თქვენი მოხერხებულობა და დიპლომატიური ნიჭი დაგეხმარებათ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

მამაკაცი: მთელი კვირის მანძილზე სამსახურში გაღიზიანებული იქნებით. სამაგიეროდ, ოჯახში სტაბილურ მდგომარეობას შეინარჩუნებთ. ამიტომ გირჩევთ, სწორად გაანაწილოთ დრო ოჯახსა და სამსახურს შორის.

კირჩხიზი – 22/VI-22/VII

ქალი: ამ კვირაში თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობების გაფურჩქნის ხანაა – ყველაზე რთული ამოცანის გადაჭრასაც შესანიშნავად გაართმევთ თავს. ამიტომ ჯობს, საქმეებს მიხედოთ და გასართობი ღონისძიებები შემდეგი კვირისთვის გადადოთ.

მამაკაცი: მოულოდნელად მგრძნობიარე და რომანტიკულ არსებად გადაიქცევით. ამის მიზეზი კი ქალი იქნება, რომელიც თქვენით ისე მოიხიბლება, რომ ნებისმიერ წინადადებაზე უყოყმანოდ დაგთანხმდებათ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: სამსახურში სასიამოვნო ცვლილება გელით. მთავარია, ინტუიციამ არ გიღალატოთ და კოლეგებთან ურთიერთობაში შეცდომა არ დაუშვათ. იყავით კორექტული და გულისხმიერი.

მამაკაცი: ნუ ისესხებთ ამ კვირაში ფულს, არც ახალი საქმის წამოწყებას გირჩევთ. ჯობს, კარგად დაისვენოთ და სერიოზული გეგმების განხორციელებაზე მომავალი კვირიდან იფიქროთ. მოერიდეთ დაძაბულ გარემოს და კონფლიქტურ პიროვნებებთან ურთიერთობას.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: თქვენს პირად ცხოვრებაში რაღაც იცვლება. მშვიდად დაელოდეთ მოვლენების განვითარებას. მოერიდეთ სკანდალებს და ყურს ნუ დაუგდებთ ჭორებს, რომელიც თქვენ შესახებ მიზანმიმართულად ვრცელდება.

მამაკაცი: ახალი ცხოვრება დაიწყეთ – ყოველ შემთხვევაში, შეეცადეთ მაინც. ნებისყოფა მოიკრიბეთ და უარი თქვით მავნე ჩვევებზე. ომი გამოუცხადეთ თქვენს ნაკლოვანებებს და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: კვირის დასაწყისში ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ. იმდენად მოწადინებული იქნებით, ყველაფერი საუკეთესოდ და სწრაფად გააკეთოთ, რომ კვირის ბოლოს არაქათგამოცლილი დარჩებით. ამიტომ ჯობს, ზომიერების გრძნობას მოუხმოთ.

მამაკაცი: დიდ სიხარულს მოგანიჭებთ მეგობრებთან და ნათესავებთან ურთიერთობა, მაგრამ გირჩევთ, სამუშაო რეჟიმიდან ნუ ამოვარდებით. კვირის მეორე ნახევარში სასიამოვნო სიურპრიზი გელით.

ღრიანცელი – 24/X-22/XI

ქალი: თქვენს პრობლემებს მეუღლესა და ოჯახის წევრებს ნუ მოახვევთ თავს, თორემ მდგომარეობა ძალიან დაიძაბება. ზედმეტად აგრესიული ხართ და თუ თავს ხელში არ აიყვანთ, მომდევნო კვირაში საბოდიშოდ გაგიხდებათ საქმე.

მამაკაცი: წვრილმანებზე დროს ნუ დაკარგავთ, საქმეს გულისყურით მოეკიდეთ და წარმატებაც არ დააყოვნებს. მოერიდეთ აზარტულ თამაშებს და ალკოჰოლს.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: სევდა, რომელიც კვირის დასაწყისში დაგეუფლებათ, უმჯობესია ოჯახურ ატმოსფეროში გაიქარწყლოთ. სწორედ ახლობელი ადამიანების გვერდით იგრძნობთ თავს მშვიდად და კომფორტულად.

მამაკაცი: მთელი კვირის მანძილზე რომანტიკული განწყობილება გდევთ თან. სამშაბათი და პარასკევი საუკეთესო დღეებია იმ საუბრისთვის, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე უფრთხოდით.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: ნუ იქნებით სხვების მიმართ ზედმეტად მკაცრი და მომთხოვნი. კრიტიკულად შეაფასეთ თქვენი ქცევა. კვირის ბოლოს დაძაბული საუბარი გელით, მაგრამ ნუ შეშინდებით – მოვლენები თქვენს სასიკეთოდ განვითარდება.

მამაკაცი: საკუთარ თავში მიძინებული ტალანტის გამოღვიძება სცადეთ. შეგიძლიათ, ახალ ასპარეზზე გაბედულად იმოქმედოთ. ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებების შესატანად პარასკევი აირჩიეთ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: ცხოვრების ჩვეულ რიტმს რაღაც მნიშვნელოვანი საქმე ან ოჯახში წარმოქმნილი პრობლემები დაგირღვევთ. უქმე დღეებში თქვენი ყურადღება ყველაფერ უჩვეულოსა და ექსტრავაგანტურისკენ იქნება მიპყრობილი. ვარსკვლავები ყველაფერში გეხმარებიან, მხოლოდ პროფესიის შეცვლას ნუ იჩქარებთ.

მამაკაცი: საინტერესო პიროვნებას გაიცნობთ. გაითვალისწინეთ, რომ ფლირტით დაწყებული ურთიერთობა შესაძლოა, ქორწინებამდეც კი მივიდეს.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: ბოლოს და ბოლოს, ყველა უსიამოვნებას წერტილს დაუსვამთ და შვებით ამოისუნთქავთ. ხუთშაბათს საინტერესო წინადადებას შემოგთავაზებენ. შაბათ-კვირა კი ფიზიკურ ვარჯიშს დაუთმეთ.

მამაკაცი: კვირის დასაწყისში წარმატება გელით. კოლეგები და მეგობრები სასიკეთო რჩევას მოგცემენ. ამ დღეებში განსაკუთრებით ხელოვნებითა და მეცნიერებით გატაცებულ ადამიანებს გაუმართლებს.

„კოკაით“ წოდებული ქართველი სუმოისტი
ერთი ფერის პაპა და ქალი ბანქოში
მ
მხარე საქართველოში
ბ
წარმოფენის-თვის საჭირო არამდგენელი სფენები
თიხა საუკეთესო ფაიფურისათვის
კ
ბ
ა
ტ
ი
ნ
ო
ბ
ა
ტ
ი
ნ
ო
ხის თოვინა
პერუს დედაქალაქი
ლ
ი
მ
ა
იაპონური ფირმა
ო
ლ
ბარონის მეუღლე
ნოტი
ბ
ა
რ
ო
ნ
ე
ს
ა
ღირებულება
ფ
ა
ს
ი
მ
ო
ნ
ო
თაბაქოს მწარმოებელი უდიდესი კორპორაცია
„ინტერის“ თავდამსხმელი
ბერძნული ანბანის ასო
ჟ
მიზეზ. კავშ. წარსულისა აწმყოსთან
ო
კ
ი
ნ
სიგალის კინოგმირი
ი
სტერეოს ანტიპოდი
ა
ტ
ი
ვ
ო
მ
ი
კ
რ
ო
ნ
ი
გემის მეთაური
ე
ნ
მ
სამეურნეო მუშაკი
ვაკეა სხელ. ევროპაში
ი
თურქული მარგარიტი
ჩრდილეთ ულეთი
ი
მეტრის მემილიონედი
ა
ი
ნ
უ
რამდენიმე ტონის ერთდროული ჟელერა
კ
პირველი ქრისტიანი დედოფალი
ა
ვ
ე
კ
ს
ა
რ
ა
კ
რობინზონის მეგობარი
მონარქიულ სახელმწ. კავშირი
ა
ი
ც
ნ
ა
რ
ფ
ი
ბოსტნეული
მ
წილი საერთო საქმეში
ა
იაპონური ცივი იარაღი
ბ
კ
რ
უ
ს
ტ
ი
ყოფილი კაფე ჭავჭავაძის გამზირზე
ს
ტ
ა
ფ
ი
ლ
ო
ი
ფრანგი მწერალი მარსელ ...
ნ
ი
ი
3,14
კ
ი
ტ
ვითომდა ხევსურული ლუდი
ც
ფესტივალების ქალაქი საფრანგეთ.
კ
ამ თუ იმ ქლასის ყველაზე ორგანიზ. ნაწილი
ა
კ
ა
ლ
უ
დ
ა
მიწის საზომი ერთეული ინგლისში
რ
ი
ნ
ჟირარდო
ლ
ადამიანის სხეული
ნ
ა
ტ
სამეკიტნოს დახლიდარი
ი
ნ
ა
ტ
ი
კ
ი
მ
მსოფ. 3-გზის ჩემპიონი „ფორმულა I“-ში
ო
ს
ა
ბერის გრაფიკული გამოსახულება
რ
ა
... ფარულავა
კ
რ
ო
ს
ტ
ი
შეადგინა რამაზ ალანიამ

31-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა; 4-გ.

„საქართველოს ახალი ჰიმნი“

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, რამდენიმე დღის წინ, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საქართველოს ახალი ჰიმნის ტექსტი დაამტკიცა. ჰიმნის მუსიკა კომპოზიტორ იოსებ კეჭაყმაძეს ეკუთვნის, რომელიც ზაქარია ფალიაშვილის ოპერების – „დაისისა“ და „აბესალომ და ეთერის“ საფუძველზეა შექმნილი. რაც შეეხება ჰიმნის ტექსტს, როგორც კულტურისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა აღნიშნა, სპეციალურმა ჟიურიმ კონკურსის შედეგად პოეტ დათო მაღრაძის ლექსი – „იყო და არა იყო რა“ – შეარჩია. ლექსი აკაკი წერეთლის ცნობილი ფრაზით იწყება და დათო მაღრაძის სიტყვებით გრძელდება.

„ჩემი ხაცია სამშობლო,
სახაცე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა,
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება”...

■

ქეთას ახალი ამპლუა

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ახალგაზრდა მომღერალმა ქეთა თოფურიამ გადაწყვიტა, საკუთარი ძალები მოდელის ამპლუაშიც მოესინჯა. 30 აპრილს, თურქეთის ქალაქ სტამბოლში იგი იქაური კომპანია L.O.G.G.-ის მიერ წარმოებული ტანსაცმლის საგაზაფხულო ჩვენებაზე მიიღებს მონაწილეობას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამავე ჩვენებაში პარიზის მაღალი მოდის კვირეულის ორგანიზატორებიც იქნებიან.

■

სათუნა გვენეტაძის თეთრი ნაპირი

ახალგაზრდა მომღერალი სათუნა გვენეტაძე ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ახალ კლიპზე მუშაობს, რომელსაც სტუდია „მაესტრო“ იღებს. სიმღერის „თეთრი ნაპირი“, ტექსტი ირინა სანიკიძეს, ხოლო მუსიკა ლილიკო ნემსაძეს ეკუთვნის. კლიპის გადაღებები ყინულზე მიმდინარეობდა. კლიპი ახლა მონტაჟის პროცესშია და სულ მალე მისი პრეზენტაცია ტელეკომპანია „პირველი სტერეოს“ ეთერში შედგება. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მომღერალი ახალ ალბომზე მუშაობს, რომლის ფინანსურ უზრუნველყოფაზეც ქველმოქმედმა თამაზ გველუკაშვილმა იზრუნა. მისივე დაფინანსებით გადაიღეს კლიპიც.

■

„არტ–იმედის“ წარმომადგენლები ჰოლანდიაში

რამდენიმე დღის წინ, კომპანია „არტ-იმედის“ მომღერლები: მერაბ სეფაშვილი, დათო გომართელი, მაია ჯაბუა და ლელა წურწუმია ჰოლანდიაში გაემგზავრნენ. მომღერლებს გზა საქართველოს პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა დაულოცა. ისინი როტერდამში „დე დოლენის“ საკონცერტო დარბაზში ქართული სიმღერის საღამოს გამართავენ, რომლის წამყვანიც „არტ-იმედის“ წარმომადგენელი, მუსიკათმცოდნე მაია დათუნაშვილი იქნება. ქალბატონ მაიას გამგზავრებამდე, პირველმა ლედიმ ჰოლანდიურ ენაზე ის ტექსტი დაუწერა, რომლითაც წამყვანი კონცერტის მსვლელობისას მსმენელს მიმართავს. შეხვედრის ბოლოს „არტ-იმედის“ პრეზიდენტმა მერაბ სეფაშვილმა ქალბატონ სანდრას კომპანიის მომღერლების კომპაქტდისკები უსახსოვრა.

■

მოამზადა ნათია ქინქლაძემ

საღილი ყველას

შაბათს, 24 აპრილს „კათარზისში“ კვლავ ღია კარის დღეა. ყველას. ვისაც სურვილი აქვს ადგილზე გემრიელად დაპურდეს, 11-დან 17 საათამდე ვიწვევთ სათნოების სახლში (დავით აღმაშენებლის 121). მოიყვანეთ თქვენი ოჯახის წევრები და მეგობრები (პროდუქტი ბინაზე წასაღებად არ გაიცემა). ამჯერად თქვენი მასპინძელი იქნება ფოთის პორტი. ცნობებისათვის დაგვიკავშირდით 95-16-46 (11-დან 17 საათამდე შაბათ-კვირის გარდა).

რამდენად დიდი სურვილი გაქვთ, რომ გათხოვდეთ

იშვიათად შეხვდებით ქალს, რომელიც საკუთარი ნებით უარს ამბობს გათხოვებაზე. „მე არ გავთხოვდები“ — ამ სიტყვებში, ხშირ შემთხვევაში, კეკლუცობა ან იმის შიში იგულისხმება, რომ პარტნიორის პოვნის ფარული ლტოლვა არ გამომჟღავნდეს. გათხოვების სურვილი კი შესაძლოა, სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული. გაინტერესებთ, თავად თქვენ რატომ გაქვთ გათხოვების ასეთი დაუძლეველი სურვილი? უპასუხეთ შეკითხვებს და პასუხსაც მიიღებთ.

I ბლოკი. რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ აზრებს? 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 11, 12, 14, 17 შეკითხვებში დაიწერეთ 3 ქულა, თუკი აირჩიეთ პასუხი — „აბსოლუტურად ვეთანხმები“, 2 ქულა, პასუხში — „ნაწილობრივ ვეთანხმები, ნაწილობრივ არა“, 1 ქულა, პასუხში — „სრულებით არ ვეთანხმები“. 6, 10, 13, 15, 16 შეკითხვებში ქულები შემდეგნაირად დაიწერეთ: „აბსოლუტურად ვეთანხმები“ — 1; „ნაწილობრივ ვეთანხმები, ნაწილობრივ არა“ — 2; „სრულებით არ ვეთანხმები“ — 3.

1) სამსახურებრივ ასპარეზზე მიღწეულ წარმატებებს არ ძალუძს ოჯახური ბედნიერების შეცვლა.

2) მარტოხელა ქალი, გათხოვილთან შედარებით, ყოველთვის ნაკლებად ბედნიერია.

3) შინაბერები გარშემომყოფებში მხოლოდ სიბრალულის გრძნობას იწვევენ.

4) ქალები, რომლებიც არასოდეს ყოფილან გათხოვილები, ჩვეულებრივ, ცუდი ხასიათითა და უსიამოვნო გარეგნობით გამოირჩევიან.

5) ხვალინდელი დღის იმედი მხოლოდ გათხოვილ ქალს შეიძლება ჰქონდეს.

6) ხშირ შემთხვევაში, პიროვნულ ჩამოყალიბებაში ქალს ხელს უშლის ოჯახი.

7) არანაირ სიხარულს არა აქვს აზრი, თუკი მას ახლობელ ადამიანს ვერ გაუზიარებ.

8) მარტო ყოფნას, ცუდი ქმრის ყოლა სჯობს.

9) შთამომავლობა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების აზრს წარმოადგენს.

10) მარტოხელა ქალს, გათხოვილთან შედარებით, უამრავი უპირატესობა აქვს.

11) ქორწინება აუცილებელია. უკიდურეს შემთხვევაში, თუკი ეს ქორწინება ბედნიერი არ აღმოჩნდება, შეგიძლია გაეყარო ქმარს.

12) უმჯობესია, განათხოვარი იყო, ვიდრე საერთოდ არ გათხოვდე.

13) არსებობენ ქალები, რომელთათვისაც უმჯობესია, რომ არ გათხოვდნენ.

14) თუკი არასახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდი, უმჯობესია, უსიყვარულოდ გათხოვდე, ვიდრე უმამოდ გაზარდო შვილი.

15) ქორწინების გარეშე სიყვარულმა შესაძლოა, უამრავი სიხარული მოგანიჭოს.

16) კარიერის შექმნით გატაცებული ქალები უფრო ხშირად შორდებიან ქმრებს.

17) უმამო ბავშვებს რისკის ჯგუფში მოხვედრის უფრო დიდი შანსი აქვთ.

თუკი 35 ქულაზე ნაკლები მოაგროვეთ, თქვენი კოდის პირველი ასოა — H, ხოლო თუ 35 ან უფრო მეტი ქულა მოაგროვეთ, თქვენი კოდის პირველი ასოა — B.

II ბლოკი. რა ასოციაცია გიჩნდებათ ისეთ ცნებებზე, როგორიცაა: „ცხოვრება“, „ქმარი“ და „ოჯახი“? ყოველ მოცემულ შემთხვევაში შეგიძლიათ აირჩიოთ არა უმეტეს ორი პასუხისა. პასუხების შეფასება მოცემულია ფრჩხილებში.

ცხოვრება: შრომა(1), წარმატება(2), განვითარება(3), სიყვარული(4), სული(5).

ქმარი: სახლი(1), მფარველი(2), დღესასწაული(3), მეგობარი(4), სინაზე(5).

ოჯახი: სამზარეულო(1), საზრუნავი(2), შვილები(3), მხარში ამოდგომა(4), გაგება(5).

თუკი 18 ქულაზე ნაკლები მოაგროვეთ, თქვენი კოდის მეორე ასოა — H, ხოლო თუ 18 ან უფრო მეტი ქულა მოაგროვეთ, თქვენი კოდის მეორე ასოა — B.

ტესტის პასუხები

HH — ხანგრძლივი, სტაბილური ოჯახური ურთიერთობებისთვის არ ხართ დაბადებული. შესაძლოა, ქორწინებისკენ გიბიძგოთ ცნობისმოყვარეობამ ან მოღალატე სატრფოზე შურისძიებამ. თუმცა, სულის სიღრმეში თქვენ ოჯახურ კერას ელტვით. თქვენთვის სულერთია, რა აზრის არიან თქვენზე ირგვლივმყოფები. საკუთარ ინტიმურ აზრებს მხოლოდ მეგობარ გოგონას უზიარებთ. დაფიქრდით, მაშინ რაღაში გჭიდებათ ქმარი?

HB — თქვენ მყარი და ნაზი ურთიერთობების მომხრე ხართ, თუმცა ოფიციალურად რეგისტრირებულ ქორწინებას დიდად არ ელტვით. ყველაზე მეტად სულიერ სიახლოვეს აფასებთ და გეშინიათ, რომ ოჯახის შექმნის შემდეგ წარმოქმნილი გარდაუვალი სირთულეები, თქვენს სიყვარულს რომანტიკულობას დაუკარგავს. თქვენთვის შეურაცხმყოფელია სიტუაცია, როცა ქალი თითქმის ძალით მიათრევს საკუთარ რჩეულს მმაჩის ბიურომდე.

BH — გათხოვილი ქალის სტატუსი თქვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. თუკი რაღაც მიზეზების გამო პარტნიორის პოვნა გაგიჭირდათ, შესაძლოა დაუფიქრებელი ნაბიჯიც გადადგათ და პირველსავე შემხვედრს გაჰყვეთ ცოლად. თუნდაც ოჯახში არ სუფევდეს სულიერი სითბო და გაგება, ეს მის დასანგრევად საკმარის მიზეზად სულაც არ მიგაჩნიათ. ოჯახს არ დაანგრევთ, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლოა, საყვარელი გაიჩინოთ. ოღონდ, თქვენთვის მთავარია, რომ ამის შესახებ არავინ შეიტყოს.

BB — თქვენ იდეალურ ქორწინებაზე ოცნებობთ და წარმოსახვაში შექმნილი იდეალიდან ნებისმიერი გადახვევა, უდიდეს იმედგაცრუებას იწვევს თქვენში. ამიტომ გათხოვებას დიდად არ ჩქარობთ. მაგრამ ერთი რამ თქვენთვის ცხადზე უცხადესია — ბოლოს და ბოლოს, როცა ამ ნაბიჯის გადადგმას გადაწყვეტთ, ძალზე სერიოზულად მიუდგებით ამ საკითხს.

ᲐᲑᲝᲠᲘᲒᲔᲜᲔᲑᲡ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲐᲗ

ავსტრალიის შტატ კუინსლენდის ხელისუფლებამ ალკოჰოლიზმთან ბრძოლა გამოაცხადა და ადგილობრივ აბორიგენებს ალკოჰოლური სასმლის მიღება აუკრძალა. მშრალი კანონი მხოლოდ ძირძველი მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მოქმედებს, მაგრამ ყველა იქ მცხოვრებზე ვრცელდება. კანონის დამრღვევებს დიდი ფულადი ჯარიმა ემუქრებათ.

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, აბორიგენები უფრო მეტად მიილტვიან სასმლისკენ, ვიდრე ავსტრალიის დანარჩენი მოსახლეობა – კერძოდ, აბორიგენ ქალთა 29% ალკოჰოლიზმითაა დაავადებული. ■

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲡ ᲗᲘᲗᲘ ᲛᲝᲐᲭᲐᲛᲐ

აშშ-ში, კონექტიკუტის შტატში, ქალაქ ბრიჯპორტში დააპატიმრეს ქალი, რომელმაც მეგობარს თითი მოაკვნიტა, შემდეგ კი უნიტაზში ჩააგდო.

ინციდენტი მაშინ მოხდა, როცა 23 წლის ამერიკელი, დაქალის სახლში გამართულ წვეულებაზე, ამ უკანასკნელის ბოიფრენდის თანხლებით გამოცხადდა.

ეჭვიანობის ნიადაგზე დაქალები წაკამათდნენ, რაც ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. შედეგად, 25 წლის ამერიკელმა დაქალს თითი მოაკვნიტა.

ახალგაზრდა მამაკაცმა, რომელიც ამ შეხლა-შემოხლის მიზეზი გახდა, სხვა სტუმრებთან ერთად დიდხანს ეძება მოკვნეტილი თითი. ბოლოს და ბოლოს, თითი იპოვეს, მაგრამ ვიღაცამ იგი კვლავ გადამალა და შემდეგ უნიტაზში ჩააგდო. ვარაუდობენ, რომ ეს სწორედ იმ ეჭვიანი ქალბატონის ნამოქმედარია.

დაზარალებული ბინიდან გაიქცა და პირდაპირ პოლიციაში გამოცხადდა.

მის დაქალს ამჟამად სასამართლო ელის. ■



ᲨᲝᲜ ᲯᲝᲜᲔᲡᲘ ᲰᲐᲡᲘ ᲰᲝᲢᲔᲡᲘᲡ ᲑᲐᲑᲣᲐ ᲒᲐᲮᲓᲐ



პოპულარულმა ბრიტანულმა ჟურნალმა Peranting, თანამემამულეებს, რეალური თუ გამოგონილი პერსონაჟების გამოყენებით, იდეალური ოჯახის პორტრეტის შექმნა შესთავაზა.

8 ათასი მკითხველის მონაცემების შეჯამების შედეგად, იდეალურ დედად – მარჯ სიმფსონი (კომედიური მულტსერიალიდან „სიმფსონები“), მამად კი – ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ჰარი ლინეკერი დასახელდა. შონ კონერი – პირველი და განუმეორებელი ჯეიმს ბონდი – მსოფლიოში საუკეთესო ბაბუად აღიარეს; ხოლო იდეალურ შვილად თითქმის ერთხმად დაასახელეს ჰარი პოტერი.

ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი საუკეთესო მამათა შორის მეოთხე ადგილზეა, ხოლო მისი მეუღლე ვიქტორია – ჰგუფ Spice Girls ყოფილი სოლისტი, იდეალურ დედათა სიაში მეშვიდე ადგილს დასჯერდა. ■

ᲙᲐᲢᲐᲛ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ

გერმანიაში, 6 წლის კატამ, რომელიც 18,5 კილოგრამს იწონის, ცხოველთა თავშესაფარში მოხვედრის დღიდან შიმშილობა გამოაცხადა. კატა – სახელად მიკეში, უკმაყოფილოა იმით, რომ მას პატრონისგან მოშორებით ყოფნა უწევს.

ჭარბი წონის გამო მიკეშს ზედიზედ ოთხ ნაბიჯზე მეტის გადადგმა არ შეუძლია; გულზე კი, სიმსუქნის ნიადაგზე, სერიოზული გართულებები აღენიშნება. თავშესაფრის თანამშრომლები ეცადნენ, კატა დიეტურ კვებაზე გადაეყვანათ, მაგრამ გაზულუქებული ცხოველი, რომელიც დღეში საშუალოდ 1,5 კგ ბიფშტექსს მიირთმევდა, პროტესტის ნიშნად დიეტურ საკვებს არ ეკარება.

კატა შიმშილით რომ არ მოკვდეს, ერთ-ერთმა თანამშრომელმა – კაროლა რუფმა 10 დღით მისი შინ წაყვანა გადაწყვიტა. კაროლას იმედი აქვს, რომ ბოლოს და ბოლოს, მიკეში გონს მოეგება და სხვა ჩვეულებრივი კატების მსგავსად, იმ საკვებს დასჯერდება, რასაც შესთავაზებენ. ■

ᲞᲔᲜᲔᲚᲝᲞᲐᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲚᲔᲑᲘ

პენელოპა კრუსს, რომელიც ტომ კრუზს ყოველგვარი სკანდალისა და ხმაურის გარეშე დაშორდა, მარტო ყოფნა დიდხანს როდი მოუწია. პენელოპამ ჩვეულებისამებრ, ახალი რომანი გადასაღებ მოედანზე გააჩაღა. ამჯერად მისი რჩეული მეთიუ მაკონაჰიუა (სანდრა ბალოკის ყოფილი ბოიფრენდი).

ცხადია, მეთიუ ტომ კრუზს ვერც პოპულარობითა და ვერც სიმდიდრით ვერ შეედრება, მაგრამ... ტომს საკურთხეველთან ვერ მიიყვან; საყვარლის ამპლუაში ყოფნა კი, პენელოპას, როგორც ჩანს, მოჰბეზრდა.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ პენელოპა თაყვანისმცემელთა სიიდან ტომ კრუზის ამოშლას სულაც არ აპირებს – რამდენიმე დღის წინ, ის სპეციალურად ჩაფრინდა ბერლინში, რათა საიდუმლოდ შეხვედროდა ყოფილ საყვარელს. ■

ფოტოკუთხეები





b 111/16

სიახლე!

მხიარული „ატრაქციონი" თქვენი პატარებისთვის

ყველაზე საბავშვო ჟურნალი